245 165
3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

F85139
3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ჯანელიძე

საქართველოს ისტორია XIX საუკუნე

19

თბილისი
2005

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უაკ (UDC) 947.922
ჯ 221

ნაშრომში გაშუქებულია XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის კარდინალური საკითხები.

წიგნი განკუთვნილია არასპეციალური ფაკულტეტების სტუდენტებისათვის, ისტორიის მასწავლებლებისა და ჩვენი ქვეყნის წარსულით დაინტერესებული ფართო მკითველისათვის.

რედაქტორი პროფესორი ნოდარ ასათიანი

რეცენზენტები: პროფესორი ავთანდილ სონღულაშვილი
პროფესორი დიმიტრი შველიძე

K245165
3

© ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

სპეგ-2000
შეფასებულია

ISBN 99940-0-173-6

ჯ 138/2005

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში

ტრაგიკულად დაიწყო XIX საუკუნის პირველი წელი აღმოსავლეთ საქართველოში. დეკემბრის მიწურულს გარდაცვლილი ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII ახალი წლის დღეებშიც არ დაეკრძალათ. სახელმწიფო გლოვას მოეცვა. ტრაგიზმს ისიც ამძაფრებდა, რომ მიცვალებული გვირგვინოსნის გარდა დასატირებელი დაკარგული მეფობაც გამხდარიყო. ქვეყანას ტახტის მაძიებელნი როდი აკლდა, — მეფობას მემკვიდრე დავით გიორგისძის კვალდაკვალ ერეკლე II-ის ძენიც ესწრაფოდნენ. მაგრამ რუსეთის საიმპერიო კარზე ბაგრატიონთა ხელისუფლება უკვე ზედმეტად მიაჩნდათ.

ჯერ კიდევ გიორგის სიცოცხლეშივე, 1800 წ. 18 დეკემბერს პავლე I-მა ხელი მოაწერა მანიფესტს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსეთთან შეერთების შესახებ. ეს ეცნობა კავკასიის ხაზის უფროს გენერალ კნორინგს, რომელსაც მანიფესტი გარკველ დრომდე საიდუმლოდ უნდა შეენახა. კნორინგმა შესაძლო გართულების თავიდან ასაცილებლად საქართველოში დამატებითი სამხედრო ნაწილები გამოგზავნა. თბილისში მყოფი რუსთა ჯარის სარდალმა ლაზარევმა დავითს ოფიციალურ დამტკიცებამდე გამეფების უფლება არ მისცა. მეფე გიორგის გარდაცვალების დღიდან ქართლ-კახეთის მმართველად იოანე გიორგის ძე ბატონიშვილი დაინიშნა, თუმცა ქვეყანას ლაზარევი განაგებდა.

ტახტზე ასვლას შეეცადა იულონ ერეკლეს-ძე, რომელმაც სვეტიცხოვლის ტაძარში მეფედ კურთხევაც კი დააპირა, მაგრამ ლაზარევმა საჯარისო შენაერთის მეშვეობით ეს მცდელობა სასწრაფოდ აღკვეთა.

გიორგი XII-ის მიერ პეტერბურგს გაგზავნილ ელჩებს უკან დაბრუნებისას მეფე გარდაცვლილი დახვდათ. ისინი დავით გიორგის-ძემ მიიღო. ელჩებმა 1801 წლის 14 იანვარს დავითი, პავლე I-ის სახელით, მემკვიდრედ და „საქართველოს განმგედ" (მმართველად) გამოაცხადეს. დავითს გამეფების იმედი გადაწურული არ ჰქონდა, ამიტომ იმპერატორისაგან დასტურის მისაღებად მან ელჩები რუსეთს მიავლინა. უფლისწულის მოლოდინი ამაო გამოდგა.

1801 წლის 18 იანვარს პეტერბურგში ოფიციალურად გამოაქვეყნეს პავლე I-ის მანიფესტი, რომლის თანახმად, ქართლ-კახეთი რუსეთის გუბერნიად გამოცხადდა. ქართველ ხალხს მანიფესტის შინაარსი მოგვიანებით, 1801 წლის 16—17 თებერვალს გააცნეს. იგი რუსთა ჯარით გარშემორტყმულ სიონისა და ვანქის ეკლესიებში წაიკითხეს, შემდეგ კი ცალკე ფურცლებზე დაბეჭდილი მოსახლეობაში გაავრცელეს.

სამეფო ოჯახის წევრთა უმრავლესობა რუსული ორიენტაციის მქონე დავითის მმართველობას უკმაყოფილოდ შეხვდა. იულონმა და ფარნაოზმა მიიმხრეს დავით გიორგის-ძის მოწინააღმდეგე ქართლის თავადაზნაურობა, სამღვდელოების წარმომადგენლები და შეეცადნენ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას. დავითმა ბიძების წინააღმდეგ რუსთა სამხედრო ნაწილი დაძრა. ძმები იძულებულნი გახდნენ, იმერეთში გადასულიყვნენ.

ვახტანგ ერეკლეს-ძე დუშეთში იდგა. მან კავშირი გააბა როგორც ირანში მყოფ ალექსანდრე ბატონიშვილთან, ისე იმერეთში გახიზნულ ძმებთან და თბილისში დარჩენილ დარეჯან დედოფალთან. მათი ძალისხმევა მიმართული იყო დავითისა და რუსული მმართველობის წინააღმდეგ.

უქმად არც დავითი დარჩენილა. მანაც ენერგიულად შეუტია და თავისი მოქიშპენი დიდად შეავიწროვა. დავითი სამეფოს შემოსავალს ერთპიროვნულად განაგებდა, პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს დევნიდა, მამულებსა და ყმა გლეხებს ართმევდა და თავის ერთგულთ ურიგებდა. დავითის გამგებლობის დროს თბილისში სპილენძის ფულიც მოიჭრა (ეს იყო ბაგრატიონთა სახელით გამოშვებული უკანასკნელი მონეტა).

დავით ბატონიშვილი

ბატონიშვილი იმედოვნებდა, რომ თუ მეფის ტიტულს არა, მეფისნაცვლობას მაინც უბოძებდნენ, მაგრამ ვერც ერთი მიიღო და ვერც მეორე. 1801 წლის მარტის დამდეგს პეტერბურგში უკვე ქართლ-კახეთის ახალი საგუბერნიო მმართველობის დებულება დაამტკიცეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სენატის გადაწყვეტილებით გენერალ-გუბერნატორად გენერალი კნორინგი დაინიშნა. მართალია, ქართული სამეფოს გაუქმების მოსურნე პავლე I 1801 წ. 11 მარტს შეთქმულებმა სიცოცხლეს გამოასალმეს, მაგრამ ქართლ-კახეთთან მიმართებაში რუსეთის ახალი იმპერატორის, ალექსანდრე I-ის პოლიტიკაც არსებითად იგივე დარჩა.

1801 წლის მაისში ალექსანდრე I-ის საგანგებო დავალებით საქართველოში გენერალი კნორინგი ჩამოვიდა. მას უნდა „გამოერკვია", რამდენად სიცოცხლისუნარიანი იყო ქართლ-კახეთის სამეფო და შესწევდა თუ არა მას დამოუკიდებლად არსებობის ძალა. იმპერატორს თავისთავად ეს პრობლება დიდად არ ანაღვლებდა, მაგრამ იგი ცდილობდა, შეენიღბა რუსეთის იმპერიული მიზანსწრაფვა და აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთება, ნაცვლად ანექსიისა, საერთაშორისო ასპარეზზე ქართველ ხალხზე ზრუნვად წარმოეჩინა. ამიტომაც მიეთითა კნორინგს, რომ ქართული სამეფოს გაუქმების რუსეთის პოლიტიკური ნება მოხსენებით ბარათში თვით ქართველი საზოგადოებრიობის სურვილად გარდაესახა. უხეში ძალმომრეობა და ბოროტება სათნოებად უნდა გასაღებულიყო.

კნორინგმა დავალება ბრწყინვალედ შეასრულა და ალექსანდრე I-ს მისთვის სასურველი დასკვნა ოპერატიულად წარუდგინა. იმპერატორმა კიდევ ერთი ფარსი გაითამაშა და გადაწყვეტილება ერთპიროვნულად კი არ მიიღო, განაჩენი სახელმწიფო საბჭოს გამოატანინა. საბჭოს რამდენიმე წევრმა (ვორონცოვი, კოჩუბეი) პრობლემის სამართლებრივი თვალსაზრისით განსჯაც მოინდომა, თუმცა უმრავლესობამ უპირატესობა შეერთების სარგებლიანობას მიანიჭა. მხოლოდ ამის შემდეგ, 1801 წლის 12 სექტემბერს გამოიცა ალექსანდრე I-ის მანიფესტი, რის საფუძველზეც ქართლ-კახეთის ცალკე სახელმწიფოებრიობას სამუდამოდ ბოლო მოეღო. პეტერბურგში მყოფ ქართველ ელჩთა სიტყვიერ თუ წერილობით პროტესტს მდგომარეობის შეცვლა აღარ შეეძლო.

ახალი მანიფესტის საქართველოში გამოქვეყნებამდე, 1801 წლის მაისში კნორინგმა დავით ბატონიშვილი თანამდებობიდან გადააყენა და აქ დროებითი მმართველობა ჩამოაყალიბა, რომლის თავმჯდომარედ გენერალი ლაზარევი დაინიშნა. მმართველობის წევრობა ქართველ მდივანბეგებს, ზაალ ბარათაშვილს, ივანე

ჩოლოყაშვილს, ეგნატე და სულხან თუმანიშვილებს, ასევე
თბილისის ყოფილ მამასახლისს დარჩო ბებუთაშვილს მიენდოთ.

სამეფო ოჯახის არც ერთი წევრი მმართველობაში არ შეუყვანიათ, იმპერატორის მიპატიჟებით ყველა მათგანს პეტერბურგში იწვევდნენ. საქართველოში კი მორიგი რუსული პოლკები შემოჰყავდათ. ქართლ-კახეთი თითქმის ოკუპირებულ იქნა. აქაურობის მბრძანებლად განესებული კნორინგი თბილისში მხოლოდ ამის შემდეგ გამოჩნდა. ადგილობრივი მოსახლეობის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად კნორინგმა ინინამძღვრა და საქართველოში ჩამოიტანა წმინდა ნინოს ჯვარი, რომელიც ასწლეულთა განმავლობაში მცხეთაში იყო დაცული, XVIII საუკუნის 20-იან წლებში კი რატომღაც რუსეთში გაეტანათ.

1802 წლის 12 აპრილს ბაგრატიონთა სამეფო სახლეულნი და ქართველი დიდებულები მანიფესტის გასაცნობად სიონში მიიხმეს. საბრძოლოდ გამზადებულმა რუსთ მხედრობამ ტაძარს სასწრაფოდ ალყა შემოარტყა. შეკრებილთ ქართული სამეფოს აღსასრულისა და რუსული მმართველობის დაწესების შესახებ გამოუცხადეს, შემდეგ კი რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დაფიცება უბრძანეს. თვითმხილველთა მოწმობით, რამდენიმე ქართველმა თავადმა პროტესტი გამოთქვა და ტაძარი მიატოვა. კნორინგის განკარგულებით ისინი დაპატიმრებულ იქნენ.

ალექსანდრე I-ის მანიფესტი აღსავსე იყო პირმოთნეობით და აცხადებდა, რომ „არა ძალთა შემატებისათვის, არა ანგარებისათვის, არა საზღვართა გაფართოებისათვის ქვეყნიერებაზე ისედაც უდიდესი იმპერიისა ვკისრულობთ ჩვენ საქართველოს სამეფოს მმართველობის ტვირთს. მხოლოდ ღირსება, მხოლოდ პატიოსნება და ადამიანობა გვაკისრებენ ჩვენ საღმრთო მოვალეობას, რათა ყური მივაპყრათ ტანჯულთა ვედრებას და მათი ნაღველის განსაქარვებლად დავამყაროთ საქართველოში ისეთი მმართველობა, რომელიც შესძლებს მართლმსაჯულების განმტკიცებას, უზრუნველყოფს პირად და ქონებრივ უშიშროებას და კანონით ყველას დაცვას“.

შემთხვევითი არც ის ყოფილა, რომ ქართლ-კახეთის ახალ ხელისუფლებას „საგუბერნიო მმართველობის“ ნაცვლად ოფიციალურად „საქართველოს მმართველობა“ უწოდეს. სინამდვილეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი ნაკლებად განსხვავდებოდა რუსეთში მოქმედი ჩვეულებრივი საგუბერნიო მართვა-გამგეობისაგან.

საქართველოს რუსული მმართველობა საზეიმოდ გაიხსნა 1802 წ. 8 მაისს. მას მთავარმართებლის სტატუსით სათავეში ედგა გენერალი კნორინგი, რომელიც იმავდროულად კავკასიაში მდგარი რუსთა ჯარის მთავარსარდალიც იყო. მთავარმართებლის თანაშემწედ სამოქალაქო საქმეებში „საქართველოს მმართველი" ითვლებოდა. ამ თანამდებობაზე დანიშნულ იქნა გიორგი XII-ის კარზე რუსეთის იმპერიის მინისტრად ნამყოფი გენერალი კოვალენსკი.

მთავარმართებელს ექვემდებარებოდა საქართველოს უზენაესი მთავრობა — კოლეგიური სათათბირო ორგანო, რომელიც აღმასრულებელ, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და სახაზინო ექსპედიციებად იყოფოდა. მათგან მთავარი იყო აღმასრულებელი ექსპედიცია, რომელიც „კანონის ძალით და იმპერატორის სახელით" მთელ მხარეს განაგებდა. ამ ექსპედიციას „საქართველოს მმართველი" თავმჯდომარეობდა. ყველა განყოფილებას რუსი მოხელენი მეთაურობდნენ. ქართველი თავადაზნაურობის წარმომადგენლები ექსპედიციაში მხოლოდ მრჩევლის როლს ასრულებდნენ.

ქვეყანა ახალ ადმინისტრაციულ ერთეულებად — ხუთ მაზრად და ხუთ დისტანციად დაიყო. ქართლში სამი მაზრა ჩამოყალიბდა — გორის, დუშეთის, ლორის (სამაზრო ცენტრით თბილისში); კახეთში ორი — თელავის და სიღნაღის. საუბნო ერთეულები — დისტანციები აღმოსავლეთ საქართველოს არაქართველ მკვიდრთა დასახლებებისათვის შეიქმნა.

მაზრის ადმინისტრაციას საერობო პოლიცია შეადგენდა, რომლის თავმჯდომარედ რუსი ოფიცერი — კაპიტან-ისპრავნიკი ინიშნებოდა. რუსი სამხედრო განაგებდა აგრეთვე სამაზრო სასამართლოს, რომელიც როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის საქმეთა პირველი ისტანცია იყო. სამაზრო მმართველობის წევრებს ადგილობრივ თავადაზნაურთა წრიდან არჩევდნენ.

სისხლის სამართლის საქმეები რუსული კანონმდებლობის საფუძველზე უნდა გადაწყვეტილიყო, სამოქალაქო საქმე შეიძლებოდა ქართული სამართლის მიხედვითაც გაერჩიათ, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლოს წარმოების ენად, ისე როგორც ადმინისტრაციული მართვა-გამგებლობისა, იმთავითვე რუსული დამკვიდრდა.

ქალაქების გამგებლობა ეკისრებოდათ რუს კომენდანტებს, რომელთაც თანაშემწეებად ქართველი ნაცვლები ან პოლიცმეისტერები ენიშნებოდათ.

მუსლიმანებით დასახლებული დისტანციებისა და თუშ-ფშავ-ხევსურთა მმართველობისათვის დატოვებულ იქნა ქართული მოურაობის ინსტიტუტი, ოღონდ მოურავებს ზედამხედველობისათვის ყველგან რუსი თანაშემწეები ჰყავდათ მიჩენილი.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში აღმოსავლეთ საქართველო ირანის ხელდებული ქვეყანა იყო, თუმცა შაჰის ხელისუფლება ვასალური სამეფოს საშინაო საქმეებში ბოლო ხანს ნაკლებად ერეოდა. მართალია, ერეკლე მეორე ჯერ კიდევ ირანის სამოხელეო ტიტულს ატარებდა და ინვენსტიტურაც შაჰისაგან ჰქონდა მიღებული, მაგრამ ქართველობის გაყიზილბაშების საფრთხეს უკვე ჩაევლო და ფაქტობრივად დამოუკიდებელი სახელმწიფოს მოსახლეობა ირანის ფორმალურ ქვეშევრდომობას დიდი ტვირთად აღარ მიიჩნევდა. თვითმპყრობელობამ კი ქართული სამეფოს ლიკვიდაციასთან ერთად ეროვნული ადმინისტრაციაც მოშალა, რომლის ნაცვლად დანერგილი რუსული მმართველობა თავისი არსით სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმს წარმოადგენდა. კოლონიური ბატონობის დამკვიდრების პარალელურად, ეს რეჟიმი საფუძველს უყრიდა რუსეთის იმპერიის წიაღში საქართველოს სრულ ინკორპორაციას.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებას რუსეთისათვის ხელსაყრელ საერთაშორისო ვითარებასთან ერთად ხელი შეუწყო თვით აღმოსავლეთ საქართველოში შექმნილმა რთულმა შინამდგომარეობამ. ერეკლე II-ის მიერ ტახტის მემკვიდრეობის წესის შეცვლამ ბატონიშვილები სამკვდრო-სასიცოცხლოდ ნაჰკიდა ერთმანეთს და ისედაც ერთიანობასა და პოლიტიკურ სიმტკიცეს მოკლებული სამეფო კიდევ უფრო დაასუსტა.

ქართველ პოლიტიკოსთა მიერ მაჰმადიანური აგრესიისაგან ფარად ჩაფიქრებული გეორგიევსკის ტრაქტატი ქვეყანას ვერაფერში გამოადგა, რუსეთმა კი ამ ხელშეკრულებით გზა გაიკაფა სამხრეთისაკენ, ისარგებლა მფარველისა თუ მოკავშირის სტატუსით და აღმოსავლეთ საქართველოში ჯარის ნაწილები

ეროვნული ბიბლიოთეკა

უპრობლემოდ შემოიყვანა, რაც სხვა შემთხვევაში მხოლოდ ბრძოლით იქნებოდა შესაძლებელი.

საერთაშორისო ასპარეზზე წინააღმდეგობასმოკლებულმა რუსეთის სახელმწიფომ ძლიერის უფლებით მიიტაცა პატარა და სუსტი ქვეყნის ოკუპირებული მიწა-წყალი, მოშალა ოდინდელი სუვერენული სამეფო და ქართლ-კახეთი საკუთარი იმპერიის ნაწილად — გუბერნიად აქცია.

როგორ შეხვდა ქართველი ხალხი თავსმოხვეულ რეჟიმს?

რუსული მმართველობის შემოღებამ ქართველი საზოგადოების ყველა ფენა შეაშფოთა. მეფობის გაუქმებამ, პირველ რიგში, სამეფო ოჯახის წევრთა ინტერესები შელახა. გვირგვინის გამო აქამდე ურთიერთმოქიშპე მეფის ძენი თუ სახლიკაცები ტახტის დაკარგვამ ერთმანეთან დააზავა. საერთო საფრთხემ ყველა მათგანს ახლა თითქმის ერთ ბანაკში მოუყარა თავი. ღირსებაშელახული ბატონიშვილები სახელმწიფოს აღდგენისათვის გზებისა და საშუალებების ძებნას შეუდგნენ.

ახალ წყობილებას მტრულად შეხვდა ქართველი თავადობაც. ამ ძირძველ და არისტოკრატ წოდებას მირონცხებული მეფის ნაცვლად ახლა უვიცი მოხელე გაუბატონეს, რაც ერთობ შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა პატივმოყვარე, ქედმაღალ ფეოდალთათვის. ამასთან, მათ დაჰკარგეს სახელმწიფო თუ სამხედრო სამსახური და ერთ დროს შემოსავლიანი სამემკვიდრეო თანამდებობათა მფლობელნი, ამიერიდან რუს ჩინოვნიკთა უუფლებო ხელქვეითებად იქცნენ. სათავადოთა სისტემის თანდათანობითმა მოშლამ ქართველ მემამულეთა ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძლიერებას საფუძველი გამოაცალა. ამგვარმა შეზღუდვებმა თავადობა ახალ რეჟიმთან დაპირისპირებულ ძალად აქცია.

თავადებთან შედარებით უფრო მრავალრიცხოვანი აზნაურთა ფენაც რუსული ხელისუფლებით უკმაყოფილო იყო. მართალია, ახალმა მმართველობამ მოგვინებით აზნაურები თავადთა ყმობისაგან გაანთავისუფლა და უფლებრივად მათთანვე გაათანაბრა, მაგრამ ამას აზნაურობის მატერიალურ მდგომარეობაზე სასიკეთოდ არ უმოქმედნია. ჯერაც ვიწრო იყო ის ასპარეზი, სადაც ქართველი აზნაური გაუქმებული მოურაობის თუ სხვა მისთვის ხელმისაწვდომ საკარისკაცო თანამდებობის კომპენსაციას ჰპოვებდა.

შევიწროებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ქართველი სამ-ღვდელოებაც. ხელისუფლებამ ეკლესიას ყმა-მამულის დიდი ნაწილი ჩამოართვა, რომელიც ხაზინის გამგებლობაში გადასცა.

რუსული მმართველობის დაწესებით ქართველი გლეხკაცობა სახელმწიფო გადასახადებისაგან განთავისუფლებას მოელოდა, რაც მეტისმეტად ხელმოკლე ამ ფენისათვის ეკონომიკურად წელში გამართვის წინაპირობად აღიქმებოდა, მაგრამ ეს იმედი მალე გაცრუვდა.

ახალი ხელისუფლება ყველაზე უფრო მისაღები ვაჭართა წრისათვის აღმოჩნდა, რომელშიც უმთავრესად უცხო ელემენტი ჭარბობდა. ქართლ-კახეთის შიგნით არსებული ფეოდალური საბაჟოების ლიკვიდაციამ ხელი შეუწყო შიდა ვაჭრობის გააქტიუ-რებას, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან მიერთებამ იმპერიის სავაჭრო ცენტრებთან კავშირი გააიოლა. თუმცა მალე ვაჭართა შორისაც უკმაყოფილებამ იჩინა თავი, რადგან მთავრობამ მათაც გადასახადები დააკისრა.

მოსახლეობის საერთო გულისწყრომას აძლიერებდა ოქროს კურსის დაცემითა და ვერცხლის დეფიციტით გამოწვეული სოციალური ფონიც, რაც ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა ფართო ანტირეჟიმული მოძრაობისათვის.

1802 წლის კახეთის თავადთა შეთქმულება

საქართველოს საოკუპაციო მმართველობის შემოღებიდან მესამე თვეს, 1802 წლის ივლისში კახეთში პირველი საპროტესტო გამოსვლა დაიწყო. რუსულ ოფიციალურ მასალებში ეს მოვლენა „ბუნტად", „აღშფოთებად" და „შეთქმულებად" იხსენიება.

ზემოთ ჩამოთვლილ საერთო მიზეზთა გარდა, კახელ ფეოდალ-თა მღელვარება სხვა გარემოებამაც დააჩქარა: გავრცელდა ხმები, რომ მთავრობა აპირებს ქართველი თავადაზნაურების რუსეთში გადასახლებას, მოურაობის სრულ მოშლას, ადგილობრივი მოსახ-ლეობისაგან რეკრუტის გაყვანას და სხვ.

შეთქმულების მოთავენი იყვნენ მარტყოფის მოურავი ივანე ანდრონიკაშვილი, კალაურის მოურავი ომან ჯანდიერი, თავადები იოსებ და ივანე ჭავჭავაძეები, სიმონ და დავით ქობულაშვილები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც ფიცით შეეკრნენ ერთმანეთს, რომ საიდუმლოდ დაიცავდნენ თავიანთ განზრახვას.

შეთქმულთა მოქმედებას თბილისიდან დარეჯან დედოფალი ხელმძღვანელობდა. ერეკლეს ქვრივის ავლაბრის სასახლე გამოსვლის თავისებურ შტაბს წარმოადგენდა. მოძრაობასთან დაკავშირებული იყო თითქმის ყველა ბატონიშვილი, მათ შორის, ირანში მყოფი ალექსანდრეც, რომელიც ახლო აღმოსავლეთის მუსლიმანურ სამყაროში დაეძებდა და თავს უყრიდა ანტირუსულ ძალებს. ქუთაისს თავშეფარებული იულონი და ფარნაოზი შეთქმულებთან შეერთებას იმერთა მხედრობითა და ახალციხის ფაშას მხარდაჭერით ვარაუდობდნენ. საარაგვოში გამაგრებული ვახტანგ ბატონიშვილი მთის მცხოვრებთა ამბოხებას და დარიალის გზის გადაკეტვას გეგმავდა. თავის საუფლისწულოში (სურამში) შეიარაღებულ რაზმს ადგენდა თეიმურაზ გიორგის-ძე. მოქიშპე ბიძებს ახლა ბორჩალოში გახიზნული დავით ბატონიშვილიც დაუზავდა და მათთან თანხმობით მოქმედება გადაწყვიტა. შეთქმულებს თანაუგრძნობდა კათალიკოსი ანტონიც.

ბატონიშვილთა მხარდამხარ მათი ერთგული თავადობაც დაირაზმა. შეთქმულების ცენტრად კახეთი იქცა. აქტიურობდნენ ქობულაშვილები, ვაჩნაძეები, ჩოლოყაშვილები, ჯანდიერები და სხვ. ისინი თავიანთი შელახული უფლების აღდგენას, რუს მოხელეთა თავგასულობის ალაგმვას და კახეთის სოფლებიდან იქ დაბანაკებული რუსული ჯარის ნაწილების გაყვანას ესწრაფოდნენ. ერთმანეთთან კავშირისათვის შეთქმულებს საიდუმლო შიფრიც ჰქოდათ შედგენილი. დაიწყო ხელმოწერების შეგროვება გაუქმებული სამეფოს აღდგენის მოთხოვინით.

რუსული მმართველობა შეშფოთდა, თუმცა მალე გონს მოეგო და ენერგიულ ზომებს მიმართა. დარეჯანის სასახლეს ყარაულები მიუჩინეს, კახეთში დამატებითი პოლკები და არტილერია გაიგზავნა. ჯარები საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანეს. ხელისუფლებამ ეჭვმიტანილი თავადები იოსებ ჭავჭავაძე, სიმონ და დავით ქობულაშვილები დააპატიმრა და სხვებსაც დასაჭერად მიუხდა. ამან ზოგიერთ შეთქმულს იარაღით ხელში ტყეში გახიზვნისაკენ უბიძგა, ზოგმაც ალექსანდრე ბატონიშვილს მიაშურა, რომელიც ბელაქანში იდგა და ირანელთა ჯარით კახეთში შემოსვლას ლამობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავადთა ერთმა ჯგუფმა საქართველოს მმართველ კოვალენ-სკისა და კახეთში მდგომ რუსთა ჯარის სარდალს, გენერალ გულიაკოვს წერილით მიმართა, მდგომარეობა აუხსნა და დაპატიმრებულთა განთავისუფლება ითხოვა.

თავადები ადგილობრივ ხელისუფლებას ბრალს სდებდნენ მანიფესტით აღთქმული პირობების შესრულებლობაში და ადრესატებს ხელმწიფესთან დასმენით ემუქრებოდნენ.

გულიაკოვმა მომჩივანთ არ უპასუხა, წერილის მომტანი რამდენიმე თავადი დააპატიმრა და საქმის გამოძიებას შეუდგა. ამან ვითარება კიდევ უფრო დაძაბა. 1802 წლის 24 ივლისს ქიზიყის მკვიდრი თავადები მდინარე ლაკბესთან შეიკრიბნენ. ბოდბელი მიტროპოლიტი იოანე მიიწვიეს და ჯერ რუსთხელმწიფის ერთგულებაზე, შემდეგ კი იულონის მეფობაზე დაიფიცეს. თავადები ერთმანეთსაც პირობით შეეკრნენ, რომ მმართველობისათვის საერთო საქმის გამო ვისიმე დაპატიმრების ნება არ მიეცათ — „რომელიც კაცი დაიჭიროს, იმაზე სისხლი დავთხიოთ ერთად“-ო. შეთქმულებმა დაუყოვნებლივ აცნობეს ტახტის მაძიებელ ბატონიშვილს. ამასთან, კახეთის დანარჩენ თავადაზნაურებსა და გლეხობას წერილობით მიმართეს და მსგავსი ფიცის მიღებისაკენ მოუწოდეს. იმპერატორ ალექსანდრე I-ის სახელზე კი შედგენილ იქნა თხოვნა, რომელსაც ხელს აწერდა კახეთის 70-მდე თავადიშვილი. შეთქმულნი წერდნენ: მოწყალეო ხელმწიფევ! მანიფესტით გამოცხადებულია, თითქოს ჩვენ საკუთარი მეფე უარგვეყოს და რუსეთის მმფარველობაში შემოსვლა უმეფოდ გვეთხოვოს. ეს ჩვენი აზრი არ არის, „მაცდურ კაცთაგან მომხდარია“. ჩვენ არასოდეს გვითქვამს უარი ბაგრატიონთა მეფობაზე და ახლაც ერეკლეს ანდერძის თანახმად, იმას გევედრებით, რომ მეფე დაგვისვათ, თქვენ მმფარველობაში გვამყოფოთ და ისე გვიმსახუროთო. არსებითად, ეს იყო გეორგიევსკის ტრაქტატის პირობათა განახლების მოთხოვნა, რაც ქართლ-კახეთის სამეფოს, რა თქმა უნდა, შეზღუდულ, მაგრამ მაინც სუვერენულ არსებობას ითვალის-წინებდა.

იულონის ერთგულებაზე ხალხის დაფიცება თავადებმა მეორე დღისათვის სოფელ მაღაროში განიზრახეს. მდინარე კელმენჩურთან ამ მიზნით შეკრებილ ქიზიყის მოსახლეობას და შეთქმულთ თავს მაზრის უფროსი, პოდპოლკოვნიკი სოლენიუსი წაადგა. მას

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იულონ ბატონიშვილი

კაზაკთა რაზმი ახლდა, უკან კი ჯარი და არტილერია მოჰყვებოდა. რუს ოფიცერს შეთქმულების ხელმძღვანელთა დაპატიმრება ევალებოდა, მაგრამ შეკრებილები „მაგრად დაუხვდნენ“, არც მოთავენი დაანებეს და სისხლინ შეტაკებასაც თავი მოხერხებულად აარიდეს. თავადებმა მიტროპოლიტი იოანე თბილისში გაგზავნეს. მღვდელმთავარს კოვალენსკისა და ლაზარევისათვის მიმართვა უნდა გადაეცა, რომელშიც მომხდარი ამბები დეტალურად იყო აღწერილი. შეთქმულნი ხელისუფლებას შფო-თის დაწყნარებას სთხოვდნენ, — ხელმწიფის საწყენ საქმეში არ გვინდა გავერიოთო და მდგომარეობიდან გამოსასვლელ გზად უსამართლოდ დაჭერილ თანამოძმეთა განთავისუფლებას ასახელებდნენ.

თუ რუსულ მმართველობას შეთქმულების შესახებ ცნობები აქამდე გამცემთა მეშვეობით გააჩნდა, ახლა იგი მღელვარების სიმართლეში თავადვე დარწმუნდა. აღმოჩნდა, რომ საქმე რამდენიმე თავადის უმნიშვნელო „ბუნტთან“ კი არა ჰქონდათ, არმედ სერიოზული პოლიტიკური ხასიათის გამოსვლასთან, რომელიც საფრთხეს უქმნიდა მთელ საოკუპაციო რეჟიმს.

დაყოვნება შეუძლებელი იყო. მმართველობა გადამჭრელ ღონისძიებებზე გადავიდა. თბილისი და ქართლი საგანგებოდ გაამაგრეს. გენერალი ლაზარევი რუსთა ბატალიონით კახეთისაკენ გაემგზავრა. მან შეძლო გაეთიშა შეთქმულთა ძალები. ასამდე შეიარაღებული კაცით იმერეთიდან დაძრულ იულონსა და ფარნაოზს გზები შეკრული დახვდათ, რის გამოც შეთქმულებთან შეერთება ვერ მოახერხეს და უკან გაბრუნდნენ. დუშეთში მყოფი ვახტანგ ბატონიშვილი გენერალმა ტუჩკოვმა შეიპყრო და თბილისში ჩამოიყვანა. ლაზარევმა მეამბოხე თავადაზნაურები სიღნაღში შეკრიბა და აიძულა, უარი ეთქვათ იულონისადმი მიცემულ ფიცზე. შეთქმულებმა „მამულის არაკეთილმოსურნეთა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოძრაობაში მონაწილეობა მოინანიეს და იმპერატორის ერთგულებაზე ხელახლა დაიფიცეს.

რუსული რეჟიმის მოწინააღმდეგე თავადთა აქტივობა თანდათან მინელდა. მღელვარების უკანასკნელი კერა მანავშილა ღვიოდა. ალექსანდრე ბატონიშვილის მომლოდინე იქაური შეთქმულნი ადგილობრივ მკვიდრთ კვლავ გამოსვლისაკენ მოუწოდებდნენ, მაგრამ რუსთა რაზმის გამოჩენის შემდეგ დაიშალნენ და ტყეს შეეხიზნენ. ბევრნი დაიჭირეს, მრავალიც რეპრესიების შიშით კახეთიდან გადაიხვეწა და ტახტის მაძიებელ ბატონიშვილს ირანში შეეკედლა.

შეთქმულებს კახეთის ყველა ფეოდალი როდი მიემხრო, მეტიც, — პროტესტანტ თავადებს დიდგვაროვანთა შორის მოწინააღმდეგენიც გამოუჩნდათ, განსაკუთრებით მათი სახით, ვისაც უკვე მოესწრო ახალი დამპყრობლის სამსახურში შესვლა, ანდა საამისოდ გამზადებულს, მოძმეთა ღალატით, „თავის გამოჩენის" ჩინებული შანსი მისცემოდა.

ასე დასრულდა კახეთის თავადთა პირველი საპროტესტო გამოსვლა, რომელიც პეტიციებში ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს არ გასცილებია. შეთქმულების მონაწილეებს გულუბრყვილოდ სჯეროდათ, რომ იმპერატორი მათ აზრს შეიწყნარებდა, ბაგრატიონთა გაუქმებულ სამეფოს აღადგენდა და თავადთა ძველ პრივილეგიებსაც ხელუხლებლად დატოვებდა.

მეფის მთავრობა სრულიადაც არ აპირებდა გადაესინჯა იმპერიის კავკასიური პოლიტიკა და ხელი აეღო არჩეულ კურსზე. თუმცა ქართული ნარჩინებული წოდების ფრონდისტულმა განწყობამ ალექსადრე I დააფიქრა.

იგი იძულებული გახდა, რამდენადმე შეემსუბუქებინა საოკუპაციო რეჟიმი. თანამდებობიდან გადაყენებულ იქნა მხარის მთელი მმართველობა, სამსახურიდან დაითხოვეს ათეულობით უხეში და თავგასული მოხელე, რომელთა მოქმედება კიდევ უფრო არცხვენდა ისედაც სახელგატეხილ რეჟიმს.

თავადთა შეთქმულებამ თვალნათლივ აჩვენა, რომ სამეფოს მოშლა საბოლოო მარცხს არ ნიშნავდა. რუსულმა ხელისუფლებამ იგრძნო: ქართველთა დამორჩილება იოლი არ იყო, რადგან იგი თავისუფლებას უბრძოლველად არ დათმობდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამეფო ოჯახის დევნა. ბაგრატიონთა გადასახლება რუსეთში

ქართლ-კახეთის სამეფოს ლიკვიდაცია და მისი რუსეთის გუბერნიად გადაქცევა ცარიზმმა საერთაშორისო გართულების გარეშე მოახერხა. 1801 წლის პოლიტიკურ აქტს საიმპერიო ხელისუფლება ოფიციალურად ქრისტიანულ საქართველოზე თავისი ზრუნვის გამოხატულებად წარმოაჩენდა, თუმცა სრულად აცნობიერებდა, რომ ეს თვითნებობა და უხეში ძალმომრეობა იყო, რადგან ბაგრატიონებს ტახტსა და გვირგვინზე ხელი საკუთარი ნებით არ აუღიათ. სწორედ ამიტომ, აღმოსავლეთ საქართველოში საოკუპაციო რეჟიმის დამყარებისთანავე, მხარის მმართველობას ქვეყნიდან სამეფო სახლის წევრთა გაყვანისა და რუსეთში გამგზავრების სასწრაფო ამოცანა დაუსახეს. ეს არ იყო მთლად იოლი საქმე, ვინაიდან მარტო უფლისწულთა რაოდენობა ორ ათეულს აღემატებოდა (მეფე ერეკლესა და გიორგი XII-ს 15—15 შვილი ჰყავდათ).

მთავარმართებელმა კნორინგმა წამოიწყო, მაგრამ დავალების შესრულება ვერ შეძლო. მთავრობას მოცდა არ სურდა. პეტერბურგში მიიჩნევდნენ, რომ ბაგრატიონების სამშობლოში ყოფნა ქართველ ხალხში სახელმწიფოებრიობის განახლების წყურვილს ასაზრდოებდა. ვიდრე სამეფო ოჯახის მრავალრიცხოვანი შთამომავლობა საქართველოში ეგულებოდა, რუსთხელმწიფე თავს მშვიდად ვერ იგრძნობდა. მით უმეტეს, რომ უკვე 1802 წლის კახეთის თავადთა გამოსვლამ აშკარა გახადა: ბაგრატიონები დაკარგული მეფობის დაბრუნებასა და თავიანთი დინასტიის აღდგენას ესწრაფოდნენ. ასეთ ვითარებაში საქართველოს უმაღლეს ხელისუფლად დანიშნულ გენერალ ციციანოვს მიეთითა, თუ ტახტის მაძიებელ ბატონიშვილებს სამშობლოდან ნებაყოფლობით ვერ გაისტუმრებდა, ძალაც გამოეყენებინა.

საიმპერატორო კარს უჯობდა, პრობლემა მშვიდობიანად მოეგვარებინა, რათა ბაგრატიონებთან ერთად მათი მოყვარე თუ ერთგული ქართლ-კახეთის დიდებულებიც მტრად არ მოეკიდებინა. ბატონიშვილთა იძულებით გადასახლება სამხრეთ-კავკასიის მაჰმადიან მფლობელებსაც დააფრთხობდა და თუ

ზოგიერთი ხანი აქამდე რუსეთთან დაახლოებას არ გაურბოდა, ახლა შესაძლოა მისგან თავი შორს დაეჭირა.

ბაგრატიონთა სამეფო სახლის თითოეულ წარმომადგენელს ალექსანდრე I-ის სახელით სპეციალური წერილი მიერთვა. იმპერატორი ყველა მათგანს საცხოვრებლად რუსეთში ეპატიჟებოდა, ყმა-მამულითა და სოლიდური პენსიით უზრუნველყოფას პირდებოდა.

როგორც ბატონიშვილებმა, ისე დარეჯან და მარიამ დედოფლებმა რუსეთში გამგზავრებაზე გადაჭრით უარი განაცხადეს. ციციანოვის ახსნა-განმარტებებმა თუ არგუმენტაციამ შედეგი ვერ გამოიღო, ბაგრატიონები საქართველოდან ფეხს არ იცვლიდნენ. მთავარმართებელმა მიზნის მიღწევა ქართული სამეფო ოჯახის ეკონომიკური შევიწროებითაც მოსინჯა, დედოფლებსა და ბატონიშვილებს ქონება ჩამოართვა და ხაზინას გადასცა, მაგრამ მათი წინააღმდეგობა ამ გზითაც ვერ გატეხა. ჯერი ძალაზე მიდგა.

პირველი იერიში ყოფილ მემკვიდრეზე — დავით ბაგრატიონზე იქნა მიტანილი. ციციანოვმა არ შეიწყალა სნეული დავითის თხოვნა — მკაცრ ზამთარში მგზავრობას ვერ შევძლებ და რაკი უსამართლოდ წასვლას მაიძულებთ, გაზაფხულამდე დამაცადეთო. 1803 წლის 19 თებერვალს დავით და ვახტანგ ბატონიშვილები საგანგებო ზედამხედველისა და სამხედრო რაზმის თანხლებით რუსეთის შორეულ გზას გაუყენეს.

ხელისუფლებამ ყურად არ იღო გიორგი XII-ის ქვრივის, დედოფალ მარიამის გულწრფელი აღიარებაც, რომ არც მას და არც მის შვილებს ტახტზე პრეტენზია აღარ გააჩნიათ და მხოლოდ საკუთარ ქვეყანაში დარჩენის ნებართვას ითხოვდნენ. იმპერატორი შეუვალი აღმოჩნდა, ბაგრატიონთა საქართველოდან გადასახლება მტკიცედ იყო განზრახული.

ციციანოვისათვის ცნობილი გახდა, რომ მარიამი თავის მცირეწლოვან შვილებთან ერთად თბილისიდან გასვლას და ფშავ-ხევსურეთში გახიზვნას აპირებდა. ამან კიდევ უფრო დააჩქარა მთავარმართებლის გადაწყვეტილება, თუნდაც ძალდატანებით, დედოფალი დაუყოვნებლივ რუსეთში გაეგზავნა. 1803 წლის 19 აპრილს, ციციანოვის ბრძანებით, გენერალმა ლაზარევმა ალყა შემოარტყა მარიამის სახლს და დავალების შესრულებას ისე უხეშად შეეცადა, რომ განრისხებული დედოფლის თუ მისი

მხლებლის, თავად ნიკოლოზ ხიმშიაშვილის ხანჯლის მსხვერპლი გახდა. ლაზარევის მკვლელობა, ყოველგვარი გამოძიების გარეშე, თავადაც მსუბუქად დაჭრილ მარიამს დაბრალდა. დედოფალი, როგორც დამნაშავე, ისე გადაასახლეს. იგი ჯერ ვორონეჟში ჩაიყვანეს, ხოლო შემდეგ ბელგოროდის დედათა მონასტერში მიუჩინეს ბინა, სადაც 8 წელი პატიმრობაში გაატარა. 1811 წელს იმპერატორმა შეისმინა მარიამისა და მისი შვილების მრავალგზის თხოვნა და ქართლ-კახეთის უკანასკნელ დედოფალს მოსკოვში საცხოვრებლად გადასვლის ნება დართო. მარიამს მოსკოვში მატერიალურად არ უჭირდა, მაგრამ სიცოცხლეში სამშობლოში დაბრუნებას ვერა და ვერ ეღირსა. იგი 1850 წელს გარდაიცვალა. ნიკოლოზ I-ის განკარგულებით, დედოფლის ცხედარი მცხეთაში ჩამოასვენეს და დიდი პატივით მეუღლის, გიორგი XII-ის გვერდით დაკრძალეს.

ცარიზმის კავკასიელი მოხელენი ეჭვით უყურებდნენ დარეჯან დედოფალს, რომელიც ერეკლე II-ის რუსულ ორიენტაციას თავიდანვე არ იზიარებდა, ხოლო ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდგომ ყოველ ღონეს ხმარობდა დაკარგული დამოუკიდებლობის აღსადგენად. დარეჯანს იმპერიის საზიანო საქმიანობაში ედებოდა ბრალი. მალე მას სპარსეთში გადახვეწილ და რუსეთის მტრად ქცეულ შვილთან, ალექსანდრე ბატონიშვილთან მიმონერაც დაუმტკიცდა, რაც დედოფლის წინააღმდეგ დამატებით სამხილად გამოიყენეს. მთავარმართებელმა ანგარიში არ გაუწია ხანდაზმული დარეჯანის ასაკს და 70 წლის დედოფალი 1803 წლის შემოდგომაზე ამალით იმპერიის დედაქალაქში გაისტუმრა.

K 245165

სამეფო კარზე დარეჯანი კეთილგანწყობით მიიღეს და სათანადო სარჩოც დაუნიშნეს პენსიის სახით, მაგრამ საკუთარ კერას მოწყვეტილ მოხუცს სანკტ-პეტერბურგში დიდხანს აღარ უცოცხლია. 1807 წლის ნოემბერში დედოფალი გარდაიცვალა. მის დაკრძალვას ნევის ლავრაში თვით იმპერატორი ალექსანდრე I ესწრებოდა.

1803 წელს დედოფალ მარიამთან ერთად რუსეთს გაგზავნეს მისი 6 შვილი და დატყვევებული გერი ბაგრატ ბატონიშვილი. 1804 წლის ივნისში შეიპყრეს იულონი, ხოლო ოქტომბერში ქართლის მთიანეთის აჯანყების აქტიური მონაწილე და ერთ-ერთი ხელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძღვანელი ფარნაოზ ბატონიშვილი. მომდევნო წლის გაზაფხულზე ორივე მათგანი საქართველოდან გადაასახლეს. თავისუფლების აღკვეთის ადგილად იულონს ტულა, ფარნაოზს კი ვორონეჟი შეურჩიეს. 1806 წელს ალექსანდრე I-მა დააკმაყოფილა დარეჯან დედოფლის თხოვნა და დაპატიმრებული ბატონიშვილები გაანთავისუფლა. ძმები მოსკოვში დაბინავებულ თავიანთ ოჯახებს შეუერთდნენ.

ერეკლე მეფის კიდევ ერთ შვილს — ანტონ II-ს, რომელიც საქართველოს პატრიარქი იყო, თავიდან არ დევნიდნენ, მაგრამ როდესაც ცარიზმმა ივერიის ეკლესიის თვითმწყემსობის გაუქმება დააპირა, 1810 წელს ანტონიც რუსეთს გაიწვიეს. მოგვიანებით იგი იმპერიის საეკლესიო საბჭოს — სინოდის შემადგენლობაში აირჩიეს. ქართველი მღვდელმთავარი ნიჟნი-ნოვგოროდში დასახლდა, სადაც აღესრულა კიდეც 1827 წელს.

1808 წლიდან მოსკოვში სახლობდნენ გიორგი II-ის ქალიშვილები რიფსიმე და გაიანე ბატონიშვილები.

თეიმურაზ გიორგის-ძე ბაგრატიონი ერთხანს ირანის შაჰს შეკედლებულ ბიძასთან — ალექსანდრე ბატონიშვილთან გაიქცა, მაგრამ 1810 წელს სამშობლოში დაბრუნებული, ისიც რუსეთის ხელისუფლების ნებას დაჰყვა და პეტერბურგს გაემგზავრა.

1810 წელს რუსეთში გაგზავნეს იმერეთის ტახტის მემკვიდრედ გამოცხადებული კონსტანტინე დავითის-ძე ბაგრატიონი და იმერეთის უკანასკნელი მეფის, სოლომონ II-ის მეუღლე, მარიამ კაციას ასული დადიანიც. ამრიგად, საქართველოს დაპყრობის შემდგომ სამფო საგვარეულოს თითქმის ყველა წარმომადგენელი რუსეთის სხვადასხვა ქალაქში გადაასახლეს.

რუსეთში დამკვიდრებული ბაგრატიონთა პირველი თაობა ოფიციალურად „ქართველ ბატონიშვილებად“ (ცარევიჩებად) იწოდებოდა და „უგანათლებულესობის“ საპატიო წოდებას ატარებდა. მათი შთამომავლები მხოლოდ „ქართველი თავადისა“ და „ბრწყინვალების“ ტიტულს დააჯერეს, თუმცა 1865 წლიდან კვლავ „უგანათლებულესებად“ მოიხსენიებდნენ.

აღმოსავლეთ საქართველოდან გადასახლებულ ბატონიშვილთა მემკვიდრენი „გრუზინსკების“, ხოლო ბაგრატიონთა იმერეთის შტოს წარმომადგენლები „იმერეტინსკების“ გვარით იყვნენ ცნობილნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფის მთავრობამ ბაგრატიონებს რუსეთში ცხოვრების ნორმალური პირობები შეუქმნა, ჯერ მაღალი პენსიები დაუნიშნა, შემდეგ კი ერთდროულად მოზრდილი თანხა გამოუყო ყმებისა და მამულის შესაძენად. ბატონიშვილები რუსეთის სახელმწიფო თუ სამხედრო სამსახურში ჩადგნენ. ბევრმა მათგანმა მთავრობის დიდი ნდობა და მაღალი ჩინი დაიმსახურა. მირიან ერეკლეს-ძე, დავით და ბაგრატ გიორგის-ძეები სენატორებად მოგვევლინენ, კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი სახელმწიფო საბჭოს წევრად იყო დანიშნული. ბაგრატიონთა გვარის ათზე მეტი წარმომადგენელი რუსეთის არმიის გენერალი გახდა, სხვამ კი სახელი სამწერლო ან მეცნიერულ ასპარეზზე გაითქვა და სხვ.

მიუხედავად იმპერიის ერთგული სამსახურისა, გადასახლებულ ბატონიშვილთა და მათი შთამომავლების ოჯახებში ხანგძლივად არ ჩამცხრალა ქართული სული, მეტიც, ზოგიერთი მათგანი კარგა ხანს გაუქმებული სამეფოს აღდგენის იმედითაც სასოებდა. ეს განსაკუთრებით ითქმის დავით ბატონიშვილზე, რომელმაც ამ მიმართებით გარკვეული ნაბიჯებიც გადადგა. 1812 წლის სექტემბერში მან ალექსანდრე I-ს „საქართველოს უკეთესი მოწყობის" საკუთარი პროექტი წარუდგინა. დავითი ცდილობდა დაერწმუნებინა იმპერატორი, რომ უმჯობესი იყო ქართლ-კახეთში ბაგრატიონთა სამეფო ხელისუფლების განახლება, მაგრამ მისი გეგმა ყოველგვარი განხილვის გარეშე არქივს ჩააბარეს.

1817 წელს ბატონიშვილმა კიდევ ერთი წერილი გაუგზავნა რუსეთხელმწიფეს, შეახსენა გეორგიევსკის ტრაქტატის ის მუხლი, რომლითაც საქართველოს შინაგან მართვა-გამგებლობაში ავტონომიური სტატუსი ენიჭებოდა, ხოლო ერეკლე და მისი მემკვიდრენი მეფობას ინარჩუნებდნენ, რაც 1801 წლიდან უხეშად დაირღვა. თქვენ ევროპის ბევრი სახელმწიფოსადმი დამოკიდებულებაში ლეგიტიზმის ერთგულება გამოიჩინეთ, გააკეთეთ იგივე ბაგრატიონთა ღვთითკურთხეული სახლის მიმართ, აღადგინეთ ქართული სამეფო, რომელიც არავითარ ზიანს არ მოუტანს რუსეთს, პირიქით, მისთვის ხელსაყრელიც კი იქნებაო — სთხოვდა დავით გიორგის-ძე იმპერატორს.

წერილზე ამჯერად მინისტრთა კომიტეტმა იმსჯელა, მაგრამ ქართველი ბატონიშვილის თხოვნა არ გაიზიარა. შედეგი დავითის არც მომდევნო არზას მოჰყოლია. ტახტის მაძიებელ ბატონიშვილს

ახლა დასჯით დაემუქრნენ და ისიც იძულებული გახდა, ბედს შერიგებოდა. დავით ბაგრატიონი 1819 წელს პეტერბურგში გარდაიცვალა. დასაფლავებულია ალექსანდრე ნეველის მონასტერში, წმინდა ოქროპირის ეკლესიაში.

XIX საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევარში რუსეთში გადასახლებულ ქართველ ბატონიშვილთა შორის სამშობლოს განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენის სხვა გზა დაისახა, რომელიც ჩვენს ისტორიაში 1832 წლის შეთქმულების სახელითაა ცნობილი.

ქართლის მთიანეთის 1804 წლის აჯანყება

რუსული კოლონიური რეჟიმი მძიმე ტვირთად დააწვა ქართველ ხალხს. თვითმპყრობელობის ბატონობის წინააღმდეგ მალე სოციალური ჩაგვრით შევიწროებული გლეხობაც აღსდგა. აღმოსავლეთ საქართველოში ახალი მმართველობის დაწესების შემდეგ სამეფო და საუფლისწულო გლეხები რუსეთის სახელმწიფო (სახაზინო) გლეხებად აქციეს. საბატონო და საეკლესიო ყმა გლეხთა მსგავსად, სახაზინო გლეხობაც მრავალრიცხოვან ნატურალურ და ფულად გადასახადს იხდიდა, მაგრამ მოსახლეობის დაბალ ფენებს წელში სწყვეტდა სამხედრო და სამოქალაქო საჭიროებისათვის შემოღებული სახელმწიფო შრომითი ბეგარა-ვალდებულებანი: გამწევი ძალისა და სატრანსპორტო საშუალებათა გამოყვანა სურსათ-სანოვაგის და საომარი აღჭურვილობის გადასატანად, გზებისა და ხიდების მშენებლობა, დაზიანებულთა შეკეთება და სხვა. სულ უფრო აუტანელი ხდებოდა დაბა-სოფლებში დისლოცირებული რუსეთის ჯარის ნაწილების შენახვა და მათი მომსახურება. ხელისუფლება ოდნავადაც არ უნევდა ანგარიშს მოსახლეობის ქონებრივ მდგომარეობას და აწესებდა გაზრდილ გამოსაღებს.

ბარზე უკეთესი მდგომარეობა არც მთაში ყოფილა. მთის მკვიდრთა ძირითად საქმიანობას ძველთაგანვე მეცხვარეობა წარმოადგენდა. მთაში სახნავი მიწა მცირე და მწირი იყო. უმთავრესად თესდნენ ქერს. მთიულეთში, გუდამაყარსა და ზოგ

სხვა ხეობაში მოჰყავდათ უმნიშვნელო რაოდენობის ხორბალი და ფეტვი. ხალხი ერთობ ხელმოკლედ ცხოვრობდა.

საქართველოს სამხედრო გზის ამოქმედებამ და გაცხოველებულმა მიმოსვლამ თავის ორბიტაში მოაქცია ამ გზის გასწვრივ მცხოვრებნი. გაჩნდა დასაქმების და თითქოს შემოსავლის ახალი წყარო, მაგრამ მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა დიდად არ გაუმჯობესებულა. არსებულ გადასახადებს ახლა „სარუსოც" დაემატა, გადიდდა ბეგარა, ნატურალური გადასახადი თანდათან ფულადი სახით შეიცვალა.

1803 წელს სამაზრო ცენტრი დუშეთიდან ანანურში გადაიტანეს. მაზრა არაგვის ხეობის ბარის ზოლს, სამუხრანბატონოსა და ქსანს აერთიანებდა.

ქართლის მთიანეთის ხეობები — ხევი, თრუსო, მთიულეთი, გუდამაყარი, ხანდო და ჭართლი შეადგენდა ცალკე საადმინისტრაციო ერთეულს, რომელსაც „მთიელ ხალხთა სამმართველო" ეწოდებოდა. აღსანიშნავია, რომ ამ ხეობებში ისტორიულად ბატონყმობა არ არსებულა და აქაური მოსახლეობა უშუალოდ მეფეს ემორჩილებოდა.

მმართველობის რუსული რეჟიმი, რომელიც უხეში ძალმომრეობით მყარდებოდა, სრულიად გაუგებარი და შეუთავსებელი აღმოჩნდა მთის მცხოვრებთათვის. ეროვნული ტრადიციებისა და ადათ-ჩვევების ერთგული მთა გაკვირვებით უცქერდა ბოროტმოქმედებაში გადაზრდილ რუს მოხელეთა განუკითხაობასა და თვითნებობას. ცხადი იყო, რომ თავისუფალ და ლაღ ცხოვრებას შეჩვეული მთიელი დიდხანს ვერ მოითმენდა მისი პიროვნული ღირსების შემლახველ და დამამცირებელ ყოფას. არადა, ადგილობრივ მკვიდრთა აბუჩად აგდება, ფიზიკური შეურაცხყოფა, მათი ნაოფლარის მიტაცება ჩვეულებრივი მოვლენა ხდებოდა. მოხელეთა უსამართლობა „ოსმალობა-ყიზილბაშობის" შესაფერისი იყოო, მიუთითებდა ნ. ბერძენიშვილი.

მცხოვრებთა სამართლიან აღშფოთებასა და ჩივილს მეფის ღალატად ნათლავდნენ, რისთვისაც ადამიანებს უმოწყალოდ სჯიდნენ. დამკვიდრდა მათრახი და როზგი. ყოფილა შემთხვევა, როცა ქალები უღელში შეუბამთ. ორ ათეულზე მეტი კაცი ჯარისკაცებმა მარტო ცემით მოკლეს. ბევრი მთიელის სიცოცხლე

პ. ციციანოვი

სიცივემ, შიმშილმა და ზავებმა შეინირა გაუთავებელი საგზაო ბრძოლების დროს.

უმნიშვნელო პროტესტისთვისაც კი მთას დამსჯელი ექსპედიციებითა და ეგზეკუციებით უმასპინძლდებოდნენ. მოსახლეობა უიმედობასა და ხვალინდელი დღის შიშს შეეპყრო. ასეთი იყო ვითარება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში აჯანყების დაწყების წინ. მიზეზი საყოველთაო უკმაყოფილებისა საკმაოზე მეტი დაგროვილიყო. მთიელებს გამოსვლისათვის ალექსანდრე ბატონიშვილიც აგულიანებდა. ამბოხების დასაწყებად მცირე საბაბიც კი საკმარისი იყო.

1804 წლის მაისში მთავარსარდალმა პ. ციციანოვმა ერევნის სახანოზე გალაშქრება გადაწყვიტა და სამხედრო ნაწილების მობილიზებას შეუდგა. მთვარმართებელმა აუცილებლად მიიჩნია ლაშქრობაში ქართველთა მონაწილეობა და ჯარის შეკრება ბრძანა. ამგვარი დავალება ანანურის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლს, თორნიკე ერისთავსაც მიეცა. ერისთავი ბრძანების შესრულებას შეუდგა, მაგრამ იგი ხევის მცხოვრებთა წინააღმდეგობას წააწყდა, რომლებმაც ლაშქრად წვევაზე უარი განაცხადეს. ადრე, როცა ქვეყანას საკუთარი მეფე განაგებდა, მის დაძახილზე მთას ქუდზე კაცი გამოჰყავდა და ბრძოლისაგან თავის არიდება სირცხვილად ითვლებოდა. ახლა ეს ურჩობა გაბედულ პროტესტს ნიშნავდა, მით უფრო, რომ მთიელებმა ტრადიციისამებრ, წმინდა გიორგის ხატზე ფიცი დასდეს, — სულ ერთიანად გავწყდეთ, მაგრამ რუსებს აღარ ვეყმოთო. სიტყვა საქმედ იქცა და აჯანყების დროშაც აფრიალდა.

მეამბოხეებმა ჩახერგეს დარიალის ხეობა, ანანურიდან კაიშაურამდე დააქციეს ხიდები თუ ბოგირები, შეკრეს კავკავსა და თბილისთან დამაკავშირებელი გზები.

აჯანყებამ მასობრივი ხასიათი მიიღო. მთიულებსა და მოხევეებს თუშები და ფშავ-ხევსურნიც შეუერთდნენ. მღელვარება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გავრცელდა თრუსოს ხეობის ოსებშიც, რომლებიც ასევე საბრძოლველად დაირაზმნენ.

აჯანყებულთა რიცხვი 4 ათასს აღწევდა. მათ მიზანს საოკუპაციო რეჟიმის დამხობა და ბაგრატიონთა სამეფო ხელისუფლების აღდგენა შეადგენდა. ამიტომაც დაუკავშირდნენ იმერეთში თავშეფარებულ იულონსა და ფარნაოზს და მთაში იხმეს.

ამბოხებულთ რამდენიმე მეთაური ჰყავდათ, მათ შორის: ლევან ნაზღაიძე, დეკანოზი შიო ბურდული, სამუკა ამირიძე, თათარა ჩქარეული და სხვ. აჯანყების იდეური ხელმძღვანელები კი ბატონიშვილები ალექსანდრე, იულონი და ფარნაოზი იყვნენ.

აჯანყება ხელსაყრელ დროს დაემთხვა. ნაპოლეონის საწინააღმდეგო კოალიციაში გაერთიანებულ რუსეთს ამ დროს ევროპაში უფრო მნიშვნელოვანი საქმეები ჰქონდა მოსაგვარებელი, ვიდრე საქართველოში. აქ მდგომი ჯარის დიდი ნაწილი ციციანოვს სულ სხვა მიმართულებით — ერევნის სახანოსაკენ დაეძრა. მთავარმართებელმა ამბოხებული მთის დამშვიდება თავის მოადგილეს, გენერალ ვოლკონსკისა და ქსნის ერისთავებს — თორნიკეს, მიხეილს, შანშესა და ელიზბარს მიანდო, უბრძანა: „მახვილით აჰკაფეთ, სახლ-კარი გადაუბუგეთ, არ დაინდოთ აჯანყებული ავაზაკებიო.“ ციციანოვი დარწმუნებული იყო, რომ ერისთა-ვები თავს გამოიდებდნენ. ერეკლე II-ისაგან შევიწროებულ ამ ფეოდალებს ახალმა ხელისუფლებამ დაუყვავა, თავიანთი ყმა-მამული დაუბრუნა, სამხედრო წოდებები უბოძა და რუსული ორდენები ჩამოურიგა. ესენიც დამპყრობელს გაუერთგულდნენ. ახლა თავის გამოჩენის საშუალება ეძლეოდათ და უკან არ დაუხევიათ, მათ 1500 კაცი გამოიყვანეს, თუმცა არაერთი მათგანი აჯანყებულთა მხარეზე გადავიდა.

პირველი იერიში ამბოხებულებმა კაიშაურის სამხედრო სიმაგრეზე მიიტანეს და იქ მდგარი რუსთა რაზმი გაანადგურეს. შემდეგი დარტყმებიც სტრატეგიული საგუშაგოების მიმართულებით წარიმართა.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სტეფანწმინდის ხელში ჩაგდებას, რომლის მფლობელი, გაბრიელ ჩოფიკაშვილი (ყაზბეგი) რუსთა სამსახურში ჩამდგარიყო. აჯანყებულებმა გაბრიელს მოციქულები მიუგზავნეს და შესთავაზეს: განუდეგ რუსებს, წინ გაგვიძეხ და მტერს ერთად შევუტიოთო, მაგრამ ხევის ბატონი ვერ დაიყოლიეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი აქ განლაგებულ ჯარის ნაწილთან ერთად ციხე-კოშკში გამაგრდა და თავდაცვას შეუდგა.

მთიელები გარს შემოერტყნენ სტეფანწმინდას და სამდღიანი ბრძოლის შემდეგ ციხე-სიმაგრეს დაეუფლნენ. რუს სამხედროთა სიტყვით, „აჯანყებულთა თავგანწირვა უმაგალითო იყო." მათ რამდენიმე ათეული ჯარისკაცი და კაზაკი დაატყვევეს და რუსებს სამი ზარბაზანიც წაართვეს. მალე აღებულ იქნა ლარსის საგუშაგოც. საქართველოს სამხედრო გზა მთლიანად აჯანყებულთა კონტროლქვეშ მოექცა. მართალია, აჯანყებულებმა ანანურთან მარცხი განიცადეს, მაგრამ დუშეთის აღებით მდგომარეობის გამოსწორება შეძლეს და წინსვალა განაგრძეს. აგვისტოს დამდეგს ლომისთან მოპოვებული წარმატების შემდეგ ისინი ქსნის ხეობაშიც გადავიდნენ და აჯანყების არეალიც მნიშვნელოვნად გააფართოვეს. რუსთა ერთგულებისათვის მთიელებმა შური იძიეს ქსნის ერისთავებზე, მათ სოფლებს ცეცხლი წაუკიდეს და გადაბუგეს.

ადგილობრივი მმართველობა შიშმა შეიპყრო. აჯანყების ბარში გადანაცვლების შემთხვევაში საფრთხე თვით თბილისს ემუქრებოდა. ვოლკონსკიმ შექმნილი მძიმე ვითარება საიმპერატორო კარს შეატყობინა და სასწრაფო დახმარება ითხოვა. ალექსანდრე I-ის ბრძანებით საქართველოში დაუყოვნებლივ გამოიგზავნა დამატებითი ძალები. ისინი ორი მიმართულებით დაიძრნენ: ყირიმიდან შავი ზღვითა და სამეგრელოზე გამოვლით და „კავკასიის ხაზიდან" დარიალის ხეობით. ამ უკანასკნელი გზით გენერალი ნესვეტაევი მოემართებოდა. იგი 30 ქვემეხით აღჭურვილი 3 ათასკაციან შენაერთს მოუძღოდა და უკვე ოქტომბრის დამდეგს აჯანყების რაიონს მიუახლოვდა.

ქართლის მთიანეთში აზვირთებულ დიდ საპროტესტო მოძრაობას იმთავითვე გამოეხმაურნენ სამეფოს აღდგენის მოსურნე და ტახტის მაძიებელი ბატონიშვილები. მათ წერილობით მიმართეს ქართლ-კახეთის თავადაზნაურებს, სამშობლოსადმი მათივე მამაპაპათა ერთგულება მოაგონეს და თავისუფლებისათვის საბრძოლველად მოუწოდეს.

იულონმა რუსთა წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირედ ჩრდილო კავკასიელ მთიელთა, კერძოდ ჩერქეზების გამოყენება დააპირა და იქ საგანგებო დესპანიც მიავლინა. ჩერქეზებმა ბატონიშვილს სრული თანადგომა აღუთქვეს.

1804 წლის 3 ივლისს იულონი და ფარნაოზი მცირერიცხოვანი მხლებლებით აჯანყებულებთან შესაერთებლად იმერეთიდან დაიძრნენ.

საქართველოს რუსული მმართველობა თავის აგენტთა მეშვეობით ბატონიშვილთა ყველა ნაბიჯს ფარულად თვალს ადევნებდა და კონტრ-მოქმედების შესაბამის გეგმას სახავდა. სამეფოს მოწინააღმდეგე ფეოდალთა ხელშეწყობით, ქართლის საზღვართან მოახლოებისთანავე იულონ ბატონიშვილი შეპყრობილ იქნა. ფარნაოზი ტყვეობას გადაურჩა. იგი მოხერხებულად დაუსხლტდა მდევართ და ჯერ ბორჩალოში გამოჩნდა, მერე კი კახეთში შეაღწია. აქაური თავადაზნაურობა მაშინვე ფეხზე დადგა და გადაწყვიტა, მხარში ამოდგომოდა მებრძოლ ბატონიშვილს. მრავალი დიდგვაროვანი, მათ შორის მომავალი პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე და რამდენიმე რუსეთის სამსახურში მყოფი ქართველი მოხელე იარაღით ხელში მთანეთისაკენ დაიძრა. ფარნაოზის გამოჩენამ გაამხნევა მთიელნი. ბატონიშვილმა აჯანყების წინამძღოლობა იკისრა და ბრძოლის ხელმძღვანელობას შეუდგა. მან კავშირი გააბა ირანში მყოფ ალექსანდრე ბატონიშვილთან, რომელმაც შაჰის ჯარებით დახმარება აღუთქვა. ფარნაოზმა მეფის ოჯახზე გამწყრალი ქსნის ერისთავების შემორიგებაც სცადა, წერდა, — დაივიწყეთ ყველა უსიამოვნება, საქართველოს განთავისუფლების ისტორიულ ჟამს წარსულის ანგარიშების გასწორების დრო არ არის, შემოგვიერთდითო, მაგრამ უშედეგოდ.

გულხელდაკრეფილი არც ადგილობრივი ხელისუფლება მჯდარა. იგი ფულსა და ჯილდოს არ იშურებდა, რომ აჯანყებულთა მოთავენი თავის მხარეზე გადაებირებინა, მებრძოლთა შორის ნდობა მოეშალა და ისინი ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინა. აღსანიშნავია, რომ ეს მზაკვრული ხერხი ნაკლებად ჭრიდა, მთიელებს არ სჩვეოდათ ფიცის გატეხა და მოძმეთ ღალატი.

აჯანყება მეხუთე თვეა გრძელდებოდა. დაყოვნება შეიძლება საბედისწერო გამხდარიყო და მთავრობაც გადამჭრელ მოქმედებაზე გადავიდა. ციციანოვმა მოხსნა ერევნის ალყა, რომელიც წარუმატებელი გამოდგა და ვინ იცის, რით დამთავრდებოდა, რომ არა ირანში დაწყებული არეულობა. მთავარმართებელი საქართველოში დაბრუნდა და მთელი ჯარით ქართლის მთიანეთისაკენ გაეშურა. მძიმე ბრძოლებით კავკავიდან გზა გამოიკაფა ნესვე-

ფარნაოზ ბატონიშვილი

ტაევის ქვეითმა და კაზაკთა ცალკეებმაც. ლიახვის ხეობიდან დაიძრნენ ქსნის ერისთავებიც. აჯანყებულებმა ირანიდან დაპირებული დახმარება ვერ მიიღეს. მათი რიგები არათუ გაიზარდა, შემცირდა კიდეც, რადგან ზოგიერთმა თავადიშვილმა ბრძოლის გაგრძელებაზე უარი განაცხადა. ამბოხებულებს, რომლებიც თავდაცვაზე გადასულიყვნენ, ახლა სამი მხრიდან უტევდნენ.

გადამწყვეტი ბრძოლა 1804 წლის 13 ოქტომბერს სიონთან გაიმართა. ფარნაოზი ძლეულ იქნა, რაც ფაქტობრივად აჯანყების მარცხს მოასწავებდა. დევნილმა ბატონიშვილმა ირანში გადასვლა დააპირა, მაგრამ რუსთ-ხელმწიფის ერთგულ ქართველთა ხელშეწყობით იგი დატყვევებულ იქნა. 1805 წლის აპრილში იულონიცა და ფარნაოზიც რუსეთში გადაასახლეს.

ციციანოვმა სცადა, წესრიგი აღედგინა მთაში. მისი ბრძანებით ხელახლა განისაზღვრა სამხედრო გზის გასწვრივ მცხოვრებთა უფლება-მოვალეობანი, ტვირთების გადაზიდვისათვის თუ გზის მომსახურებისათვის აღდგენილ იქნა ქართლ-კახეთის მეფეთა დროს დაწესებული ნიხრი, შეიზღუდა მოხელეთა თავაშვებულობა და სხვ. მთა ისევ ურჩობდა და დანებებას იოლად არ აპირებდა. ხელისუფლებამ სასტიკ რეპრესიებს მიმართა. აჯანყების მონაწილე 300-ზე მეტი კაცი დააპატიმრეს, ბევრიც გადაასახლეს. გამძვინვარებულმა ჯარმა რამდენიმე სოფელი ცეცხლს მისცა და ნაცარტუტად აქცია. ამაყი მთიელი ვერ შეეგუა უსამართლო განაჩენს. იგი მომდევნო წლებშიც აგრძელებდა ბრძოლას.

ბაგრატიონთა სამეფოს აღდგენის ცდა წარუმატებლად დამთავრდა. აჯანყება დამარცხდა, მაგრამ ამ მასშტაბურ მოძრაობას უშედეგოდ არ ჩაუვლია. მან მკაფიოდ და ნათლად აჩვენა, რომ ხალხში ჯერ კიდევ ცოცხლობდა საკუთარი სახელმწიფოებრიობის განცდა და რომ ქართველობის საუკეთესო ნაწილს კვლავ შესწევდა ძალა, თავი გაეწირა ეროვნული თავისუფლებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმერეთის სამეფოს დაპყრობა. დასავლეთ საქართველოს სამთავროები რუსეთის პროტექტორატის ქვეშ

XIX საუკუნის დამდეგისათვის ირანი და ოსმალეთი დაქვეითების გზას ადგნენ. ევროპის წამყვანი ქვეყნები, ინგლისი და საფრანგეთი კი ურთიერთშორის შეურიგებელი ბრძოლით იყვნენ დაკავებულნი. ასეთ ვითარებაში რუსეთს აღმოსავლეთის მიმართულებით ხელები ფართოდ ეხსნებოდა.

ქართლ-კახეთის დაუფლების შემდეგ ცარიზმი აქტიურად ცდილობდა, გაეფართოებინა თავისი სამფლობელოები სამხრეთ კავკასიაში. მთავარმართებელმა ციციანოვმა ერთიმეორის მიყოლებით დაიქვემდებარა ჭარ-ბელაქანი, განჯის, ყარაბახის, შაქისა და შარვანის სახანოები და იმპერიის საზღვრები კასპიის ზღვის მიმართულებით მეტად განავრცო. რუსეთი ესწრაფვოდა გზა გაეკაფა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებისაკენაც, რომლის ქართულ ციხე-ქალაქებში ჯერ კიდევ ოსმალური გარნიზონები იდგნენ. ოსმალეთის სულთანთან რუსეთის მთავრობას 1798 წლიდან სამხედრო ხელშეკრულება ჰქონდა დადებული და მის დარღვევას ერიდებოდა. ენერგიულ ციციანოვს მითითება მიეცა, სიფრთხილით ემოქმედა და დასავლეთ საქართველო რუსეთის ქვეშევრდომობაში ისე მოექცია, რომ ოსმალო მოკავშირე ზედმეტად არ გაეღიზიანებინა.

დასავლეთ საქართველო კარგა ხანია ერთიან პოლიტიკურ ერთეულს აღარ წარმოადგენდა. იმერეთის სამეფოს გვერდით არსებობდნენ სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთისა და სვანეთის სამთავროები. იმერეთის მეფე ნომინალურად ითვლებოდა სამთავროების მფლობელად, რეალურად კი მას საკუთრივ იმერეთი და რაჭის საერისთავო ემორჩილებოდა. სოლომონ II მონდომებით იბრძოდა დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისათვის, მაგრამ ურჩი მთავრები ხელს უშლიდნენ მის ძალისხმევას. მეფე-მთავართა დაპირისპირება და მთავართა განუწყვეტელი ურთიერთქიშპი დიდად ვნებდა ქვეყნის გამთლიანებას.

დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა იმ დროს 300 ათასამდე სულს მოითვლიდა. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთი კვლავაც ინარჩუნებდა პოლიტიკურ გავლენას ამ კუთხეზე, ოთხ ათეულ

ნელზე მეტი იყო იმერეთი სულთანს აღარც ხარკს უხდიდა და ფაქტობრივად აღარც ყმობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმერეთის მეფეს მუდმივი ჯარი არ გააჩნდა, მაგრამ მტრის შემოჭრისას შეეძლო 25-30 ათასი მოლაშქრისა და ლეკთა მცირერიცხოვანი დაქირავებული რაზმების გამოყვანა. სოლომონ მეორისათვის ცხადი იყო, რომ ამ ძალით რუსთა შემოტევას ვერ გაუძლებდა, ამიტომ მოსალოდნელი აგრესიის შესაჩერებლად იგი მოკავშირეთა ძიებას შეუდგა, პარალელურად კი დიპლომატიაც მოიშველია. 1801 წლის თებერვალში მეფემ გენერალ კნორინგს აღმოსავლეთ საქართველოს იმპერიის სკიპტრის ქვეშ შესვლა მიულოცა, თუმცა არ მალავდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობა იმერეთისთვისაც დიდი უბედურება იყო.

სოლომონ II უკვე ეჭვით უყურებდა რუსეთს, მისი დაპირებისა აღარ სჯეროდა. ქუთაისის სამეფო კარმა თავშესაფარი მისცა საკუთარი კერიდან დევნილ იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებს. სოლომონის შემდგომი ნაბიჯი სამხრეთ კავკასიის მაჰმადიან მფლობელებთან დაკავშირება და აღმოსავლეთ საქართველოს თავადების მიმხრობა იყო. მისი გეგმა ირან-ოსმალეთის მხარდაჭერით რუსთა თბილისიდან განდევნას და აღდგენილ სამეფო ტახტზე იულონის დასმას ითვალისწინებდა. ამ მიზნის მიღწევა მეფემ იმპერატორ ალექსანდრე I-თან შუამდგომლობითაც განიზრახა, მაგრამ ნამონყება უშედეგოდ დასრულდა. არ ეწერა განხორციელება სოლომონ II-ის სხვა ჩანაფიქრსაც, რომლის თანახმად, რუსეთზე ორიენტირებული გაერთიანებული და გაძლიერებული ქართული სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში ცარიზმის პოლიტიკის გამტარებლად უნდა ქცეულიყო.

პეტერბურგში წარგზავნილ იმერეთის მეფის დესპანს, სოლომონ ლიონიძეს დავალებული ჰქონდა, ეზრუნა, რომ რუსეთს იმერეთი თავის მფარველობაში საერთაშორისო სამართლის ნორმათა საფუძველზე მიეღო და სათანადო გარანტიებითაც უზრუნველეყო. ლიონიძის მცდელობა წარუმატებელი გამოდგა, რადგან ალექსანდრე I-ს უკვე გადაეწყვიტა იმერეთის სამხედრო ძალებით დაკავება და ციციანოვისათვის სათანადო განკარგულებაც გაეგზავნა.

საქართველოს მთავარმართებელს იმრეთის დასაპყრობად ჯერ-ჯერობით ჯარი არ ჰყოფნიდა, ამიტომ სოლომონის შევიწრო-

ება მან სამეგრელოს მთავრის მხარდაჭერით წამოიწყო. მეფის მთავრობამ დიპლომატიური საშუალებებით გაარკვია, რომ პოლიტიკურ კრიზისში მყოფი ოსმალეთი სამეგრელოს გამო პროტესტს ვერ გაბედავდა. რაც შეეხება იმერეთის მეფეს, რომელიც სამეგრელოს თავისად თვლიდა, მაგრამ ურჩი მთავრისათვის ლეჩხუმიც კი ვერ ჩამოერთმია, რუსეთი ანგარიშს აღარ უწევდა. თავის მხრივ, სოლომონ II ცდილობდა ხელი შეეშალა რუსეთ-სამეგრელოს დაახლოებისათვის. იგი ციციანოვის და დადიანის შუამავლებს იმერთზე არ ატარებდა, განდგომილი მთავრის მოდრეკა იარაღის ძალითაც მოსინჯა, მაგრამ ვერას გახდა.

სოლომონ II

1803 წლის 4 დეკემბერს გრიგოლ დადიანმა რუსთხელმწიფის ერთგულების ფიცი მიიღო. სამეგრელო რუსეთის მფარველობაში შევიდა და მისი ქვეშევრდომი შეიქნა. მართალია, დადიანი სამთავროს მემკვიდრეობით მფლობელად რჩებოდა, რუსეთი ოფიციალურად სამეგრელოს საშინაო საქმეებში არ უნდა ჩარეულიყო, მაგრამ ზუგდიდში რუსთა ჯარის დგომა ამ კუთხეს და მის მთავარსაც, არსებითად, იმპერიის მორჩილ მსახურად ხდიდა. მიუხედავად ამისა, დადიანს თავი გამარჯვებულად მიაჩნდა, მისი პატივმოყვარეობა თითქოს დაკმაყოფილებული იყო. ამიერიდან იმერეთის მეფე მას იოლად ველარ შეეხებოდა. ციციანოვის მიერ შედგენილ სამფარველო ხელშეკრულებაში სამეგრელოს მთავარი ოდიშის, ლეჩხუმის, ქვემო სვანეთისა და აფხაზეთის კანონიერ მფლობელადაც არის მოხსენებული, მაგრამ ყოველივე ეს რუსეთის შორსგამიზნულ გეგმებს უკავშირდებოდა და ოდნავადაც არ გამოხატავდა დადიანის გავლენას, რომელიც თანდათან ნომინალური ხდებოდა და ხვალ თუ ზეგ არარად იქცეოდა.

სამეგრელოში ფეხის მოკიდების შემდეგ ციციანოვმა სულ უფრო ენერგიულად შეუტია სოლომონ II-ს, მტკიცედ მოითხოვა იმერეთის შესვლა რუსეთის ქვეშევრდომობაში. მეფე კვლავ ფეხს

ითრევდა და ხელქვეითობის პირობად სხვადასხვა მოთხოვნას აყენებდა. მთავარმართებელი პირადადაც შეხვდა სოლომონს, მაგრამ მისი დაყოლიება „ნებაყოფლობით“ მფარველობაზე ვერ შეძლო. განბილებული ციციანოვი დაემუქრა იმერთა მეფეს, რომ მას „ჩრდილოეთიდან ქარიშხალი მოელოდა“ და საკითხს საბოლოოდ იარაღი გადაწყვეტდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარმართებლის ბრძანებით რუსთა სამხედრო შენაერთები იმერეთში შეიჭრნენ და მოსახლეობის იმპერატორის ერთგულებაზე დაფიცება იწყეს. სოლომონ II-მ დათმობა ამჯობინა. 1804 წლის 25 აპრილს სოფელ ელაზნაურში მან ხელი მოაწერა საქვეშევრდომო ტრაქტატს და თავის დიდებულებთან ერთად იმპერატორის ერგულებაზე დაიფიცა. ძალად თავსმოხვეული ეს ტრაქტატი სოლომონის ხელისუფლებას მეტად ზღუდავდა. ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანებისთვის მებრძოლი მეფე იმპერიის ერთ ჩვეულებრივ მოხელედ უნდა გადაქცეულიყო და საქართველოს მთავარმართებელს დამორჩილებოდა.

ხელშეკრულების ძალით გურია იმერეთის განუყოფელ ნაწილად იქნა აღიარებული და მასთან ერთად რუსეთის მფარველობაში მიღებულად გამოცხადდა. იმერეთის მეფეს ალმასებით შემკული ალექსანდრე ნეველის ორდენი გადაეცა. პ. ციციანოვმა სოლომონს ნერილობით ღეჩხუმის დაბრუნებაც აღუთქვა და მეფის მოთხოვნით საჯაროდაც დაიფიცა — „შეესრულებინა ყოველივე, რაც დაიწერა“, მაგრამ სოლომონი უკმაყოფილო იყო. არსებული წესისაგან განსხვავებით, იგი არა და არ აგზავნიდა დეპუტაციას პეტერბურგში მადლობის გადასახდელად იმერეთის რუსეთის მფარველობაში მიღების გამო.

1804 წლის ოქტომბერში მეფის მთავრობამ მდინარე ხობის შესართავთან, სოფელ ყულევში სამხედრო ნაწილები გადმოსხა. აქედან მოყოლებული რუსეთი საქართველოს ზღვითაც დაუკავშირდა, რაც ცარიზმის შემდგომი წარმატების წინაპირობა იყო. ელაზნაურის ტრაქტატის თანახმად, მალე ქუთაისში რუსეთის პოლკები ჩააყენეს, რომელთაც გენერალი რიკჰოფი სარდლობდა.

1806 წლის ივნისიდან, ბაქოში მოკლული ციციანოვის ნაცვლად, საქართველოს მთავარმართებლად გენერალი გუდოვიჩი დაინიშნა. სოლომონ II-მ სცადა ახალ ხელისუფალთან საერთო ენა გამოენახა და მას რუსეთ-იმერეთის ხელშეკრულების განახლე-

ბული პროექტი წარუდგინა. დოკუმენტი იმერეთის სამეფოს შინაგანი დამოუკიდებლობის განმტკიცებასა და მეფის უფლებათა მნიშვნელოვან გაფართოებას ითვალისწინებდა. სოლომონის პოლიტიკური მისწრაფება თვითმპყრობელობის სახელმწიფო ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა, რის გამოც უპასუხოდ დარჩა.

1806 წლის მიწურულს ოსმალეთმა ისარგებლა ცარიზმის გართულებული საგარეო მდგომარეობით და რუსეთს ომი გამოუცხადა. იმერეთის მეფეს იმედი გაუჩნდა, რომ ნაძალადევ ქვეშევრდომობას თავს დააღწევდა. მან მოიშორა რუსთა მხარეზე გადასული პატივმოყვარე ორგული სახლთუხუცესი ზურაბ ნერეთელი და ახალციხის ფაშასა და ოსმალეთის სულთნის შემწეობით იმერეთის სრული დამოუკიდებლობის აღდგენა დააპირა.

სოლომონის ეს მოქმედება რუსეთის თვალში ხელმწიფის ღალატად აღიქმებოდა. გრძნობდა რა შესაძლო საფრთხეს, მეფე ქუთაისს განერიდა და ჯერ საჯავახოში მერე კი ვარციხეში დამკვიდრდა.

გუდოვიჩს სოლომონის ტახტიდან ჩამოცილება და მეფის რუსეთში გადასახლება ებრძანა. მთავარმართებელი დავალების შესრულებას შეეცადა, მაგრამ ამაოდ დაშვრა. ხანდაზმულმა გუდოვიჩმა ვერც ერევნის აღება მოახერხა. ამ მიზეზით იმპერატორმა იგი თანამდებობიდან გადააყენა. 1809 წლის მარტში საქართველოს მთავარმართებლობა გენერალ ტორმასოვს მიენდო.

ტორმასოვმა განიზრახა იმერეთის პრობლემა მშვიდობიანი გზით მოეგვარებინა. მან მოწოდებით მიმართა იმერეთის სამღვდელოებასა და თავადაზნაურობას. მოითხოვდა, დაეყოლიებინათ სოლომონი, ხელი აეღო ურჩობაზე. ახალმა მთავარმართებელმა სწორად ვერ გათვალა: თითქმის მთელმა იმერეთმა მეფის მხარე დაიჭირა და ფიცით სოლომონს ერთგულება დაუდასტურა.

თავისუფლებისმოსურნე სოლომონ II საქართველოს რუსულ ხელისუფლებასთან შერიგების პირობად ქუთაისიდან ჯარის გაყვანას, მისთვის ლეჩხუმის დაბრუნებას და ელაზნაურის ხელშეკრულების პუნქტების განახლებას ასახელებდა. მისი ეს მოთხოვნები სულ უფრო განუხორციელებელი ჩანდა. დაუმორჩილებელი მეფის შეპყრობა ტორმასოვმა ახლა პოლკოვნიკ სიმონოვიჩს დაავალა, რომლის საბრძოლო შენაერთი ორ ბატალიონს

მოითვლიდა. სიმონოვიჩმა შემწედ გურიისა და სამეგრელოს მთავრები მოიშველია. ამთაც თავიანთი ჯარები ხალისით დაბრუნეს და რუსთა მხარდამხარ სოლომონს იმერეთიდან გასასვლელი გზები შეუკრეს.

1810 წლის 20 თებერვალს ტორმასოვმა საგანგებო პროკლამაციით იმერეთის მეფე ტახტიდან გადაყენებულად გამოაცხადა. სოლომონი დანებებას არ აპირებდა, მან 4000 კაცით ხანისწყლის ხეობაში გადაინაცვლა და მოწინააღმდეგეს შეუპოვარი ბრძოლა გაუმართა. ერთი თვე უმკლავდებოდნენ იმერელი მოლაშქრენი რუსთა რეგულარულ პოლკებს, რომლებსაც ახალ-ახალი ძალები ემატებოდათ. უკანასკნელი ქართული სამეფოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა ირგვლივ რკალი სავსებით ვიწროვდებოდა. სოლომონი მოლაპარაკებაზე დათანხმდა და მიენდო რუსებს, მაგრამ იგი მზაკვრულად შეიპყრეს. ტორმასოვთან შეხვედრის შემდეგ, მეფე თბილისში ჩაიყვანეს, რათა იქიდან პეტერბურგს გადაესახლებინათ.

გამარჯვებულმა მთავარმართებელმა სიმონოვიჩს გენერლობა უბოძა და იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს საქმეთა მმართველობა ჩააბარა. ფოთის ციხის აღებაში გამოჩენილი მამაცობისა და სოლომონის წინააღმდეგ რუსთა ერთგული სამსახურისათვის მამია გურიელს „პატივი სცეს“ და 1810 წლის 19 ივნისს გურიის სამთავრო სამეგრელოს მსგავსად, ცალკე ხელშეკრულებით მიიღეს რუსეთის ქვეშევრდომობაში.

სოლომონ II თბილისში დიდხანს არ დარჩენილა. ერთგულ პირთა ხელშეწყობით მან მოახერხა პატიმრობიდან გაქცევა და 23 მხედრის თანხლებით ახალციხეში გადავიდა. გაქცევის წინ მეფემ იმპერატორის ბოძებული ორდენი აიყარა და რუსთაგან სამუდამოდ განდგომის ნიშნად იქვე მიაგდო.

სოლომონმა რუსთა ძალმომრეობისაგან იმერეთის გამოსახსნელად საბრძოლო მოქმედების გეგმა შეიმუშავა. მან მოსახლეობას წერილობით მიმართა და საპროტესტო გამოსვლისაკენ მოუწოდა. საზოგადოების ყველა ფენა მღელვარებამ შეიპყრო. ხალხი შესაშური ერთსულოვნებით აღსდგა თავისუფლების მოსაპოვებლად. იმერეთი აჯანყების ალში გაეხვია. რუსული გარნიზონები თითქმის ყველგან ალყაშემორტყმული აღმოჩნდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1810 წლის 30 ივნის სოლომონ II ათასკაციანი რაზმი იმერეთში იყო. იგი სათავეში ჩაუდგა დაწყებულ აჯანყებას, რომელიც სულ უფრო ფართოვდებოდა.

საქართველოს რუსული ხელისუფლება იძულებული გახდა, ირანის ფრონტიდან რამდენიმე ნაწილი მოეხსნა და იმერეთში გადმოესროლა. აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლას თავიდან დიმიტრი ორბელიანი სარდლობდა შემდეგ კი მთავარმართებელის მოადგილე გენერალი როზენი. გურიელმა და დადიანმა ამჯერადაც უერთგულეს რუსებს. აფხაზეთის მთავარი სოლომონს მიემხრო, თუმცა დიდად ვერ შეეწია.

საქართველოს მთავარმართებელმა სოლომონის მოკვლისათვის საგანგებო ჯილდო დააწესა, მაგრამ იგი არავის მიუღია. თვით რუს მოხელეთა აღიარებით, მთელ იმერეთში კაცი ვერ იპოვეს, ვინც ამ უკეთურებას ჩაიდენდა. აჯანყებულები მედგრად იბრძოდნენ. მათ შეავიწროვეს მოწინააღმდეგე, რამდენჯერმე კიდევაც დაამარცხეს, მაგრამ ურიცხვ მტერთან საბოლოოდ ვერას გახდნენ. აჯანყებამ ოთხ თვეს გასტანა. რუსებმა მოკლულთა და დაჭრილთა სახით 20 ოფიცერი და 400-მდე ჯარისკაცი დაკარგეს. მსხვერპლი დიდი იყო ქართველთა შორისაც. იმერეთის მეფემ ირან-ოსმალეთის მხრიდან მოსალოდნელი დახმარება ვერ მიიღო, საკუთარი ძალებით ბრძოლის გაგრძელება კი უპერსპექტივო გახდა.

დევნლმა სოლომონმა ამჯერადაც ახალციხეს მიაშურა. იგი არ აპირებდა შეგუებოდა მარცხს და ეძიებდა საგარეო ძალების თანადგომას. იმერეთის სამეფოს გამოსარჩლება და მფარველობა სოლომონმა ნაპოლეონ ბონაპარტესაც კი სთხოვა, მაგრამ მისი მიმართვა უპასუხოდ დარჩა. ირანთან და ოსმალეთთან ომებში რუსეთის გამარჯვებამ უკანასკნელ ქართველ გვირგვინოსანს იმედი საბოლოოდ გადაუწურა. სოლომონ II 1815 წლის 7 თებერვალს ქალაქ ტრაპიზონში გარდაიცვალა.

იმერეთის დაპყრობის შემდეგ ყოფილი სამეფო იმერეთის ოლქად გამოცხადდა და რუსულ ადმინისტრაციას დაექვემდებარა.

ცარიზმა ისარგებლა აფხაზეთის მთავრის საგვარეულოში არსებული დაპირისპირებით, ენერგიულად ჩაერია ამ დავაში და 1810 წელს, ზღვიდან სოხუმის აღების შემდეგ, გიორგი შარვაშიძე აფხაზეთის მთავრად დაადგინა. ამავე წლის ოქტომბერში

ქრისტიან მთავარს რუსთხელმწიფის ერთგულების ფიცი მიიღებინეს. აფხაზეთი რუსეთის ხელდებული გახდა.

როგორც ითქვა, ქვემო სვანეთი რუსეთის ქვეშევრდომობაში სამეგრელოს სამთავროსთან ერთად შევიდა. მეფის მთავრობა ცდილობდა თავისი გავლენა დაემყარებინა ზემო სვანეთშიც, რომელიც ბალსზემო და ბალსქვემო ნაწილებად იყოფოდა. ბალის მთის ზემო მიწა-წყალი „თავისუფალ", „უბატონო" სვანეთად იწოდებოდა, ბალსქვემო თემები („საბატონო სვანეთი") კი მთავარ დადიშქელიანს ემორჩილებოდა. მთავრის ფეოდალურ სახლში ხელისუფლებისათვის მიმდინარე ბრძოლამ რუსეთს თავისი მიზნის განხორციელება გაუადვილა. ცარიზმმა მოქიშპე ციოყ და თათარყან დადიშქელიანები სვანეთის მთავრად ცნო, 1833 წელს ორივე რუსეთის მფარველობაში მიიღო და დაიქვემდებარა.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება

ქართული სახელმწიფოებრიობის მოშლის შემდეგ ცარიზმმა იერიში მიიტანა ეროვნული თვითმყოფადობისა და სულიერი კულტურის ისეთ მძლავრ ბურჯზე, როგორიც ეკლესია იყო.

საქართველო ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ქვეყანაა, რომლის სამოციქულო ეკლესია დასაბამს საუკუნეთა სიღრმეში იღებს. ასწლეულთა განმავლობაში სახელმწიფო და ეკლესია ურთიერთდაკავშირებული იყვნენ. თუ საერო ხელისუფლება ქვეყნის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას წარმართავდა, ეკლესია სულიერად წინამძღვრობდა ერს.

მსოფლიო მართლმადიდებელი ტრადიციის თანახმად, საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი დიფტიქში მეხუთე ადგილზე მოიხსენიებოდა კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქთა შემდეგ, რაც ისტორიულად ჩვენი ეკლესიის სიძველესა და ღირსებას ასახავდა. ეკლესიას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველი ხალხის კონსოლიდაციაში, განათლებისა და კულტურის განვითარებაში, საზოგადოების მორალურ და ზნეობრივ სრულყოფაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კათალიკოსი ანტონ II

რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამ და იმერეთის დაპყრობამ ქართული ეკლესია მძიმე განსაცდელში ჩააგდო. ეროვნული სახელმწიფოებრიობის დაცემა ეკლესიის კატასტროფაც იყო, თუმცა მის წიაღში ჯერაც არ ჩამქრალიყო ქართველი ერის ხსნისა და გადარჩენის კელაპტარი. ეკლესია კვლავ იდგა, როგორც ნათლის სვეტი და ღვთაებრივი სასოება.

საიმპერიო ხელისუფლებამ საქართველოს ეკლესიაც იმთავითვე ამოიღო მიზანში. ალექსანდრე პირველის ბრძანებულებით, კათალიკოს ანტონ II-ეს საეკლესიო მმართველობაში ცვლილებების შეტანა დაევალა. ქართველმა მღვდელმთავარმა ამოიცნო იმპერიის ვერაგული ჩანაფიქრი და საკუთარი ხელით არ ინდომა ივერიის ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი მართვაგამგეობის წესის მოშლა. იგი კარგა ხნის განმავლობაში თავს არიდებდა ამ დავალების შესრულებას, ხაზინა კი საეკლესიო მამულების მითვისებას ჩქარობდა.

საეკლესიო სფეროში ცარიზმის პირველი ღონისძიება დაბალ სასულიერო ფენებს (მღვდლებს, დიაკვნებს, მედავითნეებსა და სხვ.) შეეხო. 1807 წლის 7 ივლისს გამოცემული ბრძანებით აღმოსავლეთ საქართველოს დაბალი სამღვდელოება თვადაზნაურთა ყმობისაგან განთავისუფლდა და სახაზინო უწყებაში მოექცა. ეს არ ყოფილა „ღვთისა და ეკლესიის პატივისცემით“ განპირობებული რეფორმა, როგორც ამას მთავრობა წარმოაჩენდა. დაბალმა სამღვდელოებამ, მართალია, თავი დააღწია ყმურ დამოკიდებულებას და საბატონო გადასახადებისაგანაც განთავისუფლდა, მაგრამ ეპარქიათა და მოქმედ ტაძართა რიცხვის შემცირების პირობებში, რასაც ახალი ხელისუფლება ახორციელებდა, სასულიერო პირთა დიდი ნაწილი უადგილოდ დარჩა.

საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის ახალი ეტაპი 1811 წლიდან დაიწყო. მთავარმართებელმა ტორმასოვმა დაარწმუნა

საიმპერატორო კარი, რომ კათალიკოსს არ ძალუძს საეკლესიო მმართველობის გარდაქმნა და უმჯობესია, ეს საქმე სხვა ვინმეს მიენდოს. ანტონ II თანამდებობიდან გადააყენეს და რუსეთში გაიწვიეს (გარდაიცვალა 1827 წელს ნიჟნი-ნოვგოროდში). კათალიკოს-პატრიარქობა გაუქმებულ იქნა. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას ბოლო მოეღო. ივერიის ეკლესია რუსეთის საეკლესიო საბჭოს — სინოდს დაუქვემდებარეს განსაკუთრებული განყოფილების — დიკასტერიის მეშვეობით. დაწესდა საქართველოს ეგზარქოსის თანამდებობა, რომელიც უფლებრივად სინოდის წევრს გაუთანაბრეს.

საქართველოს თხუთმეტსაუკუნოვანი ეკლესიის თვითმწყემსობის მოშლა პოლიტიკური ძალადობის გარდა კანონიკური პრინციპების უხეში დარღვევაც იყო, რომელსაც არასოდეს შერიგებია ქართველი ხალხი.

მეფის მთავრობამ ნათლად დაინახა, რომ საეკლესიო რეფორმით უკმაყოფილო დარჩა არამარტო სამღვდელოება, არამედ საზოგადოების სხვა ფენებიც, ამიტომ იგი მოერიდა მდგომარეობის კიდევ უფრო გამწვავებას და საქართველოს პირველ ეგზარქოსად რუსეთში მოღვაწე ქართველი მიტროპოლიტი, ქსნის ერისთავთა საგვარეულო სახლის ნარმომადგენელი ვარლამი გამოგზავნა.

ახალი მღვდელმთავარი ქართული ეკლესიის რუსულ ყაიდაზე გარდაქმნას შეუდგა. დაინყო საეკლესიო ქონების და შემოსავლების აღრიცხვა, რომელსაც სინოდი დაეპატრონა. სასულიერო პირებს არსებობის ნყარო — მამული და მეურნეობა მოეშალათ და ხაზინის მიერ დანიშნული ჯამაგირის ამარა დარჩნენ. ქართლ-კახეთის ეპარქიათა რიცხვი მინიმუმამდე დავიდა, 13 საეპისკოპოსო კათედრის ნაცვლად მხოლოდ ორიღა დატოვეს, რასაც საეკლესიო მსახურთა შტატის არსებითი შემცირება მოჰყვა.

1815 წელს სინოდის საქართველოს დიკასტერიის ნაცვლად დაარსებულ იქნა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა, *რომელსაც მომდევნო წლიდან ხელისუფლებამ ავტონომიური* სამთავროების — გურიისა და სამეგრელოს ეკლესიებიც დაუმორჩილა. ეგზარქოსმა დააპირა დასავლეთ საქართველოს ეკლესია-მონასტრების ქონებისა და ყმა-მამულის აღწერაც. აქაურმა მღვდელმთავრებმა გაილაშქრეს საეკლესიო რეფორმის წინააღმდეგ და უარი თქვეს, დამორჩილებოდნენ სინოდალურ კანტორას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცარიზმი იძულებული გახდა, დროებით დაეთმო, თუმცა ვარლამს ეს მარცხი არ აპატია და იგი უკანვე — რუსეთში გაიწვია. ახალ ეგზარქოსად რიაზანის ეპისკოპოსი თეოფილაქტე რუსანოვი დანიშნეს. აქედან მოყოლებული საქართველოს ყველა ეგზარქოსი რუსი იყო.

1812 წლის აჯანყება კახეთში

სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ექსპანსიის გაძლიერების პარალელურად იზრდებოდა საქართველოში დაბანაკებული საიმპერიო მხედრობის რიცხვიც. 1804 წლიდან ცარიზმი ომს აწარმოებდა ირანთან, 1806 წელს კი იგი ოსმალეთსაც შეეტაკა. როგორც ერთ, ისე მეორე ფრონტზე საომარი მოქმედებები მეტისმეტად გაჭიანურდა. საქართველოს მოსახლეობა უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. თუ მისი ერთი ნაწილი სახალხო ლაშქრის სახით ბრძოლის ველზე სისხლს ღვრიდა რუსთა მხარდამხარ, მეორე ნაწილს არანაკლებ რთული — ზურგის სამსახური ჰქონდა დაკისრებული. განსაკუთრებით აუტანელი იყო სატრანსპორტო ბეგარა და არმიის პურით უზრუნველყოფა.

ეროვნული სახელმწიფოებრიობის მოშლით გამოწვეულ უკმაყოფილებას საოკუპაციო რეჟიმის სიმკაცრე და მოხელეთა თავაშვებულობა კიდევ უფრო ამძაფრებდა.

ხანგრძლივმა ომებმა, რასაც 1811 წელს ზედ დაერთო მოუსავლიანობა და შავი ჭირი, დიდძალი ხალხი იმსხვერპლა. მარტო აღმოსავლეთ საქართველოში შიმშილისა და სენისაგან 4200-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა. შრომისუნარიანი მოსახლეობის ოდენობა და ქონებრივი შემძლეობა მცირდებოდა, გლეხკაცობა ღატაკდებოდა, ბეგარა-გადასახადები კი არ იკლებდა. ქართლ-კახეთის მოსახლეობას 100 ათასი ცხენისა და უფრო მეტი ხარ-ურმის გამოყვანა ევალებოდა. შორეულ და უვარგის გზებზე მიმოსვლისას ურმები ზიანდებოდა და საქონელიც იღუპებოდა, რომ არაფერი ითქვას მუშახელის უსაშველო მოცდენაზე.

მოუსავლიანობის მიუხედავად, სიღნაღის მაზრის გლეხობას დადგენილზე მეტი — 40 ათასი კოდი ხორბალი შეაწერეს.

მთავრობა ერთ კოდ პურში 6 აბაზს იძლეოდა, როცა მისი საბაზრო ფასი 4--5 მანეთს აღემატებოდა და საყიდლადაც აღარ იშოვებოდა. მოსახლეობამ უარი თქვა პურის მუქთად მიყიდვაზე. პასუხად მთავარმართებელმა ურჩ სოფლებში ეგზეკუცია ჩააყენა. ადმინისტრაციის წარმომადგენლები ჯიუტად მოითხოვდნენ გადასახადს, არ ეჯერათ, რომ გლეხობას პური ნამდვილად არ მოეპოვებოდა. რუს ბასკაკებს ჭირნახული ძალით მიჰქონდათ და მცხოვრებთ უკანასკნელ სარჩოს ართმევდნენ. ღვინით თუ არყით გალეშილი ჯარისკაცები და ოფიცრები გლეხს ბაღ-ბოსტანს უნადგურებდნენ, ფრინველსა და საქონელს უხოცავდნენ, ოჯახს უნიოკებდნენ და ცინიკურად შეურაცხყოფდნენ.

სამართალი აღარსად იყო. თუ გლეხი ხმას ამოიღებდა და მეფის კარზე ჩივილს დააპირებდა, მიუგებდნენ: „ღმერთი ძალზე მაღლაა და ხელმწიფე მეტად შორსო". მეტის მოთმენა შეუძლებელი იყო და გლეხობამაც იარაღი აისხა.

აჯანყება 1812 წელს 31 იანვარს ახმეტაში დაიწყო და მალე მთელ კახეთს მოედო. ამბოხებულებმა ჯერ თელავი აიღეს, შემდეგ სიღნაღიც დაიკავეს და თბილისისაკენ მიმავალი გზებიც შეკრეს. დაბა-სოფლებიდან რუსთა რაზმები გარეკეს და მრავალი ტყვეც აიყვანეს. აჯანყებულებმა ბოდბისხევთან მონინააღმდეგის თითქმის მთელი პოლკი გაანადგურეს და მის ქონებას დაეუფლნენ. ბრძოლებს თავადები სიმონ და ადამ ბებურიშვილები, ივანე მაყაშვილი, ნინია ანდრონიკაშვილი და ოთარ ქობულაშვილი ხელმძღვანელობდნენ.

ბრძოლებში ნაცადმა აჯანყების მეთაურებმა მოქმედების სწორი გეგმა შეარჩიეს, — ერთდროული შეტევებით საეგზეკუციო რაზმებს გაერთიანების საშუალება მოუსპეს და სოფლებში გაბნეულთ ცალ-ცალკე გაუსწორდნენ. რუსთა დანაკლისი დაჭრილ-დახოცილებისა თუ ტყვეთა სახით 1300 კაცს აღწევდა.

კახეთის სამხედრო ოლქის უფროსი გენერალი პორტნიაგინი, რომლის ჯარმა საგარეჯოსთან სასტიკი მარცხი იწვნია, იძულებული გახდა, თბილისს გაქცეულიყო.

კახელთა გამოსვლას აქტიურად დაუჭირა მხარი მთის მოსახლეობამ. ფშავ-ხევსურთა ათასკაციანი შენაერთი იოსებ სიდამონიშვილის წინამძღოლობით დუშეთ-ფასანაურის საგუშაგოებს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაეუფლა, ანანურს ალყა შემოარტყა და საქართველოს სამხედრო გზა ჩაკეტა.

აჯანყების ალი ქართლსაც გადასწვდა. დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა თბილისიც, მაგრამ მთავრობის სწრაფი მოქმედებით მოხერხდა ამბოხების კერათა ლიკვიდაცია.

რუსებს ისევ უერთგულა გაბრიელ ყაზბეგმა, კონსტანტინე მუხრან-ბატონმა, ბევრმა სხვა თავადმაც, რომელთა ხელშეწყობით პოლკოვნიკმა უშაკოვმა დუშეთიცა და ანანურიც ამბოხებულებს გამოსტაცა, ტყვეები ჩამოახრჩო, ხოლო ქალაქები ცეცხლს მისცა და გადაბუგა.

ამ დანაკარგის მიუხედავად, თავისუფლებისათვის მებრძოლნი არ შემდრკალან. მთელი კახეთი მათ ხელში იყო. იარაღასხმულმა მოსახლეობამ ჯერ კიდევ ქართლში დარჩენილი გრიგოლ იოანეს-ძე ბატონიშვილი თავისთან მოინვია და მეფედ გამოაცხადა. აჯანყებულთა საბოლოო მიზანს რუსული მმართველობის განდევნა და დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენა წარმოადგენდა.

შექმნილი მდგომარეობით შეშფოთებული მთავარმართებელი მარკიზი პაულუჩი, რომელიც იმხანად რუსეთ-ირანის ფრონტის ხაზზე იმყოფებოდა, თბილისში დაბრუნდა, ჯარის ნაწილებს თავი მოუყარა და არტილერიის თანხლებით კახეთისაკენ დაიძრა.

პაულუჩმა აჯანყებულებს პროკლამაციით მიმართა, ისინი ფიცის გატეხასა და ხელმწიფის ღალატში დააადანაშაულა და მორჩილებისაკენ მოუწოდა. პასუხად კახელებმა მოურიდებლად ამხილეს კოლონიური რეჟიმის სისასტიკე, მოხელეთა ბოროტმოქმედება და უარი თქვეს დანებებაზე.

მთავარმართებელმა არტილერია აამოქმედა და შეტევაზე გადავიდა. ხაშმში, მანავსა თუ კაკაბეთში არაერთი ტყვე სახრჩობელაზე ჩამოჰკიდა, ქიზიყი ბრძოლით გაიარა და გეზი თელავისაკენ აიღო. ბატონიშვილი გრიგოლ იოანის-ძე სოფელ ჩუმლაყთან დაუხვდა მტერს. პირველ დღეს ათასი აჯანყებული თავგანწირვით ეკვეთა პაულუჩის ჯარს. მემატიანის სიტყვით, „იძლივნენ რუსნი“. მრავალი მებრძოლი დაეღუპა მთავარმართებელს. დაიჭირა მისი ადიუტანტი, პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, მოკლულ იქნა ბატალიონის მეთაური, პოლკოვნიკი ვახტანგ ორბელიანი (ერეკლე მეფის სიძე) და სხვა. არტილერიის

ცეცხლმა მეორე დღეს სასწორი მოწინააღმდეგის მხარეზე გადახარა. მეამბოხენი დამარცხდნენ და უკუიქცნენ. გრიგოლ ბატონიშვილი დაღესტანს შეეხიზნა, თუმცა მალევე აიძულეს, დანებებულიყო. იგი რუსეთში გადაასახლეს და ერთი წლით ციხეში გამოამწყვდიეს.

მეთაურის გარეშე დარჩენილმა აჯანყებულებმა თელავი უბრძოლველად დათმეს, თიანეთთან კი მრავალრიცხოვან მოძალადეს სისხლისმღვრელი შეტაკება გაუმართეს. გამარჯვება ამჯერად მთავრობის ჯარს დარჩა. თავისუფლებისათვის ხმალშემართულმა კახეთმა დროებით შეწყვიტა წინააღმდეგობა. „მართვა-გამგეობის წესი და რიგი აღდგენილია და სრულიად საქართველო დაწყნარდაო“ — უპატაკა მთავარმართებელმა იმპერატორს.

სინამდვილეში ეს სიწყნარე მოჩვენებითი იყო, ხოლო რუსული მმართველობის დამკვიდრებულ წესსა და რიგში პაულუჩს სერიოზული კორექტივების შეტანა მოუხდა. კაპიტან-ისპრავნიკობის ნაცვლად აღდგენილ იქნა მოურავობა. აიკრძალა ეგზეკუციები, მნიშვნელოვნად ამაღლდა თავადაზნაურთა სამაზრო წინამძღოლების როლი და სახე იცვალა მართლმსაჯულების სისტემამ, — სამოქალაქო საქმეთა წარმოებას საფუძვლად კვლავ ქართული სამართალი დაედო.

ხალხი მაინც ეჭვით უყურებდა დანაპირებს, იგი დარწმუნებული არ იყო, რომ მთავრობა სიტყვას პირნათლად შეასრულებდა, — მას ხომ სხვა დროსაც არაერთხელ გაეტეხა ფიცი. უნდობლობას აძლიერებდა 1812 წლის აპრილში პაულუჩის პეტერბურგს გაწვევაც, რომლის ნაცვლად გენერალი რტიშჩევი დაინიშნა.

ახალმა მთავარმართებელმა გენერლების სტალისა და დიმიტრი ორბელიანის სარდლობით კახეთში დამატებითი ნაწილები გაგზავნა. აჯანყების მონაწილე თავადთაგან მრავალი ხელისუფლებას მიენდო და სხვებსაც იარაღის დაყრისაკენ მოუწოდა. მთავრობის ძალთა მობილიზაციამ, ამნისტიის ხელახლა გამოცხადებამ და გარედან დახმარებაში იმედგაცრუებამ მეამბოხეთა სიმტკიცე შეარყია. მათ შეიარაღებული რაზმები დაშალეს და ბრძოლის ველს გაეცალნენ.

1812 წლის ზაფხულში საერთაშორისო ვითარება მკვეთრად შეიცვალა, რამაც მოვლენათა განვითარება საქართველოშიც დააჩქარა. საფრანგეთთან მოსალოდნელი ომის წინ მეფის

ხელისუფლებამ შეძლო ოსმალეთთან დაზავება, მაგრამ საშინაო-დობო მოლაპარაკებებს შაჰის დიპლომატებთან შედეგი არ მოჰქონდა. ირანის მიმართულებით საბრძოლო ოპერაციები გრძელდებოდა. ივნისში რუსეთს ნაპოლეონის ნახევარმილიონიანი არმია შეესია. ქვეყანა რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ასეთ რეალობაში კახეთმა კვლავ აღმართა აჯანყების დროშა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლებისათვის ბრძოლას ამჯერად სათავეში ალექსანდრე ერეკლეს-ძე ჩაუდგა, რომელმაც ირანიდან სამშობლოში შემოაღწია და ასკაციანი რაზმით თიანეთს დაბანაკდა. ქედუხრელი ბატონიშვილის საქართველოში გამოჩენამ, მისმა ცეცხლოვანმა წერილებმა თუ მოწოდებებმა ახალი სული შთაბერა აჯანყებას. მყისვე ფეხზე დადგა კახეთი და კიდევ ერთხელ დაირაზმა ფშავ-ხევსურეთი. საპროტესტოდ განეწყო ქართლის მოსახლეობაც. ბატონიშვილს შემწედ მოევლინენ დაღესტნელი ლეკებიც. ქართველთა მხარდასაჭერად გულდაგულ ემზადებოდნენ ირანის შაჰი და ერევნის სახანოც.

ალავერდობა დღეს ალექსანდრე ბაგრატიონის მეფედ კურთხევას ერთ მუშტად უნდა შეეკრა თავისუფლებისათვის მებრძოლი ერი, მაგრამ რუსულმა ადმინისტრაციამ წინდანინ თადარიგი დაიჭირა და არა თუ ეს განზრახვა დაუშვა, არამედ ტახტის მაძიებელი ბატონიშვილის შეპყრობაც მოინდომა, რისთვისაც მაღალი ჯილდო გამოჰყო.

ალექსანდრე ბატონიშვილი

მხნედ იბრძოლა უგვირგვინოდ დარჩენილმა ბატონიშვილმა, რამდენჯერმე კიდევაც შეავიწროვა მთავრობის ჯარები, მაგრამ მოწინააღმდეგის რიცხობრივმა და შეიარაღებაში უპირატესობამ ბრძოლის ბედი რუსთა სასარგებლოდ გადაწყვიტა. 26 ნოემბერს აჯანყებულები მანავთან გამართულ შეტაკებაში დამარცხდნენ. მათი ლაშქარი დაიშალა. ალექსანდრე ბატონიშვილს იარაღი არ დაუყრია, მან ხევსუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთში გადაინაცვლა და ახლა იქიდან ცდილობდა, დაერაზმა მთიელები ცარიზმის ბატონობის წინააღმდეგ.

რუსებმა ზამთარში ხევსურეთზე შეტევა ვერ გაბედეს, მომდევნო წლის მაისში კი 3 ათასკაციანი ჯარით მთას შეესივნენ და ორ ათეულამდე სოფელი მიწასთან გაასწორეს.

აჯანყება დამთავრდა. ხევსურთა ბოლო რაზმები გმირულად მტერს შეაკვდნენ. მათმა თავგანწირვამ იხსნა მებრძოლი ბატონიშვილი, რომელიც ხმალშემართული დაღესტანს გადავიდა. ალექსანდრე ბატონიშვილთან ერთად გადარჩა თავისუფლებისათვის ბრძოლის იმედიცა და სულისკვეთებაც.

1819—1820 წლების აჯანყება იმერეთსა და გურიაში

იმერეთში სამეფო ტახტის მოშლისა და იქ რუსული მმართველობის დაწესების პირველ ხანებში საოკუპაციო ხელისუფლება სიფრთხილით მოქმედებდა, არ უცდია ძველი წყობილებისა და ეროვნულ წეს-ჩვეულებათა ერთბაშად შეცვლა. თუმცა ირანოსმალეთის წინააღმდეგ მიმდინარე ომების სიმძიმე მოსახლეობას დასავლეთ საქართველოშიც აუტანელ ტვირთად დაანვა. თავისუფლების დაკარგვით გამოწვეულ წყენას მძიმე სოციალური ფონი კიდევ უფრო ამძაფრებდა.

მიუხედავად ამისა, ცარიზმმა მაინც დააპირა რუსული რეჟიმის შემდგომი განმტკიცება, რის ერთ-ერთ საშუალებად საეკლესიო რეფორმის გატარება მიიჩნია. რეფორმის ძირითადი მიზანი საქართველოს ეკლესიის რუსულ ყაიდაზე მოწყობა და მისი თვითმპყრობელობის სამსახურში მოქცევა იყო. ამასთან, ხაზინა ეკლესია-მონასტრების ყმა-მამულისა და სხვა საკუთრების დაუფლებასაც ესწრაფვოდა, რასაც სახელმწიფო შემოსავლები მნიშვნელოვნად უნდა გაეზარდა.

ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ საეკლესიო ცვლილებანი აღმოსავლეთ საქართველოში შედარებით უმტკივნეულოდ განხორციელდა, იმერეთში კი, როგორც აღინიშნა, ეგზარქოს ვარლამის ცდებს დიდი წინააღმდეგობა მოჰყვა.

1815 წლიდან იმერეთის ეკლესია საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას დაუქვემდებარეს, მაგრამ რამდენიმე წლის განმავლობაში აქაური მღვდელმთავარნი დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ. საეკლესიო ცხოვრებას სათავეში ედგა მიტროპოლიტი დოსითეოს ქუთათელი (ერისკაცობაში წერეთელი), რომელსაც დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის კვერთხიც ეპყრა. გურია-სამეგრელოს ავტონომიურ სამთავროთა ეკლესიების წინამძღოლებთან ერთად იგი დაუპირისპირდა და წინ აღუდგა რეფორმას, მაგრამ ხელისუფლება უკან დახევას აღარ აპირებდა. ახალ ეგზარქოსად დანიშნული თეოფილაქტე რუსანოვი ენერგიულად შეუდგა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ქონების აღწერას. დაიწყო ეპარქიების შემცირება, სასულიერო პირების ჯამაგირზე გადაყვანა, საეკლესიო აზნაურთა თუ გლეხობის ხაზინის უწყებაში გადარიცხვა და სხვა. მნიშვნელოვნად გადიდდა საეკლესიო გადასახადიც, რომელიც გლეხს ახალა ნატურით კი არა, ფულით უნდა დაეფარა.

საეკლესიო რეფორმა არამარტო ღვთისმსახურთა, არამედ საზოგადოების ყველა სოციალური ფენის ინტერესებს ლახავდა.

მაღალ სამღვდელოებას შემოსავლის ტრადიციული წყაროს მოშლასთან ერთად საეკლესიო ქონების დამოუკიდებლად ფლობისა და განკარგვის უფლებაც ხელიდან ეცლებოდა.

უკმაყოფილება დაუფლებოდა დაბალ სასულიერო წოდებასაც. ყმური დამოკიდებულებისაგან თავდახსნილი ბევრი მისი წარმომადგენელი ეპარქიათა შემცირებისა და ეკლესიათა დახურვის გამო ძველ სამსახურს უნდა გამოთხოვებოდა.

ვერც საეკლესიო აზნაურები შერიგებოდნენ უშენ სახაზინო მიწებზე გადასახლებას, რომ არაფერი ითქვას შემოსავლების შეზღუდვით გამოწვეულ საერო მებატონეთა გულნაკლულობასა და გაზრდილი ბეგარა-გდასახადებით შეწუხებულ გლეხთა მასების აღშფოთებაზე. ერთი სიტყვით, იმერეთის მკვიდრთა აბსოლუტური უმრავლესობა რეფორმისადმი მტრულად განეწყო.

1819 წლის ივნისში იმერეთში აჯანყებამ იფეთქა, რომელიც სწრაფად გავრცელდა დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში და აქაურ რუსულ მმართველობას წასალეკად დაემუქრა. ნ. ბერძენიშვილის სიტყვით, აჯანყება საეკლესიო რეფორმის წინააღმდეგ, ე.ი. ბრძოლა საეკლესიო დამოუკიდებლობის შენარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩუნებისათვის, იგივე პოლიტიკური დამოუკიდებლობისთვის. სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლა იყო „რუსობის“ წინააღმდეგ.

მართლაც, გამოსვლები არ შეჩერებულა თავდაპირველ მოთხოვნათა დაკმაყოფილების — რეფორმის შეწყვეტისა და ეგზარქოს რუსანოვის იმერეთიდან გაძევების შემდეგაც. იმერეთის პარალელურად აჯანყებამ ფართო ხასიათი მიიღო რაჭაში. მოძრაობას წარმართავდა ხელმძღვანელი ბირთვი სოლომონ I-ის შვილიშვილის, ივანე აბაშიძის, მღვდელმთავრების დოსითეოს ქუთათელისა და ექვთიმე გენათელის, ასევე ბეჟან წერეთლის, მერაბ იაშვილის, სეხნია წულუკიძისა და სხვ. სახით. აჯანყებულებმა „სამშობლოს განთავისუფლების“ ლოზუნგი წამოაყენეს და იმერეთის სამეფოს აღდგენა მოითხოვეს. უმრავლესობა გვირგვინს ალექსანდრე ერეკლეს-ძე ბაგრატიონს სთავაზობდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა იმერელთა წინადადებაზე უარი განაცხადა. მეფედ ივანე აბაშიძე გამოაცხადეს.

აჯანყებულებმა დაიკავეს ქუთაისში მიმავალი გზები და ქალაქზე იერიშიც დააპირეს. იმერეთის მმართველი კურნატოვსკი უძლური იყო, გამკლავებოდა აზვირთებულ ხალხს. მან დასახმარებლად მთავარმართებელ ერმოლოვს მიმართა, რომელიც ამ დროს დაღესტნის მთებში საომარ ოპერაციებს აწარმოებდა. ერმოლოვმა საგანგებო პროკლამაციით იმერეთის მოსახლეობას სიმშვიდისაკენ მოუწოდა, თავის დროებით შემცვლელ გენერალ ველიამინოვს კი დასავლეთ საქართველოში დამატებითი ჯარების გაგზავნა უბრძანა.

თანამდებობიდან გადაყენებული კურნატოვსკის ადგილი პოლკოვნიკმა პუზირევსკიმ დაიკავა. მხარის ახალი მმართველი მრავალრიცხოვან სამხედრო ნაწილებზე დაყრდნობით გადამწყვეტ მოქმედებებს შეუდგა. 1820 წლის მარტის დამდეგს შეიპყრეს აჯანყების ზოგიერთი მეთაური, კერძოდ მიტროპოლიტები დოსითეოს ქუთათელი და ექვთიმე გენათელი, სოლომონ მეფის ასული, ბატონიშვილი დარეჯანი, თავადები სეხნია წულუკიძე და დავით მიქელაძე. ივანე აბაშიძე მომხდურთ დაუსხლტდა და თავი გურიას შეაფარა.

დაპატიმრებულთ თავებზე ტომრები ჩამოაცვეს და იმერეთიდან ფარულად გაიყვანეს. დატყვევებისას ხიშტებით დაჭრილი და

ნაცემი მღვდელმთავარი დოსითეოსი გზაში, გორის მახლობლად, გარდაიცვალა. მისი ცხედარი ანანურამდე ატარეს და იქ დაკრძალეს. სხვები რუსეთის შორეულ გუბერნიებში გადაასახლეს.

ამ ამბავმა საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია, თუმცა პუზირევსკის მისთვის ანგარიში არ გაუწევია. იგი რუსის ჯარით გურიისაკენ დაიძრა და მთავრის ბიძას, ქაიხოსრო გურიელს მასთან მყოფი ივანე აბაშიძის გაცემა მოსთხოვა. იმერეთის მმართველი ამაოდ დაშვრა, გურიელმა მისი მუქარა ყურად არ იღო. გაცეცხლებულმა პოლკოვნიკმა სცადა, შური გზად შემხვედრ გლეხებზე ეძია, რაც მას ძვირად დაუჯდა. შეურაცხყოფილმა გურულებმა პუზირევსკი შემოქმედის ციხესთან სიცოცხლეს გამოასალმეს.

გურიაში დამსჯელი ექსპედიციის გამოჩენამ ააღელვა მოსახლეობა. აჯანყების ალი მთელ სამთავროს მოედო. გურულთა შეიარაღებულმა რაზმებმა ალყაში მოაქციეს და ჩოხატაურთან გაანადგურეს რუსთა სამხედრო შენაერთი.

ამბოხებას ხმა მისცა სამეგრელომაც. ბრძოლის მოთავეობა აქ მთავრის ძმამ, გრიგოლ დადიანმა იკისრა, რომელმაც ჩაკეტა სოხუმიდან მომავალი გზა.

აჯანყებულები გააქტიურდნენ რაჭაშიც. მათ შეწყვიტეს გდასახადების გადახდა და ერთმანეთს ფიცით შეეკრნენ, რომ ერთსულოვნად მიეტანათ იერიში მოწინააღმდეგეზე. რაჭველები თანამოძმეთა მისაშველებლად ქუთაისისაკენ გაემართნენ.

ივანე აბაშიძემ შეძლო გურიიდან კვლავ იმერეთში გადასვლა და აჯანყების გაფართოება. 400 მებრძოლით იგი მდინარე ხანისწყლის ხეობაში გამაგრდა.

1820 წლის აპრილში აჯანყების ჩასახშობად დიდძალი ჯარით გენერალი ველიამინოვი გაეშურა. მას თან ახლდა იმერეთის ახლად დანიშნული მმართველი თავადი გორჩაკოვი. სამხედრო ექსპედიციას აჯანყებულებთან ულმობელი ანგარიშსწორება, მეთაურთა ადგილზე ჩამოხრჩობა, ურჩი სოფლების გადაწვა და სხვ. ევალებოდა.

თავადაზნაურთა დიდი ნაწილი შეშინდა, ველიამინოვს ეახლა და რუსულ ხელისუფლებას მორჩილება განუცხადა. მთავრობის ჯარებმა ქუთაისი დაიკავეს. აჯანყებულებთან ბრძოლაში სამეგრელოს მილიციით იმერეთისაკენ გზას იკაფავდა რუსთა ერთგული მთავარი ლევან დადიანიც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მძიმე არტილერიით აღჭურვილი გორჩაკოვი 2 ათასიანი შენაერთით რაჭის „დაწყნარებას“ შეუდგა.

ქართველი მემატიანის სიტყვით, გორჩაკოვმა „ყოველნი ურჩნი მოსწვა და მოაოხრა... მრავალნი მოჰკლეს, მრავალნი შეიპყრეს და ძელსა ზედა ჩამოჰკიდეს, ხოლო ერთგულნი აღავსეს წყალობით და ესრეთ დაამშვიდეს რაჭა და იმერეთი.“

დამარცხებული ივანე აბაშიძე ბრძოლის ველს გაეცალა და ოსმალეთს შეეხიზნა. ველიამინოვის რისხვა ახლა გურიას ელოდა. ჯალათმა გენერალმა მართლაც სასტიკად იძია შური აჯანყების მონაწილეებზე, ცეცხლს მისცა მათი სახლ-კარი. დაანგრია შემოქმედისა და სხვ. ციხეები, გაკაფა ბაღ-ვენახები, მთელი დასავლეთ საქართველო ააოხრა და ნაცარტუტად აქცია ამბოხებული სოფლები. „ქვეყანა კიდევ მრავალ წელიწადს ვერ აღიდგენს თავის პირვანდელ მდგომარეობას, უკიდურესი სიღარიბე იქნება მისი სასჯელიო“—იკვეხნიდა მთავარმართებელი ერმოლოვი.

1819—1820 წლების აჯანყება რუსულმა ხელისუფლებამ სისხლში ჩაახშო. აჯანყების ზოგიერთი წინამძღოლი უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა, მტრის მიერ შეპყრობილთაგან რამდენიმე იქვე ჩამოახრჩეს, სხვებს კი ციმბირისა და სხვა გუბერნიებში უკრეს თავი. მრავალი დაპატიმრებული სხვადასხვა ვადით ციხეებში გამოკეტეს. დასჯილთა მამულებს და ქონებას ხაზინა დაეპატრონა.

როგორც ვნახეთ, აჯანყებას საერთო-სახალხო ხასიათი ჰქონდა. მთელი მოსახლეობის დასჯა შეუძლებელი იყო, ამიტომ ამბოხებულთა დიდი ნაწილი იმპერატორმა „დიდსულოვნად შეინყალა“ და აპატია „დანაშაული.“ დანაშაულად კი აჯანყებულ ხალხს ეროვნული თავისუფლების, საკუთარი სახელმწიფოებრიობისა და ეკლესიის შენარჩუნებისათვის ხმის ამოღება ჩაუთვალეს.

ოსმალთა კოლონიურ რეჟიმთან დაპირისპირებული ბერძენი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობისაგან განსხვავებით, რომელიც თითქმის იმერეთის აჯანყების თანადროულად — 1821-1822 წლებში წარმოებდა და ევროპის მთელი საზოგადოების თანაგრძნობა გამოიწვია (გერმანელი, ფრანგი, ინგლისელი თუ სხვა სახელმწიფოთა მოხალისენი, მათ შორის საქვეყნოდ ცნობილი პოეტი ბაირონი დაიძრნენ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი

ბერძენი პარტიზანების დასხმარებლად), იმერეთის მოსახლეობის მღელვარე გამოსვლებს არავინ გამოხმაურებია. ამ აჯანყების ექო, მსგავსად მისი წინამორბედი საქართველოს სხვა კუთხეების ამბოხებისა, რომანოვთა იმპერიის ფარგლებს არ გასცდენია და იგი მხოლოდ რუსეთის „საშინაო საკითხად" დარჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამარცხების მიუხედავად, იმერეთის აჯანყებამ კავკასიის ადმინისტრაცია იძულებული გახადა, სიფრთხილით მოჰკიდებოდა საეკლესიო რეფორმას დასავლეთ საქართველოში. ქართველი ერის მრავალწლიანმა შეურიგებელმა ბრძოლამ რუსული ხელისუფლება იმაშიც დაარწმუნა, რომ აუცილებელი იყო ფიქრი გარკვეულ ცვლილებათა შეტანაზე საოუკუპაციო მმართველობაში.

რუსეთ-ირანის ომები XIX საუკუნის პირველ მესამედში და საქართველო

რუსეთ-ირანის 1804—1813 წლების ომი

რუსეთის სახელმწიფოებრივი საზღვრების გაფართოებამ სამხრეთ კავკასიაში არსებული სამეფო-სამთავროებისა თუ სახანოების ხარჯზე გაამწვავა ცარიზმის ურთიერთობა ირანსა და ოსმალეთთან. ამ ქვეყნებს ეს მიწა-წყალი კარგა ხნის წინ ურთიერთშორის გაეყოთ და ახალი მონილის გამოჩენას იოლად ვერ შერიგებოდნენ. ხსენებული რეგიონიდან მესამე სახელმწიფოს განდევნით დაინტერესებულნი იყვნენ ინგლისი და საფრანგეთი, რომლებიც შაჰსა და სულთანსაც რუსეთის წინააღმდეგ ომისათვის აქეზებდნენ.

ალექსანდრე I არ გამორიცხავდა, რომ აღმოსავლეთის პოლიტიკის მეტისმეტი გააქტიურება მას ირან-ოსმალეთთან სამხედრო კონფლიქტამდე მიიყვანდა, მაგრამ ევროპულ არენაზე ნაპოლეონთან დაპირისპირებული რუსეთი ცდილობდა, გარკვეული დროით მაინც თავიდან აერიდებინა მოსალოდნელი შეტაკება, რაც შეუძლებელი აღმოჩნდა. მართალია, ორივე მუსლიმანურ ქვეყანას იმხანად შინაგანი კრიზისი დაუფლებოდა, სადავო საკითხები მათ ერთმანეთშიაც ბოლომდე ვერ გაერკვიათ, მაგრამ

ინგლისმა და საფრანგეთმა მაინც მოახერხეს ირანისა და ოსმალეთის რუსეთის წინააღმდეგ ერთდროული ამხედრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1804 წლის გაზაფხულზე, ირანის ხელისუფლება, საქართველოდან რუსთა განდევნის მიზნით, თავრიზში ჯარის შეკრებას შეუდგა. ციციანოვმა მოწინააღმდგეს დაასწრო, შაჰის ხელდებულ ერევნის სახანოს შეუტია, ეჩმიაძინთან ირანის ტახტის მემკვიდრის აბას-მირზას ლაშქარს უკან დაახევინა და ერევანი ალყაში მოაქცია. მთავარმართებელს საომრად რუსულ სამხედრო ნაწილებთან ერთად ქართველ თავადაზნაურთა რაზმიც ახლდა.

დამარცხებულ აბას-მირზას თვით ირანის შაჰი, ბაბა-ხანი წამოეშველა, რუსთა ჯარს საქართველოსთან დამაკავშირებელი გზა მოუჭრა და დიდი ზიანიც მიაყენა. ციციანოვის მდგომარეობა კრიტიკული შეიქნა. ირანელებს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დაწყებული ანტირუსული ამბოხება თავიანთ სასარგებლოდ შეეძლოთ გამოეყენებინათ, მაგრამ საკუთარ ქვეყანაში შექმნილი არეულობის გამო, ეს შანსი ხელიდან გაუშვეს.

1805 წლის ივნისში ყარაბახში შეჭრილმა აბას-მირზამ იქაურობა ააოხრა, თუმცა მომდევნო შეტაკებებში რუსებს ვერ სძლია და ერევნისაკენ გაბრუნდა. მომდევნო წელს ციციანოვი ბაქოსკენ დაიძრა, გარკვეული წარმატებაც მოიპოვა, მაგრამ ამ ოპერაციას კიდევაც შეეწირა.

ევროპაში ნაპოლეონის მიერ შევიწროებულ რუსეთს ახლა ირანთან ომის აქტიურად განგრძობა აღრ შეეძლო, ამიტომ დროებით თავდაცვაზე გადავიდა. მანამდე კი ბაქო აიღო და ჭარბელაქანიც დალაშქრა.

1806 წლის ბოლოდან რუსეთისათვის სიტუაცია არასახარბიელოდ შეიცვალა. ოსმალეთის სულთანმა რუსეთის ხელმწიფეს ომი გამოუცხადა, ირანი კი სამშვიდობო მოლაპარაკებებს გაურბოდა. საქართველოს ახალი მთავარმართებელი, გენერალი გუდოვიჩი, ამაოდ ცდილობდა შაჰთან დაზავებას. თუ ირანის სახელმწიფოს საომრად აქამდე ინგლისი აგულიანებდა და იარაღითაც ეხმარებოდა, 1807 წლის მაისში შაჰთან საიდუმლო ხელშეკრულება საფრანგეთმა გააფორმა. ნაპოლეონმა სცნო ირანის „უფლება“ საქართველოზე და ამ ქვეყნიდან რუსთა გასაძევებლად ირანს შემწეობა აღუთქვა. საფრანგეთ-ირანის კავშირს, რომელიც რუსეთის გარდა ინგლისის წინააღმდეგაც იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმართული, ნაპოლეონის გეგმით, ოსმალეთიც უნდა შეერთებოდა, მაგრამ მალე ტილზიტში საფრანგეთისა და რუსეთის იმპერატორები ერთმანეთს გაურიგდნენ, რამაც მოვლენები სულ სხაგვარად წარმართა.

ნაპოლეონის ნამდვილმა მიზანსწრაფვამ ირანს გული აუცრუა და შაჰს კვლავ ინგლისთან დაახლოებისაკენ უბიძგა. 1809 წლის გაზაფხულზე დადებულ იქნა ინგლის-ირანის ახალი საკავშირო ხელშეკრულება, რომლის თანახმად ირანს რუსეთთან ომი უნდა გაეგრძელებინა, ინგლისი კი მას სამხედრო აღჭურვილობასთან ერთად დიდძალ სუბსიდიასაც მიაწვდიდა. ირანში ჩასული მრავალრიცხოვანი ბრიტანელი ოფიცრები შაჰის ჯარების წვრთნის პარალელურად საბრძოლო ოპერაციებშიც აქტიურად მონაწილეობდნენ.

ირანის ლაშქარი დროდარო ბამბაკში, განჯისა თუ თალიშის სახანოებში გამოჩნდებოდა, მაგრამ რუსთა მხედრობასთან პირისპირ შებმას თავს არიდებდა. შაჰი დაუცველი მოსახლეობის რბევა-აწიოკებით და ნადავლის დაუფლებით კმაყოფილდებოდა.

ქართლში შემოსასვლელად ირანელთა მხარდამხარ ალექსანდრე ბატონიშვილიც ენერგიულად იღვწოდა. იგი თანამემამულეებს ახალი აჯნყებისაკენ მოუწოდებდა და გამარჯვების შემთხვევაში პატივსა და წყალობას ჰპირდებოდა. ტახტის მაძიებელი ბატონიშვილის სამშობლოში ყოველი გამოჩენა ქართველთა პატრიოტულ სულისკვეთებას ამძაფრებდა, ხელს უწყობდა ანტირუსული მოძრაობის გაძლიერებას, მაგრამ ხალხს ეს გაუთავებლი დაპირებებიც მოსწყენოდა, მით უმეტეს რომ ვერც სულთანმა და ვერც შაჰმა საქართველოში აზვირთებული მღელვარებები (აჯანყებები 1810 წლისა იმერეთში, 1812 წლისა კახეთში) რუსთა დასამარცხებლად ვერ გამოიყენეს. ირანისა და ოსმალეთის წარმატება სულ უფრო საეჭვო ხდებოდა.

1812 წლის 19-20 ოქტომბერს ასლანდუზთან გამართულ ბრძოლაში რუსეთის 2 ათასკაციანმა შენაერთმა გენერალ კოტლიარევსკის სარდლობით გაანადგურა აბას-მირზას გაცილებით მრავალრიცხოვანი არმია, დეკემბრის ბოლოს კი იმავე კოტლიარევსკიმ იერიშით აიღო ქ. ლენქორანი, რითაც ირანელთა წინააღმდეგობა საბოლოოდ გასტეხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთ-ირანის გაჭიანურებული ომი 1813 წლის 12 ოქტომბერს გულისტანში ხელმოწერილი ზავით დამთავრდა. ირანმა აღმოსავლეთ საქართველო და აზერბაიჯანული სახანოები რუსეთის საკუთრებად აღიარა. ერევანი და ნახჭევანი ირანის კუთვნილებაში დარჩა. კასპიის ზღვა რუსეთის კონტროლს დაექვემდებარა.

რუსეთ-ირანის 1826-1828 წლების ომი

გულისტანის ზავის მძიმე შედეგებმა ირანის პოლიტიკური გავლენა სამხრეთ კავკასიაში მნიშვნელოვნად შეასუსტა. ღირსებაშელახული შაჰი ყოველ ღონეს ხმარობდა შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ცარიზმის გაძლიერება მახლობელ აღმოსავლეთში მოსვენებას უკარგავდა ინგლისსაც, რომელიც რუსეთისათვის ინდოეთისკენ მიმავალი გზის ჩაკეტვასა და კავკასიაში მისი ბატონობის აღმოფხვრას ირანის მეშვეობით ვარაუდობდა. ამ მისწრაფებამ შეაპირობა 1814 წელს დადებული ინგლის-ირანის ხელშეკრულება, ირანისათვის მატერიალური დახმარების აღმოჩენის თაობაზე „ერთ-ერთ ევროპულ ქვეყანასთან ომის შემთხვევაში".

ბრიტანელმა ინსტრუქტორებმა იკისრეს ირანელ ჯარისკაცთა დასავლურ ყაიდაზე განვრთნა, სამხედრო სიმაგრეთა მშენებლობის ხელმძღვანელობა და სხვა.

ინგლისის მხარდაჭერით გათამამებულმა ირანის შაჰმა 1826 წლის ივლისში რუსეთის წინააღმდეგ ომი წამოიწყო. ტახტის მემკვიდრე აბას-მირზა 60-ათასიანი არმიით მოულოდნელად ყარაბახში შეიჭრა, განჯა აიღო და შუშის ციხეს ალყა შემოარტყა.

ირანის კავალერიით საქართველოსკენ დაიძრა ალექსანდრე ბატონიშვილი. დრო იხელთეს ლეკებმაც, რომლებიც კახეთს შეესივნენ, ერევნის ხანი კი ქვემო ქართლს დაემუქრა. საშიშროება შეექმნა თბილისსაც.

ტახტმოშლილმა ყოფილმა აზერბაიჯანელმა ხანებმა (განჯის, შემახის და სხვა) თავიანთი ერთგული მოსახლეობა ანტირუსული აჯანყებისათვის დარაზმეს. ზაფხულის განმავლობაში ირანის ჯარებმა წინა ომში დაკარგული ტერიტორიის ნაწილი დაიბრუნეს, ბაქოსაც მიადგნენ, მაგრამ წარმატება ხანმოკლე აღმოჩნდა.

მთავარმართებელმა ერმოლოვმა მოახერხა დაქსაქსული ძალების თავმოყრა და თუ აქამდე თვდაცვითი ღონისძიებებით იფარგლებოდა, ახლა გაბედულად შეუტია ირანელებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1826 წლის 2 სექტემბერს გენერალმა მადათოვმა შამქორთან სასტიკი მარცხი აგემა ირანის გვარდიულ ნაწილებს. რამდენიმე დღეში რუს-ქართველთა რაზმებმა განჯაში აბას-მირზას მრავალრიცხოვან დაჯგუფებებს სძლიეს და უკან დაახევინეს. მოგერიებულ იქნა ერევნის ხანის თვდასხმაც ბორჩალოზე.

ქართულმა მილიციამ გ. ორბელიანის, ზ. ანდრონიკაშვილისა და სხვათა წინამძღოლობით გზა გადაუკეტა ალექსანდრე ბატონიშვილს და უკუქცეულ მეფისწულს შესაპყრობად დაედევნა. ალექსანდრე დაუსხლტდა მდევართ. ირანელებმა სერიოზული დანაკლისი განიცადეს.

საბრძოლო მოქმედებები რუსეთის არმიამ უფრო მძლავრად გაშალა 1827 წლიდან, მას შემდეგ, რაც კავკასიის ჯარების სარდლად ერმოლოვის ნაცვლად გენერალი პასკევიჩი დაინიშნა. პასკევიჩმა ჯერ ნახჭევანი გამოსტაცა მტერს, ხოლო 1 ოქტომბერს ალყით ერევანიც დაიმორჩილა (ამ გამარჯვების აღსანიშნავად პასკევიჩს „ერევნელის“ ტიტული უბოძეს, მთავარმართებლის პატივსაცემად კი თბილისის მთავარ—დღევანდელ თავისუფლების მოედანს ერევნელის მოედანი დაერქვა. ეს უკანასკნელი ხალხურ მეტყველებას შეცდომით ერევნის მოედნის სახელით შემორჩა). ერევნისათვის ბრძოლაში თავი გამოიჩინეს ქართველმა მეომრებმა, რომელთა 600 კაციან შენაერთს გენერალი რომან ბაგრატიონი მეთაურობდა.

ქალქის მისადგომებთან მამაცურად იბრძოდა მომავალი გენერალი, პოეტი გრიგოლ ორბელიანიც, რომელსაც სწორედ ერევნის აღებამ შთააგონა პოემა „სადღეგრძელო ანუ ომის შემდგომ ლხინი, ერევნის სიახლოვეს“.

მოპოვებულმა წარმატებებმა რუსეთს საშუალება მისცა ბრძოლის თეატრი თვით ირანის საზღვრებში გადაეტანა. პასკევიჩი ჯერ კიდევ თავრიზზე შეტევის გეგმას აზუსტებდა, როდესაც გენერალმა გიორგი ერისთავმა რუს-ქართველთა მცირე რაზმით მდინარე არაქსი გადალახა და ირანის ეს მეორე სატახტო მოულოდნელი იერიშით აიღო. ქალაქის მცველი 61-ათასიანი გარნიზონი განადგურებულ იქნა, მთელი არსენალი და დიდძალი

ნადავლი რუსებს დარჩათ. საუკუნოვან მტერზე შურისძიების ნიშნად, გიორგი ერითავმა ქართველ მეომრებთან ერთად ბაჰის სასახლეში ფერხული დაუარა და „თბილისის აოხრების ჯავრი ამოიყარა“.

თავრიზის აღება მიმდინარე ომში ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა იყო, რომელმაც ბრძოლის სასწორი რუსთა სასარგებლოდ გადაძალა.

მამაცი გენერალი იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა ალექსანდრე ნეველის ორდენით დააჯილდოვა. თავრიზის გმირი ქართველის სახელმა პასკევიჩის დიდებას გადააჭარბა. პატივმოყვარე მთავარმართებელმა ერისთავი აითვალწუნა და მალე სამხედრო სამსახურიდან გაათავისუფლა.

თავრიზის დაკავებით რუსეთის არმიას გზა გაეხსნა თეირანისაკენ. შეშფოთებულმა შაჰმა ზავი ითხოვა. ირანის დედაქალაქში შეჭრა ინგლისთან ურთიერთობას მეტისმეტად გაამწვავებდა. რუსეთმა შეთავაზება მიიღო.

1828 წლის 10 თებერვალს სოფელ თურქმენჩაიში ირანსა და რუსეთს შორის დადებულ იქნა ახალი საზავო ხელშეკრულება. ნახჭევანისა და ერევნის სახანოები რუსეთის ხელში გადავიდა. კასპიის ზღვაზეც ფაქტობრივად რუსეთი გაბატონდა. დამარცხებულმა შაჰმა 20 მილიონი მანეთის კონტრიბუცია იკისრა.

თურქმენჩაის ზავის პირობათა შემუშავებასა და განხორციელებაში თავალსაჩინო როლი შეასრულა ცნობილმა რუსმა მწერალმა ალექსანდრ გრიბოედოვმა, რომელიც მეფემ რუსეთის წარმომდგენლად დანიშნა შაჰის კარზე.

ირანში გამგზავრებამდე გრიბოედოვმა ცოლად შეირთო ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული ნინო, მაგრამ ახალგაზრდა დიპლომატს მეუღლესთან დიდხანს ცხოვრება აღარ ეწერა. მალე იგი სპარსეთში გაავებულ ირანელთა ბრბოს მსხვერპლად იქცა და საუკუნო განსასვენებელი თბილისში, მთაწმინდაზე ჰპოვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუსეთ-ოსმალეთის ომები XIX საუკუნის პირველ მესამედში და საქართველო

რუსეთ-ოსმალეთის 1806—1812 წლების ომი

მეფის მთავრობა ვარაუდობდა, რომ ოსმალეთს სამეგრელოს სამთავროს მსგავსად, იმერეთზე, გურიასა და ახალციხის საფაშოზეც ხელს მშვიდობიანად ააღებინებდა, მაგრამ ამას გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა საფრანგეთის დიპლომატია.

ნაპოლეონი რუსეთის წინსვლის შეჩერებას ახლო აღმოსავლეთში ირან-ოსმალეთის საშუალებით ესწრაფოდა და ცარიზმთან დასაპირისპირებლად ერთსაც და მეორესაც დახმარებას აღუთქვამდა.

შექმნილ ვითარებაში გულხელდაკრეფილი არც რუსეთის იმპერატორი მჯდარა. 1804 წლის შემოდგომაზე, ყულევის სანაპიროზე ზღვიდან მცირერიცხოვანი ჯარის გადმოსხმით ცარიზმმა დასავლეთ საქართველოში მნიშვნელოვანი პლაცდარმი შეიქმნა. ოსმალეთის საომარი მზადყოფნა აფხაზეთში სამეგრელოდან სამხედრო ექსპედიციის შეგზავნითაც მოისინჯა. რუსებმა დაიკავეს ანაკლიის ციხე-სიმაგრე და იერიში მიიტანეს სოხუმზე, მაგრამ ამ ინციდენტის გამო ოსმალეთმა ენერგიულად აღიმაღლა ხმა და ცარიზმი იძულებული გახდა, უკან დაეხია. რუსეთსა და ოსმალეთს შორის 1805 წლის სექტემბერში სამოკავშირეო ხელშეკრულებაც კი განახლდა, მაგრამ საქართველოსთან დაკავშირებული წინააღმდეგობანი, სხვა მიზეზებთან ერთად ამ ქვეყნების ინტერესთა თანხვედრას, არსებითად, გამორიცხავდა.

რუსთა შემოჭრის მოლოდინში, ოსმალეთის ხელისუფლებამ საგანგებოდ გაამაგრა ახალციხე, გააძლიერა ფოთის, სოხუმის, ბათუმის ციხესიმაგრეთა დაცვა და სხვ. მაგრამ რუსეთის არმიამ პირველი შეტევა ბალკანეთიდან წამოიწყო. 1806 წლის ნოემბერში მან გადალახა მდინარე დნესტრი, დაეუფლა მოლდავეთისა და ვლახეთის ზოგიერთ გამაგრებულ პუნქტს და ხელთ იგდო ბუქარესტიც.

1806 წლის დეკემბრის ბოლოს სულთანმა სელიმ III-მ ომი გამოუცხადა რუსეთს. ბრძოლები ორ — ბალკანეთისა და კავკასიის ფრონტზე გაჩაღდა. კავკასიის არმიას გრაფი გუდოვიჩი სარდლობდა. მას სულ 22 ათასი ჯარისკაცი ჰყავდა, თუმცა ოსმალთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინააღმდეგ მისი მხოლოდ ნახევრის გამოყენება შეეძლო. ... შაჰთან დაზავების ცდებს შედეგი არ მოჰქონდა და ირანთან ომი გრძელდებოდა.

ამ ომში რუსეთისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი და სხვა კავკასიელი ხალხების თანადგომას, რომლებსაც მხარდასაჭერად მოუხმო.

ქართველებს წინათაც არაერთხელ უომიათ სხვათა ომში, მაგრამ ამჯერად რუსთა საბრძოლო დროშის ქვეშ მათ დარაზმვას რევანშის ბუნებრივი გრძნობაც განაპირობებდა: საქართველო ერთმორწმუნე რუსეთთან ერთად, თავის ისტორიულ მაჰმადიან მტრებს უპირისპირდებოდა და, გამარჯვების შემთხვევაში, მათ მიერ მიტაცებული ქართული მიწა-წყლის დედასამშობლოსთან დაბრუნებას მოელოდა. მაგრამ ქართველი ხალხის ცნობიერებას გაორება დატყობოდა. ერთნი თუ რუსთა მხარდამხარ ირან-ოსმალეთზე საიერიშოდ ემზადებოდნენ და რეგულარულ ნაწილებს ადგენდნენ, მეორენი (სოლომონ II, ალექსანდრე ბატონიშვილი და სხვ.) საქართველოს თავისუფლების პირობად ცარიზმის დამარცხებას მიიჩნევდნენ და მთელ ძალებს საამისოდ რაზმავდნენ.

რუსეთის შენაერთები დუნაისპირეთში წარმატებას წარმატებაზე აღწევდნენ, ეგეოსის ზღვაში განადგურებულ იქნა ოსმალთა ფლოტიც, მაგრამ კავკასიაში, სადაც ბრძოლის სტრატეგიულ მიმართულებად ახალქალაქი-ახალციხისა და ერევან-ყარსისაკენ შეტევა განისაზღვრა, მდგომარეობა უფრო რთული ჩანდა. ვერ მოხერხდა ფოთის ციხის აღებაც, რომელზეც იერიშში რუსებთან ერთად მონაწილეობდა სამეგრელოს ლაშქარი ნიკო დადიანის მეთაურობით, ასევე გიორგი ფხეიძისა და დავით ჩიჩუას რაზმები.

კავკასიის ფრონტზე მნიშვნელოვანი გარდატეხა მოჰყვა რუს-ქართველთა დიდ გამარჯვებას მდინარე არაფჩაის სანაპიროზე 1807 წლის 18 ივნისს. მოწინააღმდეგის ამ მარცხმა შეაფერხა და ჩაშალა ირან-ოსმალეთის მოსალოდნელი სამხედრო კოალიცია.

რუსეთ-საფრანგეთის ტილზიტის ზავს (1807 წ. ივნისი) რუსეთ-ოსმალეთის დროებითი დაზავებაც მოჰყვა (1807 წლის აგვისტო-სექტემბერი). რუსეთმა იმერეთსა და სამეგრელოში პოზიციები შეინარჩუნა, მაგრამ ალექსანდრე I-ს ჯარი უნდა გაეყვანა მოლდოვა-ვალახეთიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საომარ მოქმედებათა შეწყვეტა რუსეთისათვს უფრო ხელსაყრელი გამოდგა, ვიდრე ოსმალეთისათვის. სულთნის ყარზე განხორციელებულმა სახელმწიფო გადატრიალებებმა ჯერ სელიმ III-ის ხელისუფლება შეინირა, მერე კი მისი დამამხობელი მუსტაფა IV-ისა. ტახტზე მაჰმუდ II ავიდა. ხანგრძლივმა პოლიტიკურმა კრიზისმა და იანიჩართა აჯანყებებმა ოსმალეთის სამხედრო პოტენციალი მნიშვნელოვნად დაასუსტა, თუმცა ინგლის-ოსმალეთის შეთანხმებამ, რომელიც 1809 წლის დამდეგს გაფორმდა, ამ უკანასკნელს ახალი იმედები გაუღვიძა. იმავე წლის აპრილში რუსეთ-ოსმალეთის ომიც განახლდა.

საბრძოლო ოპერაციები ერთხანს დუნედ მიმდინარეობდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსეთის არმიის სარდლობა დუნაისპირა ფრონტზე მ. კუტუზოვს მიენდო, ოსმალებმა გამანადგურებელი დარტყმა განიცადეს.

1809 წლის ნოემბერში, გურულმა მოხალისეებმა ვახტანგ ერისთავისა და სიმონ გუგუნავას წინამძღოლობით გრიგოლეთთან სასტიკად დაამარცხეს ფოთის მეციხოვნეთა დასახმარებლად გამოგზავნილი ოსმალთა 9-ათასიანი შენაერთი. ამან გენერალ დიმიტრი ორბელიანს რუსთა ჯარითა და მაგრელ-აფხაზთა რაზმებით ალყაშემორტყმული ფოთის აღება გაუადვილა.

1810 წლის 11 ივლისს რუსები ქ. სოხუმს დაეუფლნენ და აფხაზეთის მთავრად თავიანთი ერთგული გიორგი შარვაშიძე დასვეს.

საქართველოს მთავარმართებელმა ტორმასოვმა 1810 წლის შემოდგომაზე ქართველ მოლაშქრეთა თანხლებით ახალციხეს შეუტია, მაგრამ მისი აღება ვერ მოახერხა. მალე ირანსა და ოსმალეთს შორის სამხედრო კავშირი დაიდო. სულთანმა და შაჰმა რუსეთის წინააღმდეგ ერთობლივი ლაშქრობა გადაწყვიტეს და კავკასიის ხალხებსაც აჯანყებისაკენ მოუწოდეს. ეს გეგმა განუხორციელებელი დარჩა. დაუძლურებულ ირანსა და ღონემიხდილ ოსმალეთს აქტიური საომარი მოქმედება აღარ შეეძლოთ. 1811 წლის დეკემბერში რუსებმა კიდევ ერთხელ სძლიეს ოსმალებს და მათ ახალქალაქი დაატოვებინეს.

რუსეთს შეეძლო შემდგომი წინსვლაც, მაგრამ, საფრანგეთთან მოახლებული ომის გამო, ამჯობინა მოპოვებულის ნაწილი დაეთმო. 1812 წლის 16 მაისს ბუქარესტში ხელმოწერილი ზავით რუსეთ-

ოსმალეთის ომი დამთავრდა. მეფის მთავრობამ ოსმალეთს უკანვე დაუბრუნა მოლდავეთი და ვალახია, ჩააბარა ფოთი და ახალციხიც, მაგრამ შეინარჩუნა იმერეთი და აფხაზეთის სამთავრო. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო ბზიფიდან ჩოლოქამდე რუსეთის ხელში გადავიდა.

რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომი

XIX საუკუნის 20-იანი წლების დამდეგიდან რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას ე.წ „აღმოსავლეთის საკითხი" წარმოადგენდა, რომელიც ოდესღაც ძლიერი ოსმალეთის დასუსტების გამო წარმოიშვა.

გაჭიანურებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა თუ დაპყრობილ ქვეყნებში (სერბია, საბერძნეთი) აზვირთებულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ „ბრწყინვალე პორტა" დაშლის პირას მიიყვანა. ევროპის სახელმწიფოები ახლა ერთმანეთს ამ „მომაკვდავი" იმპერიის დანაწილებისათვის ეცილებოდნენ.

სულთანმა მაჰმუდ II-ემ შექმნილი მდგომარეობის გამოსწორება სამხედრო სფეროში რეფორმის გატარებით განიზრახა. 1826 წლის იანიჩართა აჯანყების ჩახშობის შემდეგ, ეს პრივილეგიური ფეოდალური ჯარი, რომელსაც თითქმის ხუთსაუკუნოვანი ისტორია გააჩნდა, სავსებით გაანადგურეს. იანიჩართა ნაცვლად დაიწყეს ევროპული ყაიდის ნანილების ფორმირება, მაგრამ საჭირო მატერიალური და ფინანსური რესურსების დეფიციტის გამო ამ წამოწყებას ეფექტური შედეგი ვერ მოჰქონდა.

ირანზე გამარჯვებით ფრთაშესხმულმა რუსეთმა მეორე მაჰმადიან მეტოქესთან ძველი დაპირისპირების გადაჭრაც სცადა, მით უფრო, რომ სულთანი ბუქარესტის ზავის პირობებს აღარ ასრულებდა და დასავლეთ საქართველოს რუსთაგან დაცლას მოითხოვდა.

1828 წლის აპრილში რუსეთმა ომი გამოუცხადა ოსმალეთს. ოსმალეთმაც მთელ მუსლიმანურ სამყაროს ქრისტიანობის წინააღმდეგ საღვთო ომისაკენ მოუწოდა. ამის მიუხედავად,

საერთაშორისო ვითარება ახლა რუსეთისათვის უფრო ხელსაყრელი იყო. ინგლისი ნეიტრალიტეტს იცავდა, საფრანგეთი და პრუსია კი სიფრთხილეს ამჯობინებდნენ და ჯერჯერობით რუსეთთან ურთიერთობის გამწვავებას ერიდებოდნენ.

საომარი მოქმედებანი ტრადიციულად — ბალკანეთისა და კავკასიის ფრონტებზე გაიშალა. რუსეთის ჯარებმა დუნაის პროვინციები იოლად დაიკავეს, მაგრამ შემდგომი წინსვლა ველარ შეძლეს და პოზიციურ ბრძოლებზე გადავიდნენ.

უფრო შესამჩნევი წარმატებები რუსთა შეტევას აზიის მიმართულებით მოჰყვა. 1828 წლის ივნისში დაეცა ოსმალთა მძლავრი ციხე-სიმაგრე ყარსი, აგვისტოში კავკასიის კორპუსმა გრაფ პასკევიჩის სარდლობით ჯერ ახალქალაქი, ხოლო შემდეგ ახალციხე აიღო. ოსმალები განდევნილ იქნენ აწყურ-არტაანიდან. მალე ალექსანდრე ჭავჭავძემ ბაიაზეთი და მთელი მისი საფაშო რუსეთის იარაღს დაუმორჩილა. ყველა ამ ოპერაციაში, რუს ჯარისკაცთა გვერდით თავდადებით იბრძოდნენ ქართველ მოლაშქრეთა მრავალრიცხოვანი ქვეითი თუ ცხენოსანი რაზმები. რუსეთის ცალკეულ შენაერთებს უნარიანად მეთაურობდნენ ქართველი ოფიცრები და გენერლები. საქართველოს მოსახლეობა მებრძოლთა ზურგის უზრუნველყოფაშიც თვალსაჩინო როლს ასრულებდა. ქართული ლაშქარი აღფრთოვანებით შედიოდა თავისი ქვეყნის სამხრეთის ისტორიულ მიწა-წყალზე, რომელიც ასწლეულების განმავლობაში ოსმალეთს ჰქონდა მიტაცებული. საუკუნოვან მტერზე გამარჯვებას ზეიმით აღნიშნავდა მთელი საქართველო.

მიმდინარე ომში ქართველთა და რუსთა მხედრობას კიდევ ერთხელ მოუხდა ქ. ფოთის აღება. ბრძოლაში გადამწყვეტი სიტყვა ქართველებმა თქვეს. განსაკუთრებული მამაცობა გამოიჩინეს გურულმა მოლაშქრეებმა, 1829 წლის 5 აგვისტოს ქობულეთის მახლობლად, ხოლო იმავე წლის 6 აგვისტოს მუხაესტატესთან გამართული შეტაკებაში. ორივე ბრძოლაში ოსმალებმა სასტიკი მარცხი იწვნიეს. აღსანიშნავია, რომ ნიკოლოზ I-მა გურიის მოსახლეობას ომში აქტიური მონაწილეობისათვის დროშა აჩუქა სამადლობელო წარწერით.

აზიურ ასპარეზე ომის ბედი პასკევიჩის მიერ უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტის — ციხე-სიმაგრე ქალაქ

ერზერუმის აღებამ განსაზღვრა. რუსებს გზა გაეხსნათ ტრაპეზუნდისაკენ.

რუსეთის არმიამ ენერგიულად შეუტია ბალკანეთის ნახევარკუნძულზეც, შეიჭრა ბულგარეთშიც და ქ. ანდრიანოპოლის დაკავების შემდეგ გეზი ოსმალთა დედაქალაქ კონსტანტინოპოლისაკენ აიღო. პორტას სრული განადგურება მოელოდა.

შეშფოთებული ევროპის ქვეყნები ოსმალეთის გადასარჩენად დაირაზმნენ. ავსტრიამ და პრუსიამ შუამდგომლობა იკისრეს, მეომარი მხარეები მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენ.

1829 წლის 14 სექტემბერს ქ. ანდრიანოპოლში რუსეთსა და ოსმალეთს შორის საზავო ხელშეკრულება დაიდო. ზავის თანახმად შავი ზღვის სანაპირო ყუბანის შესართავიდან შეკვეთილამდე რუსეთს გადაეცა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ხელშეკრულების ის მუხლები, რომელთა ძალით ახალციხე, ახალქალაქი და მთელი სამცხე-ჯავახეთი რუსეთის მფლობელობაში მოექცა, ფაქტობრივად კი თავის დედასამშობლოს — საქართველოს დაუბრუნდა. ოსმალეთმა საბოლოდ უარი თქვა დასავლეთ საქართველოზე და გურია, იმერეთი და სამეგრელო რუსეთის კუთვნილებად სცნო.

სამხრეთ საქართველოს შემოერთება ისტორიული გამარჯვება იყო, ეს მიწა-წყალი ოსმალთა ორასორმოცდაათწლოვანი ბატონობისგან განთავისუფლდა, მაგრამ თურქთა ხელში კვლავ რჩებოდა სამუსლიმანო საქართველოს დიდი ნაწილი (ბათუმისათვის ბრძოლაში რუსებს ხელი მოეცარათ).

სამცხე-ჯავახეთის დანარჩენ საქართველოსთან შერწყმის უდავოდ დადებითი შედეგი რამდენადმე გააფერმკრთალა მეფის მთავრობის ანტიქართულმა პოლიტიკამ. აქაური მცხოვრებნი, ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, რუსეთმა ისეთ რეალურ განწყობილებაში ჩააგდო, რომ ქართველმა მაჰმადიანებმა თავიანთი მამაპაპეული სამოსახლოთაგან აყრა და ოსმალეთში გადასახლება ირჩიეს. საკუთარ თანამოძმეთაგან სამუდამოდ განშორების მწარე ხვედრი 75-ათასამდე ძალით რჯულშეცვლილმა ქართველმა გაიზიარა.

საქართველოს რუსულმა ხელისუფლებამ ლიხთიმერეთის მკვიდრ ქართველებს ახლად შემოერთებულ კუთხეში მიგრაციის ნება არ მისცა და მათ ნაცვლად იქ ოსმალეთიდან გადმოყვანილი 30 ათასი სომეხი ჩაასახლა. საქართველოს განაპირა მხარის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოტომელებით აჭრელება ცარიზმის შორს გამიზნული ეროვნული ნაწილი იყო, რომელსაც თავი მოგვიანებით უნდა ეჩინა.

სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებულ ტერიტორიაზე ახალციხის ოლქი ჩამოყალიბდა, რომელიც შემდეგში თბილისის გუბერნიაში შემავალ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებად გადაკეთდა.

1832 წლის შეთქმულება

რუსეთში განვეულ-გადასახლებულ ქართველ ბატონიშვილთა ერთი ნაწილი იძულებული გახდა, შერიგებოდა ბედს, შესულიყო იმპერიის სამსახურში და ხელი აეღო ეროვნული სახელმწიფოებრიობისათვის ბრძოლაზე. მაგრამ პეტერბურგსა და მოსკოვში დასახლებულ ბაგრატიონთა წიაღში კვლავაც იყვნენ ცალკეული პიროვნებები, რომელთაც, ძველებურად, სამშობლოს თავისუფლებისათვის უძგერდათ გული. ხელისუფლების „კეთილმა მასპინძლობამ," სხვისმა ძლიერმა და ვრცელმა სახელმწიფომ მათ ვერ დაავიწყა თვითმპყრობელობის არტახებით შებოჭილი, უღონო და კნინი, მაგრამ საკუთარი მამული, რომელიც უკვე სულს ღაფავდა და უიმედოდ ელოდა „გამოხსნას".

ასეთთა შორის იყვნენ: ფარნაოზ ერეკლეს-ძე, ოქროპირ გიორგის-ძე და დიმიტრი იულონის-ძე ბაგრატიონები. მათი ოჯახები რუსეთის სატახტო ქალაქებში სასწავლებლად ჩასულ და სამხედრო ნაწილებში მიმობნეულ ქართველ თავადიშვილთა პატრიოტული შეკრებების, საქართველოს მომავალ სვე-ბედზე მუდმივი მსჯელობის კერებად იქცა. ეს იყო „ბრწყინვალე წრე გონებაგახსნილ ყმაწვილკაცობისა" (ილია), რომელიც კარგად იცნობდა „ეპოქის მაღელვებ იდეებს", ინტერესით ადევნებდა თვალს თანადროულ სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებს, საერთაშორისო ვითარებას, ეცნობოდა და ითვისებდა დასავლურ განმანათლებლურ შეხედულებებს, თავისუფლებისათვის ბრძოლის ევროპულ თუ რუსულ გამოცდილებას. სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის თვგანწირვის ქართულ ტრადიციასთან ერთად,

სოლომონ დოდაშვილი

სახელიც გაეთქვა პედაგოგიურ თუ სამეცნიერო ასპარეზზე. ამასთანავე ლეობას პროპაგანდისტული მუშაობის ორგანიზება შეადგენდა. სოლომონ დოდაშვილმა დიდი ღვაწლი დასდო მშობლიურ ენაზე ქართული გაზეთის „თბილისის უწყებანის" დაარსებას, ხოლო 1832 წლიდან პირველი ქართული ჟურნალის „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანის" გამოცემას. პერიოდული პრესის ამ ორგანოებმა გააერთიანა ქართული კულტურის მოღვაწეთა ფართო წრე, წინა პლანზე წამოსწია და გაჩსჯის საგნად აქცია საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრი არსებითი საკითხი. ეროვნული მიზანდასახულობით უფრო ლიტერატურული ჟურნალი გამოირჩეოდა, რომელსაც მკაფიოდ განსაზღვრული პროგრამა და იდეოლოგია გააჩნდა. ცენზურის მკაცრი მეთვალყურეობის პირობებშიც კი ს. დოდაშვილის რედაქტორობით გამომავალი ჟურნალი ახერხებდა, ეზრუნა ქართული ენის მოვლა-პატრონობისა და განათლების გავრცელებისათვის, ენეოდა დაწინაურებული ევროპული ცხოვრების წესის პროპაგანდას და სხვ.

„სალიტრატურონი ნაწილნის" მხოლოდ ხუთიოდე ნომერი გამოვიდა, მაგრამ მათში დაბეჭდილი თუ საამისოდ გამიზნული ს. დოდაშვილის „აღმგზნები წერილები" მკითხველში მამულის მსახურების, არსებული მდგომარეობისადმი შეურიგებლობის, სამშობლოს უკეთესი მერმისისათვის თავდადების განწყობილებას ქმნიდა.

ელიზბარ ერისთავი ქსნის მებატონეთა სახლის ის წარმომადგენელი იყო, რომლის მამა-ბიძანი ადრევე საოკუპაციო ხელისუფლების სამსახურში ჩამდგარიყვნენ და რუსთა ერთგულების დასამტკიცებლად თანამემამულე მთიელთა სისხლში ხელიც გაესვარათ. ასეთ ოჯახში აღზრდილი თავადიშვილი შეურიგებელ პროტესტანტად ჩამოყალიბდა. ელიზბარ ერისთავს, რომელიც

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელიზბარ ერისთავი

თბილისის გარეთ არსებულ შეთქმულთა ჯგუფებთან თუ ცალკეულ წევრებთან კავშირურთიერთობას უზრუნველყოფდა, მოძრაობის დასკვნით ეტაპზე შეთქმულების მეთაურობაც დაეკისრა.

შეთქმულებს კავშირი ჰქონდათ დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურობის წარმომადგენლებთან, სამეგრელოსა და აფხაზეთის მთავართა მემკვიდრეებთან, თავისუფლებისათვის მებრძოლ ჩრდილო კავკასიელ მთიელებთან, შაჰის კარს შეხიზნულ ალექსანდრე ბატონიშვილთან, პროგრესულ რუს მოხელეებთან, თბილისში საფრანგეთის საკონსულოსა თუ საქართველოში მყოფ პოლონელებთან. შეთქმულნი ცდილობდნენ, თავიანთ რიგებში არ შეპარვოდათ „კაცი ვნებული, ზნემოშლილი, დადედლებული და დახლილი."

კონსპირაციის მიზნით, შთქმუ-ლების მონაწილენი სარგებლობდნენ საიდუმლო ანბანით, რომელიც ბერმა ფილადელფოს კიკნაძემ შეიმუშავა. მანვე შეადგინა ფარული საზოგადოების წესდება — „აქტი გონიური," რომელიც ამ საზოგადოების წევრთა უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავდა.

შეთქმულნი ფიქრობდნენ საქართველოს განთავისუფლების მშვიდობიანი გზის შესახებ და განიხილავდნენ შესაძლო ვარიანტებს, პარალელურად კი თადარიგს იჭერდნენ შეიარაღებული გამოსვლისათვის. განზრახული ჰქონდათ არა მხოლოდ თავადაზნაურთა აჯანყება, არამედ „მთელი საქართველოს ხალხის" — ქუდზე კაცის გამოყვანა, რეგულარული პოლკების ჩამოყალიბება, რომელთაც გამოცდილი მეთაურები უხელმძღვანელებდნენ და სხვ.

შეთქმულთა შორის ერთსულოვნება არ იყო საქართველოს მომავალი სახელმწიფოებრივი მმართველობის საკითხზე,—ვერ შეეთანხმებინათ ქვეყნის მოწყობის პოლიტიკური მოდელი. მსჯელობდნენ მეფობის აღდგენაზე, „რესპუბლიკური ნაირსახეო-

ბის“ ავკარგზე, თუმცა უპირატესობას მაინც პარლამენტით (სეიმით) შეზღუდულ მონარქიულ წყობილებას ანიჭებდნენ.

ერთგვარი უთანხმოების მიუხედავად, დიდი ეროვნული სატკივარი საერთო დროშის ქვეშ რაზმავდა მონარქისტსაც და რესპუბლიკელსაც, სამეფო ოჯახის, ძირძველ თავადთა, ხელმოკლე აზნაურთა თუ გლეხთა წრის წარმომადგენლებს.

სახელმწიფოებრივი მართვაგამგეობის განახლებისა და გარდაქმნის იდეები ჯერ კიდევ XVIII საუკუნის II ნახევრის ქართველ მოაზროვნეთა (იოანე ბაგრატიონი, ალექსანდრე ამილახვარი) ნაშრომებში გამოიკვეთა, მაგრამ შეთქმულთა შეხედულებებზე გავლენას ახდენდა ფინეთის, პოლონეთის თუ ზოგი სხვა ქვეყნის გამოცდილებაც.

საქართველოს უმაღლესი მმართველობა შეთქმულებს ორპალატიან ხელისუფლებად წარმოედგინათ. ზედა პალატაში (სამმართველოში) მეფე და მინისტრები მოიაზ-რებოდნენ, ქვედა პალატა კი სამაზ-რო დეპუტატებს უნდა შეედგინათ. მეფედ ალექსანდრე ბატონიშვილის მოწვევას ვარაუდობდნენ, შერჩეული ჰყავდათ მინისტრობის კანდიდატებიც: ალექსანდრე ჭავჭავაძე — სამხედრო მინისტრად, კონსტანტინე მუხრან-ბატონი — იუსტიციის მინისტრად, ნიკო-ლოზ ფალავანდიშვილი — ფინანსთა მინისტრად, კ. ბებუთაშვილი — საგარეო საქმეთა მინისტრად, ი. ჭილაშვილი — შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრად.

ილია ჭავჭავაძის სიტყვით, „შეთქმულნი იყვნენ „უკეთესნი კაცნი, სამშობლოს სიყვარულით თვალახილებულნი.“ მათ პატიოსნებასა და უანგარობაზე მეტყველებს, რომ მოძრაობის არც ერთ ხელმძღვანელს მომავალი მთავრობის შემადგენლობაში თავისთვის თანამდებობა არ დაუბევებია.

ქართველ პატრიოტთა ეროვნული ძალისხმევა უნისონში იყო იმხანად რუსეთსა თუ ევროპაში მიმდინარე მძაფრ სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებთან, დაპყრობილ და ჩაგრულ ხალხთა განმათავისუფლებელ მოძრაობასთან. იგი ხელს უწყობდა და აჩქარებდა საერთაშორისო რეაქციის შესუსტებას, რომლის ბურჯს „საღვთო კავშირი“ წარმოადგენდა. მართალია, შეთქმულებს ორგანიზაციული კავშირი არ ჰქონიათ არც პოლონელ და არც სხვა რომელიმე ქვეყნის ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლ ძალებთან, მაგრამ მათი დაპირისპირება ცარიზმთან

ეხმიანებოდა და მხარს უბამდა ეპოქის საერთო მოთხოვნებს — საკაცობრიო პროგრესულ იდეალებს.

შეარაღებული გამოსვლისათვის შეთქმულების მონაწილენი ხელსაყრელ დროს უცდიდნენ. ასეთად მიჩნეულ იქნა 1830—1831 წლების პოლონეთის აჯანყება, როცა იმპერიის სამხედრო შენაერთები ვარშავისაკენ დაიძრნენ. პოლონელთა წინააღმდეგ საბრძოლველად გაიგზავნა საქართველოში მდგარი ჯარის ნაწილიც მთავარმართებელ პასკევიჩის სარდლობით. შეთქმულთ წარმატების იმედი გაუჩნდათ, მაგრამ მათი მოლოდინი არ გამართლდა. ამბოხებულნი დამარცხდნენ, რამაც შეთქმულთა ენთუზიაზმი დააცხრო და მოძრაობაც ერთგვარად მინელდა.

1832 წლის დამდეგიდან ქართველ პატრიოტთა საქმიანობა კვლავ გაცხოველდა. გახშირდა შეკრებები, რომლებიც ამა თუ იმ შეთქმულის ბინაზე ნადიმის სახით იმართებოდა, გაფართოვდა ფარული საზოგადოების შემადგენლობა და სხვ.

აჯანყების დროშის აღსამართავად მარჯვე მომენტი წარმოშვა რუსეთის მდგომარეობის გართულებამ ჩრდილო კავკასიაში და ახალი მთავარმართებლის, როზენის გალაშქრებამ მთიელთა წინააღმდეგ. თუმცა გამოსვლის თარიღი, რომელიც თავადაზნაურთა საგუბერნიო ყრილობისათვის უნდა დაემთხვიათ, რამდენჯერმე გადაიდო, ბოლოს კი 20 დეკემბრისათვის დაინიშნა. შეთქმულებმა შეიმუშავეს აჯანყების კონკრეტული გეგმა — „პირველი ღამის განკარგულება". დოკუმენტი თბილისში განლაგებულ სტრატეგიულ ობიექტებზე შეტევისა და გამოსვლის პერიოდში შეთქმულთა მოქმედების დეტალებს შეიცავდა.

შეთქმულთ ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ხალხს იოლად მიიმხრობდნენ, თუ აჯანყების ნინა დღით ხმებს გაავრცელებდნენ, მთავრობა გლეხობას ჯარისკაცებად გაწვევას უპირებსო. თავადებს თავიანთი გლეხები უნდა გამოეყვანათ და თბილისში დაწყებული ამბოხება მთელ საქართველოს მოედებოდა, მაგრამ საქმე აქამდე აღარ მისულა.

9 დეკემბერს შეთქმულება მისმა ერთ-ერთმა თვალსაჩინო წევრმა, იასე ფალავანდიშვილმა გასცა. სასწრაფოდ დაიწყო მოძრაობის მთავარ მონაწილეთა დაპატიმრება. შეთქმულთ ერთმანეთისათვის პირობა ჰქონდათ მიცემული, „თუ გამოცხადდეს ეს ჩვენი საქმე, არ გავტყდეთო", მაგრამ პატიმრობაში ბევრმა

პირობა დაარღვია და ათეულობით თანამოაზრე დაასმინა. „მამების“ მისამართით სწორედ ამან ათქმევინა ილია ჭავჭავაძეს: „ფერმიხდილი ბეზღობაში ერთმანეთს ვეჯიბრებოდითო“.

საგამომძიებლო მასალებში შეთქმულებაში ეჭვმიტანილი 150-მდე პიროვნების გვარია მოხსენიებული, თუმცა მათი ოდენობა გაცილებით მეტი იყო.

ძიება დიდხანს გაგრძელდა. პატიმრები სამხედრო ყაზარმებში ჰყავდათ გამოკეტილი, რის გამოც ეს პერიოდი ისტორიაში „ყაზარმობის“ სახელით აისახა.

ბრალდებულნი დანაშაულის მიხედვით ჯგუფებად დაჰყვეს და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს. ყველაზე აქტიურ შეთქმულთა საქმე 1834 წლის თებერვალში თბილისში გამართულმა სამხედრო სასამართლომ განიხილა. ელიზბარ ერისთავს, ალექსანდრე ორბელიანს, სოლომონ დოდაშვილს, დიმიტრი ერისთავს, ლუარსაბ და ვახტანგ ორბელიანებს, ზაქარია ჩოლოყაშვილსა და სხვ. (13 კაცს) სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, მაგრამ იმპერატორის ნებით, ყველა მათგანი შეიწყალეს და სხვადასხვა ვადით გადასახლება აკმარეს.

გადასახლებულთა შორის იყვნენ აგრეთვე ალექსანდრე ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი, გიორგი ერისთავი, თამარ იულონის ასული, თეკლა ბაგრატიონი და სხვ. პეტერბურგიდან გასახლებით დასაჯეს შეთქმულებასთან დაკავშირებული ოქროპირ და დიმიტრი ბატონიშვილებიც.

ცარიზმის შედარებით ლმობიერი სასჯელი რამდენიმე გარემოებით უნდა აიხსნას:

1. პოლონეთის აჯანყების ჩახშობამ და სასტიკმა რეპრესიებმა რუსეთის საიმპერიო რეჟიმს საერთაშორისო მასშტაბით ავტორიტეტი შეურყია. ქვეყნის შიგნით მორიგი სისხლიანი ანგარიშსწორება ევროპის პროგრესული საზოგადოებრივი აზრის ახალ გულისწყრომას გამოიწვევდა. ცხადია, მეფის მთავრობას ეს დიდად არ აშინებდა, მაგრამ იგი მოერიდა რეპუტაციის კიდევ უფრო შელახვას;

2. შეთქმულების გამჟღავნების დროს თვითმპყრობელობა განაგრძობდა საომარ მოქმედებებს მთიანი კავკასიის დასამორჩილებლად. ამ უძნელეს ბრძოლაში ქართველი თავადაზნაურობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცარიზმის მნიშვნელოვანი დასაყრდენი იყო. ხელისუფლება ამ მოქრიდა იმ ტოტს რომელზედაც იჯდა.

3. რუსეთის მთავრობა უკვე იმასაც აცნობიერებდა, რომ შიშველი ძალადობითა და დასჯით ქართველობას ვერ დაიმორჩილებდა, დათმობითა და პატიებით კი თავადაზნაურობას უფრო გაიერთგულებდა. ამიტომაც დაიფარა 1832 წლის შეთქმულების ნამდვილი არსი. იგი არ გამოცხადდა პოლიტიკური ხასიათის გამოსვლად და მხოლოდ რამდენიმე თავადის ბოროტ განზრახვად მოინათლა.

მიუხედავად იმისა, რომ შეთქმულება ნაადრევად გამჟღავნდა და დასახულ მიზანს ვერ მიაღწია, 1832 წლის „მამულის გამოხსნისათვის შეთქმა" ჩვენი წარსულის ერთ-ერთ ნიშანსვეტად რჩება.

შეთქმულება ქართული სინამდვილით განპირობებულ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენას წარმოადგენდა. მისი მიზანი საქართველოს დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენა იყო, ოღონდ არა ქართლ-კახეთის ან იმერეთის, არამედ ერთიანი და მთლიანი საქართველოს მასშტაბით. შეთქმულებმა იმემკვიდრეს წინამორბედ აჯანყებათა სულისკვეთება და ზოგადქართული ცნობიერების განახლებით თავისუფლებისათვის ბრძოლა ახალ სიმაღლეზე აიყვანეს. 1832 წლის შეთქმულებამ მკვიდრი ნიადაგი შეუმზადა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ ეტაპს, რომლის მედროშეობა დიდმა თერგდალეულებმა იტვირთეს.

გურიის 1841 წლის აჯანყება

გურიის სამთავროს გაუქმების შემდეგ ამ კუთხეს რუსი ოფიცრის თავმჯდომარეობით მოქმედი ადგილობრივ თავადთა საბჭო განაგებდა, რომელიც იმერეთის დროებითი მმართველობის განყოფილებას შეადგენდა. ხალხში „დროებით სასამართლოდ" სახელდებული ეს ხელისუფლება, არსებითად, შეხამებული იყო მართვის ტრადიციულ წეს-ჩვეულებასთან. სასოფლო მმართველობა ძველებურად მოურავებსა და ნაცვლებს ჰქონდათ მინდობილი, სამოქალაქო საქმეებს კვლავ ქართული სამართლის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საფუძველზე განიხილავდნენ და სხვ. ასე რომ, გურიაში რუსული რეჟიმის სუსხი ჯერ კიდევ ნაკლებად იგრძნობოდა.

1840 წლის 10 აპრილს განხორციელებული მმართველობის რეფორმა ოფიციალური ვერსიით, სამხედროს ნაცვლად სამოქალაქო წესრიგის შემოღებას ითვალისწინებდა, სინამდვილეში კი მხარის სწრაფი გარუსებისა და იმპერიასთან მისი მტკიცე შერწყმის მიზანს ისახავდა. სამხრეთ კავკასია „საქართველო-იმერეთის გუბერნიად" და „კასპიის ოლქად" დაიყო. გურიის ყოფილი სამთავრო საქართველო-იმერეთის გუბერნიაში შემავალ გურიის მაზრად გამოცხადდა. ახალ ადმინისტრაციულ ერთეულს აქედან მოყოლებული სათავეში მაზრის უფროსი ედგა. იგი მმართველობას უბნის მსაჯულთა (ბოქაულები), პოლიციის, სამაზრო სასამართლოსა და პროკურორის მეშვეობით ანხორციელებდა. ყოველივე ეს ცხადყოფდა, რომ რუსული მართვა-გამგებლობა გურიაშიც მთელი სისრულით ამოქმედდა.

ცვლილებანი მმართველობის სისტემაში მკვიდრი მოსახლეობის ცხოვრების ნორმათა, ადათებისა და წესების სრული იგნორირებით გატარდა. სამოხელეო თანამდებობებს სავსებით ჩამოაშორეს ადგილობრივი თავადაზნაურობა, ქართული ენა და კანონმდებლობა განიდევნა სამოქალაქო სამართლის სფეროდანაც, შემოღებულ იქნა იმპერიის მართლმსაჯულება რუსულ ენაზე საქმისწარმოებით და სხვ. გამეფდა უმაგალითო ბიუროკრატიზმი და არნახული ფორმალიზმი, უჩვეულო გასაქანი მიეცა უზნეო ჩინოვნიკთა ბოროტმოქმედებას.

აჯნყების წინა პერიოდისათვის ყოფილი სამთავროს ტერიტორიაზე 4500 კომლი ცხოვრობდა, რომელთაგან 50-მდე თავადი და 230-მდე აზნაური იყო. მცხოვრებთა უმრავლესობას ყმა-გლეხები შეადგენდნენ. გურიაში ჯერაც არ მოშლილიყო ტყვეთა ტაცება და სყიდვა, რითაც ოსმალო ფაშებსა თუ ბეგებთან ერთად ადგილობრივი მებატონეებიც სარფიანად ითბობდნენ ხელს. რუსული ადმინისტრაციის აღმკვეთი ღონისძიებების მიუხედავად, მოსახლეობის დიდი ნაწილი კვლავაც დაუცველი რჩებოდა.

სახელმწიფო გადასახადების პარალელურად შემოღებულ იქნა ე.წ. საერობო კომლობრივი გადასახადი (საფოსტო მიმოსვლისა და სხვ), რომელიც ხალხმა „ფოშტის ფულად" მონათლა და ამრეზით უყურებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზრდილმა გადასახადებმა საგრძნობლად გააუარესა ძალიან შეჭირვებული ხალხის ყოფა. ფართო უკმაყოფილების ვითარებაში მდგომარეობა ერთობ გაამწვავა გლეხობისათვის ფულადი ბეგარის დაკანონებამ. იმ დროს გურიის ბაზრებზე მიმოქცევაში ოსმალური მონეტა ჭარბობდა. პირველი მოხმარების საგნებიც გურიაში ძირითადად ოსმალთა მფლობელობაში დარჩენილ „სამაჰმადიანო საქართველოდან" — ბათუმ-ქობულეთიდან შემოჰქონდათ. მოსახლეობას რუსული ფულის ნიშნები არ გააჩნდა, ხელისუფლება კი გამოსაღებს რუბლით მოითხოვდა. განსაკუთრებული მღელვარება გამოიწვია გავრცელებულმა ხმებმა, რომელიც სავალდებულო სამხედრო სამსახურის დაწესებასა და გლეხობის სალდათად გაწვევას შეეხებოდა. ეს შემაშფოთებელი ამბავი აჯანყების უშუალო მიზეზად იქცა. ამბოხება 1841 წლის 12 მაისს სოფელ ლანჩხუთში დაიწყო და აკეთში გაგრძელდა. გლეხებმა გადასახადის ამკრებნი ახლოს არ გაიკარეს და მოითხოვეს, საერთოდ გაეუქმებინათ საერობო გადასახადი.

მღელვარების თითოეული მონაწილე წმინდა გიორგის ხატზე იფიცებდა, რომ საერთო საქმეს არ უღალატებდა და მისთვის თავსაც გასწირავდა. მოძრაობის სახელმძღვანელოდ ჩამოყალიბდა აჯანყების შტაბი ამბაკო შალიკაშვილის, ქაიხოსრო გუგუნავას, ოთარ თოიძის, აბესა ბოლქვაძისა და სხვ. შემადგენლობით. აჯანყებულნი ბუკით მახლობელი უბნების მოსახლეობასაც მოუხმობდნენ, შტაბი კი „აღმაშფოთებელ" წერილებს უგზავნიდა მთელი გურიის მცხოვრებთ, იმერეთისა და სამეგრელოს სოფლების მკვიდრთ ამბოხებულთა მხარდაჭერისაკენ მოუწოდებდა.

ხანჯლებითა და თოფებით შეიარაღებული მოსახლეობა მიზნის მიღწევის არც მშვიდობიან საშუალებაზე ამბობდა უარს, მაგრამ მაზრის უფროსმა მათი მოსმენა არ ისურვა და საპროტესტოდ დარაზმულ სოფლებს რეგულარული ჯარის ნაწილები შეუსია. სამხედრო ძალის გამოჩენისას ბევრი გლეხი შინ დაბრუნდა, ზოგიერთი კი ტყეს შეეხიზნა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ენუქა, გოგია და ათანასე ვადაჭკორიები, რომელთა რაზმი 300 კაცს აერთიანებდა.

მოძრაობა თანდათან ჩოხატაურისა და ოზურგეთის მიმართულებით გავრცელდა. მღელვარება იმერეთის რამდენიმე სოფელსაც მოედო. მებრძოლთა რიცხვი დღითი-ღღე იზრდებოდა და 7

ათასს გადააჭარბა. აჯანყებულთა ერთი ჯგუფი გზის შესაკრავად გურია-იმერეთის საზღვარზე გაიგზავნა, სხვები ჩოლოქის საგუშაგოს დაესხნენ და გაანადგურეს, ხელთ იგდეს შეკვეთილის სიმაგრეც, გადაწვეს კარანტინი და დაიკავეს ნატანების პოსტაც. გურიის უმთავრესი სტრატეგიული პუნქტები მეამბოხეთა ხელში აღმოჩნდა. ოზურგეთის გამოკლებით, თითქმის მთელ მხარეში ლიკვიდირებულ იქნა ოფიციალური ხელისუფლების ორგანოები. გლეხებს განზრახული ჰქონდათ, ხმა მიეწვდინათ უშუალოდ იმპერატორ ნიკოლოზ I-ისათვის, დააპირეს სამეფო კარზე მამასახლისთა დეპუტაციის გაგზავნაც, მაგრამ ვერ მოახერხეს.

საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორი, გენერალი კახანოვი ორჯერ ჩავიდა გურიაში, შეეცადა, გამოერკვია მღელვარების მიზეზები, მოისმინა აჯანყებულთა საჩივრები და გარკვეული დათმობაც აღუთქვა, თუმცა მოსახლეობის დამშვიდება ვერ შეძლო.

აჯნყების ჩაქრობა ახალციხის სამხედრო ოლქის უფროსს, თავად მ. არღუთინსკის დაევალა. დაღესტნის ფრონტიდან საგანგებოდ გამოიწვიეს და გურიაში დააბრუნეს აქ დისლოცირებული ჯარების სარდალი პოლკოვნიკი ბრუსილოვი. რუსთა სამხედრო შენაერთები 2 ათას კაცს აღემატებოდა.

აჯნყებულებმა სოფელ გოგორეთთან ბრუსილოვს მარცხი აგემეს და უკან დაახევინეს, მაგრამ ოზურგეთზე განხორციელებული ყველა იერიში უშედეგო გამოდგა. სამაზრო ცენტრში მდგარი რუსული გარნიზონის მისაშველებლად მთავრობამ დაძრა სამეგრელოსა და იმერეთის მილიცია. გურულებმა სძლიეს რუსთა ერთგულ თავიანთ თანამოძმეებს, რომელთაგან ბევრი ამბოხებულთა მხარეზეც გადავიდა. აღსანიშნავია, რომ აჯანყების აღმავლობის პერიოდში რუსეთის საოკუპაციო მმართველობასთან მებრძოლ გურულებს შეუერთდა ქობულეთის გამაჰმადიანებული ბეგი ჰასან თავდგირიძე.

ოსმალეთის ქვეშევრდომი ფეოდალის ეს ნაბიჯი აჯანყებულთათვის დახმარების ტოლფასი იყო, რასაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა, თუმცა ცბიერ ჰასან ბეგს უფრო საკუთარი ინტერესები ამოძრავებდა. იგი ვერ ურიგდებოდა თავის მეზობლად რუსთა გაბატონებას, მაგრამ სწორედ რუსული ხელისუფლების კატეგორიული მოთხოვნით, იძულებული გახდა, გურიას გასცლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და. აჯანყებას გურიის თავადაზნაურობის ზოგიერთი წარმომადგენელიც ჩამოშორდა, მაგრამ მათთან სოციალურ ნიადაგზე დაპირისპირებას იმჟამად დიდი სიღრმე არ მიუღია.

გადამწყვეტი ბრძოლა ოზურგეთის მისადგომებთან 1841 წლის სექტემბერში გაიმართა. აჯანყებულთა შეტევა ვერ გამოდგა ორგანიზებული. ამასთან, მტერს უკეთესი შეიარაღება და დიდი საბრძოლო გამოცდილება გააჩნდა. წარუმატებლობამ და სერიოზულმა მსხვერპლმა აჯანყებულთა რიგები შეარყია, ახლა ისინი თავდაცვაზე გადავიდნენ. არღუთინსკის აღარ გასჭირვებია ამბოხებულთა გათიშვა და საბოლოო დამარცხება.

გურულ გლეხებთან ანგარიშსწორებაში მეფის არმიის კაპიტნის ჩინით პოეტი გრიგოლ ორბელიანიც იღებდა მონაწილეობას, რაც მისი ბიოგრაფიის საჩოთირო ფურცელია. ცნობილია, რომ ამ ფაქტის გამო გრ. ორბელიანმა თავისი დისშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის სამართლიანი საყვედური დაიმსახურა.

ხელისუფლება აჯანყების ჩაქრობის შემდეგ მის მეთაურთა და აქტიურ მონაწილეთა დასჯას შეუდგა. 34 კაცი შეიპყრეს და ქუთაისის სამხედრო სასამართლოს გადასცეს. ა. შალიკაშვილს, ქ. გუგუნავასა და ს. ჭყონიას ციმბირში გადასახლება და კატორღა მიუსაჯეს. აბესა ბოლქვაძე ოზურგეთთან ბრძოლაში სასიკვდილოდ დაიჭრა. რამდენიმე ბრალდებული 10—10 წლით რუსეთის საპყრობილეებში გაგზავნეს. მცირე ხნის შემდეგ იმპერატორ ნიკოლოზ I-ის „სახელმწიფო სულგრძელობით“ ამბაკო შალიკაშვილის გარდა ყველანი შეიწყალეს და გაათავისუფლეს.

თავისუფლებისთვის გურულ აჯანყებულთა გმირული შემართების, თვითმპყრობელობის კოლონიურ რეჟიმთან მათი გაბედული დაპირისპირების ამბები თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ზეპირისიტყვიერებამ შემოინახა უშიშარი მებრძოლის, ბუღარა მამალაძისა და სხვათა სახელები, ხოლო მწერალმა ეგნატე ნინოშვილმა დიდი მხატვრული ნაწარმოებით უკვდავყო 1841 წლის „ჯანყი გურიაში,“ რომელიც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ საყურადღებო გამოვლინებას წარმოადგენდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1856—1857 წლების სამეგრელოს გლეხთა აჯანყება

გლეხთა საკითხის სიმწვავე რუსეთში, და შესაბამისად საქართველოში, განსაკუთრებით ყირიმის ომის შემდგომ გამოიკვეთა. ხმებმა ბატონყმობის გაუქმების თაობაზე კიდევ უფრო დაძაბა ურთიერთობა ყმებსა და მემამულეებს შორის. თუ მებატონეები მოახლოებული რეფორმის წინ ცდილობდნენ, გაედიდებინათ გადასახადი და შესაძლო ზარალი წინდანინ აენაზღაურებინათ, გლეხები უარს ამბობდნენ არა მარტო ახალ გადასახადებზე, არამედ თავს არიდებდნენ კანონით დადგენილ ბეგარა-ვალდებულებათა შესრულებასაც. ამ ნიადაგზე სოციალური დაპირისპირება მკვეთრად იზრდებოდა, რაც მემამულეთა ძალმომრეობის შესახებ გლეხთა მრავალრიცხოვან საჩივრებში გამოიხატა, იმატა ყმათა აყრა-გაქცევის, „ფირალობის", საძულველ ფეოდალთა სახლ-კარის გადაწვის შემთხვევებმა და პროტესტის სხვა ფორმებმა, მათ შორის შეიარაღებულმა გამოსვლებმაც.

თავისი მასშტაბურობით გამორჩეული მოვლენა იყო სამეგრელოს გლეხთა აჯანყება, რომელიც 1856 წლის შემოდგომაზე დაიწყო და მომდევნო წლის აგვისტო-სექტემბრამდე გაგრძელდა.

ახალი იმპერატორის, ალექსანდრე II-ის კორონაციაზე მოსკოვს მიპატიჟებული ეკატერინე დადიანის ნაცვლად, 1856 წლის ივლისიდან სამეგრელოს სამთავროს დროებით დედოფლის მაზლი, გრიგოლ დადიანი განაგებდა.

ყირიმის ომის მსვლელობისას სამეგრელოში ოსმალთა შემოჭრამ ეს კუთხე დიდად დააზარალა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ის გლეხობა აღმოჩნდა, რომლის საცხოვრისი და მეურნეობა თურქ დამპყრობთაგან აოხრებულ იქნა. გლეხთა ნაწილი ტყეს შეეხიზნა. ბევრი მათგანი საძოვარ მიწას ფარულად ყანად ამუშავებდა და იქვე სახლდებოდა. მთავრის მითითებით, გლეხობა ამ მიწიდან აჰყარეს და თავის გავერანებულ სამოსახლოში დააბრუნეს. მდგომარეობა იმდენად დაიძაბა, რომ მცირე შემთხვევაც საკმარისი იყო დიდი მღელვარების დასაწყებად. საბაბიც მალე გამოჩნდა.

მთავრის ქვრივმა, ეკატერინემ გრიგოლ დადიანს და სახლთუხუცეს დავით ჩიქოვანს დაავალა, დაუყოვნებლივ აეკრიფათ

მოსახლეობისაგან წინა წლის დავალიანება და ახალი სამთავრო გადასახდები, აღედგინათ ომის დროს დამწვარი მთავრის სასახლე სალხინოში და სხვ. სახლთუხუცესი განსაკუთრებული სიმკაცრით შეუდგა დავალიანების მოწესრიგებას, არაფრად აგდებდა, შეეძლო თუ არა გაღატაკებულ გლეხს გადასახადის გადახდა. სასახლის მშენებლობაზე ყმები ბეგარის სახით გამოიყვანეს. ჩვეულებრივ, საბატონო სამუშაოზე გასული გლეხის გამოკვება მემამულეს ევალებოდა, ახლა კი ყმები აიძულეს, თავიანთი ხარჯით ემუშავათ. როცა მშენებლობაზე დასაქმებულ გლეხებს სიმინდის დაფქვაში მინდიც გადაახდევინეს, მათი მოთმინების ფიალა აივსო და მუშაობაზე ური განაცხადეს.

ჩიქოვანმა ძალის გამოყენებითაც ვერ აიძულა გლეხები, განეგრძოთ მშენებლობა. ურჩ გლეხებს სათავეში ჩაუდგა ხელოსანი უტუ თოდუა, რომელიც მთელ სამეგრელოში დიდი ნდობითა და ავტორიტეტით სარგებლობდა. გამოსვლის დასაწყისშივე — 1856 წლის შემოდგომაზე აჯანყებულთა რიცხვი 400 კაცს აღწევდა. მალე მათ მეზობელი დასახლებების 1000-ზე მეტი კაცი შეუერთდა. აჯანყდნენ სალიპარტიანოს მრავალრიცხოვანი სოფლები. გლეხები ერთმანეთს ფიცით შეეკრნენ, რომ იბრძოლებდნენ მანამ, სანამ მებატონეთა მძიმე უღელს თავს საბოლოოდ არ დააღწევდნენ.

მარტვილის მაზრის კვალდაკვალ მღელვარება ჯვარის მაზრასაც მოედო. აქაურ გლეხთა მოძრაობას მჭედელი უტუ მიქავა წარმართავდა. ამბოხებულები დაიძრნენ მემამულეების — დადიანებისა და აფაქიძეების წინააღმდეგ, შემდეგ კი ლევან კვარაცხელიას ხელმძღვანელობით წალენჯიხაში შეიჭრნენ.

ამბოხებას თავისი ხმა შეუერთა საჭილაოსა და სუჯუნის ყმაგლეხობამ, რომელთაც ვაჭარი კოჩა თოდუა წინამძღოლობდა. 1857 წლის დამდეგისათვის აჯანყება მთელს სამეგრელოში მძვინვარებდა. ამბოხებული გლეხები გაერთიანდნენ. მებრძოლი ლაშქრის საერთო მეთაურობა უტუ თოდუას დაეკისრა. გლეხთა „კეისარმა" შეიარაღებული რაზმები სამხედრო ყაიდაზე — ასეულებად და ოცეულებად დაჰყო და თავიანთი წინამძღოლები მიუჩინა.

აჯანყებულები მოითხოვდნენ თავადთა და აზნაურთა წოდებების გაუქმებას, სავაჭრო საქონელზე შეზღუდული ნიხრის დაწესებას, შინა-ყმებისა და მოახლეების განთავისუფლებას.

დასახლებული პუნქტების დაკავებისას ამბოხებულები იჭრებოდნენ მებატონეთა მამულებში, ათავისუფლებდნენ გლეხებს ბეგარა-ვალდებულებისაგან, აუქმებდნენ ყმათა დასჯის არაადამიანურ მეთოდებს და სხვ. შეშინებულ მემამულეთა ნაწილი უსიტყვოდ ასრულებდა იარაღშემართულ გლეხთა მოთხოვნას, ზოგი სვანეთში გარბოდა, ზოგიც თავს აფხაზეთს აფარებდა.

1857 წლის აპრილში რუსეთიდან სამეგრელოში დაბრუნებულმა ეკატერინე დადიანმა წერილობით მიმართა აჯანყებულებს და დამშვიდებისაკენ მოუწოდა. წინათ მოჩილმა გლეხებმა ყურად არ იღეს დედოფლის შეგონება და არც მოსალაპარაკებლად გაგზავნილი მისი დეპუტაციის — გრიგოლ დადიანისა და თეოფანე ჭყონდიდელის მოსმენა ისურვეს. მეტიც, თავიანთი რაზმებით ზუგდიდზე იერიში მიიტანეს და 12 მაისს მთავრის რეზიდენციას დაეუფლნენ. ძალაუფლება, არსებითად, აჯანყებულთა ხელში გადავიდა. ისინი ერეკებოდნენ მთავრის მოხელეებს, ქმნიდნენ დროებით მმართველობას, ახორციელებდნენ სამართალს, აწესებდნენ ფასებს და სხვ.

დედოფალმა ამბოხებულ ყმებთან შეხვედრა იკადრა, მაგრამ მათი მოთხოვნებით შეძრწუნებულმა, უმალ ყველაფერი საქართველოს/რუსულ ხელისუფლებას შეატყობინა და დახმარება ითხოვა.

მეფისნაცვალ ბარიატინსკის განკარგულებით, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, გენერალი კოლიუბაკინი რეგულარული ჯარის ნაწილებით სამეგრელოსაკენ გაეშურა. მან თავდაპირველად აჯანყებულთა დაშინება მოინდომა, მაგრამ ვერას გახდა.

უტუ მიქავამ გენერალს გლეხთა მღელვარების მიზეზები აუხსნა და კონკრეტული მოთხოვნები წარუდგინა, კერძოდ: 1. კაცის კაცი არ უნდა არსებობდეს, 2. აღიკვეთოს ყმებით ვაჭრობა, 3. მიეცეს გლეხს ყველა ადამიანური უფლება და საკუთრების ხელშეუხებლობის გარანტია, 4. მოწესრიგდეს გადასახადები, 5. შემოღებულ იქნას კანონზე დამყარებული, სამართლიანი მმართველობა და სხვ.

გლეხთა ეს გაბედული მოთხოვნები კოლიუბაკინმა რევოლუციურ იდეებად მიიჩნია, მაგრამ იძულებული გახდა, ანგარიში გაეწია ლაშქრის სიმრავლისათვის და ამბოხებულთ, თუ ისინი დაიშლებოდნენ, სამართლიანობის აღდგენას დაჰპირდა. გლეხთა ნაწილმა ირწმუნა გენერლის დაპირება, თუმცა იარაღი არ დაუყრია.

კოლიუბაკინი მოქმედებას არ ჩქარობდა, ცდილობდა, აჯანყება სამთავროს ავტონომიის გაუქმების საფუძვლად გამოეყენებინა. გლეხებს მორჩილებაზე არც უფიქრიათ, მთავრობის წარმომადგენელიც სიტყვას არ ასრულებდა, ამიტომ გამოსვლები კვლავ განახლდა და უფრო გაფართოვდა.

27 მაისს ზუგდიდში თვით გენერალ-გუბერნატორი გაგარინი ჩავიდა, რომელმაც ქუთაისიდან და სოხუმიდან დამატებითი შენაერთები გამოიხმო. გაგარინმა აჯანყების ხელმძღვანელთა დაპატიმრება და ლაშქრის უპირობოდ დაშლა ბრძანა. ამ განკარგულებამ მღელვარება გააძლიერა. აჯანყებულები ახლა არა მხოლოდ საკუთარი მებატონეების, არამედ მთავრობის სამხედრო ნაწილების წინააღმდეგაც დაირაზმნენ. რამდენიმე შეტაკებაში კიდევაც სძლიეს რუსის ჯარს, მაგრამ სენაკთან, ზუგდიდთან და მარტვილის მიდამოებში მარცხი იწვნიეს და ნალენჯიხა-ჯვარისაკენ გადაინაცვლეს.

შექმნილი მძიმე ვითარების შესახებ მეფისნაცვალმა საქმის კურსში ჩააყენა იმპერატორი ალექსანდრე II. სამეგრელოში გაიგზავნა კავკასიის რუსული ადმინისტრაციის მაღალი მოხელე დიუკრუასი, რომელსაც სამთავროს ავტონომიის გაუქმებისა და ახალი მმართველობის გეგმის შემუშავება დაევალა. ეკატერინე ფაქტობრივად ხელისუფლებას ჩამოაშორეს.

1857 წელს სამეგრელოში დროებითი რუსული მართვაგამგებლობა დაწესდა. მმართველობის სათავეში გენერალი კოლიუბაკინი ჩააყენეს, მასვე მიენდო აჯანყების საბოლოო ლიკვიდაცია.

მთავრობის ჯარებს ნახევარი წელიწადი დასჭირდათ აჯანყების ჩასახშობად. გლეხები მედგრად იბრძოდნენ, მაგრამ უთანასწორო შერკინებაში მათი წინააღმდეგობა გატეხილ იქნა.

ხელისუფლება მკაცრად გაუსწორდა სოციალური თავისუფლებისათვის აღმდგარ გლეხობას. აჯანყების ყველა მეთაური — უტუ მიქავა, ლევან კვარაცხელია, კოჩა თოდუა და სხვები შეიპყრეს და სხვადასხვა ვადით რუსეთის შორეულ გუბერნიებში გადაასახლეს. უტუ მიქავა 10 წლით არხანგელსკში გაამწესეს, საიდანაც იგი მხოლოდ 1867 წელს დაბრუნდა. აჯანყების სახელოვანი წინამძღოლი ხალხმა სამეგრელოში დიდი სიყვარულით მიიღო და მამასახლისადაც აირჩია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეგრელოს აჯანყებამ მძლავრი ბიძგი მისცა გლეხთა გამოსვლების შემდგომ აღმავლობას. მართალია, მარცხის გამო მიზანი მიუღწეველი დარჩა, მაგრამ ბრძოლა მინისა და თავისუფლებისათვის არ შეწყვეტილა. დამოკიდებულება ბატონსა და ყმას შორის საქართველოს ყველა კუთხეში უკიდურესად მწვავე იყო. ანტიბატონყმური მოძრაობა კიდევ უფრო გააფართოვა რუსეთში დაწყებულმა სამზადისმა საგლეხო რეფორმისათვის, რომლის ექო სულ მალე მთელ იმპერიას გადაწვდა.

1857 წლის ნოემბერში მღელვარება აღინიშნა იმერეთში, კერძოდ ბაღდათისა და მახლობელი სოფლების გლეხობამ ფეხქვეშ გათელილი უფლებებისა და სამართლიანობის აღდგენა მოითხოვა. მომდევნო წელს თავიანთ მემამულეებს აუმხედრდა შიდა ქართლის რამდენიმე ათეული სოფელი და ხმა აღიმაღლა ქსნის ხეობის დამორჩილებულმა მოსახლეობამ.

1862 წლის გაზაფხულიდან აჯანყების ალში გურია გაეხვია. სიმშვიდესა და სტაბილურობას ვერც სამეგრელოში დაესადგურებინა. 1863 წლის მაისში სოციალური თავისუფლებისათვის იარაღი აისხეს სენაკის მაზრის სოფელ თამაკონის ყმა გლეხებმა და სხვ. საქართველოს რუსული ადმინისტრაცია ურჩ გლეხებს კაზაკთა ნაწილებისა და პოლიციის მეშვეობით უმკლავდებოდა. მოძრაობის მეთაურ გლეხებს სახრჩობელებით, ციხეებით და გადასახლებებით უმასპინძლდებოდნენ. მრავალი ამბოხებული სოფელი ეგზეკუციით იქნა დასჯილი.

მთავრობა და ფეოდალები ახერხებდნენ ყმური მოსახლეობის ჯერ კიდევ სუსტი და დაქსაქსული მოძრაობის აღკვეთას, მაგრამ გლეხთა გახშირებული გამოსვლები იმის მკაფიო მაჩვენებელი იყო, რომ ბატონყმური სისტემა მძიმე და მტკივნეულმა კრიზისმა მოიცვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურიის, სამეგრელოს, სვანეთისა და აფხაზეთის სამთავროების გაუქმება

დასავლეთ საქართველოში არსებული სამთავროები რუსეთს იმერეთის სამეფოს დაპყრობისთანავე არ გაუუქმებია. ცარიზმმა სამეგრელო, გურია და აფხაზეთი თავის ქვეშევრდომობაში მიიღო, რასაც თვით ამ კუთხეთა მთავრებიც ესწრაფოდნენ, მოგვიანებით კი პოლიტიკური გავლენა სვანეთზეც გაავრცელა. მეფის მთავრობამ სამთავროებს ავტონომიური მართვა-გამგებლობა შეუნარჩუნა, მაგრამ ზუგდიდში, ოზურგეთსა და სოხუმში გარნიზონების ჩაყენება, რომლებიც იმერეთის რუს მმართველს ექვემდებარებოდნენ, მთავართა შეზღუდულ ხელისუფლებას სულ უფრო ნომინალურს ხდიდა. მალე ეს ადგილობრივი ფორმალური მმართველობაც თვითმპყრობელობის კავკასიურ ინტერესებთან შეუსაბამო აღმოჩნდა. დღის წესრიგში პირველად გურიის სამთავროს ლიკვიდაციის საკითხი დაისვა, რაც რუსეთ-თურქეთის 1828—1829 წლების ომს დაუკავშირდა.

მთავარ მამია გურიელის გარდაცვალების შემდეგ, 1826 წლიდან სამთავროს მამიას ქვრივი — სოფიო განაგებდა. საქართველოს რუსული ადმინისტრაცია უხეშად ერეოდა სოფიოს საქმიანობაში და მის უფლებებს ლახავდა. უკმაყოფილო გურიელი პროტესტს საჯაროდ გამოთქვამდა. როცა ცარიზზმა ოსმალეთის საპირისპიროდ ომი წამოიწყო, სოფიო გურიელის ასეთი პოზიცია მეფის მთავრობამ ღალატად მიიჩნია და სამთავრო ხელისუფლების გაუქმების გზას დაადგა.

1828 წლის შემოდგომაზე გურია რუსთა რაზმებმა დაიკავეს. სოფიო თავისი მემკვიდრითა და ერთგული დიდებულებით ოსმალეთს გაიხიზნა. სამთავროს გადარჩენის მიზნით იგი შეეცადა დაკავშირებოდა რუსეთის იმპერატორს, მაგრამ უშედეგოდ. ომის რუსეთის სასარგებლოდ დამთავრებამ გურიის სამთავროს ბედი საბოლოოდ გადაწყვიტა. 1829 წლის დეკემბერში იმპერატორ ნიკოლზ I-ის ბრძანებით გურიელის ხელისუფლება გაუქმებულ იქნა, სამთავროს ავტონომიურ არსებობას ბოლო მოეღო. ჩამოყალიბდა გურიის დროებითი მმართველობა, რომლის სათავეში რუსი სამხედრო მოხელე იდგა, წევრებს კი ოთხი ადგილობრივი თავადი შეადგენდა.

ეკატერინე ჭავჭავაძე

1840 წელს ყოფილი სამთავრო გურიის მაზრად გამოაცხადეს და საქართველო-იმერეთის გუბერნიაში გააერთიანეს, 1846 წელს განხორციელებული ადმინისტრაციული რეფორმის შემდეგ გურია ოზურგეთის მაზრის სახელწოდებით ქუთაისის გუბერნიას დაუქვემდებარეს.

ცარიზმი უცერემონიოდ არღვევდა სხვა სამთავროებთან დადებულ ხელშეკრულებებსაც და მთავართა უფლებებს თანდათან ზღუდავდა. 1837 წელს მეფის მთავრობამ აფხაზეთის კუთვნილი წებელდა უშუალოდ დაიქვემდებარა. 1840 წელს კი დადიანს ზღვის სანაპირო ზოლთან ერთად სამურზაყანოც ჩამოართვა და მიისაკუთრა.

1856 წელს სამეგრელოში გლეხთა აჯანყებამ იფეთქა. ამ დროს სამთავროს მართვა-გამგეობა გარდაცვლილი მთავრის, დავით დადიანის მაუღლეს — ეკატერინე ჭავჭავაძეს ჰქონდა მინდობილი. ამბოხების აღსაკვეთად ეკატერინემ საქართველოს რუსულ ხელისუფლებას მიმართა. სამეგრელოში რუსთა ჯარის დამატებითი ნაწილები შეიყვანეს, მაგრამ ადმინისტრაცია არ ჩქარობდა აჯანყების ჩაქრობას. იგი სამთავროს გაუქმებით უფრო იყო დაინტერესებული, ხოლო შექმნილი ვითარება საამისო საბაბს იძლეოდა.

წესრიგის აღდგენის პირობად მთავრობამ ეკატერინეს სამეგრელოს დატოვება და იქ რუსული მმართველობის შემოღება შესთავაზა. სამეგრელოს დედოფალი სამთავროს დატოვებას არ თანხმდებოდა. ბოლოს იგი დაიმედეს, რომ მის ყრმა მემკვიდრეს, ნიკო დადიანს სრულწლოვანების მიღწევისას მთავრად დასვამდნენ. ეკატერინე საცხოვრებლად პეტერბურგს გაიწვიეს.

1857 წლის 27 სექტემბერს შემოღებულ იქნა სამეგრელოს დროებითი მმართველობა, რომლის ხელმძღვანელობა გენერალ კოლიუბაკინს დაეკისრა. სამთავრო ფაქტობრივად გაუქმდა. 1867

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელს ოფიციალურ მემკვიდრეს მთავრის უფლებებზე ხელი საბოლოოდ ააღებინეს. მეფის მთავრობამ ნიკო დადიანს სანაცვლოდ ერთი მილიონი მანეთი გადაუხადა და უგანათლებულესი თავადის — მინგრელსკის ტიტული მიანიჭა.

უწინდელი სამთავრო ზუგდიდის, სენაკისა და ლეჩხუმის მაზრებად დანაწევრდა და ქუთაისის გუბერნიის გამგებლობაში მოექცა.

სვანეთის ურთიერთმოქიშპე მთავრები სავსებით ვერც რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლამ შეარიგა. შინააშლილობის გამო დადეშქელიანთა ორი შტო სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებოდა ერთმანეთს. კანონიერი მთავრის მემკვიდრე კონსტანტინემ ყირიმის ომის წლებში სძლია მონინააღმდეგე თათარყანის შთამომავალს და მისი მამული შიერთა. ცარიზმი ურჩი მთავრის ასეთ მოქმედებას ერთხანს ურიგდებოდა, მაგრამ მის მეტად გაძლიერებას რუსეთი აღარ დაუშვებდა.

სვანეთში სამეგრელოს, აფხაზეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის მხრიდან სამხედრო შენაერთები შეიყვანეს. ექსპედიციას პოლკოვნიკი უსლარი მეთაურობდა. თავის უდანაშაულობაში დარწმუნებული კონსტანტინე ნებაყოფლობით გამოცხადდა უსლარის ბანაკში. დაპატიმრებული მთავარი ახსნა-განმარტებისათვის ქუთაისის გენერალ-გუბერნატორთან გაგზავნეს, საიდანაც, მეფისნაცვლის განკარგულებით, ერევანს უნდა გადაესახლებინათ.

გუბერნატორმა გაგარინმა კონსტანტინეს ოჯახთან გამოთხოვების საშუალება არ მისცა და იარაღის აყრა დაუპირა. ამაყმა მთავარმა მოძალადე გუბერნატორი სიცოცხლეს გამოასალმა, გაგარინის ორი მოხელეც ხანჯლით განგმირა და მიიმალა. კონსტანტინე მალე შეიპყრეს და საველე სასამართლოს გადაწყვეტილებით სიკვდილით დასაჯეს.

1857 წელს სვანეთის სამთავროს დამოუკიდებლობას ბოლო მოელო. ორი წლის შემდეგ მთავრის უფლებებზე უარი ათქმევინეს დადეშქელიანთა მეორე სახლის წარმომადგენელს თენგიზსაც. ბალსქვემო სვანეთში რუსული მმართველობა დამყარდა.

მეფის მთავრობა ცდილობდა, „მფარველობის“ შეთავაზებით ხელთ ეგდო თავისუფალი სვანეთიც, რომელიც 11 თემს აერთიანებდა. აქაური მკვიდრნი არაერთხელ დააფიცეს რუსთ ხელმწიფის

ერთგულებაზე, დაწესებულ იქნა დროებითი ადმინისტრაციაც, მაგრამ მოსახლეობა მტკიცედ იცავდა თავისუფლებას, არ ცნობდა რუსულ ხელისუფლებას და განაგრძობდა მამა-პაპური ადათით ცხოვრებას. სვანეთის ეს ნაწილი რუსთა მფლობელობაში მხოლოდ 1858 წლიდან შევიდა, როდესაც იგი დანარჩენ სვანეთთან ერთად საბოქაულოდ გარდაქმნეს (ცენტრით სოფელ ბეჩოში) და რაჭის მაზრაში გააერთიანეს.

მეფის მთავრობას განზრახული ჰქონდა, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდინარე ყუბანის შესართავიდან ენგურამდე რუსი კაზაკობა ჩაესახლებინა, მაგრამ გეგმის განხორციელებას კარგა ხანს ვერ ახერხებდა. ამ სივრცეზე ოსმალეთის გავლენა და კავკასიის მთიანეთის საპირისპიროდ აფხაზეთის მთავრის კეთილინგანწყობის საჭიროება ცარიზმს აიძულებდა, დროებით უარი ეთქვა თავის მისწრაფებაზე.

ყირიმის ომის მსვლელობისას რუსეთის ქვეშევრდომ მთავარ მიხეილ შარვაშიძეს, რომელიც 1823 წლიდან განაგებდა აფხაზეთს, სახელმწიფო ღალატი დაბრალდა. მეფისნაცვალმა მურავიოვმა ეს გარემოება სამთავროს ავტონომიურობის წინააღმდეგ მოქმედებისათვის გამოიყენა და მისი გაუქმება დააპირა, მაგრამ იმპერატორმა დასავლეთ კავკასიის მთიელთა საბოლოო დაპყრობამდე თავშეკავება ამჯობინა.

1864 წლის გაზაფხულზე, როცა ცარიზმმა წარმატებით დაასრულა ჩრდილოეთ და დასავლეთ კავკასიის მთიელი ხალხების დასამორჩილებლად წარმოებული ხანგრძლივი ომი, აფხაზეთის სამთავროს ჯერიც დადგა. ავადმყოფმა მთავარმა სცადა, მემკვიდრე გიორგი თავისავე სიცოცხლეში გაემთავრებინა, მაგრამ ხელისუფლებისაგან გადაჭრით უარი მიიღო. მეტიც, 1864 წლის ივნისში გამოქვეყნდა ბრძანებულება აფხაზეთის სამთავროს გაუქმებისა და ამ მხარეში რუსული „დროებითი სახალხო მმართველობის" შემოღების შესახებ. მიხეილ შარვაშიძემ ურჩობა ვერ გაბედა და საიმპერიო ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება საკუთარ ხალხს თვითონვე გააცნო.

სამკვიდრონართმეულ მთავარს სამშობლოში დარჩენის ნებაც აღარ მისცეს და 1864 წლის ნოემბერში საქართველოდან გაასახლეს. აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი ერთი წლის შემდეგ ქ. ვორონეჟში გარდაიცვალა. 1866 წელს აფხაზეთში უკმაყოფილების

მძლავრი ტალღა აზვირთდა და ამბოხებაში გადაიზარდა. აჯანყებულმა მოსახლეობამ გიორგი მთავრად გამოაცხადა და ეროვნული ბიბლიოთეკა ლება შეჰფიცა. მეფის მთავრობამ შეძლო აჯანყების ჩახშობა. გიორგი შარვაშიძე შეიპყრეს და რუსეთს გადაასახლეს. აფხაზეთის სამთავროს ნაცვლად შეიქმნა სოხუმის ოკრუგი, რომელიც ქუთაისის გუბერნიას დაექვემდებარა.

აფხაზეთში რუსული მმართველობის დამყარებით ცარიზმა ფაქტობრივად დაასრულა, როგორც საქართველოს, ისე კავკასიის პოლიტიკური დაპყრობა.

ბატონყმობის გაუქმება საქართველოში

ბატონყმობასა და სათავადო სისტემაზე დაფუძნებული ქართული ფეოდალური ურთიერთობა რუსულისაგან განსხვავებული იყო. XIX საუკუნის 40—50-იან წლებისათვის თვითმპყრობელობამ შეძლო მისი არსებითი ნიველირება და იმპერიულ ბატონყმურ სტრუქტურასთან შერწყმა. საქართველოს ადგილობრივ ადმინისტრაციას გლეხობის მემამულეთა მორჩილებაში მოქცევა დაევალა და საამისოდ სამხედრო ეგზეკუციების ნებაც დაერთო. ქართველ თავადაზნაურობას, მსგავსად რუსი თავადაზნაურობისა, თავიანთი ყმა გლეხების ჯარში გამწესების ან ციმბირში გადასახლების უფლება მიეცა.

გლეხთა მდგომარეობას მნიშვნელოვნად აუარესებდა ფულადსასაქონლო ურთიერთობათა განვითარებაც. მებეგრეს, ტრადიციულ ვალდებულებებთან ერთად, მებატონისა თუ ხაზინისათვის მუდმივად მზარდი ფულადი გადასახადებიც უნდა ეხადა. სოციალური ექსპლუატაციის სიმძიმეს ეროვნული ჩაგვრა ემატებოდა და ამძაფრებდა.

ყოველივე ამის საპასუხოდ, გახშირდა კონკრეტულ გამოსაღებსა და ბეგარა-გადასახადებზე უარის თქმა, აყრა-გაქცევა, ცალკეულ მემამულეთა მკვლელობა თუ სხვა, რომლებიც ფართო სახალხო მოძრაობაში გადაიზარდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აღინიშნა პროტესტის უკიდურესი გამოვლინება —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეიარაღებული აჯანყებაც ათეულ ათასობით გლეხის მონაწილეობით.

ბატონყმური უსამართლობის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა მოწინავე ქართველმა ინტელიგენციამ: რაფიელ ერისთავმა, ანტონ ფურცელაძემ, დანიელ ჭონქაძემ, ილია ჭავჭავაძემ, თერგდალეულთა სხვა წარმომადგენლებმა. მათ თავიანთ მხატვრულ თუ პუბლიცისტურ ნააზრევში ამხილეს სოციალური უთანასწორობის მანკიერებანი, მოგვცეს დახავსებული წყობილების ულმობელი კრიტიკა და სათავე დაუდეს ანტიბატონყმური იდეოლოგიის ჩამოყალიბებას.

ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობას თითქმის მთელ რუსეთში ღრმა კრიზისი დაუდგა, რაც მკაფიოდ და ნათლად ყირიმის ომში გამოვლინდა. თვითმპყრობელობა იძულებული გახდა, სერიოზულად დაფიქრებულიყო ამ დრომოჭმული სისტემის გარდაქმნაზე.

1861 წლის 19 თებერვალს ალექსანდრე II-მ ხელი მოაწერა მანიფესტს რუსეთში ბატონყმობის გაუქმების შესახებ. გატარებული რეფორმის ძალით გლეხი იურიდიულად თავისუფალი გახდა, იგი ყმობისაგან განთავისუფლდა, თუმცა მიწა კვლავ ძველი პატრონის საკუთრებად დარჩა.

ყოფილ ყმებს მემკვიდრეობითი სარგებლობისათვის მიწის განსაზღვრული ნორმა გამოეყოთ, რომელსაც ნადელი ეწოდა. გლეხს ამ ნადელის შესყიდვის უფლებაც მიეცა, მაგრამ თანხის საბოლოოდ გადახდამდე იგი დროებითვალდებულად ითვლებოდა და რეფორმამდელი გადასახადებით იბეგრებოდა. გლეხთა იმ ნაწილს, რომელიც ნადელზე მეტ ფართობს ფლობდა, მიწა მემამულეთა სასარგებლოდ ჩამოეჭრა.

ბატონყმობის გაუქმება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ იგი ქართულ სინამდვილეს არ შეხებია. საგლეხო რეფორმის გატარება განაპირა მხარეებში მთავრობამ მეტროპოლიაში მისი განხორციელების შემდეგ დააპირა.

ქართული ფეოდალური არისტოკრატია მოწონებით როდი შეხვდა საიმპერიო ხელისუფლების ამ განზრახვას. მან მომავალი რეფორმა უსამართლო, „დიდად სამწუხარო“ საქმედ მიიჩნია, რადგან გლეხთა განთავისუფლება საკუთარი კეთილდღეობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელყოფად აღიქვა, მაგრამ, როცა ბატონყმობის გაუქმების აუცილებლობაში დარწმუნდა, სცადა, ეს გარემოება თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა.

დიმიტრი ყიფიანი

თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა ყრილობამ საგლეხო რეფორმის პროექტის მომზადება ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, დიმიტრი ყიფიანს დაავალა. მიწისმფლობელთა აზრის მაქსიმალურად გათვალისწინების მიზნით დ. ყიფიანმა შეადგინა სათანადო კითხვარი, რომელზეც 240 მემამულის პასუხი მიიღო. გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა მხარს უჭერდა გლეხთა უმიწოდ განთავისუფლებას, ხოლო გაღებული მსხვერპლის სანაცვლოდ სახელმწიფოსაგან მაღალ კომპენსაციას მოითხოვდა. აღნიშნული მოსაზრება საფუძვლად დაედო ე. წ „უმრავლესობის" პროექტს, რომლის თანახმად, ყმებს პირადი თავისუფლება ენიჭებოდათ, გლეხი ხიზნის მდგომარეობაში გადადიოდა, მიწა კი, ძველებურად, მებატონის საკუთრებაში უნდა დარჩენილყო.

ასეთივე კონსერვატიული იყო ე. წ. „უმცირესობის" პროექტი, რომელიც 14-მა ქართველმა მემამულემ ადმინისტრაციას დამოუკიდებლად წარუდგინა. ხსენებულ პროექტებს ის განასხვავებდა, რომ უმცირესობა აღიარებდა ყმობიდან განთავისუფლებული გლეხის საკუთრებას საცხოვრებელ სახლზე, სამეურნეო ნაგებობებზე, შინაურ საქონელსა და უძრავი ქონების ნაწილზე.

ორიგინალური აზრი გამოთქვა გორელმა თავადმა კონსტანტინე მამაცაშვილმა. მან გლეხობისათვის თავისუფლების გარდა იმ მამულების საკუთრებად დამტკიცებაც მოითხოვა, რომლებსაც ყმები ფაქტობრივად ფლობდნენ ბატონყმობის გაუქმებამდე. ასაბუთებდა, თუ ასე არ მოხდება, ხელს შევუწყობთ პროლეტარული ელემენტების გაჩენას, რაც თავის მხრივ საფრთხეს შეუქმნის წესრიგსა და მშვიდობიანობასო.

აგრარული საკითხის სამართლიანად გადაწყვეტის გზაზე მიუთითა ილია ჭავჭავაძემ. მან დაგმო გლეხთათვის ნადელის ჩამოჭრის პრაქტიკა და დროებითვალდებულების დაწესება. მოითხოვა ყმების მიწიანად განთავისუფლება და ყოველგვარ პირობათა გაუქმება, რაც ნაბატონარსა და ნაყმევს იძულებით ერთმანეთთან აკავშირებდა.

ხელისუფლებამ ქართველ თავადაზნაურთა ყველა პროექტი დაიწუნა და უარყო. მთავრობამ მისაღებად მიიჩნია და დაამტკიცა ამიერკავკასიის ცენტრალურ საგლეხო კომიტეტში შემუშავებული პროექტი, რომელიც არსებითად რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში განხორციელებული რეფორმის დებულებებს იმეორებდა.

1864 წლის 13 ოქტომბერს გამოქვეყნდა უმაღლესი ბრძანება თბილისის გუბერნიაში გლეხთა ყმობიდან განთავისუფლების შესახებ. ქუთაისის გუბერნიაში (იმერეთი, რაჭა, გურია) ბატონყმობა 1865 წელს გაუქმდა. საგლეხო რეფორმა სამეგრელოში 1866, აფხაზეთში 1870, ხოლო სვანეთში 1871 წელს იქნა გატარებული. არაქართველი ეთნოსით (აზერბაიჯანლები, სომხები) დასახლებულ აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებს აგრარული ცვლილება XIX საუკუნის 70-იანი წლებისათვის შეეხო.

დებულებით, გლეხს მიწა მიეცა არა საკუთრებად, არამედ „მუდმივ სარგებლობაში". ყმადყოფილს მხოლოდ მემამულის თანხმობის შემთხვევაში შეეძლო მისთვის გამოყოფილი ნადელი სრულ საკუთრებაში შეესყიდა და დროებითვალდებულის ნაცვლად მესაკუთრე გამხდარიყო.

რუსეთისაგან განსხვავებით, საქართველოში გაცილებით დაბალი ნადელი დაწესდა, მისი ზომა საშუალოდ 3,4 დესეტინით განისაზღვრა. რეფორმამ ქართველ გლეხს უფრო მეტი ნაართვა — ჩამოაჭრა, ვიდრე შესძინა. მით უფრო, რომ წვრილი მებატონეები (თბილისის გუბერნიაში 30 დესეტინაზე, ხოლო დასავლეთ საქართველოში 11 დესეტინაზე ნაკლები მიწისმფლობელნი) საზოგადოდ განთავისუფლდნენ გლეხებისათვის ნადელის მიცემისაგან. ყმობიდან თავდახსნილ გლეხს პირად სარგებლობაში არ მისცეს არც ტყე, არც სათიბი და საძოვარი, რისთვისაც კვლავაც მძიმე გადასახადი უნდა ეხადა.

საერთოდ მიწის ნაკვეთის გარეშე დარჩნენ ის გლეხები, რომლებიც მას რეფორმამდეც მოკლებულნი იყვნენ. საგლეხო

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეფორმას არაფერი შეუცვლია მრავალრიცხოვანი შინაყმებისა, ხიზნებისა და სახაზინო გლეხთა ცხოვრებაშიც.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ძალზე გაჭიანურდა დროებითვალდებულება. მართალია, 1912 წლის კანონით იგი ფორმალურად გაუქმდა, მაგრამ ფაქტობრივად თვითმპყრობელობის დამხობამდე ძალაში დარჩა.

საგლეხო რეფორმა გარკვეული თავისებურებებით გატარდა აფხაზეთსა და სვანეთში. აფხაზეთში დროებითვალდებულება მხოლოდ 4 წლით განისაზღვრა, რის შემდეგაც გლეხი თავისუფალი მოსახლე ხდებოდა. ამასთან, მიწის განსაზღვრული ოდენობა, ოჯახის სულადობის გათვალისწინებით, გლეხს სრულ საკუთრებაში გადაეცემოდა. სვანი გლეხი რეფორმისთანავე, დროებითვალდებულების გაუვლელად, მესაკუთრეთა კატეგორიაში გადადიოდა. მასაც საკარმიდამო, სახნავ-სათესი თუ სათიბი სრულ საკუთრებაში უმტკიცდებოდა, ოღონდ ნადელი აქ ერთობ მცირე იყო და 4 ქცევას (1, 6 ჰა) არ აღემატებოდა. სვანეთის თავადებს ხაზინამ ორმაგი კომპენსაცია გდაუხადა, ყოველ განთავისუფლებულ გლეხში მათ 50—50 მანეთი ერგოთ.

ბატონყმობის გაუქმებას რუსეთის იმპერიაში ფეოდალური მიწისმფლობელობა დიდად არ შეუცვლია. რეფორმა საქართველოშიც მემამულეთა ინტერესების შესაბამისად განხორციელდა. ყმა გლეხმა პირადი თავისუფლება მიიღო, მაგრამ მისი ეკონომიკური მდგომარეობა არათუ გაუმჯობესდა, არამედ საგრძნობლად გაუარესდა კიდევაც. ამიტომ მიიჩნევდა ნიკო ნიკოლაძე, რომ რეფორმა „მძარცველობისა და ყაჩაღობის, სიყალბისა და დანაშაულის დაკანონება“ იყო.

ეს სწორი და სამართლიანი შეფასებაა, თუმცა აუცილებელია ითქვას, რომ საგლეხო რეფორმას მოჰყვა დადებითი შედეგებიც: ბატონყმობის გაუქმებამ ხელი შეუწყო ახალი, ბურჟუაზიული ურთიერთობის დამკვიდრებას, ბიძგი მისცა და დააჩქარა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრესული პროცესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგლეხო რეფორმის შემდეგ ცარიზმმა რუსეთში სხვა ბურჟუაზიული გარდაქმნებიც განახორციელა, მათ შორის საერობო, სასამართლო, სასოფლო თუ საქალაქო მმართველობის, სამხედრო, საფინანსო და სხვა სფეროში. განაპირა მხარეებში, კერძოდ საქართველოში ხელისუფლებამ თავი შეიკავა ზოგიერთი რეფორმის გატარებისაგან და მიზეზად მკვიდრი მოსახლეობის მოუმზადებლობა დაასახელა. სინამდვილეში, მეფის მთავრობას არ სურდა შეეზღუდა ადგილობრივი რუსული ადმინისტრაცია, გასაქანი მიეცა „ინოროდცების" საზოგადოებრივ ენერგიისათვის და მართვის თუნდაც უმნიშვნელო ბერკეტი არარუსთათვის დაეთმო.

უსახელმწიფო ერის ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ერობის შემოღებას. საერობო რეფორმა მიზნად ისახავდა წარმომადგენლობითი ორგანოების ჩამოყალიბებას მაზრებისა და გუბერნიების მასშტაბით სამეურნეო საქმეების გასაძღოლად. ადგილობრივი მმართველობის ამ დაწესებულებებში მონაწილეობა ხალხში მიძინებულ სახელმწიფოებრივ გრძნობებს გააღვივებდა, ადამიანთა მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას აამაღლებდა, ხელს შეუწყობდა მათი საზოგადოებრივი ინიციატივის გააქტიურებასა და სხვა. ამიტომაც ხედავდა ერობაში ილია ჭავჭავაძე „სიკეთის ღონეს" და პროგრესულ ქართველ მოღვაწეებთან ერთად მონდომებით იბრძოდა, რომ ერობის ინსტიტუტი ჩვენშიაც დამკვიდრებულიყო. ნიკო ნიკოლაძე წინადადებას აყენებდა, 1871 წელს თბილისში სტუმრად ჩამოსულ ალექსანდრე II-ისათვის საქართველოში ერობის შემოღება ეთხოვათ. იგი წერდა: „ერობის ყველაზე უძვირფასესი ღირსება ის არის, რომ ჩვენ საკუთარ საქმეს ჩვენვე გვავლევინებს, ჩვენ პატრონად ჩვენვე გვხდის და ეს გარემოება... გვამაღლებს კაცების ხარისხზე, ადამიანის ღირსებას გვაძლევს და გვაჩვევს უმჯობეს, კაცურ ცხოვრებას."

მეფის ხელისუფლებამ ანგარიში არ გაუწია ქართველთა სამართლიან მოთხოვნას და საქართველო ერობის გარეშე დატოვა.

სასოფლო მმართველობის რეფორმა. ბატონყმობის გაუქმებას რუსეთში სასოფლო მმართველობის სისტემის ძირეული

ცვლილება მოჰყვა. 1865 წლიდან საქართველოშიც ჩამოყალიბდა და დაიწყო სოფლის ადგილობრივი გამგებლობის ორგანოებმა, რომელთაც საზოგადოებრივი მმართველობა ეწოდებოდა. მათ კომპეტენციაში შედიოდა სოფლის როგორც სამეურნეო, ისე ადმინისტრაციული საქმეების მართვა, ბეგარა-გადასახადების აკრეფა, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე ზრუნვა და სხვ.

ახალ დაწესებულებებს მხოლოდ გლეხთა წოდება ექვემდებარებოდა, სოფლის მცხოვრებთა დანარჩენ ნაწილზე მისი ხელმძღვანელობა არ ვრცელდებოდა.

საზოგადოებრივი მმართველობის უმაღლესი განმკარგულებელი ორგანო სოფლის ყრილობა იყო, ხოლო აღმასრულებელი ფუნქცია 3 წლის ვადით არჩეულ მამასახლისებს და მათ მოადგილე — ნაცვლებს ეკისრებოდათ. სოფლის კანცელარიას მწერალი განაგებდა, სახაზინო გადასხადებს სპეციალური მოხელე — გზირი კრეფდა. მართლმსაჯულების საწარმოებლად არჩევნების გზით საგლეხო სასამართლოები ყალიბდებოდა. არჩევნების შედეგები გუბერნატორს უნდა დაემტკიცებინა. მასვე უფლება ჰქონდა, გადაეყენებინა მამასახლისი გლეხთა ყრილობის დაუკითხავად, რაც თვითმმართველობის პრინციპს ერთობ ლახავდა. სოფლის მამასახლისზე დიდ გავლენას ინარჩუნებდნენ აგრეთვე მაზრის უფროსები.

საზოგადოებრივი მმართველობის მთელი ხარჯები გლეხობას უნდა გაეღო, რაც განსაკუთრებით ღარიბ სოფლებში დიდი სიძნელეს ჰქმნიდა.

80-იანი წლებიდან დაიწყო საზოგადოებრივი მმართველობის გამსხვილების პროცესი. თითოეული მმართველობა ახლა უკვე 15-იდან 20-მდე სოფელს აერთიანებდა. ასეთ პირობებში გლეხთა ყრილობების მოწვევა ადვილი არ იყო, ამიტომ მთელი საქმიანობა მინდობილი აღმოჩნდა მამასახლისებზე, რომელთა დიდი ნაწილი მხოლოდ მთავრობისა და მოსახლეობის ზედაფენის სამსახურში იდგა.

მიუხედავად ხარვეზებისა, სოფლის მმართველობის ახალ სისტემას დადებითი შედეგები მოჰყვა. ბევრგან გაიხსნა დაწყებითი სასწავლებელი, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, აფთიაქი, გაყვანილ იქნა ან შეკეთდა სასოფლო გზები, ხიდები, ბოგირები და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოფლო მმართველობამ ხელი შეუწყო სოფლის მოსახლეობის საზოგადოებრივ აქტიურობას და სამოქალაქო კულტურის აღმავლობას, ინიციატივიანი და საქმიანი ადამიანების წარმოჩენას.

სასამართლო რეფორმა. მონინავე, დასავლური ქვეყნებისაგან განსხვავებით, რუსეთის სასამართლო XIX საუკუნის 60-იანი წლებისათვისაც კი წოდებრივ დაწესებულებას წარმოადგენდა. მართლმსაჯულება მთლიანად მთავრობასა და პოლიციაზე იყო დამოკიდებული. მოსამართლეებს მხოლოდ ადმინისტრაცია ნიშნავდა, ხოლო გამოძიება პოლიციის პრეროგატივას შეადგენდა.

1864 წელს ალექსანდრე II-ემ დაამტკიცა ახალი, ბურჟუაზიულ პრინციპებზე დაფუძნებული სასამართლო წესდება, რომლითაც მართლმსაჯულების ორგანოებს გარკვეული დამოუკიდებლობა მიეცა. წოდებრივი სასამართლო გაუქმდა და ჩამოყალიბდა ყველა ფენისათვის საერთო სასამართლო დაწესებულებანი. შემოღებულ იქნა მოსამართლეთა და ნაფიც მსაჯულთა არჩევითობა. პოლიცია საგამოძიებო საქმეს არსებითად ჩამოაშორეს. სასამართლო პროცესმა ღია და საჯარო ხასიათი შეიძინა. დაწესდა მხარეთა პაექრობა. ბრალდებას პროკურორი ასაბუთებდა, ბრალდებულს ადვოკატი იცავდა. მნიშვნელოვნად შემცირდა სასამართლო ინსტანციათა რიცხვი და სხვ. ეს იყო ყველაზე დემოკრატიული და თანმიმდევრული რეფორმა, თუმცა იგი საქართველოში შეკვეცილი სახით გატარდა და ძალაში 1868 წლიდან შევიდა.

მართლმსაჯულება საქართველოში რეფორმის შემდეგაც ადმინისტრაციის გამგებლობაში დარჩა. გაუქმებული წოდებრივი სასამართლოების ნაცვლად, მაზრებში მომრიგებელი, ხოლო გუბერნიებში საოლქო სასამართლო დაწესებულებანი შეიქმნა. მხარის უმაღლესი სასამართლო ინსტანციის ფუნქცია თბილისის სასამართლო პალატას დაეკისრა. მისი გადაწყვეტილებების გასაჩივრება მხოლოდ პეტერბურგში არსებულ სენატში შეიძლებოდა.

საქართველოში არ შემოუღიათ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი და არც მოსამართლეთა არჩევითობის პრინციპი. აქ მოსამართლე უწინდებურად მთავრობის მიერ დანიშნული ჩინოვნიკი იყო, რომელიც ხელისუფლების ნებას ვერ გადალახვდა. რეფორმირებულ სასამართლოში საქმის წარმოება კვლავაც მოსახლეობისათ-

ვის უცხო და გაუგებარ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. გამონაკ-
ლისს წარმოადგენდა დაბალი ინსტანცია — მომრიგებელი
განყოფილებანი, რომლებშიც შეიძლებოდა უბრალო საქმის
ქართულ ენაზე განხილვა, თუმცა მომრიგებელ მოსამართლეთა
კომპეტენცია ისედაც შეზღუდული იყო. აღსანიშნავია, რომ
მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობა ერთხანს დუშეთში
ილია ჭავჭავაძეს, ხოლო რაჭის მაზრაში კიტა აბაშიძეს ეკავათ.

პროგრესული ქართული საზოგადოებრიობა მოითხოვდა
სასამართლოს გაქართულებას და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის
შემოღებას, მაგრამ უშედეგოდ.

საქალაქო მმართველობის რეფორმა. რეფორმამდელ
პერიოდში საქართველოს ქალაქებს ძირითადად პოლიცია განაგებ-
და. 1841 წლიდან თბილისისათვის გამონაკლისი დაუშვეს, —
ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი მმართველობა, თუმცა არჩეული
ექვსხმოსნიანი სათათბირო ძველებურად ადმინისტრაციის
კონტროლს ექვემდებარებოდა. ქალაქის შემოსავლების დიდი
ნაწილი ასევე ჯარისა და პოლიციის საჭიროებას ხმარდებოდა.

1865 წლის ამქართა ცნობილი აჯანყების შემდეგ ხელისუფლე-
ბამ შეცვალა თბილისის მართვა-გამგეობის მოქმედი წესი.
განხორციელებული ნაწილობრივი რეფორმით, მოსახლეობის
შეძლებულ ფენებს უფლება მიეცათ, აერჩიათ ასი კაცისაგან
შემდგარი საქალაქო კრება ქალაქის თავის წინამძღოლობით.
ახლად ფეხადგმული, მაგრამ ეკონომიკურად მოღონიერებული
ბურჟუაზია მოითხოვდა თვითმმართველობის გაფართოებას და
მის გავრცელებას სხვა ქალაქებზეც.

1870 წელს იმპერატორმა ხელი მოაწერა საქალაქო მმართვე-
ლობის ახალ დებულებას, რომლის საფუძველზე, იმპერიის დიდ
და საშუალო ქალაქებს თვითმმართველობა მიენიჭა. საქალაქო
მმართველობის ორგანოს წარმოადგენდა სათათბირო. ხმოსანთა
(დეპუტატთა) არჩევნებში მონაწილეობა გადასახადის გადამხდელ
ქალაქის ყველა მკვიდრს შეეძლო. წოდებრივი საარჩევნო სისტემა
გაუქმდა, მაგრამ ძალაში დარჩა ქონებრივი ცენზი, რომელსაც ხმის
მიცემისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

საქალაქო რეფორმა საქართველოში 1874 წლიდან დაიწყო და
პირველად თბილისში გატარდა. არჩევნების შედეგად დაკომპლექ-
ტებულ სათათბიროში 75 ხმოსანი შედიოდა. მათ მუშაობას უძღვე-

ბოდა გამგეობა ქალაქის თავის თავმჯდომარეობით. თვითმმართველობის უმთავრეს ფუნქციას კომუნალური მეურნეობის მოწესრიგება, გადასახადების აკრეფა, ქალაქის გარეგნულ იერსახეზე ზრუნვა, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის ხელშეწყობა, განათლების კერებისა და სამკურნალო დაწესებულებათა გახსნა და სხვ. შეადგენდა.

1875-1876 წლებში საქალაქო თვითმმართველობის ორგანოები არჩეულ იქნა ქუთაისში, გორსა და ახალციხეში, 1882 წელს — ფოთში, 1888 წელს კი ბათუმში. უფრო გვიან შეზღუდული თვითმმართველობა მოიპოვეს თელავმა, სიღნაღმა, დუშეთმა, ახალქალაქმა, ოზურგეთმა და სოხუმმა.

თვითმმართველობანი თავისუფალნი არ ყოფილან სახელმწიფო აპარატის თვითნებობისაგან. მათ საქმიანობაში ხშირად ერეოდნენ გუბერნატორები და სხვა მოხელენი, მაგრამ ქალაქების სათათბიროებმა მნიშვნელოვნად გააფართოვეს პროგრესულ საზოგადოებრივ ძალთა მოღვაწეობის ასპარეზი. უნარიანმა და საქმის მცოდნე ქალაქის თავებმა (მაგალითად, დიმიტრი ყიფიანმა თბილისში, ნიკო ნიკოლაძემ ფოთში) საბიუჯეტო თუ მოზიდული სახსრების გონივრული გამოყენებით ბევრი გააკეთეს ქალაქების კეთილმოწყობის, მცხოვრებთა საყოფაცხოვრებო და სხვა პირობების გასაუმჯობესებლად. განსაკუთრებული აღმავლობა განიცადა ფოთმა, რომელიც ნიკო ნიკოლაძემ ევროპული ტიპის საპორტო ქალაქად აქცია.

საგლეხო რეფორმა და მომდევნო გარდაქმნები, თავიანთი შეზღუდულობის მიუხედავად, ხელსაყრელ ნიადაგს ჰქმნიდნენ საქართველოს ბურჟუაზიული განვითარებისათვის. რეფორმებმა საგრძნობლად დააჩქარეს ერის წინსვლა პროგრესის გზით.

ეროვნული მოძრაობის ახალი ეტაპი. თერგდალეულები

XIX საუკუნის დამდეგიდან საქართველოში აღმოცენებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც სახალხო მღელვარებებსა და აჯანყებებში გამოიხატა, არც შემდგომ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხანებში შეწყვეტილა. განსაკუთრებული აღმავლობა ამ მოვლენამ 60-იანი წლების დასაწყისიდან ჰპოვა, როცა საზოგადოებრივ ასპარეზზე ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოსაგრეები გამოვიდნენ. მოღვაწეთა ეს თაობა ქართულ საისტორიო მეცნიერებაში „თერგდალეულთა" ან „სამოციანელთა" სახელწოდებითაა ცნობილი. თერგდალეულების ძირითადი ბირთვი ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, კირილე ლორთქიფანიძემ, ნიკო ნიკოლაძემ, იაკობ გოგებაშვილმა და სხვებმა შადგინეს, რომლებიც უმაღლეს განათლებას თერგს მიღმა — რუსეთში დაეუფლნენ და საქართველოში მამულის ერთგული სამსახურის იდეით შეკავშირებულნი დაბრუნდნენ. მოგვიანებით მათ ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები სერგეი მესხი, ვაჟა-ფშაველა, ივანე მაჩაბელი, ალექსანდრე ყაზბეგი და სხვ. შეუერთდნენ.

ილია ჭავჭავაძე

თერგდალეულობა არ ყოფილა განსაზღვრული წესდებისა თუ პროგრამის საფუძველზე ჩამოყალიბებული პოლიტიკური გაერთიანება. ის იყო იდეურ-საზოგადოებრივი მიმდინარეობა, რომლის წევრებს სამშობლოს სიყვარული, ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის წყურვილი და მისწრაფება აახლოვებდათ. მომავალი მოღვაწენი ამ სულისკვეთებით ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლისას განიმსჭვალნენ.

თვითმპყრობელობის კოლონიური უღლისაგან ქართველი ერის გამოხსნის, საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის თერგდალულთა გეგმა-პროგრამა ილია ჭავჭავაძემ შეიმუშავა.

ილია სტუდენტობის წლებში საფუძვლიანად გაეცნო მსოფლიო ისტორიასა და ლიტერატურას, ეზიარა განმათავისუფლებელი ბრძოლის რუსულ და დასავლურ გამოცდილებას, შეისწავლა მშობლიური ქვეყნის პოლიტიკურ-კულტურული წარსული და სხვა. ეს დიდი მემკვიდრეობა მწერალმა „კრიტიკის ცეცხლში გამოაფო-

ლადა“, ეროვნულ პრიზმაში გარდატეხა და შემოქმედებითად აითვისა. ასე შეიძინა მან სამშობლოს სამსახურისათვის საჭირო ცოდნა, და ისე, რომ უნივერსიტეტი არ დაუსრულებია, 1861 წელს საქართველოს მოაშურა.

ეს იყო დრო, როდესაც იტალიაში, პოლონეთში, უკრაინასა და სხვაგან ძალუმად აზვირთდა განმათავისუფლებელი ბრძოლის ტალღები. რუსეთის თვითმპყრობელურ რეჟიმს დაუპირისპირდნენ რევოლუციონერ-დემოკრატები და სხვ. საქართველოც ამ ფერხულში უნდა ჩაბმულიყო და შეერთებოდა საერთო აღმავლობას. მაგრამ, როგორ უნდა მოხერხებულიყო ეს კონფორმიზმის ჭაობში ჩაფლულ, „კუთხე-პროვინციებად“ დანაწევრებულ ქვეყანაში, რომელსაც დედო ძარღვი გასწყვეტოდა, ცნებებს „მამული“ და „მამულიშვილობა“ თავდაპირველი არსი დაეკარგათ, ხოლო პატრიოტული სულისკვეთება უნუგეშოდ მინავლულიყო?

თერგდალეულებმა მონახეს სწორი და გონივრული მოქმედების გზა. უცხოეთში მიმდინარე ფართო დემოკრატიული მოძრაობა მათ ჩვენში ეროვნულ ნიადაგზე დააფუძნეს და საქართველოს სატკივარს მიუსადაგეს. ეს სატკივარი სპეციფიკური იყო, რომელსაც სახელმწიფოებადაკარგული მცირერიცხოვანი ერის კოლონიური მდგომარეობა განაპირობებდა. ცარიზმის ტყვეობიდან საქართველოს თავდახსნა ერთბაშად შეუძლებელი იყო. მის მისაღწევად ერს სათანადო შემზადება, კარგად გათვლილი, გონივრული და წინდახედული პოლიტიკა ესაჭიროებოდა. ამიტომ ილია ჭავჭავაძემ ქართველ ხალხს პირდაპირ აჯანყება-შეთქმულებისაკენ კი არ მოუწოდა, არამედ უპირველესად ეროვნული თვითშეგნების გამოცოცხლების, დაცემული ვინაობის აღდგენის, დახავსებულ სინამდვილესთან დასაპირისპირებლად განათლების შეძენის ამოცანა დაუსახა, რათა ამ გზით ღვთაებრივი ტრიადის — მამულის, ენისა და სარწმუნოების დაცვა უზრუნველეყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიზანი ილიას ლაკონურად გამოთქვა — „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“, რაც საქართველოს თავისუფლებასა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას გულისხმობდა.

სამოციანელებს მთელი რიგი წინააღმდეგობების დაძლევა დასჭირდათ, ვიდრე ქართველი ხალხი მათ ეროვნულ იდეოლოგიას

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეითვისებდა, თერგდალეულებს ერის წინამძღოლ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალად აღიარებდა და მის კვალს გაჰყვებოდა.

ილია ჭავჭავაძისა და მის თანამებრძოლთა სამშობლოში დაბრუნების ჟამს საქართველოში ერთადერთი ბეჭდური ორგანო, ჟურნალი "ცისკარი" გამოდიოდა. მის გარშემო შემოკრებილი ადამიანები კონსერვატიულად იყვნენ განწყობილნი და უნდობლად უცქერდნენ საზოგადოებრივი აზრის ყოველგვარ სიახლეს. ჟურნალის თემატიკა დიდად ჩამორჩებოდა ცხოვრების მდინარეობას, პუბლიკაციების რთული და მოძველებული ენა კი ხალხისათვის გაუგებარი რჩებოდა.

თერგდალეულებს მიაჩნდათ, რომ ენა ბურჯია ეროვნებისა, მისი სიწმინდისათვის ბრძოლა იმავდროულად ეროვნული თვითმყოფადობისათვის ბრძოლაა, ხოლო ენის განახლება დროის გადაუდებელი მოთხოვნაა. სწორედ ენისა და ლიტერატურის საკითხებზე ილია ჭავჭავაძის მიერ წამოწყებული კამათი „ცისკრის" კონსერვატიულ ბანაკთან გადაიზარდა ძველი და ახალი თაობის წინააღმდეგობაში, რომელიც „მამათა და შვილთა" ბრძოლის სახელით შემორჩა ჩვენს ისტორიას. „მამებსა" და „შვილებს" შორის პოლემიკა შორს გასცდა ენობრივ ფარგლებს და არსებითად ორი თაობის იდეურ-მსოფლმხედველობრივ დაპირისპირებად მოგვევლინა.

ამ დავაში ნათლად წარმოჩნდა, რომ „ცისკრის" მესვეურთა იდეოლოგიას დრო მოეჭამა, იგი აღარ შეეფერებოდა ახალ დინამიურ ეპოქას და საზოგადოების პროგრესულ განვითარებასაც დაბრკოლებად ეღობებოდა. სიმართლე თერგდალეულთა მხარეზე იყო და ბრძოლაც მათი გამარჯვებით დასრულდა.



ქართული ეროვნული იდეოლოგიის პროპაგანდაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ჟურნალ „საქართველოს მოამბეს". ჟურნალი 1863 წლის თებერვალში ილია ჭავჭავაძემ დააარსა და მისივე რედაქტორობით ერთი წლის განმავლობაში ყოველთვი-

ურად გამოდიოდა. ამ გამოცემამ სათავე დაუდო თერგდალეულთა ჟურნალისტიკას, რომელიც 1866 წლიდან განაგრძო „დროებამ“, 1871 წლიდან ჟურნალმა „კრებულმა“ და 1877 წლიდან ილიასეულმა „ივერიამ“.

პერიოდულმა პრესამ გამოაცოცხლა და აამოძრავა საზოგადოებრივი აზრი, ხელი შეუწყო ხალხის გათვითცნობიერებასა და ეროვნულ კონსოლიდაციას. მიუხედავად იმისა, რომ ცენზურა წინ ეღობებოდა და კრძალავდა მართალ სიტყვას, ქართული პრესა თუ პუბლიცისტიკა მაინც იქცა განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ მძლავრ იარაღად.

მეტად მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა ხალხში წიგნიერებისა და განათლების დანერგვა. გელათისა და იყალთოს აკადემიების ქვეყანაში XIX საუკუნის შუახანებისათვის წერა-კითხვის გავრცელების საჭიროება შექმნილიყო. მართალია, არსებობდა რამდენიმე გიმნაზია, პანსიონი, სკოლა თუ სემინარია, მაგრამ მათი აბსოლუტური უმრავლესობა რუსულენოვანი იყო და თვითმპყრობელობის ინტერესებს ემსახურებოდა.

ეროვნული მოძრაობის მესვეურთა ინიციატივით 1879 წელს დაარსებულ იქნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელსაც თავდაპირველად დიმიტრი ყიფიანი, ხოლო 1885 წლიდან ილია ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა. საზოგდოების ძალისხმევით საქართველოს ქალაქებსა და დაბა-სოფლებში გაიხსნა რამდენიმე დაწყებითი სასწავლებელი, მოეწყო ბიბლოთეკა-სამკითხველოები, ტრადიციად დამკვიდრდა სალიტერატურო საღამოებისა თუ საჯარო ლექციების გამართვა და სხვ. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დიდი ღვაწლი დასდო ქართული ფოლკლორული და ნუმიზმატიკური მასალების, ასევე ძველი ხელნაწერი ძეგლების შეკრებასა და მოვლა-პატრონობას, სახელმძღვანელოების, საერთოდ ქართული წიგნის გამოცემასა და პოპულარიზაციას.

ქართული პედაგოგიური აზროვნების განახლება დაკავშირებულია იაკობ გოგებაშვილის სახელთან. მისი საბავშო მოთხრობები, უჭკნობი „დედა ენა,“ „ბუნების კარი“ თუ სხვა სახელმძღვანელოები მოზარდი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას ემსახურებოდა. ეს წიგნები ქართველი ბავშვებისათვის დღემდე დიდ სულიერ საზრდოდ რჩება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თერგდალეულთა ეროვნული პროგრამის განხორციელებაში გამორჩეული წვლილი მიუძღვის ქართულ თეატრს, რომელიც სამოციანელთა თაოსნობით აღდგენილ და განახლებულ იქნა. მათივე ძალისხმევით თეატრი იმ ეროვნულ ტრიბუნად იქცა, გამოღვიძებული ქართველი ხალხის მისწრაფებას რომ ესიტყვებოდა.

სახალხო განათლებას, თეატრს, პრესას თუ სხვა დიდ ეროვნულ წამოწყებებს სახსრები სჭირდებოდა. ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამებრძოლებმა 1875 წელს თბილისში, მომდევნო წელს კი ქუთაისში სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკები დააარსეს, რომელთა მოგების ნაწილი სწორედ სწავლა-განათლების, ქართული კულტურის აღორძინების საქმეს ხმარდებოდა. ქვეყნის სამეურნეო-კულტურული ცხოვრების პროგრესისათვის ხელშეწყობის პარალელურად, ხსენებულ საკრედიტო დაწესებულებებს სხვა მიზანდასახულობაც გააჩნდათ, მათ ქართული მიწა-წყალი, რომელსაც ქონებაშემოფლანგული ჩვენი თავადაზნაურობა ჩალის ფასად ყიდდა, უცხოტომელთა ხელში გადასვლისაგან იხსნეს და დაკარგვას გადაარჩინეს.

თერგდალეულები საქართველოს „აღდგენა-გამოხსნის" საწინდრად ეროვნული ერთიანობის მიღწევას, საერთო იდეის ირგვლივ მთელი ერის დარაზმვას და შეკავშირებას მიიჩნევდნენ. ილია ჭავჭავაძემ, პირველმა ქართულ სინამდვილეში, მთელი სიმწვავით დააყენა ხიდჩატეხილობის აღმოფხვრის, ურთიერთდაპირისპირებულ წოდებათა შერიგების, საქართველოს ყველა სოციალური ფენის გაერთიანების ამოცანა. მანვე ამგვარი მთლიანობის საფუძვლად ეროვნულ ძალთა შეკავშირების — საერთო ნიადაგის თეორია გამოაცხადა, რომლის პრაქტიკული ხორცშესხმისათვის თანამოსაგრეებთან ერთად სიტყვითა და კალმით გატაცებით იბრძოდა.

აკაკი წერეთელი

თერგდალეულთა მთელი პლეადა სიტყვაკაზმული მწერლობის ბრწყინვალე წარმომადგენლები იყვნენ, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელთაც განავრცეს და გაამდიდრეს ქართული კულტურის საგანძური. აღსანიშნავია, რომ მთელი მათი შემოქმედება [illegible] და ოპტიმიზმის სულისკვეთებითაა განმსჭვალული. ილია, აკაკი, ვაჟა ქართველ ერს ჩააგონებდნენ, რომ თვითმპყრობელობის ბრჭყალებში ჩავარდნილი საქართველო თავს დაიხსნის, დაამსხვრევს ჩაგვრისა და მონობის ბორკილს და აწმყო თუ არა სწყალობს, მომავალი უეჭველად მას ეკუთვნის.

სამოციანელებს უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ ცხოვრების არც სოციალური და ეკონომიკური მხარეები. ბატონყმობის სრული გაუქმება, სოციალური სამართლიანობის დამკვიდრება ყოველთვის იყო მათი ზრუნვის საგანი. საზოგადოების კეთილდღეობის საფუძვლად თერგდალეულებს თავისუფალი, „ახსნილი" შრომა მიაჩნდათ. მათი აზრით, მატერიალურად ხელმოკლე ერის ქონებრივ გაძლიერებას ქვაკუთხედად კერძო საკუთრება უნდა დადებოდა, ეკონომიკური დაწინაურებისათვის ბიძგი მესაკუთრეთა ფენის ჩამოყალიბებას, აღებ-მიცემობის განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების, მწარმოებელ-გამსაღებელი ამხანაგობების შექმნას უნდა მიეცა და სხვ.

თერგდალეულთა ღვაწლი გამორჩეულია და განსაკუთრებული სამშობლოს წინაშე. მათ არამარტო დასახეს საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლების გზა, არამედ იგი კიდევაც გაკაფეს და მომდევნო თაობებს ბრძოლის სიძნელე გაუადვილეს.

ქართულ საისტორიო მეცნიერებაში გავრცელებულია თვალსაზრისი თერგდალეულთა შორის ორი დასის არსებობის შესახებ. თითქოს ილია ჭავჭავაძესა და მის მიმდევრებს XIX საუკუნის 60-იანი წლების შუახანებიდან ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი და სხვ. გამოეყვნენ და განსხვავებული მიმართულების ახალი — მეორე დასი შეადგინეს. მსგავსი შეხედულება პირველად 1894 წელს გიორგი წერეთელმა გამოთქვა. მისი აზრით, პირველი დასი ილია ჭავჭავაძის წინამძღოლობით ჟურნალ „საქართველოს მოამბის" ირგვლივ შემოკრებილ „ღუმანიტარული მიმართულების" მოღვაწეებს აერთიანებდა. მეორე დასად გიორგი წერეთელი „დროება" - „კრებულის" გარშემო დარაზმულ ჯგუფს მიიჩნევდა თვისი „პროგრესულ-დემოკრატიული" მისწრაფებებით, რომელიც 1866 წელს გამოიკვეთა, განსაკუთრებით კი 1869—1877 წლებში „იჩინა თავი". ეს დასები „ერთმანეთში ისე

განირჩეოდნენ, როგორც ცეცხლი და წყალი", წერდა გ. წერეთელი და დასძენდა: პირველმა დასმა „საზოგადოებრივ წყობილების განვითარებაში გაატარა თავადაზნაურობის პატრიოტული პრინციპი წარმატებისა," საკრედიტო დაწესებულებებში არჩია სათავადაზნაურო და საადგილმამულო გრძელვადიანი ბანკების დაარსება. მეორე დასი უარყოფდა როგორც თავადაზნაურობას, ისე დაბალი ხალხის განკერძოებით ყოფნას. მან წამოაყენა დემოკრატიულ წყობილებაზე დაფუძნებული, წოდებათა თანასწორი უფლებით გაერთიანებული ერი და უპირატესობა მოკლევადიან სამრეწველო ბანკებს, სასოფლო და საქალაქო კრედიტს მიანიჭა. ასე დაედო სათავე ე. წ. „დასების თეორიას", რომელიც მოგვიანებით გაიზიარა ქართულმა საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ.

უნდა ითქვას, რომ გ. წერეთლის მოსაზრება იმთავითვე მიუღებელი აღმოჩნდა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გიორგი ლასხიშვილის, ნიკო ლომოურისა და სხვა მოღვაწეები-სათვის. ხსენებული თვალსაზრისი დამაჯერებლად უარყო არჩილ ჯორჯაძემ, რომელმაც ორი დასის გამოსვლას სულ რაღაც სამი წლის განმავლობაში „საკვირველი გაუგებრობა" და ლეგენდა უწოდა. მკვლევარ-ისტორიკოსთა ნაწილიც 60-იანელთა გაყოფას, მეტადრე საზოგადოებრივ ასპარეზზე მათი გამოჩენიდან ხუთიო-დე წლის შემდეგ, მცდარად მიიჩნევს, თუმცა ძველი შეხედულება თერგდალეულთა წიაღში მეორე დასის აღმოცენების შესახებ ინერციის ძალით კვლავაც ცოცხლობს.

თერგდალეულთა დასებად დანაწევრების საილუსტრაციო დოკუმენტური მასალა არ არსებობს და არც თავის დროზე არსებულა. გიორგი წერეთლის მოსაზრება ილია ჭავჭავაძესთან მისი და ნიკო ნიკოლაძის გარკვეულ უთანხმოებას დაეფუძნა, თორემ, სინამდვილეში, სამოციანელთა შორის იდეურ, მით უფრო, ორგანიზაციულ გათიშვას ადგილი არ ჰქონია. თერგდალეულები ეძიებდნენ ქართველი ერის აწმყოს გარდაქმნისა და უკეთესი მომავლის გზებს, ბჭობდნენ და კამათობდნენ (ხშირად მძაფრადაც) ტაქტიკურ საკითხებზე, გამოთქვამდნენ რამდენადმე ერთმანეთისაგან განსხვავებულ თვალსაზრის ქვეყნის ეკონომიკური თუ სოციალური განვითარების პერსპექტივებზე და სხვ. მაგრამ მათი აზრთა ჭიდილი ან შეხედულებათა წინააღმდეგობა არ იძლევა საფუძველს, ვილაპარაკოთ ამ იდეურ-საზოგადოებრივი მიმდინარეობის დასებად გათიშვის შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუსეთ-ოსმალეთის 1877—1878 წლების ომი. სამხრეთ - დასავლეთ საქართველოს შემოერთება

რუსეთსა და ოსმალეთს ურთიერთშორის XIX საუკუნის 70-იანი წლებისათვისაც ბევრი რამ დარჩენოდათ საცილო. ორი დამპყრობელი ქვეყნის წინააღმდეგობა ვერც ბრძოლის ველზე და ვერც მოლაპარაკების მაგიდასთან ვერ გადაწყვეტილიყო. კავკასიაში დამკვიდრების შემდგომ ცარიზმს თვალი ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე, წინა აზიასა თუ ევროპაში პორტას სამფლობელოებზე ეჭირა. მეფის მთავრობა დუნაის პირა სლავთა განმათავისუფლებელ მოძრაობასაც თანადგომას აღუთქვამდა, ოღონდ არა ჩაგრულ თანამოძმეთა თვითგამორკვევის, არამედ ამ მიწაწყლიდან მაჰმადიანთა საბოლოო განდევნისა და რეგიონში საკუთარი პოზიციების განმტკიცების მიზნით. რუსეთის ამგვარ პოლიტიკას, სტრატეგიულ მისწრაფებებთან ერთად, რეფორმის-შემდგომ პერიოდში, განაპირა მხარეთა კოლონიზაციით განპირობებული ეკონომიკური მოტივებიც აძლიერებდა. შავ ზღვას აღმოსავლეთში რუსეთის ვაჭრობისათვის ახლა სასიცოცხლო მნიშვნელობა შეეძინა.

დასუსტებული ოსმალეთი რუსეთის შემოტევას დამოუკიდებლად ვეღარ უმკლავდებოდა, თუმცა იმპერიული ამბიციების დათმობა ეძნელებოდა. არადა, ბალკანეთზე თურქთა ბატონობის ლიკვიდაცია და იქ გავლენის სფეროთა განაწილება საერთაშორისო პოლიტიკის უმწვავეს პრობლემად ქცეულიყო. დასავლეთის ქვეყნები ოსმალეთისაგან დაპყრობილი სლავური პროვინციებისათვის ზოგიერთი შემამსუბუქებელი რეფორმის გატარებას მოითხოვდნენ. მიუხედავად ამისა, სულთან აბდულ ჰამიდს თავი გამომწვევად ეჭირა. იგი კვლავინდებურად ინგლისის მხარდაჭერას იმედოვნებდა, რომელიც სიტყვით ახლაც პორტას სახელმწიფოებრიობის მთლიანობის დამცველად გამოდიოდა. ოსმალეთს თავისი არმიის შეიარაღებაც განეახლებინა და იანიჩართა ნაცვლად შექმნილი რეგულარული თუ ბაშიბუზუკთა ჯარი გერმანული ქვემეხებითა და ამერიკული თოფებით აღეჭურვა.

რუსეთ-ოსმალეთის ომს წინ უსწრებდა ბალკანეთის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აზვირთება. 1875

ნელს ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში ანტიოსმალურმა აჯანყებამ იფეთქა. თურქთა მჩაგვრელობის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლეს ბულგარეთმა, სერბიამ და ჩერნოგორიამ. ოსმალეთი დაუნდობლად გაუსწორდა მეამბოხეებს და მათი ყველა გამოსვლა სისხლში ჩაახშო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სლავი ხალხის შემართებამ დიდი გამოძახილი ჰპოვა არა მარტო რუსეთის მოსახლეობის სხვადასხვა წრეებში, არამედ საქართველოშიც. საქართველოს საზოგადოებრიობა მიესალმა ბალკანეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას, მორალური და მატერიალური დახმარება გაუწია მას. არაერთი ქართველი მოხალისე გაეშურა დუნაისპირეთში და იარაღით ხელში სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთ შეურთდა.

სლავთა ინტერესების დაცვაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის რუსეთის გენერალურ კონსულს ბულგარეთში, წარმოშობით ქართველს, ალექსი წერეთელს. ბულგარელები მას თავიანთ მეგობრად თვლიდნენ და „ჩვენი წერეთელიო" ეძახდნენ.

ქართველი ხალხი უფრო მეტი თანაგრძნობით შეხვდა აჭარაში დაწყებულ მღელვარებას, რომელიც აჯანყებაში გადაიზარდა და მიზნად ოსმალეთის უღლისაგან თავდაღწევას ისახავდა. სერგეი მესხი იმედს გამოთქვამდა და ნატრობდა, იქნებ ოსმალეთის ქართველობა ჩვენ შემოგვიერთდესო.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დედასამშობლოსთან დაბრუნების მოლოდინი გააძლიერა 1877 წლის აპრილში რუსეთ-ოსმალეთის ახალი ომის გაჩაღებამ. რუსეთის იმპერიულ ორბიტაში მოქცევის შემდეგ, განსხვავებით ცარიზმის სხვა ომებისაგან ირანთან თუ ოსმალეთთან, ქართველი ხალხი დაწყებულ შეტაკებაში პირველად მონაწილეობდა ძალდაუტანებლად, საკუთარი ნებითა და სურვილით, ამასთან, იმის ღრმა შეგნებით, რომ ომს საქართველოს ტერიტორიული გამთლიანებისა და ისტორიული საზღვრების აღდგენისათვის დადებითი შედეგი მოჰყვებოდა.

ამ დროისათვის ქართველ ერს უკვე გასჩენოდა მეთაური ძალა ჟურნალ-გაზეთებისა თუ კულტურულ-საგანმანათლებლო კერათა ირგვლივ დარაზმული მამულიშვილების სახით. ილია ჭავჭავაძესა და სხვა თერგდალეულებს ერის წინამძღოლობა ეკისრათ და მის პოლიტიკურ თუ სხვა მოძრაობას გონივრული მიმართულებით წარმართავდნენ. ხსენებულ მოღვაწეებს და მთელ ხალხსაც

კარგად ესმოდათ, რომ ცარიზმი მათი მტერი და დამპყრობელი იყო; მასთან შერიგება მონობასთან შერიგებას, ეროვნული თვითმყობადობაზე ხელის აღებასა და საკუთარი ვინაობის სამუდამო უარყოფას ნიშნავდა. ამიტომაც იყო, რომ კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა არ წყდებოდა, მაგრამ ახლა მეფის მთავრობის სუბიექტური ზრახვა ობიექტურად ქართველთა საუკუნოვან მისწრაფებებს დამთხვეოდა. სწორედ ამ გარემოებას განუმარტავდნენ სამოციანელები თავიანთ თანამემამულეებს, რომელთაც სიმხნევისა და მამაცობისაკენ მოუწოდებდნენ.

რუსეთის მხარდაჭერისაკენ ქართველ ერს წარსულის გამოცდილება და მაგალითის ძალაც უბიძგებდა. აკი რუს-ქართველთა ერთობლივი ძალისხმევით ოსმალეთთან 1828-1829 წლების ომის შედეგად მოხერხდა მაჰმადიანთა მიერ მიტაცებული ქართული მიწა-წყლის ერთი ნაწილის გამოხსნა-შემოერთება.

რუსეთის მიერ ოსმალეთისათვის ომის გამოცხადებამ საქართველოში პატრიოტული აღტკინება გამოიწვია. ხალხი ქუჩებში გამოეფინა, მღვდელმსახურნი ეკლესიებში პარაკლისს აღავლენდნენ და გამარჯვებას შესთხოვდნენ უფალს. ბრძოლის ველზე მიმავალ ქართველ მოლაშქრეებს გზა გრიგოლ ორბელიანმა დაულოცა.

„ყოველ ქართველს მტკიცედ უნდა ახსოვდეს, რომ ომის დროს მთელი ევროპის ყურადღება ჩვენს ქვეყანაზე იქნება მოქცეული. როგორც რუსეთის, ისე ევროპის თვალში ჩვენი ხალხი უნდა გამოჩნდეს მხნე, პატიოსან და რაინდულ ხალხად. იმისთანად, რომელიც პატივისცემის ღირსია სამხედრო მამაცობისათვის და ხეირიანი განწყობილების ღირსია მოქალაქეობრივი პატიოსნების და წესიერების დაცვისათვის“ — შეახსენებდა იმხანად ნიკო ნიკოლაძე მკითხველს გაზეთ „დროების“ ფურცლებიდან.

საქართველოს ყველა კუთხეში დაიწყო საჯარისო ნაწილების — ე.წ. მილიციის ფორმირება. ქუთაისის გუბერნიაში ომში წამსვლელთა რიცხვი ორჯერ მეტი აღმოჩნდა გასაწვევ კონტიგენტთან შედარებით. გლეხთა მნიშვნელოვანი ნაწილი მოხალისედ ეწერებოდა სიაში. მარტო გურიის მაზრამ 4 ათასი მოლაშქრე გამოიყვანა. სულ საქართველოში 40-მდე ცხენოსანი და 60-ზე მეტი ქვეითი მილიციონერთა ასეული ჩამოყალიბდა. ამას გარდა, ქალაქებსა და ფრონტისპირა სოფლებში საყარაულო სამსახური-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის მოსახლეობის შეიარაღებული რაზმებიც იქმნებოდა, ისე
რომ, 35 ათასი ქართველი მებრძოლი თოფქვეშ იდგა.

ხალხი ყოველნაირ დახმარებას უწევდა მეომარ არმიას. ათასობით ქართველი საკუთარი ურმებითა და გამწევი ძალით უანგაროდ ემსახურებოდა ფრონტის მომარაგებას საბრძოლო მასალებით, სურსათ-სანოვაგით, ფურაჟითა და სხვ.

ომის ძირითად ასპარეზს ბალკანეთი წარმოადგენდა, თუმცა არანაკლებ მწვავე ბრძოლები გაიმართა მცირე აზიის ფრონტზეც.

ცარიზმის კავკასიურ არმიას, რომელიც 70 ათას კაცს მოითვლიდა, მეფისნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის-ძე სარდლობდა. მას უპირისპირდებოდა ოსმალთა ე. წ. ანატოლიის არმია მუხთარ ფაშას მეთაურობით.

რუსეთის ჯარებმა ომის დასაწყისშივე დაიკავეს ქ. ბაიაზეთი, არტაანი, სხვა დასახლებული პუნქტები და გეზი ყარსისაკენ აიღეს.

1877 წლის მაისში ოსმალებმა გუდაუთასთან 1500 კაცი გადმოსხეს და აფხაზეთის სიღრმეში შეიჭრნენ. დესანტი მუჰაჯირი აფხაზებისაგან შედგებოდა, რომლებიც საქართველოდან ოსმალეთში ყირიმის ომის დროს გადაასახლეს. რუსთა გარნიზონმა სოხუმი უბრძოლველად დატოვა და კოდორისაკენ გადმოინაცვლა. ოსმალთა ნაქეზებით აფხაზეთში ანტირუსული ამბოხების დროშა აღიმართა. რუსეთის დროებითი მარცხი საკმარისი გახდა, რომ კვლავ აშლილიყო დაღესტან-ჩეჩნეთი. კახეთს ლეკთა შემოჭრის საფრთხე დაემუქრა. ქიზიყის სოფლები მღელვარებამ მოიცვა.

აფხაზეთის გასანთავისუფლებლად გენერალ იაკობ ალხაზიშვილის წინამძღოლობით რუს-ქართველთა დამატებითი ნაწილები გაიგზავნა. სამურზაყანოში ჩამოყალიბდა მილიციის რაზმები, რომლებიც რეგულარულ არმიას შეუერთდნენ. გაერთიანებული ძალებით მოწინააღმდეგე დამარცხებულ იქნა. მალე მტერს სოხუმიც დაატოვებინეს და აიძულეს, საერთოდ გასცლოდა აფხაზეთს, თუმცა თურქებმა მოასწრეს და ამ კუთხის მოსახლეობის ერთი ნაწილი ოსმალეთში მუჰაჯირებად წაიყვანეს.

პირველი წარუმატებლობის შემდეგ მუხთარ ფაშამ ძალები მოიკრიბა, კონტრშეტევა განავითარა და რუსთა ჯარის მიერ ომის დასაწყისში დაკავებული ტერიტორიები მთლიანად დაიბრუნა.

რთული ვითარება იყო კავკასიის შავი ზღვისპირა უბანზეც, სადაც რუს-ქართველთა შეერთებულმა ნაწილებმა ოსმალეთს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხაესტატესთან და ხუცუბანთან გამართულ ბრძოლებში სძლიეს, ციხისძირთან კი მარცხი იწვნიეს და უკან დაიხიეს.

1877 წლის შემოდგომისათვის რუსეთმა შეძლო მდგომარეობის გამოსწორება. გენერალ ობრუჩევის სარდლობით მცირე აზიის მიმართულებით მნიშვნელოვანი საბრძოლო ოპერაციები განხორციელდა. რუსთა საჯარისო შენაერთებმა ალაჯის მიდამოებში მწყობრიდან გმოიყვანეს ანატოლიის არმია, ნოემბერში კი ყარსის ძლიერ ციხეს დაეუფლნენ და ქალაქი არზრუმი ალყაში მოაქციეს.

ბალკანეთის ფრონტზე რუსებმა დუნაის ფორსირების შედეგად ბრძოლები ბულგარეთის ტერიტორიაზე გადაიტანეს. ბულგარელი ხალხი აღფრთოვანებით შეეგება რუსეთის არმიას, რომელიც რამდენიმე შეტაკების შემდეგ შიპკის უღელტეხილზე გამაგრდა, მაგრამ პლევნის იერიშისას სერიოზული დანაკარგი განიცადა და ამ ციხე-სიმაგრის აღება მხოლოდ ხანგრძლივი ბლოკადის შედეგად მოახერხა. არნახული მამაცობა გამოიჩინეს რუსმა ჯარისკაცებმა შიპკის მაღალმთიანი გადასასვლელის გადალხვისას მკაცრ ყინვაში, თოვლსა და ქარიშხალში.

1878 წლის იანვარში რუსეთის სამხედრო ნაწილებმა ბულგარელი, სერბი და რუმინელი მოლაშქრეების მხარდაჭერით ზედიზედ დაიკავეს ქალაქები სოფია, პლოვდივი, ანდრიანოპოლი და კონსტანტინოპოლს მიუახლოვდნენ.

ოსმალებმა წინააღმდეგობა შეწყვიტეს და ზავი ითხოვეს. მეფის მთავრობა მოერიდა კონფლიქტს ინგლისთან და ავსტრია-უნგრეთთან, რასაც აუცილებლად გამოიწვევდა კონსტანტინოპოლში შეჭრა და სამშვიდობო მოლაპარაკებას დათნხმდა. ზავი რუსეთსა და ოსმალეთს შორის 1878 წლის 3 მარტს სან-სტეფანოში გაფორმდა.

ხელშეკრულება ცნობდა ბულგარეთის, სერბიის, ჩერნოგორიისა და რუმინეთის დამოუკიდებლობას და აძლიერებდა ცარიზმის გავლენას ბალკანეთში. საკმაოდ ვიწროვდებოდა ოსმალეთის საზღვრები მცირე აზიაშიც. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული მიწა-წყალი რუსეთის მფლობელობაში გადადიოდა. მეფის მთავრობას კონტრიბუციის სახითაც დიდი თანხა უნდა მიეღო.

სან-სტეფანოს ზავი რუსეთისათვის ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა ოსმალეთთან წარმოებულ სხვა ომებთან შედარებით.

ამ მიღწევაში რუს მეომრებთან ერთად თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს, როგორც ბალკანეთის, ისე სამხრეთ კავკასიის ხალხებმა. ქართული სახალხო ლაშქრის გმირობაზე მაშინ უცხოური პრესაც წერდა. მრავალი ქართველი გენერალი თუ ოფიცერი უნარიანად მეთაურობდა რეგულარული ჯარის ნაწილებს და თავდადების საოცარ ნიმუშებს უჩვენებდა. კავკასიის არმიის ავანგარდში იდგა გენერალ ზაქარია ჭავჭავაძის კავალერია და მაიორ იოსელიანის ცხენოსანი დივიზიონი. არტაანისათვის ბრძოლაში სახელი გაითქვეს პოლკის წინამძღოლმა, გენერალმა მიხეილ ამირეჯიბმა, ბატარეის მეთაურმა, გენერალმა დიმიტრი მუსხელიშვილმა, ყარსის მისადგომებთან დიდი მხედართმთავრული ოსტატობა გამოამჟღავნეს გენერლებმა ივანე ამილახვარმა, ილია ჩოლოყაშვილმა და ალექსი ქავთარაძემ, პოლკოვნიკმა ა. მიქელაძემ.

პლევნის აღებაში თავი გამოიჩინეს გენერლების ალექსანდრე ბაგრატიონის (იმერტინსკი), ალექსანდრე მანველიშვილისა და იური ლაშქარაშვილის სამხედრო შენაერთებმა, ხოლო შიპკის უღელტეხილის გადალახვისას მხნეობითა და სიმამაცით გამოირჩეოდნენ გენერალი ნიკო დადიანი (მინგრელსკი), მაიორი კონსტანტინე ჭილაშვლი, კაპიტანი ივანე ვაჩნაძე და სხვ.

სან-სტეფანოს სამშვიდობო ხელშეკრულება ცხოვრებაში არ გატარებულა. დასავლეთის სახელმწიფოებმა, ვითომ ოსმალეთის დაცვის საბაბით, მისი გადასინჯვა მოინდომეს და მიაღწიეს კიდეც საწადელს ბერლინში გამართულ წარმომადგენლობით კონგრესზე. 1878 წლის 13 ივლის ხელმოწერილმა ბერლინის ტრაქტატმა ზავის მუხლებში სერიოზული კორექტივები შეიტანა რუსეთის საზიანოდ.

კონგრესზე განსაკუთრებული დავის საგნად იქცა ბათუმის საკითხი. იზოლაციაში მოქცეულ მეფის მთავრობის დიპლომატებს გარკვეული დათმობა მოუხდათ. ეს პერსპექტიული ქალაქ-ნავსადგური რუსეთს პორტო-ფრანკოს სტატუსით გადაეცა. ბერლინის ხელშეკრულებით რუსეთმა შეიერთა ოსმალეთის მიერ წინათ მიტაცებული სამხრეთი და დასვლეთ საქართველოს მინაწყლის მნიშვნელოვანი ნაწილი, კერძოდ: აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, იმერხევი, კოლა-არტაანი და ოლთისი.

კონგრესის გადაწყვეტილების მიუხედავად, ოსმალეთი არ ჩქარობდა აჭარიდან ჯარის გაყვანას, ესწრაფოდა, შუღლი

ჩამოეგდო და წინააღმდეგობა გაეღვივებინა ადგილობრივ მკვიდრთა და რუს მებრძოლთა შორის. სულთნის აგენტები აჭარის მცხოვრებთ აშინებდნენ, რომ რუსები მათ „რჯულს ნაუბილწავდნენ, სალდათს გამოართმევდნენ“ და სხვ., ურჩევდნენ, გადასახლებულიყვნენ ოსმალათში, სადაც მიწის ნაკვეთებსა და მთელ რიგ შეღავათებს ჰპირდებოდნენ.

1878 წლის 25 აგვისტოს რუსეთის სამხედრო შენაერთებმა ბათუმი დაიკავეს. აჭარის მოსახლეობის უმრავლესობა ერთგვარი შიშით, მაგრამ მაინც თანაგრძნობით შეხვდა ამ აქტს.

კავკასიის ადმინისტრაციამ აჭარა-ქობულეთის შემოერთებისთანავე ამ კუთხეში რუსული კანონმდებლობის დანერგვა დაიწყო. რუსული კანონსამართალი უცხო იყო და ეწინააღმდეგებოდა ხალხში ტრადიციულად დამკვიდრებული ცხოვრების ნორმებს. ცარიზმის კოლონიური რეჟიმისათვის დამახასიათებელმა ძალმომრეობამ, მოხელეთა თვითნებობამ, ახალი გადასახადების შემოღებამ და სხვ. მოსახლეობის ფართო ფენების უკმაყოფილება გამოიწვია. რამდენიმე სოფელში ანტირუსული აჯანყების ცეცხლი აგიზგიზდა, მაგრამ მთავრობას აღებული კურსი არ შეუცვლია.

პროგრესული ქართველი მოღვაწენი ცდილობდნენ თანამოძმეთა ხვედრის შემსუბუქებას, აფრთხილებდნენ ხელისუფლებას: „თუ გვინდა აჭარის თანაგრძნობა დავიმსახუროთ და ესენი არ გადასახლდნენ ოსმალეთში ... ამთავითვე მაინც კაცურად უნდა მოვეპყრათ და სამი-ოთხი წლით ვადროვოთ ყოველგვარი ხარჯის გადახდა. ეს ხარჯი ხაზინას ვერ გაამდიდრებს, გაღატაკებულ ხალხს კი გულს მოუბრუნებსო.“

შერიფ ხიმშიაშვილი

შექმნილი მძიმე ვითარება, გაურკვეველი მომავლის შიში, თურქთა გულუხვი დაპირებები და სხვ. აჭარის ათასობით მკვიდრს საკუთარი მამულის მიტოვებისაკენ უბიძგებდა. ოსმალეთში გადასახლებას მხარს უჭერდა ეკონომიკურად თუ

პოლიტიკურად შევიწროებული ბეგების უმრავლესობა, თუმცა ამათ შორისაც იყვნენ პატრიოტული სულისკვეთებით გამორჩეულნიც (შერიფ ხიმშიაშვილი, გულო კაიკაციშვილი და სხვ.), რომლებიც არწმუნებდნენ მოსახლეობას, არ მიეტოვებინათ მშობლიური მიწა-წყალი.

მაჰმადიანთა ოსმალეთში მიგრაციის — მუჰაჯირობის პროცესი რამდენიმე წელს გაგრძელდა. მარტო აჭარიდან 30, ხოლო აფხაზეთიდან 25 ათასი მცხოვრები იქნა გადასახლებული. მათ დიდ ნაწილს მარმარილოს ზღვის მახლობლად და ჩრდილოეთ ანატოლიაში მიუჩინეს საცხოვრისი.

მიუხედავად მუჰაჯირობის ტრაგიკული ფაქტისა, რუსეთ-ოსმალეთის ომს საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. საუკუნეთა განმავლობაში მტრისაგან მიტაცებული ძირძველი ქართული მიწა-წყალი კვლავ დედა-სამშობლოს, საქართველოს დაუბრუნდა. ომის შედეგებმა ხელი შეუწყვეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და ქართველი ერის კონსოლიდაციას.

ახალად შემოერთებული ტერიტორიის ერთ ნაწილზე მეფის მთავრობამ ბათუმის ოლქი ჩამოაყალიბა, რომელიც 1886 წლიდან ქუთაისის გუბერნიას დაექვემდებარა, ხოლო კოლა-არტაანი და ოლთისი ასევე რუსეთის მფლობელობაში გადაცემული ყარსის ოლქის შემადგენლობაში შევიდა.

ქართველი ხალხი სიხარულით შეეგება ოსმალთა უღლისაგან თავდაღწეული ძმების დაბრუნებას საკუთარ ოჯახში. მოწინავე ქართველმა საზოგადოებამ 1878 წლის ნოემბერში განთავისუფლებული აჭარის დელეგაციას თბილისში საზეიმო შეხვედრა მოუწყო და გულთბილად უმასპინძლა. საქართველოს ღირსეული შვილები შემდგომშიც უანგაროდ იღვწოდნენ, რათა ძალად რჯულშეცვლილ ქართველობას მოეშუშებინა მრავალსაუკოვანი ჭრილობები და განევითარებინა ეკონომიკური თუ კულტურული ცხოვრება.

ქართული სოფელი, ქალაქი და საქალაქო ცხოვრება XIX საუკუნეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში საქართველო აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა. ინტენსიური მიწათმოქმედება და ტრადიციული მეურნეობა ქართველი ერისათვის განმსაზღვრელი იყო XIX საუკუნეშიც. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა კვლავაც სოფლად ცხოვრობდა და სხვადასხვა სამეურნეო საქმიანობას ეწეოდა. რუსული მმართველობის დამკვიდრების შემდგომ ქართველი ხალხის შიდაწოდებრივსა თუ საზოგადოებრივ ფენათა ურთიერთობებში გარკვეული ცვლილებები აღინიშნა, თუმცა რეფორმამდელ პერიოდში სოციალური სტრუქტურა ძველივე დარჩა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა წარჩინებულმა წოდებამ დაკარგა მართვა-გამგეობის სამემკვიდრეო პრივილეგიები, თავადაზნაურობა უწინდებურად გაბატონებულ მდგომარეობას ინარჩუნებდა. რიცხობრივად ქართველი არისტოკრატია მთელი მოსახლეობის 4-5 პროცენტს არ აღემატებოდა, მაგრამ ეკონომიკურად და უფლებრივად იგი დომინანტობდა. საქართველოს მინაწყლის უდიდესი ნაწილი დიდგვაროვანთა ხელში იყო მოქცეული. უმსხვილესი მინათმფლობელნი იყვნენ თავადი ფალავანდიშვილები (ახალქალაქის მაზრაში), ორბელიანები და ბარათაშვილები (ბორჩალოს მაზრაში), მაჩაბელი (დუშეთის მაზრაში), ამირეჯიბი (გორის მაზრაში) და სხვ.

მეფის მთავრობას ოფიციალურად არ აუკრძალავს ისეთი შუასაუკუნოვანი გადმონაშთი, როგორიც იყო სათავადოთა სისტემა, მაგრამ ხელი არ შეუშლია მისი ბუნებრივი რღვევისათვის, რასაც დრო და ცხოვრების მდინარება თავისთავად იწვევდა. თავადთა პოლიტიკურ შეუვალობას ძირს უთხრიდა სათავადო სახლების ოჯახებად გაყრა-დანაწევრება, ქონებისა და ადგილმამულის გამიჯვნა, რომელიც შლიდა პატრიარქალურ საერთოსაგვარეულო მიწისმფლობელობას და მემამულეებს ინდივიდუალურ მესაკუთრეებად აქცევდა. ეს მოვლენა, თუ ერთის მხრივ ქართველი თავადების დამცრობას განაპირობებდა, იმავდროულად ხელსაყრელ პირობებსაც ქმნიდა სოფლად პროგრესული ბურჟუა-

ზიული ურთიერთობების დამკვიდრებისათვის ხავსმოდებული ფეოდალურ სინამდვილესთან შედარებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალრიცხოვანი იყო აზნაურთა ფენა, რომელსაც გაცილებით მცირე ყმა-მამული და მოკრძალებული შემოსავალი გააჩნდა. აზნაურობა, მართალია, ეკლესიისა თუ თავადთა ვასალური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლდა და, რანგით ამაღლებული, თავადებთან ერთად რუს მემამულე-პომეშჩიკებს გაუთანაბრდა, მაგრამ ამით მისი ქონებრივი შესაძლებლობა არ გაუმჯობესებულა. რაც შეეხება წოდებრივ უპირატესობას, რომელიც თავადაზნაურობას ტრადიციულად მოსდგამდა, — ძალაში დარჩა. თუმცა, ახალი ხელისუფლების პრეროგატივად გამოცხადებული, წოდებაში დამტკიცების პროცესი მთელ რიგ ფორმალობას შეიცავდა და დიდად გაჭიანურდა.

ცარიზმი ესწრაფოდა, საქარ-თველოს თავადაზნაურობა ერთიან, კონსოლიდირებულ წოდებად ჩამოეყალიბებინა და დაპყრობილ მხარეში იგი თავის სოციალურ-პოლიტიკურ დასაყრდენად გადაექცია. ამ მიზანს ემსახურებოდა სათავადაზნაურო დეპუტატთა საკრებულოს შექმნა 1803 წელს თბილისში, ხოლო 1851 წელს ქუთაისის გუბერნიაში და სხვ.

ქართველი არისტოკრატია შინაგანად მაინც უკმაყოფილო იყო, ერთხანს იარაღიც შემართა, მაგრამ თვითმპყრობელობის კოლონიური რეჟიმისადმი მისი ოპოზიციური მიმართება, არსებითად, 1832 წლის შეთქმულების ჩავარდნისთანავე დამთავრდა.

თუ მანამდე რუსული მმართველობის სამსახურში თავადაზნაურთა უმნიშვნელო წარმომადგენლობა იმყოფებოდა, ვორონცოვის დროიდან ამ წოდების სწრაფვამ იმპერიის სამხედრო ასპარეზისაკენ თითქმის საყოველთაო ხასიათი მიიღო. ჩოხა-ახალუხმა მოიხდინა და შეიფერა რუსული პაგონები თუ ეპოლეტები. ასეულობით ქართველი მეფის არმიის გენერალი და ოფიცერი გახდა. დამპყრობლის დროშის ქვეშ ისინი თავდადებით იბრძოდნენ ცარიზმის ომებში და სახელს უხვეჭდნენ რუსულ იარაღს.

საიმპერიო ტახტის ერთგულ თავადაზნაურთა თვალსაზრისს გამოხატავდა დიმიტრი ყიფიანი, როდესაც წერდა: „მე რუსი ვარ ჩემის სამსახურით, ლუკმა-პურით, რომელსაც ვჭამ და ჩემის აზრის მიმართულებით. მე ქართველი ვარ გვარ-ტომობით და მოძმეთა ენით“. ქართული მაღალი სოციალური წრისათვის დამახასიათებელ

კონფორმიზზე მიანიშნებდა აკაკი წერეთელიც. პოემაში „ვორონ-
ცოვი“ იგი დ. ყიფიანს ათქმევინებს: „რომ ეროვნული ... ელ-
ელფერი და რუსი ვიყოთ პლიტიკურად, აი, რა გვინდა.. სხვა
არაფერი!“-ო.

თავადაზნაურობის მხოლოდ მცირე ნაწილმა შეინარჩუნა დამპყრობლისადმი შეურიგებელი განწყობილება, ეროვნული ღირსება და პატრიოტული სული. ამ ნაწილის შეხედულებებს ყველაზე მკაფიოდ ასახავს ალექსანდრე ორბელიანის ჩანაწერები, სახელდობრ, მისი ფრაზა: „მე რუსები საქართველოში არ მიყვარან, მინდა ისე გადაიკარგონ, რომ საქართველოს სუნი იმათ ველარ მიედინოს და რუსეთში კი ბედნიერად იყვნენ“. ძირითადად პროგრესულ თავადაზნაურთა წრიდან იყო გამოსული თერგდალეულთა შესანიშნავი თაობა, რომელმაც არა მხოლოდ თავისი წოდების, არამედ მთელი ქართველი ერის საუკეთესო თვისებები წარმოაჩინა.

თავადი და აზნაური მოსახლეობის სხვა ფენებისაგან გამოირჩეოდა თავისი წარმოშობით, აღზრდით, ცხოვრების წესით, მანერებითა და ჩაცმა-დახურვითაც კი. ეს დარდიმანდი ხალხი ახალ ვითარებაშიც ძველი ზნე-ჩვეულებით ცდილობდა ლელოს გატანას, არადა ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები, ფულადსასაქონლო ურთიერთობების შემოჭრა და გაღრმავება სულ სხვა ალღოსა და უნარს მოითხოვდა. ქართველი თავადაზნაურობა მოუმზადებელი აღმოჩნდა ამ სიახლისათვის და უნუგეშოდ ჩამორჩა დროს. მხოლოდ ერთეულებმა თუ მოახერხეს მეურნეობის ახალ ყაიდაზე გარდაქმნა, ევროპული ტექნიკის შემოტანა და შრომის რაციონალიზაციის საფუძველზე წარმოების გაუმჯობესება. ასეთთა შორის იყვნენ: დიმიტრი აფხაზი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ივანე მუხრანბატონი, სოლომონ ანდრონიკაშვილი, ნიკო ჩიჯავაძე, მიხეილ ერისთავი და სხვ. ფერმერული ტიპის ქართველ მემამულეებს მჭიდრო კონტაქტი ქონდათ 1850 წელს დაარსებულ „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებასთან“, რომელიც მიზნად ისახავდა, ხელი შეეწყო სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების განვითარებისათვის, სპეციალური და ტექნიკური კულტურების გავრცელებისათვის, ახალი მანქანა-იარაღების შემოტანისა და რეგიონში მონინავე გამოცდილების დანერგვისათვის.

მემამულეთა უმრავლესობამ, განსაკუთრებით ბატონყმობის გაუქმების შემდგომ, როცა მას ყმა-გლეხობა ფაქტობრივად შემოეცალა, არსებობის სხვა ფორმა აირჩია და ხელი მიჰყო მიწების გაყიდვას. ფულზე მოთხოვნილების ზრდასთან ერთად, მიწა საქართველოში გაცხოველებული ვაჭრობის საგნად იქცა. მიწას ყველა სოციალური ფენის წარმომადგენლები ყიდდნენ, მაგრამ უფრო მეტად — თავადები და აზნაურები. მყიდველი ძირითადად ვაჭართა, მევახშეთა, მრეწველთა და სხვ. არაქართულ წრეს განეკუთნებოდა. მიწის გარკვეული ნაკვეთების შეძენას არცთუ იშვიათად გლეხებიც ახერხებდნენ.

ხშირი იყო ვალის სარგებელში მამულის დაგირავების შემთხვევები, რაც უმეტესად მიწის კრედიტორთა საკუთრებაში გადასვლით მთავრდებოდა, ასე რომ მსხვილ მამულიანობას თანდათან ბოლო ეღებოდა, ხოლო მცირე მამულის მფლობელნი კიდევ უფრო ღარიბდებოდნენ. წარმოიქმნებოდა მატერიალურად შეჭირვებული, ხელმოკლე აზნაურობის („კეთილშობილ ღატაკთა") და მიწის წვრილმესაკუთრეთა მნიშვნელოვანი მასა.

დაბალი წოდების სოფლის მცხოვრებთა შორის XIX საუკუნის პირველ ნახევარში რაოდენობრივად საბატონო გლეხები ჭარბობდნენ. მაღალი იყო სახაზინო გლეხთა, მოჯამაგირეთა თუ შინაყმათა რიცხვიც. გლეხთა ამ ფენებს ერთმანეთისაგან ბევრი რამ განასხვავებდა. მაგალითად, სახელმწიფო გლეხი გაცილებით ნაკლებად განიცდიდა ფეოდალურ ჩაგვრას და საბატონო გლეხებთან შედარებით დამოუკიდებელი მეურნეობის განვითრებისათვის მეტი შესაძლებლობა გააჩნდა.

კამერალური აღწერის მონაცემები ცხადყოფენ, რომ სახელმწიფო გლეხთა საგრძნობი ნაწილი ესწრაფოდა და კიდევაც ახერხებდა მიწის ნაკვეთების შესყიდვას. თბილისის გუბერნიაში გლეხთა ეს კატეგორია საშუალოდ 10,9 დესეტინა მიწას ფლობდა, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში — 3,3 დესეტინას.

საგლეხო რეფორმამ ცვლილებები შეიტანა ყოფილ საბატონო ყმათა მდგომარეობაშიც. მრავალი მათგანი ახლა მესაკუთრე გახდა და დაქირავებული შრომის გამოყენებით გარკვეული ქონებაც დააგროვა. თუმცა კვლავაც დიდი იყო მცირემიწიან და საერთოდ, უმამულო გლეხთა ფენაც, რომელიც სოფლად დარჩენის შემთხვევაში იძულებული იყო, დაემუშავებინა სხვისი მიწა და მოსავლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოთხედი (ზოგჯერ ნახევარიც) ნაკვეთის მლობელისათვის მიეცა. მინათმფლობელობის ამგვარ ფორმას იჯარა წარმოადგენდა. უფრო გავრცელებული იყო მოკლევადიანი (1-3 წლის განმავლობაში) გლეხური იჯარა, რომლის დროსაც ნაკვეთის საიჯარო ფასი გლეხს მემამულის მიწაზე მუშაობით უნდა დაეფარა. ეს იყო ბატონყმური ბეგარის ახალი ტიპი, რომელსაც „შრომა-მიგება" ეწოდებოდა. ვიდრე გლეხი მიწას არ გამოისყიდდა, ძალაში რჩებოდა ასევე ძველი გადასახადებიცა და ბეგარა-ვალდებულებანიც.

რიგი თავისებურებებით ხასიათდებოდა ხიზან გლეხთა ცხოვრება. ხიზნები იურიდიულად, პირადად თავისუფლები იყვნენ, მაგრამ უმიწობის გამო ამ თავისუფლებას ვერ ინარჩუნებდნენ და ისევ მებატონეთა უღელში ებმებოდნენ. მრავალი ათეული წლის განმავლობაში ხიზნობა იბრძოდა იმ მიწებზე დასამკვიდრებლად, რომელსაც სარგებლობის უფლებით ფლობდა, მაგრამ ამაოდ.

აგრარული ურთიერთობების მოუწესრიგებლობა, დროებით-ვალდებულების გაჭიანურება, მიწის საიჯარო ღირებულების განუწყვეტელი ზრდა, სახელმწიფო და სხვა გადასახადების მატება გლეხთა მდგომარეობას აუარესებდა. მიწასა და თავისუფლებასმოწყურებულ გლეხთა მღელვარება და საპროტესტო გამოსვლები არ ცხრებოდა. 1873-1876 წლებში სამეგრელოს სოფლები გლეხთა აჯანყების ცეცხლში იყო გახვეული. 1875—1876 წლებში აბობოქრებულ თავისუფალ სვანეთს რუსული ხელისუფლება არნახული სისასტიკით გაუსწორდა, დამსჯელმა ექსპედიციამ ძირისძირამდე დაანგრია და გადაწვა სოფელი ხალდე. 1878 წელს სამხედრო ძალის გამოყენებით ჩაახშეს ქიზიყის გლეხთა აჯანყება და სხვა.

რაგინდ მძიმე არ ყოფილიყო არსებული რეალობა, ცხოვრება მაინც წინ მიდიოდა. კაპიტალისტური ურთიერთობა თანდათან თავის ორბიტაში ითრევდა, სახეს უცვლიდა და გარდაქმნიდა ქართულ სოფელსაც. ახალი, სოციალური ცვლილებები გლეხურ წიაღშიც ქონებრივ უთანასწორობას აღრმავებდა. გლეხური მოსახლეობის დიდი ნაწილის გაღატაკების პარალელურად, იზრდებოდა საშუალო და შეძლებულ გლეხთა ოდენობაც. პირველნი თავიანთი მუყაითი გარჯით, ასევე დაქირავებული მუშახელის გამოყენებით მნიშვნელოვნად აფართოებდნენ მეურნეობას, ჭარბ პროდუქტი ბაზარზე გაჰქონდათ, იძენდნენ უკეთეს სასოფლო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამეურნეო ინვენტარს, აგროვებდნენ უძრავ და მოძრავ ქონებას და სხვ. ბევრგან მჭვარტლიან სადგომებს ოდა, ქვისა და აგურის ორსართულიანი სახლები ენაცვლებოდა.

გლეხის შეძლებას უმთავრესად ადგილ-მამულის სიდიდე განსაზღვრავდა. ამასთან, ხარ-კამეჩი და ცხენი მისი ნუგეში და ძალა იყო, ძროხა და ცხვარი — ოჯახის ბარაქა. გლეხთა საკომლო ფუძე ვენახისა და სახნავ-სათესი მიწისაგან შედგებოდა. ჩვეულებრივი მოვლენა იყო შინაური ფრინველის, ღორის, ერთი ან რამდენიმე სული საქონლის ყოლა და სხვ.

რუსული ოფიციალური დოკუმენტები სურათს ისე წარმოაჩენენ, თითქოს რეფორმისშემდგომ პერიოდშიც კი იშვიათად მოიძებნებოდა სარჩოთი ნლიდან-ნლამდე უზრუნველყოფილი გლეხი, თუმცა ქართულ მხატვრულ თუ მემუარულ ლიტერატურაში (ე. ნინოშვილი, დ. ყიფიანი და სხვ.) აღნერილია, რომ მეკომურ გლეხს არსებობის საშუალებაც გააჩნდა და სტუმრის გამასპინძლებაც რიგიანად შეეძლო. სამწუხაროდ, ამ კატეგორიის გლეხებს ბევრად აღემატებოდა რიცხვი ადამიანებისა, რომლებსაც სიდუხჭირე, მცირემიწიანობა და შიმშილის შიში აიძულებდა, უფრო შეძლებულ ოჯახს მოჯამაგირედ დადგომოდა, ქირაზე ევლო ან კიდევ გარე საშოვარზე გასულიყო და ცხოვრების სახსარი თავის საკუთარი ძალის გაყიდვით მოეპოვებინა. მოუსავლიან ნლებში გარე სამუშაოზე გასვლა მასობრივ ხასიათსაც ღებულობდა.

ქართველი გლეხები მიეშურებოდნენ თბილსში, ბათუმში, ჭიათურაში, ოდესაში, ბაქოსა და იმპერიის სხვა ქალაქებში, ენყობოდნენ ფაბრიკა-ქარხნებში, მუშაობდნენ მტვირთავებად, მეპურეებად, მზარეულებად და სხვ. დასაქამების ფართო ასპარეზი იყო ხე-ტყის მრეწველობა და საქართველოში ახლად დაწყებული სარკინიგზო ქსელის მშენებლობა.

ქალაქმა გლეხს ფულის შეძენის მეტი საშუალება მისცა, მოთხოვნილება გაუზარდა, გემოვნება განუვითარა. საშოვარზე გასული პიროვნება უფრო გათვითცნობიერებული ხდებოდა, მაღლდებოდა მისი შეგნება და კულტურული დონე. გლეხი თანდათან ქალაქის ჩვევებს ეუფლებოდა, თანასოფლელთაგან არამარტო შეხედულებებით, გარეგნულადაც განსხვავდებოდა. სწორედ ამ ნრემ წარმოშვა სოფლის რევოლუციონერი პროპაგანდისტები, რომელთა რიცხვი XX საუკუნის დამდეგიდან კიდევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო გაიზარდა.

სხვა მრავალ პრობლემასთან ერთად ქართული სოფლის ერთ დიდ სატკივარს უგზოობა წარმოადგენდა. რუსეთის კავკასიურ ხელისუფლებას საქართველოში გზები თავდაპირველად მხარის სასაზღვრო მდებარეობის გამო გაჰყავდა. ცენტრალურ გზებს უმთავრესად სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა და ღორღითა და ხრეშით იყო დაფარული, დანარჩენი — ყამირის გზები იყო. სოფლებს ერთმანეთთან ბილიკები და სამარხილე თუ საურმე გზები აკავშირებდა, მაგრამ ბევრ მათგანზე გავლა ჭირდა. ფრანგ მწერალს, ა. დიუმას მოთხრობილი აქვს, როგორი ძნელი იყო ამ გზებზე გადაადგილება მათი გაუმართაობის გამო. პარიზიდან ყულევში ტვირთის მოტანა უფრო იაფი ჯდებოდა, ვიდრე იმავე ტვირთის ყულევიდან თბილისში გადაზიდვა.

XIX საუკუნის შუახანებიდან მდგომარეობა უკეთესობისაკენ შეიცვალა; 1852 წელს სოხუმიდან ზუგდიდამდე გზა გააგანივრეს, 50-იან წლებში დაიწყო თბილისიდან კახეთში მიმავალი ძველი სატრანსპორტო გზის გაფართოება. გაიყვანეს მრავალი გზა, რომელიც საგუბერნიო ცენტრს ქუთაისს სამაზრო ქალაქებსა და დაბა-სოფლებთან აკავშირებდა. 80-იან წლებში გაყვანილ იქნა შოსე თბილისიდან თელავამდე, გაუმჯობესდა თბილისი - ახალქალაქის და ბორჯომ-ახალციხის გზები. 1895 წლისათვის დასრულდა თბილისი - სიღნაღის შარაგზის მოკირწყვლა, შეკეთდა შიდა კახეთიდან ხევსურეთსა და საინგილოში მიმავალი გზები და სხვ. 70-იან წლებში რკინიგზის ხაზის გაყვანამ ახალი დასახლებები წარმოშვა, მრავალი ნასოფლარი ააღორძინა და ბევრი უკაცრიელი ადგილიც გამოაცოცხლა. სერიოზული ყურადღება მიექცა საზღვაო - სამდინარო ნაოსნობის განვითარებას, გაუმჯობესდა ნაოსნობა რიონსა და მტკვარზე.

საქართველოს მკვიდრთა თუ რუსული საოკუპაციო ჯარის ნაწილებისათვის მძიმე სენი იყო მალარია და სხვადასხვა ინფექციური დაავადებანი, რომლებიც დროდადრო ეპიდემიის სახით იფეთქებდა და დიდ მსხვერპლს იწვევდა(მაგალითად, შავი ჭირი 1811 წელს, ხოლერა 1830 და 1857 წლებში და სხვ.). მკურნალი და წამალი ყველგან ჭირდა. მოსახლეობა განსაცდელისაგან თავს ხალხური მედიცინის საშუალებებით იცავდა. სნეულთათვის დიდი შვება მოჰქონდა აგრეთვე საქვეყნოდ ცნობილი სახალხო ექიმების:

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურმანიძეების, ბაჯიაშვილთა და სხვ. საგვარეულო სამკურნალო საშუალებებს.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან გამოჩნდნენ პროფესიონალი მედიკოსები, მაგრამ მათი რიცხვი ჯერ კიდევ მცირე იყო. ერთი ექიმი ხშირად რამდენიმე დასახლებულ პუნქტს ემსახურებოდა. ბედნიერი იყო სოფელი, რომელშიც მკურნალი ცხოვრობდა, თუმცა ჰიპოკრატეს ერთგული მსახურნი მხოლოდ თანასოფლელებს როდი ედგნენ იმედად, — გასაჭირში ჩავარდნილთა მისაშველებლად ექიმი მზად იყო, ათეულობით კილომეტრიც კი გაევლო ცხენით თუ ფეხით. ხალხის გამორჩეული ნდობითა და პატივისცემით სარგებლობდნენ სამაზრო ქალაქებსა თუ დაბა-სოფლებში მოღვაწე ქართველი ექიმები დიმიტრი ნაზარიშვილი, გიორგი კახიანი, აბგარ ფანიაშვილი, გიორგი ტარსაიძე, პოლიკარპე ჩხიკვიშვილი, დიმიტრი ერისთავი, ტიტე ქიქოძე და სხვ.

სოფლური ყოფა წარმოუდგენელი იყო მეწვრილმანე ვაჭრების გარეშე. ამ ხელობას უფრო ებრაელები ეტანებოდნენ. მეწვრილმანის მხარზე გადაკიდებული ჩანთა ათასგვარ საქონელს იტევდა, რომელსაც გლეხები ფრინველის, ყველის, კვერცხის სანაცვლოდ, ნაღდ ფულზე ან ნისიად იძენდნენ. მერე და მერე სოფლებში კომერციული დუქნებიცა და მაღაზიებიც გაჩნდა, რამაც პროდუქციის შეძენა მნიშვნელოვნად გააიოლა, თუმცა დუქნის მფლობელთა უმეტესობა ისეთი გაიძვერა აღმოჩნდა, რომ ქართველი ხალხის ცნობიერებაში ტერმინი „მედუქნე“ მევახშის სახელთან გაიგივდა და არა წესიერ და ნამუსიან კომერსანტთან.

XIX საუკუნის პირველი მესამედის საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, ხანგრძლივი ომიანობისა და აჯანყებების გამო, ნორმალური პირობები არ არსებულა. ამ მხრივ დადებითი ძვრები მხოლოდ 40-იანი წლებიდან შეინიშნება. მშვიდობიანობის დამყარებამ კოლონიური რეჟიმის პირობებშიც კი სამეურნეო ცხოვრების გამოცოცხლება გამოიწვია, მეტი აქტიურობა დაეტყო მწარმოებელ ფენას, გაიზარდა მისი დაინტერესება შრომითი საქმიანობითა და სხვ.

მეურნეობის ტრადიციული დარგებიდან ახალი აღმავლობა განიცადა მემარცვლეობამ, გადიდდა ნათესების ფართობი, ხორბლისა და სიმინდის წარმოებამ სასაქონლო ხასიათი შეიძინა. სამხრეთ კავკასია უკვე საკუთარი პურით ამარაგებდა აქ

დისლოცირებულ რუსეთის მრავალათასიან არმიას, ხორბლის ნაწილი საზღვარგარეთაც იყიდებოდა. 60-ანი წლებიდან საქართველოდან უცხოეთში გაჰქონდათ 1 მილიონ ფუთამდე, ხოლო 90-იან წლებში 6 მილიონ ფუთზე მეტი სიმინდი. ქართული სიმინდის უცხოელი მომხმარებელი იყვნენ ოსმალეთი, ინგლისი, შოტლანდია და ირლანდია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწინაურდა მევენახეობა, მეღვინეობა, რომელთა უმთავრეს კერას კახეთი წარმოადგენდა. ღვინის წარმოებას ფართოდ მისდევდნენ დასავლეთ საქართველოშიც. ქართული ღვინო ძირითადად ადგილობრივ ბაზარზე საღდებოდა, თუმცა იგი საკმაო ოდენობით გადიოდა საქართველოს ფარგლებს გარეთ და მოწონებითაც სარგებლობდა.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ, როცა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში ვაზს სოკოვანი დაავადებისა და ფილოქსერის სახით გამანადგურებელი საფრთხე დაემუქრა, მეფის მთავრობამ საოცარი გულისხმიერება გამოიჩინა, საქმეში იმპერიის საუკეთესო სპეციალისტები ჩართო, რომელთა წყალობით ვაზის სამშობლო უვენახოდ დარჩენას გადაურჩა.

ზრდის ტემპი საგრძნობი იყო ინტენსიური მეურნეობის სხვა დარგებშიც, კერძოდ: მნიშვნელოვნად ამაღლდა მეხილეობა, აბრეშუმის პარკის, თამბაქოს, ბამბის სასაქონლო წარმოება და სხვ.

1845 წელს საქართველოში ჩინეთიდან პირველად შემოიტანეს ჩაის თესლი. ახალმა კულტურამ კარგად იხარა დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზოლში. მალე აფხაზეთის, გურიის, სამეგრელოსა და მოგვიანებით აჭარის სოფლებში გაშენებულ იქნა ჩაის მოზრდილი პლანტაციები.

მთის მოსახლეობა მეტ ყურადღებას უთმობდა მეცხოველეობის განვითარებას, გაიზარდა ცხვრისა და რქოსანი პირუტყვის ოდენობა, გაფართოვდა რძით, ყველით, ხორცით, მატყლითა თუ ტყავით ვაჭრობა და სხვ. საერთოდ, ერთობ გაცხოველდა და მასშტაბური გახდა აღებ-მიცემობა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს ძირითად კომერციულ პუნქტებს წარმოადგენდნენ თბილისი, ქუთაისი და ყულევი. განთქმული იყო ალავერდის ბაზრობა კახეთში, ხონის, ჩხარის, საჩხერის, ონისა თუ სენაკის ბაზრობები დასავლეთ

საქართველოში და სხვ. საქონელბრუნვის თვალსაზრისით შემდგომში დიდი მნიშვნელობა შეიძინეს საპორტო ქალაქებმა ფოთმა და ბათუმმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს დაპყრობის შემდეგ რუსეთმა კარგა ხანს ვერ შეძლო აქაური ბაზრის საქონლით უზრუნველყოფა. პირველი მოხმარებისა და ბევრი სხვა პროდუქცია კვლავინდებურად ირანოსმალეთიდან შემოჰქონდათ. 1853 წლამდე, ვიდრე ერთიანი ფულადი სისტემა დამკვიდრდებოდა, ფულის ნიშნებიც სხვადასხვანაირი იყო. მიუხედავად ამისა, მთავრობის ღონისძიებებმა (შინაფეოდალური საბაჟოების ლიკვიდაცია, სავაჭრო-საქარავნო გზებზე უსაფრთხოების დაცვა და სხვ.) ხელი შეუწყო როგორც საშინაო, ისე საგარეო ვაჭრობის განვითარებას. განსაკუთრებით დადებითი როლი შეასრულა 1822-1831 წლებში მოქმედმა „შეღავათიანმა ტარიფმა," რომელიც ევროპული ნაწარმის დაბალი ბაჟით შემოტანასა და თავისუფალ ტრანზიტს ითვალისწინებდა. საქართველოს ხელსაყრელი შანსი გაუჩნდა, აქტიურად ჩაბმულიყო მსოფლიო ვაჭრობის ორბიტაში, ამასთან, ქვეყანას ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ბუნებრივი ხიდის ფუნქციაც უბრუნდებოდა, რაც ბიზანტიის დაცემის შემდგომ მრავალი საუკუნის განმავლობაში მას დაკარგული ჰქონდა.

ადგილობრივი ვაჭრები ჯერ კიდევ მცირე კაპიტალს ფლობდნენ, ისინი არც დასავლური აღებ-მიცემობის პრაქტიკული ცოდნით გამოირჩეოდნენ, მაგრამ პროდუქციის შესაძენად მაინც მიემგზავრებოდნენ გერმანიის, ავსტრიისა თუ საფრანგეთის ქალაქებში. აღსანიშნავია, რომ ქართველთა შორის ვაჭრობა ძველთაგანვე, რატომღაც, დასაძრახ ხელობად იყო მიჩნეული. კომერციულ საქმიანობას ჩვენში უმთავრესად სომეხი და ებრაელი ერის წარმომადგენლები მისდევდნენ, მაგრამ XIX საუკუნის სოციალურ-ეკონომიკურმა სიახლეებმა ვითარება ამ მხრივაც შეცვალა. ვაჭრობაში ჩაბმას ახლა ხელმოკლე აზნაურებიც აღარ თაკილობდნენ. მომრავლდნენ გლეხთა წრიდან გამოსული ისეთი შეძლებული კომერსანტები, როგორებიც იყვნენ: დათა და როსტომ ჭედიები, ძმები პაჭკორიები, ბეჟან და მიხეილ ქავთარაძეები, მამუკა, გრიგოლ და იაკობ ნიკოლაძეები, გიგო თოფურია და სხვ. ამ და სხვა დიდვაჭართა მიერ შემოზიდული საქონლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის ბაზარსაც ფლობდა, ნაწილი კი სპარსეთში გაჰქონდათ.

სატრანზიტო ვაჭრობას მნიშვნელოვანი მოგება მოჰქონდა საქართველოს კომერსანტებისათვის. მზადდებოდა პირობები სავაჭრო კაპიტალის წარმოებაში დასაბანდებლად, რაც ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩვეულებრივი პროცესი იყო დასავლეთის სახელმწიფოებში, მაგრამ საქართველო არ ყოფილა თავისუფალი ქვეყანა და მისი განვითარების მოდელს არა თვითონ, არამედ მეტროპოლია განსაზღვრავდა. მეფის მთავრობის გეგმაში კი ნაკლებად შედიოდა განაპირა მხარეთა სამრეწველო აღმავლობაზე ზრუნვა, ამიტომ იგი არა ქართული, არამედ საკუთარი —რუსული ბურჟუაზიის მფარველობის გზას დაადგა.

30-იანი წლების დამდეგიდან რუსეთმა კურსი საქართველოს ეკონომიკური ათვისებისაკენ აიღო. 1831 წელს ცარიზმმა შეღავათიანი სატრანზიტო ვაჭრობა გააუქმა და უპირატესობა კავკასიაში რუსული საქონლის ექსპორტს მიანიჭა. მალე დაწესებულ იქნა უცხოეთის ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის „ამკრძალავი ტარიფი", რამაც რუს ვაჭრებს კავკასიის მიმართულებით მწვანე შუქი აუნთო. ამ დროიდან, არსებითად, გამოიკვეთა თვითმპყრობელობის კოლონიალური პოლიტიკაც საქართველოს მიმართ ეკონომიკის სფეროში: საქართველოს იმპერიის ფაბრიკა-ქარხნების ნედლეულით მომარაგება ეკისრებოდა, თვითონ კი რუსული სამრეწველო პროდუქციის გამსაღებელი ბაზრის როლს უნდა დასჯერებოდა.

ვაჭრობის გამოცოცხლებამ სახე უცვალა ქართულ ქალაქებს, ხელი შეუწყო და დააჩქარა საქალაქო ცხოვრების განვითარება. სიახლე სხვებზე ადრე თბილისს დაეტყო, რომელიც არამარტო საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის პოლიტიკურ ცენტრად ჩამოყალიბდა.

XIX საუკუნის პირველ მეოთხედში თბილისს კვლავ აჩნდა აღა მაჰმად -ხანის შემოსევის კვალი. 1820 წელსაც კი ქალაქის ქუჩები ნანგრევებით ყოფილა სავსე. 40-იანი წლების დამდეგიდან იწყება ინტენსიური მშენებლობა როგორც გარეუბნებში, ისე კუკიაზე, ჩუღურეთში, ავლაბარში, ნავთლუხსა და და სხვ. თბილისი აღმოსავლური ფეოდალური ქალაქიდან ევროპული ტიპის განვითარებულ ქალაქად გადაიქცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროისათვის ქუთაისის მხოლოდ ცენტრალური ნაწილი იყო მჭიდროდ დასახლებული, თანამედროვე ქალაქის სხვა მიდამოები ჯერ კიდევ სოფლებს ეკავათ. 1846 წელს ქუთაისი საგუბერნიო ცენტრად გამოცხადდა, რამაც ქალაქის ზრდა-განვითარება შესამჩნევად დააჩქარა. აღმავლობის გზას ადგნენ სამაზრო ქალაქებიც გორი, თელავი, სიღნაღი, ახალციხე, დუშეთი და სხვ. სწრაფად დაწინაურდა ფოთი და ბათუმი. მნიშვნელოვანი საკვანძო ფუნქციები დაეკისრათ სარკინიგზო პუნქტებს ხაშურს, ზესტაფონსა თუ სამტრედიას.

60-იანი წლების დამდეგისათათვის ქალაქის მოსახლეობის რიცხვი სოფლის მოსახლეობის ხარჯზე გასამმაგდა და 140 ათასსს გადააჭარბა. ურბანიზაციის ტემპი კიდევ უფრო საგრძნობი იყო მომდევნო ათწლეულებში. გაიზარდა ქალაქების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის როგორც სამეურნეო, ისე კულტურულ ცხოვრებაში. შეიცვალა ქალაქის მკვიდრთა სოციალური შემადგენლობაც. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ნელ-ნელა დაირღვა ზღვარი წოდებათა შორის და განმსაზღვრელი ქალაქელთა ქონებრივი მდგომარეობა და საქმიანობის ხასიათი გახდა. წარმოიშვნენ კაპიტალისტური საზოგადოების ახალი ფენები: ერთის მხრივ, სანარმოო საშუალებათა მფლობელნი, რომლებიც ბურჟუაზიად მოინათლა და მეორე მხრივ, ნებით დაქირავებული მუშები, რომელთაც პროლეტარები ეწოდათ. მომრავლდა ვაჭართა და საშუალო მეწარმეთა ე.წ წვრილბურჟუაზიული ფენა, გაიზარდა მომსახურების სფეროში დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობა და სხვ.

თავიანთი პროფესიული საქმიანობის მიხედვით ვაჭრები გილდიებში, ხოლო ხელოსნები ამქართა კორპორაციულ ორგანიზაციებში იყვნენ გაერთიანებულნი. ზოგიერთ ქალაქში ერთი და იგივე ხელობის რამდენიმე ამქარიც არსებობდა, მცირე ქალაქებში კი ვაჭარ-ხელოსნები საერთო ამქარში ერთიანდებოდნენ. ამქრის მეთაურს უსტაბაში ერქვა, რომელსაც თვით ამქრის წევრები — ოსტატები და ქარგლები ირჩევდნენ. ქართული საქალაქო ცხოვრების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი იყო, რომ თითოეულ ამქარს ამა თუ იმ უბანში კვარტალი ან რიგი ჰქონდა და ადგილობრივი ბაზარი, ფაქტობრივად, ამქართა შორის ნაწილდებოდა. ხელოსანთა და ვაჭართა ამქრები სხვადასხვა გამოსაღებით

ქალაქის მთელ მმართველობას ინახავდნენ, ზრუნავდნენ საზოგადო ნაგებობათა მშენებლობის, ქუჩების კეთილმოწყობისათვის და სხვ. თბილისის ხელოსანთა ცნობილი აჯანყების შემდგომ, 1867 წელს გამოცემული კანონით, ამქარი ოფიციალურად გაუქმდა, მაგრამ გარკვეული სახით იგი XX საუკუნის 20-ანი წლების დამდეგამდე მაინც არსებობდა.

ქალაქში გამოირჩეოდა ცენტრალური — არისტოკრატიული და მდაბიოთა უბნები. მოსახლეობის ზედა ფენას ქალაქში თუ მის ირგვლივ ბაღები ჰქონდა გაშენებული, რაც შემოსავლის დამატებით წყაროს წარმოადგენდა.

საქალაქო ცხოვრებაში გამოიკვეთა ისეთი სოციალური ელემენტის როლი, როგორიც იყო მოქალაქე. მოქალაქეთა ფენა ჯერ კიდევ შუა საუკუნეების წიაღში წარმოიშვა, მაგრამ XIX საუკუნის 50-ინი წლებიდან იგი თვალსაჩინო და ანგარიშგასაწევ ძალად გადაიქცა. მოქალაქის წოდება და პრივილეგიები მემკვიდრეობით გადაეცემოდა, თუმცა ქონებრივი თვალსაზრისით განირჩეოდნენ პირველხარისხოვანი, შეძლებული, მეორე და მესამე ხარისხის მოქალაქეები. პირველხარისხოვანი მოქალაქენი ამ დროიდან რუსეთში არსებულ საპატიო მოქალაქის კატეგორიას გაუთანაბრეს. რამდენადაც თავადაზნაურობა ნივთიერად ღარიბდებოდა და ქვეითდებოდა, იმდენად მოქალაქეობა, როგორც წოდება, იზრდებოდა და ძლიერდებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ თბილისის მოსახლეობის უდიდეს პროცენტს არაქართველნი, კერძოდ სომხები შეადგენდნენ. საუკუნეთა გასწვრივ მძიმე ძნელბედობის ჟამს, მტერთაგან შევიწროებული სომხები მუდამ პოულობდნენ თავშესაფარს საქართველოსა და მის დედაქალაქში. ახალ რეალობაში, როცა ქართველი ხალხი ცარიზმის წინააღმდეგ ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლით იყო დაკავებული, სომხები ენეოდნენ სარფიან ვაჭრობას, მოხერხებულად იძენდნენ ადგილ-მამულს, აშენებდნენ სახლებს, აგროვებდნენ ფულსა და სხვ. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ მათ ხელი მიჰყვეს თავმოყრილი სიმდიდრის წარმოებაში დაბანდებას და სულ მალე მრეწველობის მთელ რიგ დარგებში გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვეს.

XIX საუკუნის დამდეგისათვის საქართველოს მრეწველობა არსებითად ხელოსნობით შემოიფარგლებოდა. ქართული ხელოს-

ნური ნაწარმი (მაგალითად, ბულატის ხმალი, ოქროქსოვილი და სხვ.) ფართოდ იყო განთქმული და დიდი მოწონებით სარგებლობდა. ეს ნაწარმი ახლა მხოლოდ დაკვეთით კი აღარ მზადდებოდა, არამედ გამიზნული იყო ბაზარზე გასატანად.

ახალი დროის ერთი მნიშვნელოვანი სიახლე წვრილხელოსნური წარმოების შემცირებასა და ჯერ მანუფაქტურების, ხოლო შემდეგ მანქანური ინდუსტრიის მომძლავრებაში გამოიხატა. ასეთი იყო აღმავალი კაპიტალიზმის „ტექნიკური მხარე" დასავლეთში და იგი ჩვენშიაც ასევე წარიმართებოდა, მაგრამ თვითმპყრობელობის პირობებში სამრეწველო „გადატრიალებამ" მდორე „გადასვლის" ხასიათი შეიძინა და ერთობ გაჭიანურდა. ამასთან, მსხვილი ინდუსტრიული წარმოება აქ მოკლებული იყო საკუთარ ეკონომიკურ ბაზას და ძირითადად უცხოურ კაპიტალს ეყრდნობოდა.

კიდევ უფრო თავისებურებით გამოირჩეოდა საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობის ე.წ. საზოგადოებრივი მხარე. ჯერ ერთი, ქართულ სინამდვილეში თვით ბურჟუაზიული განვითარების დონე არ ყოფილა მაღალი და მეორეც, ეროვნული ბურჟუაზია, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენლები თითებზე ჩამოითვლებოდნენ (ძმები ზუბალაშვილები, დავით სარაჯიშვილი, აკაკი ხოშტარია და სხვ.), რაოდენობრივად და ქონებრივად დიდად ჩამორჩებოდა უცხოტომელ, განსაკუთრებით სომხური წარმომავლობის კაპიტალისტებს. თავისი სისუსტის გამო, განსხვავებით ევროპული ანალოგისაგან, ქართული ბურჟუაზია ვერ იქცა ერის მესვეურ ძალად. მან ვერ შეძლო, ჩანაცვლებოდა დაკნინების გზაზე დამდგარ ფეოდალურ არისტოკრატიას და ვერც ქვეყნის განვითრების მესაჭეობა იტვირთა.

სპეციფიკური იყო ჩვენში მუშათა სოციალური მდგომარეობაც. სამრეწველო წარმოების გაფართოების კვალობაზე რეფორმის შემდგომ პეროიდში მუშათა ოდენობა შესამჩნევად გაიზარდა, მაგრამ რიცხობრივად იგი საქართველოს მოსახლეობის სრულიად უმნიშვნელო ნაწილს—1,4%-ს არ აღემატებოდა (დაახლოებით 28—32 ათასი). ნებით დაქირავებულ მუშათა კატეგორიას გაკოტრებული წვრილი ხელოსნები, ქარგლები და შეგირდები, ასევე სოფლიდან აყრილი და ქალაქს შეკედლებული უღარიბესი გლეხები ავსებდნენ. ეთნიკურად ქართველი ეროვნების მუშახელი ფრიად ჭარბობდა რუსეთიდან თუ ირან-თურქეთიდან შემოსულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ერთობლიობას. ქართველი მუშების უმეტესობა ჯერ კიდევ მჭიდროდ იყო დაკავშირებული მიწასთან და მთლიანად არ მოწყვეტოდა სოფელს. ეს გარემოება თავისებურად აისახებოდა მუშათა ფსიქოლოგიაზე და მათ ცნობიერებასაც გარკვეულ დაღს ასვამდა. სოფლად თუნდაც ერთი ციდა მეურნეობის ფლობა ქართველ მუშას მესაკუთრის გრძნობით მსჭვალავდა და ამით ძირეულად განასხვავებდა მას ყოველგვარ ქონებას მოკლებული რუსი პროლეტარისაგან.

ამ ყაიდის ქართველი მუშები თითქმის ყველა მნიშვნელოვან საწარმოში იყვნენ დასაქმებული, მაგრამ მათი კონცენტრაცია უფრო სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობაზე შეიმჩნეოდა.

სამზადისი რკინიგზის ხაზის გასაყვანად საქართველოში 60-იანი წლების შუა ხანებიდან დაიწყო. თავდაპირველად აიგო და 1871 წელს გაიხსნა ფოთი - ყვირილას მონაკვეთი, ერთი წლის შემდეგ ფოთის პორტი რკინიგზით უკვე თბილისს დაუკავშირდა. მალე რკინიგზა ქუთაისის, ტყიბულის, ბორჯომისა თუ სხვა მიმართულებით დაისერა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბათუმ-სამტრედიისა და ბაქო-თბილისის შემაერთებელი სარკინიგზო მაგისტრალის დასრულებას 1883 წლისათვის, რითაც რკინიგზის ხაზი შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე გადაიჭიმა. სარკინიგზო მიმოსვლა დიდად გააადვილა სურამის ოთხკილომეტრიანმა გვირაბმა, რომელიც ლიხის ქედზე 1886-1890 წლებში იქნა გაჭრილი. რკინიგზამ, რომელსაც მეფის მთავრობა სულ სხვა დანიშნულებით აგებდა, ცარიზმისა და უნებურად ხელი შეუწყო ქვეყნის ცალკეულ კუთხეთა შეკავშირებას, მათ სამეურნეო აღმავლობას, ბიძგი მისცა მრეწველობის მთელი რიგი დარგების აღმოცენებასა და შემდგომ გაფართოებას.

საქართველოს სამრეწველო განვითრებას ნაწილობრივ სახაზინო დაკვეთები, უფრო კი ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნილება განაპირობებდა. ნედლეულის გადამამუშავებელი პირველ მოზრდილი საწარმოები ჩვენში ჯერ კიდევ XIX საუკუნის 20-30-იან წლებში ამოქმედდა. ასეთი იყო 1828 წელს თბილისში გახსნილ აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა, რომელიც ფრანგმა ვაჭარმ კასტელმა დააარსა, ზუბალიშვილისა და კომპანიის შაქრის ქარხანა თბილისში, თელავის ბამბის სართავი ფაბრიკა და სხვ. მალე მაი საპნის, მინის, ტყავის, ლითონ და თუჯსასხმელი საწარმოები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავეჯის, მაუდის, თამბაქოს ფაბრიკები, აგურის, კრამიტის, ხე-ტყის სახერხი ქარხნები შეემატა.

დავით სარაჯიშვილი

გამოცოცხლება დაეტყო სამთამადნო წარმოებას, რომლის ძირითად კერას ალავერდის, ახტალისა და შამბლულის სპილენძის საბადოები წარმოადგენდნენ. 40-იანი წლების განმავლობაში საფუძველი ეყრება სამთომოპოვებით მრეწველო-ბას, იწყება ტყიბულის ქვანახშირის საბადოთა დამუშავება, უფრო მოგვია-ნებით, 1879 წლიდან, აკაკი წერეთლის ინიციატივით, სათავე დაედო ჭიათუ-რის მანგანუმის ამოღებას, ნავთლუღ-ში, ელდარისა და შირაქის ველებზე მოიპოვებდნენ ნავთობს და სხვ.

სწრაფად განვითარდა ახლად აღ-მოცენებული კვების მრეწველობა, მომრავლდა პურსაცხობი საწარმოები, თბილისში გაიხსნა მაკარონის ფაბრიკა. გერმანელი კოლონისტები აწარმოებდნენ საუკეთესო ხარისხის ბავარიულ ლუდს. ფართოდ გაითქვა სახელი ევროპული განათლე-ბის მქონე ქიმიკოსისა და მეწარმის, დავით სარაჯიშვილის ქარხნებში დამზადებულმა ალკოჰოლურმა სასმელებმა — ქართულმა კონიაკმა და ლიქიორმა. სარაჯიშვილის ნაწარმი მისსავე თბილისის, მოსკოვის, პეტერბურგის, ვარშავისა თუ სხვა მაღაზიებ-ში საღდებოდა, პროდუქციის ნაწილი ინგლისში, გერმანიაში, ავსტრიასა და შვეიცარიაში იყიდებოდა.

ფაბრიკა-ქარხნები თითქმის საქართველოს ყველა კუთხეში ამოქმედდა, სახელდობრ: ქუთაისში, თელავში, გორში, სიღნაღში, ახალციხეში და სხვ. ქვეყნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამრეწველო ცენტრად იქცა ქალაქი ბათუმი, რასაც დიდად შეუწყო ხელი ბაქოში ნავთის წარმოების სწრაფმა დაწინაურებამ. აზერბაიჯანული ნავთობის ექსპორტს საერთაშორისო ბაზარზე ძირითადად ბათუმის პორტი ემსახურებოდა. ჭიათურის მარგანეცი, რომელიც ამ ნედლეულის მსოფლიო ექსპორტის 54%-ს შეადგენდა, უცხოეთის პორტებში ფოთის ნავსადგურიდან გაჰქონდათ.

გაუმჯობესდა კავშირგაბმულობის სისტემა, საქართველო

ტელეგრაფით დაუკავშირდა რუსეთის საიმპერიო ცენტრს, ხოლო 60—70-იან წლებში სატელეფონო კავშირი გაიბა თბილისს, ქუთაისს, ფოთს, თელავსა და სხვა სამაზრო ქალაქებს შორის. გაფართოვდა საფოსტო სადგურების ქსელი. თუ XIX საუკუნის 20-იანი წლების თბილისში ფოსტა კვირაში ერთხელ მოდიოდა და პეტერბურგიდან გამოგზავნილი კორესპოდენცია აქ 25 დღის, ხოლო ვროპის დედაქალაქებიდან 50-55 დღის შემდეგ აღწევდა, მომდევნო ათწლეულებში მომსახურება მნიშვნელოვნად გამოკეთთდა. 1893 წელს მუშაობა დაიწყო ტელეფონმა. მალე ეს სიახლე ქუთაისში, ბათუმში, მრავალ სხვა ქალაქსა თუ დაბაში დაინერგა. საუკუნის ბოლოსათვის აბონენტთა რაოდენობის მიხედვით თბილისს იმპერიაში მეხუთე ადგილი ეკავა პეტერბურგის, მოსკოვის, კიევისა და ხარკოვის შემდეგ.

საქართველოში გაჩნდა პირველი სამკურნალო დაწესებულებებიც. 1808 წელს თბილისში გაიხსნა სამხედრო ჰოსპიტალი, 1820 წელს აიგო ქალაქის საავადმყოფო, 1868 წელს მწყობრში ჩადგა მიხეილის სახელობის საავადმყოფო და სხვ. მოსახლეობის სამედიცინო დახმარება საგრძნობლად წასწია წინ ასევე 1864 წელს თბილისში კავკასიის ექიმთა საზოგადოების დაარსებამ.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში თბილისში ჯერ კიდევ არ იყო წყალმომარაგების სისტემა და ქალაქს წყლით თულუხჩები — წყლის მზიდავები უზრუნველყოფდნენ. 60-იანი წლებიდან თანდათან უმჯობესდებოდა საქალაქო მეურნეობა. მეტი ყურადღება მიექცა



თბილისის ხედი

ქალაქის კეთილმოწყობას და გარეგნული იერსახის მოწესრიგებას. აიგო ქვის ორ და სამსართულიანი სახლები, ახალი ხიდები, გაფართოვდა ძველი ქუჩაბანდები. 1861 წელს აშენდა თბილისის პირველი წყალსადენი, ხოლო 1887 წელს მეორე — ავჭალის წყალსადენი. დაიწყო საკანალიზაციო ნაგებობათა მშენებლობა, გამრავალფეროვნდა სატრანსპორტო საშუალებები. გავრცელება ჰპოვა რუსულ - ევროპული ტიპის ტრანსპორტის ისეთმა სახეობებმა, როგორიც იყო „დროშკა", ეტლი, ფურგონი, 80-იანი წლებიდან თბილისში იყენებდნენ ცხენის რკინიგზას („კონკა") და სხვ.

შესამჩნევად გაიზარდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა რიცხვი. ამ მხრივ უფრო მეტად თბილისი გამოირჩეოდა. აქ ჯერ იტალიური ოპერის, შემდეგ რუსული დრამის თეატრები დაარსდა, რომლებსაც 50-იანი წლების დამდეგიდან აღდგენილი ქართული თეატრი შეემატა. გამოდიოდა ჟურნალები და გაზეთები, იბეჭდებოდა წიგნები, დაფუძნდა ბიბლიოთეკა, მუზეუმი, ეწყობოდა გასართობი ღონისძიებანი. 1872 წელს თბილისში გაიხსნა იმპერატორ ალექსანდრე II-ის სახელობის ბაღი და სხვ.

თბილისის ლიტერატურულ სალონებში არცთუ იშვიათად გაიგონებდით ფრანგულ ენას. არისტოკრატიულ ოჯახებში საგანგებოდ ჩამოჰყავდათ ფრანგი თუ გერმანელი გუვერნიორები. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ძველი საოჯახო სალონები ადგილს უთმობენ სათავადაზნაურო, ოფიცერთა და სხვა კლუბებს.

ბატონყმობის გაუქმებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა საქართველოს სოციალურ ცხოვრებაშიც, თუმცა მოსახლეობის წოდებრივი დაყოფის პრინციპი არ გაუქმებულა. ძირითად საზოგადოებრივ კლასებად კვლავ თავადაზნაურობა და გლეხობა რჩებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ორივე მათგანი დიდ ქონებრივ დიფერენციაციას განიცდიდა და კაპიტალიზმის განვითრების პარალელურად, არსებითად, მათივე წიაღიდან წარმოიშვებოდა ახალი სოციალური ფენები — ბურჟუაზია და პროლეტარიატი.

სოციალური გათიშულობა და წოდებათა შორის ხიდჩატეხილობა კოლონიურ უღელთან ერთად დიდად აბრკოლებდა ქართველთა ეროვნულ ერთიანობას. ილია ჭავჭავაძის სიტყვით, „თავადს აზნაური სძულდა, აზნაურს თავადი, გლეხს ორივე". ამ ტრადიციულ წინააღმდეგობას რეფორმის შემდგომ ხანებში კიდევ ერთი

დაპირისპირება დაემატა, — ამჯერად მეწარმეებსა და მუშებს შორის და არც გამდიდრებულ ყოფილ გლეხთა ურთიერთობა ყოფილა მშვიდი სოფლად თავიანთ გუშინდელ თანამოძმეებთან. მონინავე ქართველი მოღვაწეები ცდილობდნენ, შეენელებინათ სოციალური უთანასწორობის სიმძაფრე, თუმცა საუკუნის ბოლოსათვის გამოჩნდა ახალი პლიტიკური ძალა — სოციალ-დემოკრატია, რომელმაც საპირისპირო მიმართულებით იწყო მოქმედება და ხსენებული პრობლემის გადაჭრა კლასობრივი ბრძოლის გაღრმავებითა და რევოლუციის გზით დააპირა.

მესამე დასი

XIX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდან საქართველოში გავრცელებას იწყებს ახალი იდეური მიმდინარეობა, რომელიც მარქსიზმის სახელწოდებითაა ცნობილი. ამ მოძღვრების ფუძემდებლები გერმანელი მოაზროვნენი, კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი იყვნენ. მათი შეხედულებანი ევროპის ქვეყნებში კაპიტალისტურ სინამდვილეზე დაკვირვებას, წინა ეპოქათა საზოგადოებრივი თუ მეცნიერული აზრის მიღწევების კრიტიკულ გადამუშავებას დაეფუძნა. მარქსისტული თეორიის უმთავრესი პრინციპები ასე გამოითქმის: კაცობრიობის პროგრესული განვითარების საწინდარი კლასობრივი ბრძოლაა; ისტორიის ჭეშმარიტი შემოქმედია ხალხთა მასები; ჩაგვრასა და ექსპლუატაციაზე დაფუძნებული კაპიტალისტური სისტემა დასაღუპადაა განწირული, მისი მესაფლავე პროლეტარიატი იქნება, მაგრამ გამარჯვების მისაღწევად აუცილებელია მსოფლიოს მთელი მუშათა კლასის მჭიდრო შეკავშირება („პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!"); კლასად ორგანიზებულმა პროლეტარიატმა მუშათა მოძრაობის სახელმძღვანელოდ საჭიროა შექმნას თავისი პოლიტიკური პარტია; სოციალური სამართლიანობისა და კეთილდღეობის — კომუნისტური წყობილების დამყარებისათვის პროლეტარიატი რევოლუციური გზით უნდა დაეუფლოს პოლიტიკურ ძალაუფლებას (პროლეტარიატის დიქტატურა).

მარქსიზმი უარყოფდა კერძო საკუთრებას, რელიგიური რწმენის საჭიროებას, ყოფიერებას ცნობიერების განმსაზღვრელად მიიჩნევდა და სხვ. ერთი სიტყვით, ეს იყო რევოლუციური

მსოფლმხედველობა, რომელიც მუშათა კლასის ბრძოლის იდეოლოგიად იქცა. აღსანიშნავია, რომ მარქსიზმის გარდა რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში აღმოცენდა მისგან რამდენადმე განსხვავებული სხვა სოციალისტური მიმდინარეობანიც (ნაროდნიკული სოციალიზმი, პრუდონიზმი, ტრედუნიონიზმი, ანარქიზმი, ბლანკიზმი და სხვ.)

მართალია, ამ პერიოდისათვის საქართველოში საფაბრიკო-საქარხნო ინდუსტრია ფართოდ განვითარებული არ ყოფილა და არც მუშათა კლასის რიცხვი იყო დიდი (1897 წლის აღწერით, სამრეწველო საწარმოებში დასაქმებულ მუშათა ოდენობა 30 ათასს ძლივს აღწევდა), მაგრამ მძიმე ეკონომიკური და სოციალური პირობები ქართველ მუშებსაც აიძულებდათ, ეფიქრათ თავიანთი ინტერესების დსაცავად.

მუშათა პირველი პროტესტი მათ ეკონომიკურ მოთხოვნებში გამოიხატა, რაც თანდათან გაფიცვებში, დემონსტრაციებსა და ადმინისტრაციასთან დაპირისპირების სხვა ფორმებში გადაიზარდა. ცალკეულ საწარმოებში ჩამოყალიბდა მუშათა და ხელოსანთა თვითგანვითარების წრეები, საკვირაო სკოლები, დაიწყეს ხელნაწერი ჟურნალების გამოცემა და სხვ.

მუშათა ამგვარი გააქტიურება ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა საქართველოში სოციალ-დემოკრატიული იდეების გასავრცელებლად. ახალი იდეოლოგია ჩვენში ორი — რუსეთისა და ევროპის გზით შემოდიოდა. რუსეთიდან იგი კავკასიაში გადმოსახლებულ თუ საგანგებოდ ჩამოსულ სოციალ-დემოკრატებს თ. აფანასიევს, ი. ლუზინს, გ. ფრანჩესკის, ო. კოგანსა და სხვებს შემოჰქონდათ, ევროპიდან კი სოციალისტური შეხედულებები საქართველოში საზღვარგარეთ მყოფი ქართველი ახალგაზრდების მეშვეობით აღწევდა. რუსული და დასავლეთ ევროპული სოციალ-დემოკრატიული მოძღვრებები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა და პირველის მიმდევრები მეორის გამზიარებელთა თუ თანამგრძნობთ უპირისპირდებოდნენ.

მარქსისტული ანუ სოციალ-დემოკრატიული მიმართულების პირველი ჯგუფი ქართულ სინამდვილეში მწერალ ეგნატე ნინოშვილის ირგვლივ შემოკრებილმა ახალგაზრდებმა შეადგინეს. ესენი იყვნენ: სილიბისტრო ჯიბლაძე, ისიდორე რამიშვილი, ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე, ვლადიმერ დარჩიაშვილი, მიხა ცხაკაია,



ნოე ჟორდანია

ფილიპე მახარაძე და სხვ. მათ 1892 წელს ზესტაფონში, ხოლო 1893 წელს თბილისში გამართული შეკრებების შედეგად დააფუძნეს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელსაც გიორგი წერეთელმა „მესამე დასი“ უწოდა. ამ პოლიტიკური გაერთიანების შექმნის შესახებ საზოგადოებას ოფიციალურად 1894 წლის 8 მაისს, ეგნატე ნინოშვილის დაკრძალვისას ეუწყა. გარდაცვლილ მწერალ-თან გამოსათხოვარ სიტყვებში ს. ჯიბლაძემ და ვ. დარჩიაშვილმა ე. ნინოშვილი დასის მეთაურად აღიარეს და თავიანთი მიზანდასახულობა ზოგად შტრიხებში გაამჟღავნეს.

მესამე დასის პროგრამული დებულებები ნოე ჟორდანიამ შეიმუშავა და ნაშრომში „ეკონომიკური წარმატება და ეროვნება“ ისინი შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: ადამიანის ცხოვრების დედაბოძი ეკონომიკური კეთილდღეობაა; კეთილდღეობის მოპოვების პირდაპირი იარაღია ბურჟუაზიული განვითარების შედეგად გაღარიბებული მოსახლეობის ნაწილის შეკავშირება; მოწინავე დასი ესწრაფვის მთელი ერისა და თითოეული პიროვნების თავისუფლებას. მომდევნო პუბლიკაციებში თავისი ნააზრევი ნ. ჟორდანიამ მნიშვნელოვნად განავრცო. მას მიაჩნდა, რომ ძველი პატრიარქალური ურთიერთობები საქართველოშიც არსებითად კაპიტალისტურმა სინამდვილემ შეცვალა („ჩვენი ქვეყანა უკვე ჩადგა მოქალაქეობრივ ხანაში“); ეროვნული განვითარება ნიშნავს ეკონომიკურ განვითარებას, რასაც თან მოსდევს პოლიტიკური ცვლილებები; ერი დასებად ნაწევრდება, მათ შორის კლასობრივი ბრძოლა მწვავდება. თუ მოწინავე ევროპაში ცვლილებათა ინიციატორი ბურჟუაზია იყო, ჩამორჩენილ ქვეყნებში ეს როლი „მუშა ხალხს“ ეკისრება და არა ინტელიგენციას. ეროვნულ პროგრესს კლასთა ბრძოლა განაპირობებს („წინსვლის დედა ძარღვი აქ არის დამარხული“) და სხვ.

აღსანიშნავია, რომ მესამე დასელებზე ადრე სოციალ-დემოკრატიულ იდეოლოგიასა და პირადად კარლ მარქსს ნიკო ნიკოლაძე გაეცნო. ჩვენს თანამემამულეს მარქსმა თანამშრომლობა და კავკასიაში მუშათა საერთაშორისო ორგანიზაციის — I ინტერნაციონალის წარმომადგენლობა სთხოვა. ნიკო ნიკოლაძემ მარქსისტული მოძღვრების საქართველოში გავრცელება ეროვნული თვალსაზრისით საზიანოდ მიიჩნია და შეთავაზებულ წინადადებზე უარი განაცხადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავიანთი შეხედულებების პროპაგანდისათვის ქართველი მარქსისტები გაზეთ „კვალს" იყენებდნენ, რომლის ფურცლები მათ გიორგი წერეთელმა დაუთმო.

1893—1897 წლები ნოე ჟორდანიამ ევროპაში გაატარა. იქაური ყოფა-ცხოვრების გაცნობამ იგი დაარწმუნა, რომ „ევროპის სოციალური სტრუქტურა ძალიან შორს იდგა საქართველოს სოციალური სტრუქტურისაგან". სამშობლოში დაბრუნებულ მარქსისტს თავის წინანდელ თანამოაზრეთა და მუშათა წრეებშიც უფრო გავრცელებული რუსული სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგია დახვდა, რომელიც რევოლუციური გზით დიქტატურის დამყარებისაკენ მიილტვოდა, ეროვნულ საკითხს კი, როგორც კლასთა ბრძოლის შემნელებელ ფაქტორს, გვერდს უვლიდა და უარყოფდა.

საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლისას მესამე დასელები აცხადებდნენ, რომ ისინი არა რომელიმე წოდების, არამედ მთელი ერის ინტერესებს გამოხატავდნენ, რაც ნაკლებად შეეფერება სინამდვილეს. ქართველ სოციალ-დემოკრატებს, წოდებათა განურჩევლად, მართლაც, ერის საერთო ინტერესების დაცვა რომ ეტვირთათ, ისინი ილია ჭავჭავაძის გვერდით, მისი დროშის ქვეშ უნდა დამდგარიყვნენ, რადგან მთლიანი „ერის იდეოლოგი" სწორედ ილია იყო (ვაჟა - ფშაველა). ნოე ჟორდანიას მოგონების თანახმად, ილია ჭავჭავაძეს კიდევაც უცდია მასთან თანამშრომლობა და ახალგაზრდა პუბლიცისტისათვის „ივერიის" რედაქტორობა შეუთავაზებია.

ნოე ჟორდანია გაემიჯნა ილიას, „ივერიის" ნაცვლად იგი სათავეში ჩაუდგა „კვალს", რომელიც 1898 წლის პირველი ნომრიდან მთლიანად ქართველი მარქსისტების ხელში გადავიდა და მათი ლეგალური ორგანო გახდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე დასელები დაუპირისპირდნენ თერგდალეულთა ეროვნულ მსოფლმხედველობას, დაგმეს წოდებათა შერიგებათანამშრომლობის, ერის გამთლიანების თვალსაზრისი და ყოველგვარი წინსვლის საშუალებად კლასობრივი ბრძოლა გამოაცხადეს. მართალია, ნოე ჟორდანია არ უარყოფდა ილია ჭავჭავაძისა და მის თანამოაზრეთა ღვაწლს ქართველი ერის წინაშე XIX საუკუნის სამოციანი წლებისათვის, დადებითად აფასებდა გაზეთ „დროების" მოღვაწეობასაც, მაგრამ „ივერიასა" და მის ბანაკს ჩამორჩენილობასა და პროგრესის მტრობაში ადანაშაულებდა. „დღეს ჩვენს მწერლობაში „ივერიის" წინამძღოლობით ყოველმხრივი რეაქციაა, რეაქცია აზრის, ზნეობის, მოქალაქეობის, ქართული სიტყვიერების" — წერდა ნოე ჟორდანია და აცხადებდა, რომ ჩვენ ვებრძვით „ბნელეთის მოციქულის" თავად ილია ჭავჭავაძის მიმართულებასო. არანაკლებ დაუნდობელი იყო პუბლიკაციები ფილიპე მახარაძისა, რომელიც ქართველ სამოციანელებს და განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძეს ფეოდალურ აზროვნებას საყვედურობდა, მარქსიზმის პოზიციიდან სხვა უსამართლო და შეურაცხმყოფელ ბრალდებებს უყენებდა.

მესამე დასელები დაუფარავად ილაშქრებდნენ ეროვნული თანხმობის საზიანოდ, აღვივებდნენ სოციალურ შუღლსა და კლასობრივ წინააღმდეგობას, მოუწოდებდნენ ყველა იმ საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ მიმდინარეობათა იდეური განადგურებისაკენ, რომელიც წინ ეღობებოდა საქართველოში სოციალ-დემოკრატიული შეხედულებების გავრცელებას.

მესამე დასს დიდი წვლილი მიუძღვის მუშა ხალხის გათვითცნობიერებაში, მათ შეკავშირებასა თუ პოლიტიკურად განაფვაში, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში მარქსისტული იდეოლოგიის დამკვიდრებამ, სოციალ-დემოკრატთა პრაქტიკულმა მოღვაწეობამ დიდად ავნო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, შეაფერხა ერის კონსოლიდაციის პროცესი, უკანა პლანზე გადასწია და გააჭიანურა ბრძოლა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება XIX საუკუნის 80—90-იანი წლების საქართველოში

60—70 იან წლებში რუსეთში განხორციელებული ლიბერალური რეფორმები ქვეყანას ბურჟუაზიული განვითარების გზას უხსნიდა. იმპერიის ჩაგრული ხალხები, კერძოდ ქართველობა მთელი არსებით ესწრაფოდა ამ მნიშვნელოვანი გარდაქმნების საკუთარ მხარეში გატარებას, მაგრამ რადიკალური ცვლილებებისათვის თვით მეტროპოლია არ აღმოჩნდა მზად. რუსეთის საზოგადოების დიდი ნაწილი, მათ შორის რევოლუციური წრეები („ნაროდნაია ვოლია" და სხვ.) ეჭვით უცქერდნენ ალექსანდრე მეორის რეფორმატორულ საქმიანობას. ტერორისტულმა ჯგუფებმა „ხელმწიფე განმათავისუფლებელზე" რამდენიმე თავდასხმა მოაწყვეს, 1881 წლის 1 მარტს კი ნაროდოვოლცებმა ათვალწუნებული იმპერატორი სიცოცხლეს გამოასალმეს.

ამ ამბავს საქართველოშიც სიხარულით შეხვდნენ. ალეგორიული ხასიათის ლექსში აკაკი წერეთელმა რუსეთის მონარქის მკვლელობა გაზაფხულის მაუწყებელი მერცხლის შემოფრენად აღიქვა და მიიჩნია, რომ მომავალი, — ცარიზმის დამხობა და ეროვნული თავისუფლება — ახლოს იყო. თუმცა, ნამდვილი „გაზაფხულის" დადგომას ჯერ კიდევ ბევრი უკლდა.

საიმპერიო ტახტზე მოკლული მეფის შვილი — ალექსანდრე მესამე ავიდა. მან სასწრაფოდ შეაჩერა მიმდინარე გარდაქმნების პროცესი, რომელიც „საბედისწერო შეცდომად" გამოაცხადა და გეზი თვითმპყრობელობის განმტკიცებისაკენ აიღო. ქვეყანაში სამხედრო-პოლიტიკური რეჟიმი გაბატონდა. დაიწყო პოლიტიკური რეაქცია. ხელისუფლებამ მიზნად დაისახა ორი „ბოროტი" ძალის დათრგუნვა: 1. რევოლუციური ორგანიზაციების განადგურება და 2. განაპირა ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმოფხვრა.

შეკვეცილ იქნა პოლონეთისა და ფინეთის ისედაც მოჩვენებითი სუვერენობა, ხმარებიდან ამოიღეს პოლიტიკური ცნებები უკრაინა, ბელორუსია, საქართველო და სხვ. ფართო გასაქანი მიეცა დიდმპყრობელურ შოვინიზმს, გამძაფრდა კოლონიური ჩაგვრა. ცარიზმი იმპერიის სრული რუსიფიკაციის გზას დაადგა.

ახალმა იმპერატორმა მოუთმენლად მიიჩნია კავკასიის ადმინისტრაციული ავტონომიაც კი და 1882 წელს მეფისნაცვლის თანამდებობის გაუქმებისა და მთავარმართებლობის აღდგენის ბრძანება გამოსცა. მხარის მმართველობის სისტემა ძირეულად შეიცვალა. აქაური გუბერნიები უშუალოდ საიმპერიო ცენტრს დაუქვემდებარეს. კვლავ შემოღებულ იქნა გენერალ-გუბერნატორთა თანამდებობანი, მაზრები და ქალაქები საპოლიციო უბნებად დაჰყვეს, რომელთაც ბოქაულები განაგებდნენ. განსაკუთრებით გაძლიერდა კონტროლი მოსახლეობის კეთილსაიმედობაზე, გამკაცრდა ცენზურა.

მთავარმართებელს უფლება მიეცა, სასამართლო დადგენილების გარეშე, მხარიდან ხუთი წლის ვადით გაესახლებინა ნებისმიერი საეჭვო პირი. გენერალ-გუბერნატორებს საკუთარი შეხედულებისამებრ შეეძლოთ სამხედრო წესების გამოცხადება და წესრიგის დასაცავად შეიარაღებული ჯარის ნაწილების გამოყენება.

პოლიცია და ჟანდარმერია სდევნიდა, აპატიმრებდა, საპყრობილეებსა და კატორღაში გზავნიდა პროგრესული აზრის მატარებელ ადამიანებს. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა პოლიტიკურ ბრალდებულთა ადმინისტრაციული წესით დასჯა და სხვ.

კავკასიის მეფისნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის-ძე რომანოვი 1882 წლის დამდეგს რუსეთში გაიწვიეს. მთავარმართებლის პოსტზე დაინიშნა გენერალი დონდუკოვ-კორსაკოვი, რომელიც 1890 წელს თავადმა შერემეტიევმა შეცვალა, ამ უკანასკნელის ნაცვლად კი 1896 წელს თავადი გოლიცინი გამოიგზავნა. სამივე მათგანის მმართველობა ქართველი და სხვა კავკასიელი ეროვნების მცხოვრებთა მკვეთრი შევიწროებით აღინიშნა. უკიდურესად შეიზღუდა სახელმწიფო და სასამართლო დაწესებულებებში ადგილობრივი კადრების მიღება. აქამდეც ბიუროკრატიული სახელისუფლო სტრუქტურები ხალხისათვის სრულიად დაიხშო, უცხო და მიუწვდომელი გახდა.

მასობრივი ხასიათი შეიძინა და გაფართოვდა საქართველოს კოლონიზაცია. იმ ვითრებაში, როცა ქართველი გლეხობა სრულ უმიწობას განიცდიდა, კავკასიის ადმინისტრაცია რუსეთის შორეული გუბერნიებიდან ჩამოსახლებულ ათასობით უცხოტომელს შავი ზღვის სანაპირო ზოლში საუკეთესო ადგილ-მამულს ურიგებდა და მყარად ამკვიდრებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო მძლავრი იყო იერიში ქართული კულტურის, ზოგადად სულიერების წინააღმდეგ. რუსიფიკატორებმა გამალებით შეუტიეს ყველა იმ ბასტიონს, რომელიც ეროვნული იდეოლოგიის სიმტკიცეს განაპირობებდა. რეაქციის გამორჩეულ სამიზნედ იქცა ქართული სკოლა, ეკლესია, თეატრი, პრესა, მეტადრე კი ქართული ენა, — ფუძე და ბალავარი ეროვნული ცნობიერებისა.

თუ იმპერიის მასშტაბით რეაქციული კურსის მთავარი გამტარებლები სინოდის ობერ-პროკურორი კ. პობედონოსცევი, განათლების მინისტრი დ. ტოლსტოი, გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტის" რედაქტორი გ. კატკოვი იყვნენ, კავკასიის მთავარმართებელთა ძირითად საყრდენს სასწავლო ოლქის მზრუნველი კ. იანოვსკი და ეგზარქოსი პავლე წარმოადგენდნენ.

იანოვსკიმ თავისი მოღვაწეობა მზრუნველის პოსტზე სახალხო სკოლიდან ქართული ენის შევიწროება-განდევნით და სანაცვლოდ რუსულის შემოღებით დაიწყო. სკოლაში ქართულ ენაზე არათუ სწავლება, არამედ ლაპარაკიც კი აიკრძალა.

ქართველ პედაგოგებს სამსახურიდან ითხოვდნენ და ქუჩაში ერეკებოდნენ. განათლების სფერო, არსებითად ასიმილირებულ იქნა. რეაქციონერმა მზრუნველმა ქართველი ხალხის ეროვნული მთლიანობის საზიანოდ, სამეგრელოს სკოლებში მეგრულ, სვანეთში სვანურ და აჭარაში თურქულ ენებზე სწავლების ცირკულარი გამოსცა. თავის ამ მოქმედებას იანოვსკი პედაგოგიური მოსაზრებით და იმის მომიზეზებით ამართლებდა, რომ, თითქოს, მეგრელები, აჭარლები და სვანები ქართველები არ იყვნენ და ცალკე ეროვნებებს წარმოადგენდნენ. ხელისუფლება ისეთ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველი ერის გათიშვასა და დანაწევრებას, რომ საამისოდ დიდძალ სახსრებს გამოჰყოფდა და მათ ხარჯვას არ ერიდებოდა. პეტერბურგიდან საქართველოში სპეციალურად მოავლინეს მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენელი პროფესორი გრენი, რომელსაც რუსული დამწერლობის საფუძველზე მეგრული ანბანის შექმნა დაეკისრა. ამ იდეას მხარი ზოგიერთმა ვაიქართველმაც დაუჭირა. ანბანი შეადგინეს და მეგრულ ენაზე საღვთო წიგნების თარგმნაც დაიწყეს. მომდევნო ნაბიჯი სამეგრელოს ეკლესიებში ღვთისმსახურების მეგრულ ენაზე გადაყვანა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ადგილობრივმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამღვდელოებამ, მთელმა პროგრესულმა საზოგადოებამ ხმა აღიმაღლა და დაგმო ცარიზმის ეს მზაკვრული წამოწყება.

პრაქტიკულად გამოუყენებელი დარჩა რუსულის ბაზაზე შედგენილი სვანური ანბანიცა და სამრევლო სკოლებისთვის განკუთვნილი მეგრულ და სვანურ ენებზე გამოცემული პირველდაწყებითი სახელმძღვანელოებიც.

ქართველთა ერთობის განმტკიცების მიზნით ილია ჭავჭავაძე საგანგებოდ ეწვია ისტორიულ ეგრისს, მოიარა თითქმის მთელი კუთხე, ამხილა თვითმპყრობელობის ვერაგული გეგმა და წარმოთქვა ცნობილი სიტყვები: „სამეგრელოში მოვედი და საქართველო ვნახეო." მწერლის ეს ლაკონური ფრაზა ხატოვნად გამოხატავს საქართველოს მთლიანობისა და განუყოფლობის იდეას.

ქართველმა ინტელიგენციამ დროულად ამოიცნო ხელისუფლების მხრიდან მომდინარე საშიშროება და დაირაზმა მისგან თავდასაცა-ვად. იანოვსკის ხრიკებს გაბედული პუბლიკაციებით ფარდა ახადეს ს. მესხმა, დ. ყიფიანმა, ი. გოგებაშვილმა, ი. ჭავჭავაძემ და სხვებმა.

მეფის მთავრობა ათასგვარ საშუალებას მიმართავდა ქართველი და აფხაზი ხალხების ურთიერთგაუცხოების, მათი საუკუნოვანი ერთობის დარღვევისა და გათიშვის მიზნით. აფხაზეთში კოლონიზაციის გაძლიერებით, იმპერიული საეკლესიო პოლიტიკის განხორციელებითა თუ სხვა რუსიფიკატორული ღონისძიებებით თვითმპყრობელობა ესწრაფოდა, მოეწყვიტა ეს კუთხე საქართველოსაგან და ექცია იგი რუსულ პროვინციად.

ნიკო ნიკოლაძე

დედასამშობლოსაგან აჭარის, სამეგრელოს, სვანეთისა და აფხაზეთის ჩამოშორების ცდები ქართველი ხალხის შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდა. ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე მტკიცედ დადგა ქართული პერიოდული პრესა, რომელიც, სასტიკი ცენზურის

მიუხედავად, საზოგადოებაში შეურიგებლობის, სიმხნევისა და იმედიანი მომავლის სულისკვეთებას აღვივებდა. კავკასიის რუსულ ადმინისტრაციას შეუმჩნეველი არ დარჩენია პროგრესული ჟურნალ-გაზეთების ამგვარი განწყობილება და მათ საპირისპიროდ ცენზურასთან ერთად სადამსჯელო ორგანოები — პოლიცია და ჟანდარმერიაც აამოქმედა. 1880 წელს აკრძალეს რუსულენოვანი გაზეთი „ობზორი", რედაქტორი ნიკო ნიკოლაძე კი საქართველოდან გადაასახლეს. 1883 წელს აღკვეთეს გაზეთ „შრომის" და ჟურნალ „იმედის" გამოცემა. „მთავრობის საწინააღმდეგო მიმართულების გამო" 1885 წელს დახურულ იქნა გაზეთი „დროებაც."

თვითმპყრობელობა ებრძოდა და გასქანს არ აძლევდა ქართულ ბეჭდვით სიტყვას, მაგრამ მან ვერ გაბედა, გაეუქმებინა ისეთი მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა, როგორიც თეატრი იყო. თეატრს მესვეურობდა ქართული დრამატული საზოგადოება, რომლის ძალისხმევით ხელოვნების ეს ტაძარი მძლავრ ეროვნულ ტრიბუნად გადაიქცა. რეაქციის მსახურნი ცდილობდნენ, ჩაეკლათ საზოგა-დოების ინტერესი თეატრისადმი, დაემცროთ მისი როლი ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში, მაგრამ ვერას ხდებოდნენ. თეატრი მრავალრიცხოვან მაყურებელს იზიდავდა. განსაკუთრებული წარმატებით სარგებლობდნენ პატრიოტულ თემებზე შექმნილი სპექტაკლები (დ. ერისთავის მიერ ფრანგულიდან გადმოღებული „სამშობლო", აკ. წერეთლის „პატარა კახი" და სხვ.).

1882 წლის დამდეგს „მოსკოვსკიე ვედომოსტის" რუსმა კორესპონდენტმა აბუჩად აიგდო „სამშობლოს" წარმოდგენისას სცენაზე გამოტანილი ქართული დროშა, თვით რედაქტორმა კი ამ ბაირაღს „ჩვარი" უწოდა. ქართველმა საზოგადოებრიობამ დიდი გულისწყრომა გამოხატა მისი ეროვნული სიმბოლოს — დროშის შეურაცხოფის გამო. ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა საკადრისი პასუხი გასცეს გაზეთის ამ უხამს გამოხდომას.

რუსიფიკატორთა შეუნელებელ თავდასხმებს ვერც ქართული ეკლესია გადაურჩა. ეგზარქოსი პავლე, რომელიც ამ თანამდებობაზე 1881 წელს დაინიშნა, თვითმპყრობელური პოლიტიკის უერთგულესი მსახური იყო. მან თბილისის სასულიერო სემინარიაში აკრძალა ქართული ლიტერატურის სწავლება, მის გამგებლობაში

ეპისკოპოსი გაბრიელი

შემავალი სასწავლებლებიდან ეროვნული თავისუფლა ქართველი ზედამხედველები და მასწავლებლები, რომლებიც რუსებით შეცვალა. კვლავ გრძელდებოდა ეკლესია-მონასტრების ქურდული ძარცვა, გაჰქონდათ ძველი ხელნაწერები, ძვირფასი ხატები, ჯვრები და სხვ. რუს ეგზარქოსთა ხელში ეკლესიამ დაკარგა წინანდელი მიმზიდველობა, დაკნინდა მისი ავტორიტეტი და მრევლის გარკვეულმა ნაწილმა ზურგი აქცია სარწმუნოებას.

ეგზარქოსი ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებდა ცარიზმის მუხანათურ ღონისძიებებში, რომლებიც მიზნად ისახავდა საქართველოსაგან მისი ღვიძლი კუთხის — აფხაზეთის ჩამოცილებას, ქართველებსა და აფხაზებს შორის არსებული ისტორიული ერთობის დარღვევას, შურისა და მტრობის ჩამოაგდებას. ამ შორს გამიზნული გეგმის ნაწილი იყო 1885 წელს აფხაზეთის ცალკე ეპარქიად გამოყოფა, ოდნავ მოგვიანებით კი აფხაზეთ-სამურზაყანოს ეკლესიებში ქართულად წირვა-ლოცვის აკრძალვა.

ხელისუფლებისა და სინოდის ანტიქართულ საქმიანობას აფხაზეთში ენერგიულად დაუპირისპირდნენ იმერეთისა და გურია-სამეგრელოს მღვდელმთავრები გაბრიელი (ერისკაცობაში გერასიმე ქიქოძე) და ალექსანდრე (ოქროპირიძე), პატრიოტი მოღვაწეები თედო სახოკია, ნიკოლოზ თავდგირიძე და სხვები.

თავისი ქართველთმოძულეობის გამოსახატად ეგზარქოს პავლეს დამატებითი საბაბი მიეცა 1886 წლის გაზაფხულზე. იმხანად თბილისის სასულიერო სემინარიის ყოფილმა მოწაფემ იოსებ ლაღიაშვილმა, უსამართლო მოპყრობისათვის, განგმირა ამ სასწავლებლის რექტორი, დეკანოზი ჩუდეცკი. მოკლული რექტორის დაკრძალვის დღეს, სიონის ტაძარში გამოსვლისას პავლემ საჯაროდ დასწყევლა საქართველო და ქართველი ერი. ამ ფაქტმა უკიდურესად აღაშფოთა ქართველობა და დიდი მღელვარება

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიწვია. ერის შელახული ღირსების დაცვა დიმიტრი ყიფიანმა იტვირთა. მან საპროტესტო წერილი გაუგზავნა ეგზარქოსს და ულირს მწყემსმთავარს საქართველოს დატოვება მოსთხოვა.

მთავარმართებელმა დონდუკოვ-კორსაკოვმა 72 წლის დიმიტრი ყიფიანი სტავროპოლში გადაასახლა. მოხუც მოღვაწეს ესეც არ აკმარეს და მიგზავნილ მკვლელთა ხელით 1887 წლის 26 აგვისტოს სიცოცხლეც მოუსწრაფეს.

სამშობლოსათვის თავდადებული მამულიშვილი დიდი პატივით ჩამოასვენეს და მისი ნეშტი მთაწმინდას მიაბარეს. დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვა ქართველმა ხალხმა თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო მძლავრ დემონსტრაციად გადააქცია.

ხელისუფლების რეაქციულმა პოლიტიკამ საქართველოში ვერ შეანელა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. პირიქით, კოლონიური ჩაგვრის გაძლიერებამ მისი ახალი აღმავლობა განაპირობა.

მოძრაობას 80-იან წლებშიც თერგდალეულები მეთაურობდნენ. მათ რიგებს ამ დროისათვის ალექსანდრე ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას, ივანე მაჩაბლისა და სხვ. სახით ახალი თვალსაჩინო წევრები შეემატნენ. ყაზბეგი და ვაჟა მხატვრული სიტყვით, ივანე მაჩაბელი კი პუბლიცისტური კალმით ემსახურებოდა ეროვნული იდეალების განმტკიცებას. პატრიოტი მოღვაწეები არამარტო იდეურად უპირისპირდებოდნენ ცარიზმის კოლონიურ რეჟიმს, არამედ ცდილობდნენ, შეექმნათ და გაეფართოებინათ საგანმანათლებლო, კულტურული, სამეურნეო და სხვა დაწესებულებანი, ხელს უწყობდნენ ქართველი ხალხის სულიერი ძალების შემჭიდროებას, ეროვნულ კონსოლიდაციას, საზოგადოების ზნეობრივ გაჯანსაღებას, ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებასა თუ პოლიტიკურ გააქტიურებას, მშობლიური ენის, ეროვნული ტრადიციების, კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და განვითარებას.

გაზეთი „ივერია“

ამ მხრივ აღსანიშნავია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის, დრამატული საზოგადოების, წიგნის გამომცემელი ქართველი ამხანაგობისა და სხვ. მოღვაწეობა.

ქართული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში, ხალხის ეროვნული თვითშეგნების ამაღლების, საზოგადოებრივი აზრის გაცხოველების, პატრიოტული შემართებისა და მებრძოლი სულისკვეთების გაღვივებაში ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის ილია ჭავჭავაძის „ივერიას", რომელიც „დროების" დახურვის შემდეგ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა. „ივერია" ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთა ერთადერთი ორგანო იყო, რომელიც მთელი საქართველოს ფიქრსა და გულისთქმას გამოხატავდა. ცენზურის მძლავრობის პირობებშიც კი იგი ახერხებდა, საკადრისი პასუხი გაეცა ქართველი ერის ყველა ავისმოსურნესათვის, მართალი და იმედიანი სიტყვა ეთქვა ერთგული მკითხველისათვის.

XIX საუკუნის 80-იანი წლების ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სინამდვილეს ხალხოსნური (ნაროდნიკული) მოძრაობაც ავსებდა. ამ იდეოლოგიის სამშობლო რუსეთი იყო. აქაური ნაროდნიკები მ. ბაკუნინი, პ. ლავროვი, პ. ტკაჩოვი და სხვ. აღიარებდნენ, რომ რუსეთს განვითარების თვითმყოფადი გზა გააჩნია და იგი კაპიტალიზმის გვერდის ავლით სოციალიზმისაკენ მიემართება. საზოგადოებრივი პროგრესი, სოციალური თანასწორობა და სამართლიანობა თვითმპყრობელობის რევოლუციური დამხობით მიიღწევა. რევოლუცია ინტელიგენციის მოთავეობით გლეხობამ უნდა განახორციელოს. გლეხური თემი იქნება სოციალიზმის მთავარი დასაყრდენი.

ქართველ ხალხოსანთა დიდი ნაწილი (ივანე ჯაბადარი, მიხეილ ჩიკოიძე, გიორგი ზდანოვიჩ-მაიაშვილი, ალექსანდრე ციციშვილი და სხვ.) რუსეთში მოღვაწეობდა და ჩართული იყო პრაქტიკულ რევოლუციურ საქმიანობაში. რუს ნაროდნიკებთან ერთად ისინი გადიოდნენ ხალხში და ქადაგებდნენ გლეხურ რევოლუციას. მთავრობამ შეძლო აღმოეჩინა ნაროდნიკული ორგანიზაციები, რომელთა წევრები ხანგრძლივი პატიმრობით ან ციმბირში გადასახლებით დასაჯა.

ხალხოსნური იდეებით გატაცება საქართველოში 70-იან წლებში დაიწყო. საიდუმლო წრეები ჩამოყალიბდა თბილისში, გორში, ქუთაისში, თელავსა და ოზურგეთში. მოძრაობის ხელმძღვანელები და აქტიური მონაწილენი იყვნენ: ეგნატე იოსელიანი, ისიდორე ქიქოძე, მიხეილ ყიფიანი, სტეფანე ჭრელაშვილი და სხვ. ხალხოსანთა რიგებში არაერთი ქართველი მწერალი და პუბლიცისტი შედიოდა, კერძოდ: ანტონ ფურცელაძე, ნიკო ლომოური, სოფრომ მგალობლიშვილი, ნიკო ხიზანიშვილი (ურბნელი), ესტატე მჭედლიძე (ბოსლეველი), ზაქარია ჭიჭინაძე და სხვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუს ნაროდნიკთა მსგავსად, ქართველი ხალხოსნებიც უსამართლო რეჟიმის დასამხობად იბრძოდნენ და საყოველთაო კეთილდღეობის იმედს ჯერ გლეხთა საერთო აჯანყებაზე, მერე კი მდაბიო ხალხის განათლებასა და ეკონომიკურ გაძლიერებაზე ამყარებდნენ. ხალხოსნები სოფლის მშრომელ მოსახლეობაში ავრცელებდნენ საგანგებოდ ქართულად თარგმნილ რევოლუციური ხასიათის პოლიტიკურ თუ მხატვრულ ლიტერატურას, პროკლამაციებსა და სხვ., რომლებსაც სოფელ ტყვიავში მოწყობილ არალეგალურ სტამბაში ბეჭდავდნენ.

ნაროდნიკული მოძრაობის უმთავრეს მიზანს გლეხთა სრული განთავისუფლება და სოციალისტური წყობილების დამყარება შეადგენდა. ხალხოსნები გლეხთა ფენებს არსებული რეალობის რევოლუციურად გარდაქმნის აუცილებლობაში არწმუნებდნენ და საამისოდ მათ დარაზმვას ლამობდნენ. მცირე გამონაკლისის გარდა, ქართველ გლეხკაცობას მთავრობასთან იარაღით დაპირისპირების ენთუზიაზმი არ გამოუხატავს, სოფელმა, ფაქტობრივად, უარყო მიწისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის ნაროდნიკული თვალსაზრისი.

მიუხედავად იმისა, რომ „ტეტიათა მოტრფიალეების“ (ასეც უწოდებდნენ ქართველ ხალხოსნებს) მოღვაწეობამ — „ხალხში სიარულმა“ და გლეხური ამბოხების პროპაგანდამ პრაქტიკული შედეგი ვერ ჰპოვა, ამ მოძრაობას ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში უკვალოდ მაინც არ ჩაუვლია. მას შემდეგ, რაც ჟანდარმერიამ აღმოაჩინა და გაანადგურა ხალხოსანთა ძირითადი ორგანიზაციები, მუშაობა ერთხანს მინელდა, თუმცა ოთხმოციანი წლების დამდეგიდან კვლავ გამოცოცხლდა და გარკვეულად სახეც იცვალა. ზოგმა ქართველმა ხალხოსანმა ისევ

განაგრძო ფარული რევოლუციური საქმიანობა, უმრავლესობამ კი ხელი აიღო თვითმპყრობელობასთან ბრძოლის წინანდელ გზაზე და გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით კულტურულ და საგანმანათლებლო ასპარეზზე გადაინაცვლა.

ლეგალურმა ხალხოსნებმა დააფუძნეს თავიანთი ბეჭდვითი ორგანოებიც: 1881-1883 წლებში ისინი ქუთაისში გამოსცემდნენ გაზეთ „შრომას" (რედაქტორი დ. დადიანი), ხოლო თბილისში ჟურნალ „იმედს" (რედაქტორი მ. გურგენიძე). მათი მესვეურები ესარჩლებოდნენ უნუგეშო ყოფაში დარჩენილ თანამემამულეებს, ილაშქრებდნენ ბატონყმური გადმონაშთების წინააღმდეგ და ესწრაფოდნენ მათ დაუყოვნებლივ აღმოფხვრას. „იმედის" პუბლიცისტები არ იწყნარებდნენ წოდებათა შერიგებისა და თანამშრომლობის სამოციანელთა იდეოლოგიას, იწუნებდნენ მათ სხვა შეხედულებებს, ეკამათებოდნენ „ივერიის" ირგვლივ შემოკრებილ მოღვაწეებს. თუმცა, როდესაც ადმინისტრაციამ ხსენებული გამოცემები დახურა და ხალხოსნობამ დამოუკიდებელი იდეური მიმდინარეობის ელფერი დაჰკარგა, ამ მსოფლმხედველობის ერთგულ მიმდევართა ნაწილი სხვადასხვა საზოგადოებრივ დაჯგუფებაში გაერთიანდა, ნაწილი კი თერგდალეულთა ბანაკს მიეკედლა, რომელიც საქართველოში კვლავ გავლენიან პოლიტიკურ ძალად რჩებოდა.

ეროვნულ ძალთა აღიარებული ლიდერი ილია ჭავჭავაძე იყო. იგი განუხრელად ერთგულებდა და მისდევდა ჯერ კიდევ 60-იან წლებში არჩეულ საქართველოს თავისუფლების გზას. ილიას სჯეროდა, რომ ეროვნული თავისუფლება ერთი ხელის დაკვრით ვერ მიიღწეოდა, ამიტომაც მიზნისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ სვლას, „დინჯ, დარბაისულ და მშვიდობიან მოქმედებას" ამჯობინებდა. ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოსაგრენი ერს იმაზე მეტ პრაქტიკულ ამოცანას არ უსახავდნენ, რისი განხორციელებაც კონკრეტულ ვითრებაში იყო შესაძლებელი. სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის პირველ საფეხურად გონიერმა მოღვაწემ 80-იან წლებში პოლიტიკური ავტონომია წამოაყენა, რომელსაც სხვა, უკეთეს პირობებში ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენა უნდა მოჰყოლოდა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთა ნამდვილი მიზანდასახულობა შეუმჩნეველი არ დარჩენია მეფის

ხელისუფლებას. კავკასიის რუსული ადმინისტრაცია განსაკუთრებ-
ბით მტრობდა ილია ჭავჭავაძეს, მასზე 1884 წლიდან პოლიციის
ფარული მეთვალყურეობა იქნა დაწესებული. საყურადღებოა ისიც,
რომ ცარიზმმა ქართველ საზოგადოებრიობას ნება არ დართო, 1897
წელს აღენიშნა ერის ღირსეული შვილის დაბადებიდან 60 წლის
იუბილე.

მთავრობას არ დაუშლია და 1895 წელს თბილისში დიდი ზეიმით
მოეწყო მხცოვანი პოეტის, რაფიელ ერისთავის საიუბილეო
საღამო. უფრო ადრე, 1893 წელს უდიდეს საზოგადოებრივ
მოვლენად იქცა განჯიდან ნიკოლზ ბარათაშვილის ნეშტის
გადმოსვენება, რომელსაც საქართველოს ყველა კუთხის წარმო-
მადგენლები დაესწრნენ.

თავისი მიზანდასახულობით ერთობ საგულისხმოა 1882 წელს
მომხდარი ფაქტიც. ამ წელს თბილისში ალექსანდრე ბატონიშვილის
ვაჟი, ერეკლე ბაგრატიონი გარდაიცვალა, — პიროვნება, რომელ-
მაც, უარი თქვა იმპერიის სამსახურზე, არ მიეყიდა დამპყრობელთ
და იცხოვრა თავისუფლებაწართმეული სამშობლოს ხვედრით, —
შეჭირვებით, მაგრამ ღირსებით. ერეკლე ბაგრატიონი სიონიდან
მცხეთას მეფური პატივით წაასვენეს, დაკრძალვის წინ კი
ცხედრისათვის საიდუმლო მეფედკურთხევა გაუმართავთ. ამ
პატრიოტული მანიფესტაციით ხალხი პატივს მიაგებდა თავის
ზნეობრივ გმირს, მასთან ერთად ეროვნული თავისუფლების
სიმბოლოდ მიჩნეულ ალექსანდრე ბატონიშვილსა და კარგა ხნის
წინ დაკარგულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობასაც.

ეროვნული ერთობის შთამბეჭდავი დემონსტრაცია იყო
კრწანისის ომისა და მეფე ერეკლე მეორის გარდაცვალებიდან 100
წლისთავისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი ღონისძიებები და სხვ.
ყველაფერი ეს ცხადყოფდა, რომ ეროვნულ-განმათავისუფლე-
ბელი მოძრაობა აღმავალი გზით მიემართებოდა, ქართველი ხალხის
მოქალაქეობრივი თვითშეგნება საგრძნობლად ამაღლდა და
გაიზარდა.

საზოგადოებრიობის ცხოველი ინტერესი გამოიწვია 90-იან
წლებში გაჩაღებულმა დისკუსიამ ილია ჭავჭავაძესა და ივანე
მაჩაბელს შორის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის
დანიშნულების თაობაზე. ეს ხანგრძლივი პაექრობაც, რომელიც
ფართოდ შუქდებოდა პერიოდულ პრესაში, ქართველთა გონებრი-

ვი თვალსანიერის გაფართოებაზე, ინტელექტუალური ცხოვრების აშკარა გააქტიურებაზე მიანიშნებდა. ამასვე მოწმობდა აზრთა სხვადასხვაობა ეკონომიკურ საკითხებზე, რომელმაც თავი იჩინა თერგდალეულთა წიაღში. კამათი სოციალურისა და ეროვნულის ურთიერთმიმართების, ეროვნული პროგრესის მეთაური ძალის განსაზღვრის შესახებ, ერთის მხრივ, ილია ჭავჭავაძესა და ნიკო ნიკოლაძეს, მეორე მხრივ ილია ჭავჭავაძესა და გიორგი წერეთელს შორის და სხვა.

90-იანი წლების დასაწყისის მნიშვნელოვანი სიახლე იყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობით სტუდენტი-ახალგაზრდობის ძალუმი დაინტერესება და მათი ჩაბმა რევოლუციურ მოძრაობაში. რუსეთისა თუ უკრაინის საუნივერსიტეტო ქალაქებში აღმოცენებული ქართველ სტუდენტთა სათვისტომოები აქამდე უფრო აკადემიური საქმიანობით შემოიფარგლებოდნენ, ახლა კი მათი მზერა ეროვნული და სოციალური თავისუფლების პრობლემებსაც გადაწვდა.

მოსკოვის, პეტერბურგის, კიევის, ხარკოვის, ოდესის, ვარშავის უნივერსიტეტებში მოსწავლე ქართველმა სტუდენტებმა ჩამოაყალიბეს ფარული წრეები, რომელთა გაერთიანების მიზნით, 1892 წელს ქუთაისში, ხოლო 1893 წელს თბილისში არალეგალური ყრილობები მოიწვიეს. დაფუძნდა ორგანიზაცია, რომელსაც „საქართველოს თავისუფლების ლიგა“ უწოდეს. „ლიგის“ წევრები იყვნენ: ანდრია და გიორგი დეკანოზიშვილები, მიხეილ ხელთუფლიშვილი, ვახტანგ ღამბაშიძე, თედო სახოკია, გიორგი გვაზავა, კიტა აბაშიძე, ნოე ჟორდანია, ფილიპე მახარაძე და სხვ.

როგორც სახელწოდებიდან ჩანს, „ლიგის“ მიზანი საქართველოს განთავისუფლება იყო. ორგანიზაციის პროგრამიდან ირკვევა, რომ სტუდენტებს სამშობლოს დამოუკიდებლობა იმპერიის ჩაგრულ ერებთან შეკავშირებითა და ერთობლივი ძალისხმევით წარმოედგინათ. ახალგაზრდებს ბრძოლის დროშა იმ მომენტში უნდა აღემართათ, როცა რუსეთი რაიმე „საშინაო ან საგარეო მიზეზით დასუსტდებოდა,“ მანამდე კი მთავარი ყურადღება ხალხის გონებრივ განვითარებას, სუვერენული ცხოვრებისათვის ერის მომზდებას უნდა დათმობოდა.

„თავისუფლების ლიგის“ იდეური მიმართულების ზუსტი განსაზღვრა ძნელდება, რადგან „ლიგას“ პრაქტიკული მუშობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაშლა არ დასცალდა. ჟანდარმერიამ მალევე მიაგნო მის კვალს და ორგანიზაციის საქმიანობა თითქმის ჩანასახშივე აღკვეთა.

XIX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფრონტი კიდევ უფრო გაფართოვდა. სამოციანელთა თაობას სიტყვაკაზმული მწერლობის ნიჭიერი ოსტატები დავით კლდიაშვილი, ანასტასია ერისთავ-ხოშტარია, ნაროდნიკული მოძრაობის წიაღიდან გამოსული კალმოსნები სოფრომ მგალობლიშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, შიო არაგვისპირელი და სხვები შუერთდნენ. მათთან ერთად „ივერიის" გარშემო თერგდალეულთა ტრადიციებზე აღზრდილი ქართული კულტურის ახალგაზრდა წარმომადგენელთა ჯგუფიც შემოიკრიბა გიორგი ლასხიშვილის, ვასილ წერეთლის, ილია ნაკაშიძის, იაკობ ცინცაძის, გიორგი დეკანოზიშვილის, კიტა აბაშიძის, გიორგი ჟურულისა და სხვ. შემადგენლობით, რომელთაც „ახალგაზრდა ივერიელებსაც" უწოდებენ. ჯგუფის წევრები საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური განვითარების შესახებ რამდენადმე განსხვავებულ შეხედულებებს გამოთქვამდნენ. დააპირეს თერგდალეულთა პროგრამის კიდევ უფრო დაკონკრეტება და გაზეთის ამ მიმართულებით განახლება, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. ადმინისტრაციამ 1896 წლის მაისში „ივერია" დახურა და მისი გამოცემა 8 თვით შეაჩერა.

გ. ლასხიშვილმა, კ. აბაშიძემ, ი. ცინცაძემ და ზოგიერთმა სხვა ახალგაზრდა პუბლიცისტმა ჟურნალ „მოამბეში" გადაინაცვლა, რომელიც 1894 წლიდან ალექსანდრე ჭყონიას რადაქტორობით გამოდიოდა.

„მოამბემ" ქართული საზოგადოებრივი აზრი მნიშვნელოვნად გააცხოველა. ჟურნალი ლიტერატურული ორგანო იყო, თუმცა მისი ფურცლები სოციალური ჟღერადობის პუბლიცისტურ წერილებსაც ეთმობოდა. ახალი გამოცემის ირგვლივ დარაზმულ პატრიოტულ მოღვაწეთა შორის გამოირჩეოდა გიორგი მაიაშვილისა (ზდანოვიჩი) და იაკობ ფანცხავას ნაწერები, რომლებშიც დასაბუთებული იყო ქვეყნის კაპიტალისტური განვითარების აუცილებლობა, ეროვნული ბურჟუაზიის გაძლიერებისა და განმტკიცების საჭიროება და სხვ.

საუკუნის ბოლო ათწლეულის ქართული იდეური ცხოვრების თვალსაჩინო მოვლენა იყო გაზეთ „კვალის" გამოსვლა. ამ

ლიბერალური მიმართულების ორგანოს ოფიციალურად ანასტასია თუმანიშვილი რედაქტორობდა, ფაქტობრივად კი გიორგი ნერეთელი ხელმძღვანელობდა. რედაქციამ სათანამშრომლოდ პროგრესული ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო ძალები მოიწვია. აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, იაკობ გოგებაშვილისა და სხვ. გაზეთში მონაწილეობამ „კვალს" მალე გაუთქვა სახელი და პოპულარობაც მოუპოვა. „კვალის" მესვეურებმა წინა პლანზე წამოწიეს მრავალი საქვეყნო პრობლემა და მკითხველს მათი გადაჭრის მეცნიერულ ნააზრევზე დაფუძნებული გზები და საშუალებები შესთავაზეს.

„კვალი" თავდაპირველად „ივერიის" სულისკვეთებას არ ეწინააღმდეგებოდა, პირიქით, ეს გამოცემები რამდენადმე ერთმანეთს ავსებდა კიდეც. მაგრამ მას შემდეგ, რაც გიორგი წერეთელმა გაზეთში გზა გაუხსნა მარქსისტული მიმართულების ქართველ პუბლიცისტებს (ეგნატე ნინოშვილი, სილიბისტრო ჯიბლაძე, მიხა ცხაკაია და სხვ.) „კვალი'' „ივერიასთან" პოლემიკაში ჩაერთო. კამათი სწავლა-აღზრდისა და განათლების პრობლემატიკაზე პაექრობით დაიწყო, მერე საქართველოში კლასთა ბრძოლისა თუ კაპიტალიზმის განვითარების საკითხებს გადაწვდა და ბოლოს მსოფლმხედველობრივ დაპირისპირებაში გადაიზარდა. 1898 წლიდან „კვალს" მთლიანად მესამე დასელები დაეპატრონენ. მარქსიზმის მიმდევართა ეს ჯგუფი უარყოფდა ეროვნული საკითხის აქტუალობას და საქართველოში კოსმოპოლიტური სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის დამკვიდრებისათვის იღწვოდა. კლასთა ბრძოლისა თუ მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის იდეებს ახალი მიმდინარეობის წარმომადგენლები ძირითადად მუშათა წრეებში ავრცელებდნენ. სოციალ-დემოკრატი პროპაგანდისტები წიგნიერებას და პოლიტიკურ კულტურას მოკლებულ მუშებს მხარდაჭერისაკენ მოუწოდებდნენ და წარმატების შემთხვევაში მინიერ სამოთხეს აღუთქვამდნენ. მთელ რიგ ობიექტურ გარემოებებთან ერთად, ამ სოციალური დემაგოგიით ახალი მიმდინარეობის მესვეურებმა მუშებზე საგრძნობი გავლენა მოიპოვეს.

სოციალ-დემოკრატებმა შეძლეს აქამდე მხოლოდ თავისი საარსებო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის შემართული მუშათა კლასი პოლიტიკური ბრძოლის ველზე გამოეყვანათ. ამიერიდან მუშათა ეკონომიკურ მოთხოვნებს მძაფრი პოლიტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კური ლოზუნგები ჩაენაცვლა, მშრომელთა სტიქიურმა მღელვარებამ ორგანიზებული გაფიცვის, ხალხმრავალი დემონსტრაციებისა და ხელისუფლებასთან მკვეთრი დაპირისპირების ხასიათი შეიძინა. მუშათა მოძრობის აღმავლობის პარალელურად XIX საუკუნის მიწურული ქართველი სოციალ-დემოკრატებისა და „ივერიის" ბანაკში გაერთიანებულ ეროვნულ ძალთა მწვავე წინააღმდეგობით აღინიშნა. „ცხოვრების ფერისცვალება" თავისებურად აისახებოდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზეც, მის წიაღში თავს იჩენდა იდეური გამიჯვნისა და ძალთა გადანაწილების მკაფიო ნიშნები.

ქართული კულტურა XIX საუკუნეში

ქართველი ერის როგორც მატერიალურმა, ისე სულიერმა კულტურამ XIX საუკუნეში მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. მიუხედავად დიდი განსაცდელისა, რაშიც ჩვენი ქვეყანა ცარიზმის კოლონიურმა ბატონობამ ჩააგდო, ქართველთა დიდმა და საუკეთესო ნაწილმა შეინარჩუნა მტკიცე ეროვნული თვითშეგნება, შეურყვნელი მართლმადიდებლური რწმენა და ტრადიციული კულტურული იერსახე. ქართველთა დამახასიათებელ თვისებად კვლავ რჩებოდა თავაზიანობა, გულისხმიერება, სტუმართმოყვარეობა, უფროსების პატივისცემა, მოძმეთა თანადგომა, ტოლერანტობა და სხვ. ჩვეულებრივ, უსწავლელ გლეხკაცსაც კი მაღალი ზნეობა, პატიოსნება და შინაგანი ტაქტი გამოარჩევდა, რაც მის ქცევასა თუ ყოფით კულტურაში ვლინდებოდა.

მართალია, ქართველს ახალ დროშიც დიდად არ ულხინდა, მისი ცხოვრება ახლაც სიღარიბის ნიშნით აღბეჭდილიყო, მაგრამ კოპწია და სუფთა ეზო-კარი, ფაქიზად მოვლილი ვაზი, ბაღ-ბოსტანი და სხვ. ჩვენ წინაპართა ნების გაუტეხლობაზე, გამრჯელობასა და მშობლიური მიწის დიდ სიყვარულზე მიანიშნებდა.

XIX საუკუნის განმავლობაში საქართველოს მცხოვრებთა რიცხვი ერთისამად გაიზარდა და 675 ათასიდან თითქმის 2 მილიონამდე ავიდა. მკვიდრი მოსახლეობის ბუნებრივ მატებასთან ერთად, შესამჩნევი იყო მიგრაციით გამოწვეული უცხოტომელთა

ოდენობის მექანიკური ზრდაც. ეს უკანასკნელი ცალკეულ კუთხეთა ეთნიკური აჭრელების გარდა საერთო დემოგრაფიული ბალანსის დარღვევასაც განაპირობებდა.

მეურნეობის თვალსაზრისით საქართველო აგრარულ ქვეყნად რჩებოდა, თუმცა ნელ-ნელა ფეხს იკიდებდა სამრეწველო წარმოებაც. ტრადიციულ დარგებს: მევენახეობას, მეცხოველეობას, მემინდვრეობასა და სხვ. კვლავაც გაბატონებული მდგომარეობა ეკავა, დიდხანს ძველებური იყო შრომის იარაღები, მაგრამ 50-იანი წლებიდან დაიწყეს დასავლური ტექნიკის შემოტანა. მომრავლდა მსხვილი მემამულური და ბურჟუაზიული მეურნეობები, აღმოცენდა ფაბრიკები და ქარხნები.

ქვეყნის ტერიტორიულმა და ეროვნულმა გაერთიანებამ, სოციალურმა და ეკონომიკურმა წინსვლამ თანდათანობით შეცვალა ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრება. გარდაქმნა გარეგნულ მხარესაც შეეხო. ახალმა რეალობამ გავლენა იქონია მოსახლეობის ჩაცმა-დახურვაზეც. ქართული ეროვნული ტანსაცმლის გვერდით ვრცელდება ევროპული კოსტუმი.

მეტი მრავალფეროვნება დაეტყო კულინარიას. გაფართოვდა საკვები პროდუქტების ასორტიმენტი. გამორჩეულ ფენომენს წარმოადგენდა ქართული სუფრა, რომლის მშვენებად კარგი თამადა და ნატიფად დაყენებული ღვინო მიიჩნეოდა. შემოსულ რუსთა შორის დიდი გასავალი ჰქონდა არაყს. ღვინისა და არყის ოჯახური წარმოება დიდი კულტურული ტრადიციაც იყო და შემოსავლის ერთ-ერთი წყაროც.

განათლება. თვითმპყრობელობის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს ანექსიამ, იმერეთის დაპყრობამ, ბაგრატიონთა ოჯახების იძულებითმა გადასახლებამ და მათთან ერთად თავა-დაზნაურთა მრავალი წარმომადგენლის სამშობლოდან გადახვეწამ ქართული კულტურის კერები საგრძნობლად გააღარიბა. ქართლ-კახეთის სამეფო კარს აღარ დასცალდა განეხორციელებინა იოანე ბატონიშვილისეული სახელმწიფო გარდაქმნის პროექტი, რომელიც კულტურის სფეროში არაერთ სიახლეს, კერძოდ უმაღლესი სასწავლებლის დაარსებას, თეატრის, ბიბლოთეკის, მუზეუმის გახსნას, გაზეთის გამოცემასა და სხვ. ითვალისწინებდა.

საქართველოს რუსული ადმინისტრაცია ახლად დაპყრობილი მხარის კულტურული განახლებისათვის ნაკლებად ზრუნავდა.

მეტიც, თავისი მოღვაწეობა განათლების სფეროში მან იმითაც დაიწყო, რომ დახურა ყველა ქართული სასწავლებელი, მათ შორის მარტო თბილისში არსებული 20-მდე სკოლა.

ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკას საქართველოში საფუძვლად კოლონიური მიზნები ედო. სკოლას მმართველობისათვის საჭირო მოხელეთა მომზადების პარალელურად ხალხის გარუსებისათვის ხელშეწყობა ეკისრებოდა. პირველი რუსული დაწყებითი სასწავლებელი თბილისში 1802 წელს გაიხსანა, მაგრამ მალევე დაიხურა, რადგან მოწაფეებმა ვერ დაძლიეს უცხო რუსული ენა.

1804 წელს დაარსებულ იქნა თბილისის კეთილშობილთა ოთხკლასიანი სასწავლებელი, რომელიც ჯერ ექვსკლასიანად, ხოლო 1870 წელს გიმნაზიად გადაკეთდა. ყრმა ქართველ თავადაზნაურთა გვერდით აქ სწავლობდნენ მუსულმანი ბეგების, სომეხი მელიქების, ჩრდილოეთ კავკასიის მთიელ ნაიბთა, საქართველოს რუსული ადმინისტრაციის მოხელეთა შვილები და სხვ. ქართველი თავადობა ხალისით როდი ეტანებოდა სკოლას. არისტოკრატიის საკმაო ნაწილი, რომელიც უმეტესად სოფლად ცხოვრობდა და ქალაქში შვილის გაგზავნისაგან თავს იკავებდა, ამრეზით უცქერდა სწავლა-განათლებას. იოანე ბატონიშვილის „კალმასობის" ერთი დიდგვაროვანი პერსონაჟი დარწმუნებით ამბობს, რომ „ცოდნამ დააქცია ქვეყანა", ხოლო ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანის?!" გმირი, ლუარსაბ თათქარიძე გაიძახის: „წიგნი რა ვაჟკაცის ხელობაა, — ეგ ხომ ქალის საქმეაო".

მოსახლეობის ფართო ფენებისათვის სკოლა მიუწვდომელი იყო, თუმცა წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი მცირე არ ყოფილა. დაბალი წოდების ხალხი ქართული ანბანის იდუმალებას წიგნიერი მღვდლებისა თუ სოფლის მასწავლებლების მეშვეობით ეზიარებოდა. ეკლესია-მონასტრები კვლავ რჩებოდნენ ეროვნულ-საგანმანათლებლო ცენტრებად.

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან საქართველოს დაბა-სოფლებში აღმოცენებას იწყებს დაწყებითი სკოლები, რომლებსაც ადგილობრივი მცხოვრებნი საკუთარი ხარჯით ინახავდნენ (მაგალითად, კულაშში, ხონში, ახალქალაქში, სვირში). თბილისში, გორში, თელავში, სიღნაღში, დუშეთში, ახალციხეში, ქუთაისსა და სხვ. დაფუძნდა სამაზრო ორკლასიანი სასწავლებლები. ყველა მათგან-

ში სწავლება ქართულ ენაზე წარმოებდა. ცოტა მოგვიანებით მთავრობამ სახაზინო სახალხო სკოლების გახსნაც დაიწყო. თანდათან ამოქმედდა მრავალი კერძო სასწავლებელი და პანსიონი, სადაც შეძლებული ოჯახების შვილები ელემენტარულ განთლებას ეუფლებოდნენ, სწავლობდნენ ევროპულ ენებსა და სხვ.

1830 წელს პასკევიჩის ინიციატივით თბილისში გაიხსნა პანსიონი კეთილშობილ გოგონათათვის, რომელიც 1840 წელს ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტად გარდაიქმნა. 1846 წელს დაარსებულ იქნა წმინდა ნინოს სახელობის სასწავლებელი.

მეფისნაცვალ მ. ვორონცოვის დროს, 1848 წელს შეიქმნა განათლების მართვის სპეციალური დაწესებულება — კავკასიის სასწავლო ოლქი. პირველ გიმნაზიას ეწოდა სათავადაზნაურო. თბილისში დაარსდა ახალი, კომერციული გიმნაზიაც. 1850 წლიდან გიმნაზია ფუნქციონირებდა ასევე ქუთაისშიც.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ ცარიზმმა დაიწყო ზრუნვა რუსულენოვანი საეკლესიო კადრების მოსამზადებლად, რისთვისაც 1817 წელს თბილისში გაიხსნა სასულიერო სემინარია. მომდევნო წლებში სამაზრო სასულიერო სასწავლებლები დაარსებულ იქნა თელავში, გორში, სიღნაღსა და ქუთაისში. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ხარჯზე მოქმედი ყველა საერო თუ სასულიერო სასწავლებელი თვითმპყრობელობის რუსიფიკატორულ მიზნებს ემსახურებოდა, განათლების ამ კერებში ქართველი ინტელიგენციის მრავალი სახელოვანი წარმომადგენლი აღიზარდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში სასკოლო ქსელი შესამჩნევად გაფართოვდა, მაგრამ განათლებაზე გაზრდილ მოთხოვნას მაინც ვერ აკმაყოფილებდა. ახალი სასწავლებლების დაარსება სულ უფრო აქტუალური ხდებოდა. 1865 წელს საფუძველი ჩაეყარა ქალთა პირველი თანრიგის სკოლას, რომელიც მალე გიმნაზიად გადაკეთდა. მასში სწავლა ყველა წოდების გოგონებს შეეძლოთ. 1892 წელს პროგიმნაზიის ბაზაზე ქალთა მეორე გიმნაზიაც ჩამოყალიბდა.

1866 წელს ამოქმედდა თბილისის რეალური გიმნაზია. ამავე წელს კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დააფუძნა ვაჟთა სპეციალური სასწავლებელი — თბილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტი. ეს იყო პედაგოგთა კადრების პირველი სამჭედლო საქართველოში და ამ პროფილის ერთ-ერთი უძველესი სასწავლებელი მთელს იმპერიაში.

მას შემდეგ, რაც კერძო პირებს, საქალაქო თვითმმართველობებსა და სასოფლო საზოგადოებებს დაწყებით სასწავლებელთა გახსნის უფლება მიეცათ, საქართველოში იმატა ე. წ. სახალხო სკოლების რიცხვმა. მაგალითად, თბილისის საქალაქო თვითმმართველობამ დააარსა ერეკლე II-ისა და ბ. ბელინსკის სახელობის სასწავლებლები. აქვე არსებობდა ვაჟთა 5 და ქალთა 4 პანსიონი, სახელოსნო, მუსიკალური და სხვ. სკოლები.

1879 წელს თბილისში გაიხსნა სათავადაზნაურო ორკლასიანი სკოლა. ეს იყო დაწყებითი განათლების პირველი ქართული კერა, რომელიც თავისი სასწავლო პროგრამით გიმნაზიას გაუთანაბრდა.

ეროვნული სწავლა-განათლების განვითარებაში თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. მისი ეგიდით დაწყებითი სკოლები შეემატა ბათუმს, თიანეთს, კავკავსა და სხვ.

1877 წელს თავადაზნაურობამ ჩამოაყალიბა ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოება. იგი ხელმოკლე ოჯახებს შემწედ ევლინებოდა განათლების დაუფლებაში, მატერიალურ დახმარებას უწევდა ნიჭიერ მოსწავლეებსა და სტუდენტებს.

წიგნიერების გავრცელებას ხელს უწყობდა სამკითხველოების ქსელის გაფართოება, საჯარო ლექციები, საკვირაო სკოლები. 1846 წელს დაარსებულ იქნა თბილისის საჯარო ბიბლოთეკა. 1873 წელს პირველი ბიბლიოთეკა გაიხსნა ქ. ქუთაისშიც.

ქართველ მოღვაწეთა ძალისხმევით აღმავლობა დაეტყო წიგნის ბეჭდვას. საგანმანათლებლო-პოპულარული და სამეცნიერო ლიტერატურის გამოქვეყნებასთან ერთად, დიდი ყურადღება ეთმობოდა სახელმძღვანელოების გამოცემას. საყოველთაო აღიარება მოიპოვეს ი. გოგებაშვილის „დედა ენამ", „რუსკოე სლოვომ" და სხვ. ახალ სიმაღლეზე ავიდა ქართული პედაგოგიური აზრი, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ: იაკობ გოგებაშვილი, ილია წინამძღვრიშვილი, ლუარსაბ ბოცვაძე, ივანე როსტომაშვილი, ნიკო ცხვედაძე და სხვები. მათ შეიმუშავეს და დანერგეს აღზრდის მოწინავე თეორია, მეთოდიკა და პრაქტიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითმპყრობელობა და მისი ბიუროკრატია ხელს უშლიდნენ ეროვნული განათლების სისტემის ფორმირებას. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან განსაკუთრებით ცდილობდნენ, განედევნათ ქართული ენა სასწავლო დაწესებულებებიდან, მათ შორის დაწყებითი სკოლიდან. პროგრესული ქართველი მოღვაწეები, პედაგოგები და სხვ. წინ აღუდგნენ ხელისუფლების ამ ვერაგ განზრახვას, მაგრამ ვერას გახდნენ. ქართული ენა საკოლო პროგრამიდან ამოიღეს.

ცარიზმის რუსიფიკატორული საგანმანათლებლო პოლიტიკის მიუხედავად, დიდი კულტურული ტრადიციების მქონე ქართველი ხალხი მაინც ძალუმად ეწაფებოდა ცოდნასა და სწავლა-განათლებას. წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვის მიხედვით საქართველოს მოწინავე ადგილი ეკავა რუსეთის იმპერიაში.

საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების დაწინაურება და განათლების განვითარება ქართული უმაღლესი სასწავლებლის დაარსების ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა, მაგრამ მეფის ხელისუფლება აბრკოლებდა ქართველი ერის ამ სანუკვარ მისწრაფებას. მთავრობამ გიმნაზიადამთავრებულ ქართველ ახალგაზრდებს მხოლოდ რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის ნება დართო და მათთვის განსაზღვრული ოდენობის სტიპენდია გამოყო. ჩვენმა თანამემამულეებმა ფართოდ ისარგებლეს ამ შესაძლებლობითაც და საუნივერსიტეტო ქალაქებს მიაშურეს. განათლების მესვეურებმა ანგარიში გაუწიეს შექმნილ გარემოებას და მოსკოვისა და პეტერბურგის უნივერსიტეტების კავკასიელ სტუდენტთათვის ქართული ენის სწავლება შემოიღეს.

1854 წელს დავით ჩუბინაშვილის ხელმძღვანელობით პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართული ენის კათედრაც დაარსდა.

მეცნიერება. ეროვნული სახელმწიფოებრიობის მოშლამ საქართველოში საფუძველი გამოაცალა მეცნიერების განვითარებას, მაგრამ ინტერესი კულტურის ამ სფეროსადმი არ ჩამკვდარა. ჩვენი თანამემამულენი სამშობლოს გარეთ, მოსკოვსა და პეტერბურგში განაგრძობდნენ სამეცნიერო თუ კვლევით საქმიანობას.

ტრადიციულად, მთავარი ყურადღება კვლავაც ჰუმანიტარულ მიმართულებას ეთმობოდა, თუმცა ქართველ კაცს შეეძლო თავისი სიტყვა მეცნიერების საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ დარგებშიც ეთქვა. მაგალითად, იოანე ბატონიშვილმა „საქართველოს

ისტორიისა“ და „ახალი ისტორიის“ გარდა შექმნა სახელმძღვანელო ფიზიკაში; ბაგრატ ბაგრატიონს ისტორიულ თხზულებებთან ერთად („ახალი მოთხრობა“, „რუსეთ-სპარსეთის ომი“) ეკუთვნის აგრეთვე სამედიცინო და ეკონომიკური ხასიათის შრომები; პეტრე ბაგრატიონმა აღმოაჩინა რადიოაქტიურობის მქონე მინერალ ორთიტის ერთ-ერთი სახეობა რომელსაც მის პატივსაცემად შემდეგში „ბაგრატიონიტი“ ეწოდა, გამოიგონა პირველი მშრალი გალვანური ელემენტი — ქიმიური რეაქციის შედეგად ელექტროდენის მისაღები ხელსაწყო, შეიმუშავა ოქროს მოპოვება-დამუშავების ორიგინალური მეთოდი და სხვ.

ბაგრატიონთა სახელოვანი გვარის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა თავი მშობლიური ისტორიის, ენისა და ლიტერატურის მეცნიერული შესწავლით გამოიჩინა: თეიმურაზ ბაგრატიონი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად აირჩიეს რუსთველოლოგიური გამოკვლევისა და საქართველოს ისტორიაში გამოქვეყნებული ნაშრომისათვის „ივერიის ისტორია“.

ქართველ სწავლულთა მთელი ძალისხმევა მიმართული იყო საქართველოს გმირული წარსულის წარმოჩენის, მისი თვითმყოფადი კულტურისა და ისტორიის პოპულარიზაციისაკენ. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ასეთი ხასიათის არაერთი საყურადღებო ნაწარმოები შეიქმნა და გამოქვეყნდა.

აღსანიშნავია სულხან ბარათაშვილის პეტერბურგში დაბეჭდილი „საქართველოს ისტორიის“ ხუთტომეული და სხვა პუბლიკაციები, რომლებშიც ჩვენი ქვეყნის წარსული მსოფლიო ისტორიის ფონზეა განხილული.

ქართველი ხალხის თავგადასავლის მთლიანობაში გააზრების საინტრესო ცდაა მოცემული ისტორიკოს ნიკო დადიანის თხზულებაში, რომელიც „ქართველთ ცხოვრების“ სახელწოდებითაა ცნობილი.

საქართველოს ახალი ისტორიის დიდძალ საგულისხმო ფაქტს ვეცნობით პლატონ იოსელიანის ქართულ („ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“) თუ რუსულენოვან ისტორიულ-ფილოლოგიურ ნარკვევებში.

ქართულ მეცნიერულ ნუმიზმატიკას დაუდო სათავე ისტორიკოსმა მიხეილ ბარათაშვილმა, რომელმაც მოიძია, შეკრიბა, აღწერა და დაათარიღა ათეულობით ეროვნული მონეტა. 1844 წელს მან

პეტერბურგში რუსულ და ფრანგულ ენებზე გამოსცა ფუნდამენ-
ტური ნაშრომი „საქართველოს სამეფოს ნუმიზმატიკური ძეგლები“.
წიგნმა ფართო აღიარება ჰპოვა, მ. ბარათაშვილი პარიზის
მეცნიერებათა აკადემიის წევრად აირჩიეს.

ქართველოლოგიის, როგორც მეცნიერების ახალი მიმართულე-
ბის ჩამოყალიბებას ევროპაში, ასევე ქართული კულტურის
დასავლელი მკითხველისათვის გაცნობის საქმეს დიდი ამაგი
დასდო ფრანგმა ორიენტალისტმა, აკადემიკოსმა მარი ბროსემ. მან
ფრანგულად თარგმნა და პეტერბურგში გამოსცა „ქართლის
ცხოვრების“ შვიდი ტომი, ვრცელი მეცნიერული კომენტარებით
გამოაქვეყნა სეხნია ჩხეიძის, პაპუნა ორბელიანის, ომან ხერხე-
ულიძის ისტორიული თხზულებები; ქართველ მეცნიერებთან დ.
ჩუბინაშვილთან და ზ. ფალავანდიშვილთან ერთად ხელახლა
(ვახტანგ VI-ის შემდგომ) გამოსცა შოთა რუსთაველის „ვეფხის-
ტყაოსანი“. მ. ბროსეს კალამს ეკუთვნის „საქართველოს ისტორია“
და სხვა მნიშვნელოვანი გამოკვლევები.

ქართულ ისტორიოგრაფიაში თვალსაჩინო როლი მიუძღვის
დიმიტრი ბაქრაძეს. მეტად ფასეულია მისი „ისტორია საქართვე-
ლოსი“, რომელშიც თხრობა უძველესი დროიდან X საუკუნის
ბოლომდეა მოყვანილი. დ. ბაქრაძის ინიციატივით 1889 წელს
ჩამოყალიბდა ქართული კულტურის ძვირფასი კერა — საეკლესიო
მუზეუმი, შეიქმნა კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის
საზოგადოება და სხვ. დიმიტრი ბაქრაძე ითვლება ქართული
პალეოგრაფიის ფუძემდებლად, ასევე ისტორიის სხვა დამხმარე
დისციპლინების (არქეოლოგია, ეთნოგრაფია) კვლევის ერთ-ერთ
თაოსნად. იგი არჩეული იყო რუსეთის აკადემიის წევრ-კორესპონ-
დენტად.

საქართველოს წარსულის მეცნიერულ შესწავლას ემსახურე-
ბოდნენ ცნობილი მოღვაწენი: მოსე ჯანაშვილი (1884 წელს გამოს-
ცა „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელო), თედო ჟორდა-
ნია (აღსანიშნავია მისი „ქრონიკები“), ნიკო ხიზანიშვილი
(ურბნელი), ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი), ზაქარია ჭიჭინაძე
და სხვ.

ქართული ფილოსოფიური აზროვნების მდიდარი ტრადიციები
უძღოდა წინ სოლომონ დოდაშვილის დაინტერესებას მეცნიერე-
ბის ამ დარგის პრობლემატიკით. ქართველ მეცნიერსა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმანათლებელს არ დასცალდა განზრახული გეგმის — ფილოსოფიის მთლიანი კურსის შექმნა, მაგრამ მოასწრო და 1827 წელს გამოაქვეყნა მისი შესავალი ნაწილი „ლოგიკა". ს. დოდაშვილის „ლოგიკას" დიდი ხნის განმავლობაში იმპერიის საშუალო სასწავლებლებში სახელმძღვანელოდ იყენებდნენ.

1858 წელს გერასიმე ქიქოძემ (გაბრიელ ეპისკოპოსმა) რუსულ ენაზე დაბეჭდა კაპიტალური გამოკვლევა „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები", რომელშიც იმ ეპოქის საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურადაა გაანალიზებული. ეს წიგნიც რუსეთის მთელ სემინარიებში სახელმძღვანელოდ იხმარებოდა. ცნობილი სასულიერო მოღვაწის მეცნიერულმა კვლევა-ძიებებმა ათქმევინა ილია ჭავჭავაძეს, რომ გაბრიელ ეპისკოპოსი „სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა".

ქართული ენისა და სიტყვიერების მნიშვნელოვან კვლევით ცენტრად იქცა პეტერბურგში გახსნილი ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა, რომელსაც ჯერ დავით ჩუბინაშვილი, შემდეგ კი ალექსანდრე ცაგარელი უძღვებოდნენ. პროფესორმა დ. ჩუბინაშვილმა შეადგინა ქართულ-რუსულ-ფრანგული, ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონები. მანვე რუსულ ენაზე დაბეჭდა ქართული ლიტერატურის ქრესტომათია და ქართული ენის გრამატიკა. დავით ჩუბინაშვილის რედაქციით 1860 წელს კიდევ ერთხელ გამოიცა უკვდავი „ვეფხისტყაოსანი."

ფართო კვლევა-ძიებით მუშაობას ეწეოდა პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი, რომელმაც პეტერბურგის უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ ცოდნა ავსტრიასა და გერმანიაში გაიღრმავა. მის ფუნდამენტურ ნაშრომებს ქართველოლოგიის მრავალ დარგში დღემდე არ დაუკარგავთ ღირებულება. განსაკუთრებით აღსანიშნავია საენათმეცნიერო გამოკვლევა „მეგრული ეტიუდები", ლიტერატურათმცოდნეობითი ხასიათის მონოგრაფია — ქართული მწერლობის ძეგლთა აღწერილობა (სამ ტომად) და დოკუმენტების კრებული საქართველო-რუსეთის ურთიერთობის შესახებ XVIII საუკუნეში.

ქართველოლოგიის განხრით სამეცნიერო საქმიანობას მოსკოვში სათავეში ედგა ალექსანდრე ხახანაშვილი. პროფესორ ალ. ხახანაშვილს ეკუთვნის ქართული ლიტერატურის ისტორიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი სისტემატური კურსი „ქართული სიტყვიერებისა და ბუნებისმეტყველ-
რია“, რომელიც ოთხ ტომადაა გამოცემული და სხვა საგულისხმო
პუბლიკაციები.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველმა სწავლულებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს საბუნებისმეტყველო დარგებშიც. სამშობლოში სათანადო პირობებს მოკლებულნი, ამ მიმართულებით კვლევასა და ექსპერიმენტებს ისინი ძირითადად რუსეთის სამეცნიერო ცენტრებში აწარმოებდნენ. პროფესორი ივანე თარხნიშვილი განაგებდა ფიზიოლოგიის კათედრას პეტერ-ბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში. მისმა ნაშრომებმა თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს მეცნიერული ფიზიოლოგიის გაღრმავებაში.

ოდესის უნივერსიტეტში მოღვაწეობდნენ საქვეყნოდ აღიარე-ბული ქიმიკოსები პეტრე მელიქიშვილი და ვასილ პეტრიაშვილი. არაორგანულ ქიმიაში შექმნილი მნიშვნელოვანი გამოკვლე-ვებისათვის პროფესორ პ. მელიქიშვილს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის უმაღლესი ჯილდო, ლომონოსოვის პრემია მიანიჭეს. იგი ავტორია საფუძვლიანი შრომებისა ასევე ორგანულ და ანალიზურ ქიმიაში.

პროფესორ ვასილ პეტრიაშვილის ნაშრომებს აგროქიმიის დარგში, მეცნიერულთან ერთად, დიდი პრაქტიკული მნიშვნე-ლობაც ჰქონდა სოფლის მეურნეობის, კერძოდ ღვინის დაყენების, რძის დამუშავებისა და სხვა კუთხით.

ცარიზმის ანტიხალხური კოლონიური პოლიტიკის მიუხედავად, რომელიც არათუ ეროვნული მეცნიერების განვითარებას, განათლების გავრცელებასაც კი წინ ეღობებოდა და აბრკოლებდა, ქართული მეცნიერული აზრი მაინც ფეხს უწყობდა დროის მდინარებას, ცდილობდა არ ჩამორჩენოდა საერთო პროგრესს.

პრესა. გაზეთი, როგორც პერიოდული ბეჭდვითი გამოცემა XVII საუკუნიდან არსებობს, მაგრამ ქართულ სინამდვილეში მან ერთობ გვიან შემოაღწია. იოანე ბაგრატიონს სრულად ქონდა გააზრებული პრესის საჭიროება და დანიშნულება. მის მიერ 1799 წელს შედგენილი სახელმწიფო მმართველობის რეფორმის პროექტში ნავარაუდევი იყო ბეჭდური ორგანოს დაფუძნება, რომელსაც სახაზინო შემოსავლის გაზრდასთან ერთად ხელი უნდა შეეწყო კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაცხოველები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის, მაგრამ ბატონიშვილის განზრახვას განხორციელება ვერ ეწერა.

XIX საუკუნის პირველი მეოთხედის რუსეთის იმპერიაში, პეტერბურგისა და მოსკოვის გარდა, ორიოდე პერიოდული გამოცემა თუ გამოდიოდა. საქართველოსა და მთელს კავკასიაში პირველი გაზეთი 1819 წლის 8 მარტს დაიბეჭდა „საქართველოს გაზეთის" სახელწოდებით. ეს იყო მცირე ფორმატის, ოთხგვერდიანი, ყოველკვირეული გამოცემა, რომელიც კავკასიის ცალკე კორპუსის სტამბაში იბეჭდებოდა და ხელმოწერით ვრცელდებოდა. გაზეთს რუსი სამხედრო მოხელენი გამოსცემდნენ, რის გამოც იგი ჯერ რუსულად იწერებოდა, შემდეგ კი ქართულ ენაზე ითარგმნებოდა.

გაზეთი ოფიციალური ორგანო იყო, მასში ძირითადად საიმპერიო ხელისუფლებისა და ადგილობრივი რუსული ადმინისტრაციის ბრძანება-განკარგულებანი, განცხადებები, უცხოეთის ქრონიკა, პოპულარული რუსული მოთხრობების ნაწყვეტები და სხვა ქვეყნდებოდა. 1820 წლის მეორე ნახევრიდან გამოცემას „ქართული გაზეთი" უწოდეს, თუმცა პროგრამის მხრივ მას ცვლილება არ განუცდია. 1822 წლიდან გაზეთის ბეჭდვა უსახსრობის გამო შეწყვეტილ იქნა.

1828 წლის 4 ივლისიდან 1832 წლამდე თბილისში გამოდიოდა ახალი ქართულენოვანი გაზეთი „ტფილისის უწყებანი", რომელიც ასევე ოფიციოზის — „ტიფლისკიე ვედომოსტის" პარალელური გამოცემა იყო და არსებითად, მისსავე თარგმანს წარმოადგენდა. „ტფილისის უწყებანი" სოლომონ დოდაშვილის ხელმძღვანელობით კვირაში ერთხელ, სამშაბათობით გამოიცემოდა. გაზეთში მთავრობის დადგენილებების, ახლი ამბების, საინტერესო ცნობებისა და განცხადებების გვერდით ზოგჯერ პუბლიცისტურ სტატიებსაც ეთმობოდა ადგილი, „მხატვრულ ნაწილს" კი რუს მწერალთა ნაწარმოებები ავსებდა. პირველ ქართულ გამოცემასთან შედარებით, რომლის ხელმომწერათა რიცხვი მცირე იყო,


№ 1

„ტფილისის უწყებანს“ მკითხველი მოუმრავლდა, გაზეთის ტირაჟი ოთხ ასე-ულ ეგზემპლარს აღწევდა.

1832 წლის იანვარში მზის სინათლე იხილა პირველმა ქართულ-მა ჟურნალმა, რომელიც ზემოხსენებული გაზეთის დამატების სახით დაისტამბა და „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ ეწოდებოდა. ჟურნალის სულისჩამდგმელი და რედაქტორი სოლომონ დოდაშვილი იყო. ახალი გამოცემის მიზანს იგი მშობლიური ენის განვითარებაში, ქართული სულიერი კულტურის აღორძინების, „მამულის დიდებისა და გონების განათლებისათვის“ ხელ-შეწყობაში ხედავდა.

ჟურნალი 24-გვერდიან, მომცრო ზომის ორკვირეულ ორგანოს წარმოადგენდა და შეიცავდა განყოფილებებს: მოთხრობები, ლექსები, კრიტიკა, ისტორია, განცხადებები, ანეგდოტები და სხვა.

გამოცემა საგულისხმო მოვლენა იყო არა მხოლოდ მხატვრულ ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის თვალსაზრისით, არამედ იმითაც, რომ იგი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სამსახურში იდგა და კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი ერისათვის დამატებითი, კერძოდ, პოლიტიკური დატვირთვაც გააჩნდა. მართლაც, „სალიტერატურონი ნაწილნი“ პატრიოტულ შეხედულებათა პროპაგანდას ეწეოდა, მამულიშვილურ გრძნობებს აღვივებდა, საზოგადოებრივ აზრს იდეური მიმართულებით ხვეწდა და აცხოველებდა. ამგვარი სულისკვეთების გამოცემა რეაქციული ცენზურის პირობებში დიდხანს ვერ გასტანდა. ჟურნალის მხოლოდ 5 ნომრის გამოქვეყნება მოესწრო, 1832 წლის მარტში იგი დახურულ იქნა.

1838-1841 წლებში პლატონ იოსელიანი ყოველწლიურად ბეჭდავდა „საქართველოს კალენდარს“. მისი დაწყებული საქმე 1888 წლიდან ვალერიან გუნიამ განაგრძო. დიდი ხნის განმავლობაში ეს ხელმისაწვდომი გამოცემა კეთილ სამსახურს უწევდა განათლებასმოწყურებული მოსახლეობის ფართო ფენებს. პ. იოსელიანი იყო მესვეური ასევე გაზეთ „ზაკავკასკი ვესტნიკის“ ქართული თარგმანისა, რომელიც 1845 წლიდან 1856 წლამდე გამოდიოდა.

1846 წელს დაარსდა მთავრობის ოფიციალური ორგანო „კავკაზი“. ამ ყოველკვირეულ რუსულ გაზეთში ქართველი მოღვაწენიც თანამშრომლობდნენ.

40-იან წლებში იყო ქართულენოვანი პერიოდული ორგანოს დაფუძნების ცდები თბილისსა და პეტერბურგში, მაგრამ ეს ცდა მიზანს მიუღწეველი დარჩა. მხოლოდ 1852 წლის იანვარში, კავკასიის მეფისნაცვლის, მ. ვორონცოვის ხელშეწყობით გამოვიდა ყოველთვიური ჟურნალი „ცისკარი", რომელსაც გიორგი ერისთავი უძღვებოდა. გამოცემა „ქართული სიტყვიერებითი ჟურნალი" იყო. მას პოლიტიკურ თემატიკაზე წერა ეკრძალებოდა, რის გამოც გამოკვეთილი იდეური მიმართულება არ ჰქონია. ამის მიუხედავად, „ცისკარმა" დიდად შეუწყო ხელი ქართული კულტურის აღმავლობას. მის ფურცლებზე დაიბეჭდა პირველად ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და სხვ. შემოქმედების ნიმუშები, უცხოელ მწერალთა ნაწარმოებების ქართული თარგმანები.

ხელმომწერთა სიმცირემ და უსახსრობამ 1853 წლის ბოლოსათვის „ცისკრის" დახურვა განაპირობა. განახლებული ჟურნალი 1857-1875 წლებში ივანე კერესელიძის რედაქტორობით გამოიცემოდა. მისი შინაარსი თანდათანობით გაფართოვდა და მრავალმხრივი გახდა. მხატვრული თუ ისტორიულ-ეთნოლოგიური ხასიათის ლიტერატურას პუბლიცისტური და კრიტიკული სტატიებიც ემატებოდა; „ცისკრისათვის" აღარც სოციალური და პოლიტიკური პრობლემატიკა იყო უცხო. მართალია, ჟურნალი გამოხატავდა „მამათა" კონსერვატიულ შეხედულებებს, იგი მძაფრად დაუპირისპირდა 60-იანელთა სახელოვან თაობას, მაგრამ არც ისაა უგულველსაყოფი, რომ სწორედ „ცისკარმა" გაუხსნა გზა თერგდალეულებს ფართო ლიტერატურული და საზოგადოებრივი ასპარეზისაკენ.

ქართულ ჟურნალისტიკაში სრულიად ახალი სიტყვა იყო „საქართველოს მოამბის" გამოცემა 1863 წელს ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით. თერგდალეულთა ამ პირველი ბეჭდური ორგანოს კრედოს ნათლად გამოხატავდა საწყისი ნომრის მოწინავე, რომელიც ილიას კალამს ეკუთვნის. წერილში, არსებითად, საქართველოს სოციალური და ეროვნული თავისუფლების 60-იანელთა პროგრამაა გადმოცემული.

„საქართველოს მოამბის" მესვეურები მიზნად მშობლიური ქვეყნისათვის ზრუნვას ისახავდნენ, ხალხში ცოდნისა და მეცნიერების გავრცელებისათვის იღვწოდნენ, თანადროული

ცხოვრების ავ-კარგის გაშუქებას ესწრაფოდნენ. ყოველივე ამას გვერდით, „საზოგადო ჟურნალის“ დანიშნულებად მათ ერის პრაქტიკულ საჭიროებათა სამსახურიც წარმოედგინათ.

„საქართველოს მოამბემ“ სულ რაღაც ერთი წელი იარსება, მაგრამ შესამჩნევი ღვაწლი დასდო ქართული დემოკრატიული პრესის ფორმირებას, ეროვნული ლიტერატურისა და აზროვნების განვითარებას.

ამ მხრივ არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა გაზეთ „დროებას,“ რომელიც 1866 წელს დაარსდა და 1885 წლამდე სისტემატურად გამოდიოდა. მას თავდაპირველად სათავეში გიორგი წერეთელი ედგა, უფრო დიდხანს სერგი მესხი, ხოლო ბოლო წლებში ივანე მაჩაბელი რედაქტორობდა. ეს იყო „ევროპული ხასიათის“ ქართული გაზეთი, რომლის ირგვლივ მთელი პროგრესული ინტელიგენცია შემოიკრიბა. „დროება“ „საქართველოს მოამბის“ ღირსეული მემკვიდრე გამოდგა. იგი მტკიცედ განაგრძობდა ერის განათლება-გათვითცნობიერების, მისი კონსოლიდაციის თერგდალეულთა კურსს.

1871 წელს ნიკო ნიკოლაძის თაოსნობით დაარსდა ცალკე ლიტერატურული ჟურნალი „კრებული “, რომელიც ორი წლის განმავლობაში თვეში ერთხელ გამოიცემოდა. ჟურნალს გ. წერეთელი ხელმძღვანელობდა. „კრებულის“ წამყვანი ძალა რედაქტორთან ერთად ნიკო ნიკოლაძე და აკაკი წერეთელი იყვნენ. ცენზურის მხრიდან მრავალი დაბრკოლების მიუხედავად, „დროებაცა“ და „კრებულიც“ შინაარსობრივად ეპოქის მოთხოვნათა დონეზე იდგნენ. ქართული ეროვნული და დემოკრატიული აზრის ეს მესიტყვენი არამარტო კულტურული ცხოვრების ავანგარდში მოექცნენ, არამედ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმმართველ თავისებურ ცენტრად ჩამოყალიბდნენ.

ქართველი ხალხის ინტელექტუალურ აღმავლობაში, ზოგადად, ეროვნული კულტურის განვითარებაში მნშვნელოვანი როლი შეასრულა ილია ჭავჭავაძის „ივერიამ“. იგი 1877 წელს დაარსდა როგორც კვირეული გაზეთი, 1879 წელს ყოველთვიური ჟურნალის სახე მიიღო, ხოლო 1886 წლიდან ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა. „ივერია“ ლიტერატურულ-პოლიტიკური გამოცემა იყო და თემატური მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. ილიამ მასში დანერგა ახალი პუბლიცისტური ჟანრი „შინაური მიმოხილვა,“

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც ფართო ინტერესს იწვევდა. ეს მეთაური წერილებით აშუქებდა ქვეყნის საჭირბოროტო პრობლემებს, მიუთითებდა მათი გადაჭრის გზებსა და საშუალებებზე. გაზეთის ფურცლებზე სისტემატურად ქვეყნდებოდა ქართული თუ ნათარგმნი მხატვრული თხზულებები, ასევე საინფორმაციო და ანალიტიკური მასალა საქართველოს, რუსეთისა და მსოფლიოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების საყურადღებო სიახლეთა შესახებ.

„ივერიამ" დიდად შეუწყო ხელი ეროვნული მწერლობის წინსვლას, ქართული ხალხური შემოქმედების პოპულარიზაციას, მკითხველის გემოვნების დახვეწასა და სხვ.

90-იან წლებში ჩვენს პერიოდიკას შეემატა გაზეთი „კვალი" (დაფუძნდა 1893 წელს, რედაქტორი გ. წერეთელი), „ცნობის ფურცელი" (1896 წ., რედაქტორი ჯერ ვალერიან გუნია, შემდეგ ალექსანდრე ჭყონია) და ჟურნალი „მოამბე" (გამოიცა 1894 წელს, რედაქტორი ალ. ჭყონია), რომლებმაც ფართოდ წარმოაჩინეს აღმავლობის პროცესში მყოფი ქართული ბურჟუაზიული და დემოკრატიული აზრი, სოციალ-დემოკრატიული და ფედერალისტური შეხედულებანი.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ფეხს იკიდებს დარგობრივი პერიოდული ორგანოები, სახელდობრ: სასოფლო-სამეურნეო პროფილის, მოზარდი თაობისათვის გამიზნული და სხვ. სამეურნეო გამოცემები იყო „გუთნის დედა" (1862—1876 წ.წ., რედაქტორი დასაწყისში ივანე კერესელიძე, მოგვიანებით ანტონ ფურცელაძე), „სასოფლო გაზეთი" (1868-1880 წ.წ., რედაქტორი თავიდან გიორგი წერეთელი, შემდეგ პეტრე უმიკაშვილი) და „მეურნე" (1888—1898 წ.წ., რედაქტორი ჯერ ვასილ სულხანიშვილი დაბოლოს ილია ჭყონია); ხელოვნების ჟანრს განეკუთვნებოდა გაზეთი „თეატრი" (დაარსდა 1885 წელს, სხვადასხვა დროს რედაქტორობდნენ ვასო აბაშიძე, ვალერიან გუნია, ალექსანდრე ნებიერიძე); საბავშო-შემეცნებითი ხასიათი ჰქონდა ჟურნალებს „ნობათი" (1883 წ., რედაქტორი ანდრია ღულაძე) და „ჯეჯილი" (გამოდიოდა 1890 წლიდან, რედაქტორი ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა).

პრესის პარალელურად იზრდებოდა ქართული წიგნის გამოცემაც, რომელსაც სულ უფრო მეტი მკითხველი ეტანებოდა. მშობლიურ ენაზე სახელმძღვანელოების გარდა, გამოდიოდა სიტყვაკაზმული მწერლობის ორიგინალური თუ ნათარგმნი ძეგლები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეცნიერო, პოპულარული შინაარსის ლიტერატურა და 1847 წელს თბილისში წიგნის პირველი სპეციალიზებული მაღაზია გაიხსნა, 1863 წლისთვის კი ნაბეჭდი პროდუქციით ვაჭრობას უკვე სამი მაღაზია აწარმოებდა. 1880 წლიდან წიგნის მაღაზია დასავლეთ საქართველოში — ქუთაისშიც არსებობდა.

ლიტერატურა. ქართული კულტურის არსს შთამბეჭდავად გამოხატავდა ეროვნული ლიტერატურა, რომელმაც XIX საუკუნეში მძლავრი აღმავლობა განიცადა. განახლებული მხატვრული ლიტერატურა ახლ დროშიც სამშობლოს სიყვარულის, მისთვის მსახურების სულისკვეთებით საზრდოობდა. მწერლობა შემოქმედებითად ასახავდა ეპოქის ტკივილებს, ეძიებდა ახლ იდეალებს და წარმოაჩენდა საზოგადოებაში არსებულ განწყობილებებს.

მშობლიური ლიტერატურის განვითარებაში გამორჩეული წვლილი მიუძღვის იოანე ბატონიშვილს. მისი ენციკლოპედიური თხზულება „კალმასობა" არა მხოლოდ წყობილსიტყვაობის საყურადღებო ძეგლია, არამედ ავტორის თანადროული ეპოქის ერთგვარი მატიანეც. პატრიოტული გრძნობით აღსავსე ეს ვეება ნაწარმოები განმანათლებლური თვალთახედვითაა გამსჭვალული და რეალისტურად ასახავს სინამდვილეს.

ეროვნული ლიტერატურის საგანძური სამეფო გვარის სხვა არაერთმა წარმომადგენელმაც გაამდიდრა, მათ შორის დიმიტრი და გრიგოლ ბაგრატიონებმა. პირველი მოსკოვში, ხოლო მეორე პეტერბურგში მოღვაწეობდა და იქ არსებულ ქართულ კოლონიათა თვალსაჩინო წევრები იყვნენ.

საქართველოს პოლიტიკურმა ბედუკულმართობამ თავისი კვალი სხვაზე მეტად ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობას დააჩნია. ეროვნული თავისუფლების დაკარგვითა და სახელმწიფოებრიობის მოშლით გამოწვეულმა სულიერმა განცდებმა, მძიმე და უსახური აწმყოს ფონზე წარსულის განდიდების, მისი გაიდიალების სულისკვეთება გააბატონა. XIX საუკუნის პირველ მესამედში ჩამოყალიბდა და ეროვნული ლიტერატურის მთავარ მიმართულებად იქცა რომანტიზმი, რომელიც ქართული მხატვრული აზროვნების დასავლური კულტურისაკენ შემობრუნებისა და მისი „ევროპეიზმის" დასაწყისადაა მიჩნეული. რომანტიკოსებმა საგრძნობლად გააფართოვეს ლიტერატურული ინტერესების სფერო. მათ ახალი ესთეტიკური პრინციპებისა და მხატვრული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთოდის მომარჯვებით განსხვავებული ტონი და ფერადოვნება შესძინეს ქართულ პოეზიას, რომანტიკულ სახეებში გადმოსცეს ეპოქის სულიერი განცდები და ინტელექტუალური მისწრაფებანი.

ალექსანდრე ჭავჭავაძე

ქართული რომანტიზმის ძირითადი წარმომადგენლები არიან ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ვახტანგ ორბელიანი და სხვ.

ალექსანდრე ჭავჭავაძეს ერთხანს მხოლოდ მსუბუქ, სანადიმო და სამიჯნურო ლექსთა ავტორად მიიჩნევდნენ, მაგრამ „ქვეყნისათვის ანატირი" პოეტის შემოქმედების მაგისტრალური ხაზი პატრიოტიზმია. სამხედრო თუ ადმინისტრაციულ სამსახურში დიდად დანინაურებული გენერალი თავისი დროის მეტად გამორჩეული და პოპულარული შემოქმედია. ქართველ მწერალთა ბიოგრაფიების ცნობილი მკვლევარის, იონა მეუნარგიას სიტყვით, ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები „ქუჩ-ქუჩა და სოფელ-სოფელ იმღერებოდა".

ახალ ქართულ ლიტერატურაში ალექსანდრე ჭავჭავაძემ დაუდო სათავე რომანტიკულ „მამულიშვილურ და მოქალაქეობრივ გულისტკივილს" (ილია). მის ლირიკაში ამქვეყნიური ცხოვრების უკმაყოფილებით აღძრულ დარდთან („გოგჩა") ერთად ეროვნული სევდაც იგრძნობა, წმინდა პიროვნული ტკივილებიცა და სოციალური უთანასწორობით გამოწვეული ნაღველიც („ახლოით განჩხრეკილი კაცი", „ვაჰ, სოფელსა ამასა და მისთა მდგმურთა"). ამასთან, პოეტის მხატვრული ნააზრევი გამსჭვალულია ჭეშმარიტების ძიებისა და უკეთესი მერმისის — „გულთ მაამი ჟამის" რწმენით.

ქართული რომანტიზმი ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა „სიტყვის მეუფედ" წოდებულმა გრიგოლ ორბელიანმა. მისი შემოქმედების მთავარი მოტივი საქართველოს ძნელბედობით გამძაფრებული ეროვნული პრობლემაა. პოეტის მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს რაინდული წარსულის

გრიგოლ ორბელიანი

ხოტბას შეიცავს. გრ. ორბელიანის პატრიოტული ლირიკა თავისუფლებისათვის ბრძოლის, მამულის სიყვარულის გაბმული ჰიმნია („ჰე, ივერიავ", „იარალი" და სხვ.), ხოლო პოემა „სადღეგრძელო" ის მტკიცე ბალავარია, რომელსაც XIX საუკუნეში აღმოცენებული ქართული ნაციონალიზმის მძლავრი შენობა დაემკვიდრა.

პოეტი ბუნების მშვენიერების, სიყვარულისა და მეგობრობის შეუდარებელი მომღერალია. ანაკრეონტულ ხასიათთან ერთად მისი პოეზიისათვის ნიშანდობლივია წუთისოფლის წარმავლობით განპირობებული სევდა-მწუხარებაც, სოციალური უთანაბრობით დაჩაგრულ მოყვასისადმი თანაგრძნობაც („მუშა ბოქულაძე"), ჰუმანისტური და განმანათლებლური შეხედულება-ნიც.

გრიგოლ ორბელიანის ცხოვრება და მსოფლმხედველობა წინააღმდეგობრივი იყო. მის ნააზრევში აშკარად გამოსჭვივის გაორებული პიროვნება, რომელიც რუსეთის ტახტის გულითადი მსახურიცაა და თვითმპყრობელობის მარწუხებიდან სამშობლოს დახსნაზე მეოცნებე პატრიოტიც. მართლაც, პოეტის თავდაპირველი რადიკალიზმი ჯერ ხელისუფლებასთან ლოიალობით, მერე კი ერთგულქვეშევრდომობით შეიცვალა. ცარიზმის საწინააღმდეგო შეთქმულების მონაწილე ახალგაზრდა გრიგოლ ორბელიანი მზად იყო თავის მამულში „შორით მოსული" მტერი მიეცა „მახვილს ლესულსა." მაგრამ, როცა ჭაბუკური მგზნებარება დაცხრა, საიმპერიო მთავრობასთან ერთობ დაახლოებული ინფანტერიის გენერალი კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობასაც ასრულებდა და დითირამბებს უძღვნიდა ნიკოლოზ I-სა თუ ალექსანდრე II-ეს. მიმწუხრის ჟამს კი მხცოვანი შემოქმედი აღსარებასავით წერდა; „დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ, დაემხო ჩემი სამშობლო, გულს მიკლავს უიმედობა, საფლავს ჩავდივარ სიმწარით"-ო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაში მთელი ეპოქა შექმნა ნიკოლოზ ბარათაშვილმა, რომლის პოეზიას ქართული რომანტიზმის გვირგვინს უწოდებენ, ზოგიერთი ლექსი კი ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობის შედევრადაა აღიარებული. პოეტის შემოქმე-დება იმ მხრივაცაა ფასეული, რომ მან, ილია ჭავჭავაძის სიტყვით, „კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოსაგრედ გაუხადა“.

ნიკოლოზ ბარათაშვილი

ნ. ბარათაშვილის ფიქრისა და ზრუნვის საგანი ქართლის ბედი იყო. მისი სევდის წყარო უფლებაყრილი სამშობლოს უნუგეშო მდგომარეობაა, თუმცა პოეტს არც პიროვნულ ცხოვრებაში აკლდა „სულით ობლობა“ და იმედგაცრუება. ნ. ბარათაშვილი წუხს ცხოვრების უსამართლო ამაოებაზე, მაგრამ რჩება უდრეკი ხასიათის, მებრძოლი სულის შემოქმედად. იგი გმობს მარტოობას, უპირისპირდება ბოროტებას და ადამიანის მთავარ დანიშნულებად „სოფლისათვის ზრუნვას“ — ხალხის სამსახურს მიიჩნევს („ფიქრნი მტკვრის პირას“).

მისი უკვდავი „მერანი“, რომელიც პავლე ინგოროყვას მიგნებით, ლეგენდარულ ალექსანდრე ბატონიშვილს ეძღვნება, თავისუფლებისათვის ბედისწერასთან შერკინების, მოძმეთა ხვედრის შემსუბუქების, იმედიანი მომავლისათვის თავგანწირვის იდეითაა შთაგონებული. პოეტი დარწმუნებულია, რომ უეჭველად „გათენდება დილა მზიანი“ და ესწრაფვის, იყოს „ვარსკვლავი განთიადისა მორბედი“ („არ უკიჟინო, სატრფოო“).

ნიკოლოზ ბარათაშვილმა განსჯის საგნად აქცია თავისი დროის ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემა, რომელიც საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის, რუსეთთან საქართველოს ურთიერთობის საკითხის გარკვევას შეეხებოდა. პოეტი თავისუფლების აპოლოგეტია, საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა მისთვის შინაგანად მიუღებელია („ბედი ქართლისა“). არადა, ეროვნული თავისუფლება კარგა ხანია წარხოცილია, საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამონებულია. ნიკოლოზ ბარათაშვილი იძულებულია „ანდერძში" მკაცრ რეალობასაც გაუნიოს. ჩვენი ქვეყნის რუსეთთან დაკავშირებას იგი „ტკბილ ნაყოფად" აღიქვამს („საფლავი მეფის ირაკლისა"), მაგრამ ეს ნაყოფი „წართმეული თავისუფლების საზღაური არ იყო" და პოეტიც არ ურიგდება სინამდვილეს, ემიჯნება „ბოროტ სულს", პროტესტს უცხადებს აუტანელ კოლონიურ ყოფას („სუმბული და მწირი") და აღვივებს მისდამი დაუმორჩილებლობის სულისკვეთებას.

XIX საუკუნის 40-50-იან წლებში პოეზიის გვერდით ფართოდ ვითარდება დრამატურგია და პროზა. ცხოვრების რეალისტური ასახვა ლიტერატურის განმსაზღვრელ კურსად იქცევა. ჩვენს მწერლობაში კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთ ფუძემდებლად გიორგი ერისთავია მიჩნეული. „ქართველ მოლიერად" სახელდებული გ. ერისთავი ეროვნული კომედიოგრაფიის მესაძირკვლეა. მას განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქართული კულტურის აღმავლობაში.

პოეტის, დრამატურგის, საზოგადო მოღვაწის — გიორგი ერისთავის სახელთან დაკავშირებულია ახლი, პროფესიული ეროვნული თეატრისა და ლიტერატურული ჟურნალის დაარსება. გ. ერისთავის შემოქმედების უმნიშვნელოვანესი ნაწილი დრამატული თხზულებებია („გაყრა", „შეშლილი", „დავა", „ძუნწი" და სხვ.), რომლებშიც საზოგადოებრივი თუ ყოფითი სინამდვილე შეულამაზებლადაა წარმოჩენილი. მხილებულია ბატონყმური ცხოვრების მანკიერებანი, ცარიზმის ბიუროკრატ მოხელეთა ბინიერება, დახატულია დეგრადირებულ მემამულეთა, ძუნწ და გაქნილ ჩარჩ-ვაჭართა სატირული პორტრეტები და სხვ.

გ. ერისთავის ლიტერატურულ ტრადიციებს განაგრძობდა დრამატურგი ზურაბ ანტონოვი. მის პიესებში („მზის დაბნელება საქართველოში", „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა", „ქმარი ხუთის ცოლისა" და სხვ.) ასახულია ავტორის თანამედროვე ქართული სოფლისა და ქალაქის ცხოვრების კოლორიტული სურათები. პერსონაჟები არისტოკრატიის გვერდით მოსახლეობის დაბალი ფენის წარმომადგენლებიც არიან. შთამბეჭდავმა სცენებმა, მოსწრებულმა რეპლიკებმა, ხალასმა იუმორმა ზ. ანტონოვის კომედიების პოპულარობა და ხანგრძლივი სცენური სიცოცხლე განაპირობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღემდე მოწონებით სარგებლობს ნიჭიერი დრამატურგის, ავქსენტი ცაგარელის კომედიები „ხანუმა“ და „რაც გინახავს, ველარ ნახავ“.

ქართულ სინამდვილეში ლიტერატურის ახალი ჟანრის — სოციალური რომანის დამამკვიდრებელია თვალსაჩინო მწერალი და პუბლიცისტი ლავრენტი არდაზიანი. რეალისტური ტენდენციით გამორჩეულ მის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილში“ ნაჩვენებია ძველი ფეოდალური ყოფის ნგრევა და ბურჟუაზიული ურთიერთობების გარდაუვალობა საქართველოში. რომანი „მორჩილი“ კი მიმართულია დრომოჭმული ბატონყმობის წინააღმდეგ და თავადაზნაურობის დაცემა-გადაგვარების მტკივნეულ პროცესს აშუქებს.

მრავალმხრივი შემოქმედი იყო პატრიოტული ლირიკის უბადლო შედევრის — „სამშობლო ხევსურისა“-ს ავტორი, მწერალი, ეთნოლოგი, ლექსიკოგრაფი და საზოგადო მოღვაწე რაფიელ ერისთავი. მან სათავე დაუდო ქართულ საბავშვო ლიტერატურას, დიდად განავითარა ვოდევილის ჟანრი („ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“), გამოსცა რამდენიმე სპეციალიზებული ლექსიკონი, მოიძია, შეკრიბა და გამოაქვეყნა ქართული ფოლკლორის ნიმუშები და სხვ.

დანიელ ჭონქაძემ მხოლოდ ერთი ნაწარმოების — „სურამის ციხის“ შექმნა მოასწრო, მაგრამ მყარად დაიმკვიდრა ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. იგი პირველი ქართველი მწერალია, რომელმაც სააშკარაოზე გამოიტანა ბატონყმობის მთელი სიმახინჯე, მკაცრად დაგმო სოციალური უსამართლობა და ჩაგრულ გლეხობას მისი აღმოფხვრისაკენ მოუწოდა. პრივილეგირებული წოდება აღშფოთებით შეხვდა დ. ჭონქაძის გაბედულ პროტესტს. ქედფიცხელმა თავადებმა ივანე კერესელიძე საყვედურებით აავსეს „სურამის ციხის“ „ცისკარში“ გამოქვეყნებისათვის, ხოლო დანიელ ჭონქაძეს მტკვარში გადაგდება დაუპირეს.

ყოველი ქართველისათვის გამორჩეული და საამაყო სახელია ილია ჭავჭავაძე. XIX საუკუნის ქართული მწერლობის, საზოგადოებრივი აზროვნების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სიმაღლეს ილია განაპირობებს. თავისი მხატვრული თუ პუბლიცისტური ნააზრევით ილია ჭავჭავაძე არა მხოლოდ ეროვნული კულტურის საგანძურს ამდიდრებდა, არამედ ქართველ

ხალხს კოლონიური და სოციალური ჩაგვრისაგან თავდაღწევის გზებსაც უსახავდა, სულს უწვრთნიდა და მხნეობას ბატებდა. ილიას გენია საქართველოს ცხოვრების ყველა სფეროს სწვდებოდა. იგი იყო მწერალი, პუბლიცისტი, რედაქტორი, ბანკირი, საზოგადო მოღვაწე, ყოველი საქვეყნო საქმის თაოსანი, მეთაური ან ქმედითი მონაწილე, სიტყვით, კალმით თუ საქმით ერის გუშაგი, მისი მსახური და წინამძღოლი. საქართველო, ქართველი ერი, მისი ბედი და მომავალი წარმოადგენდა დიდი მოძღვრის შთაგონების წყაროს, შემოქმედების უწყვეტ იმპულსსა თუ პრაქტიკული ზრუნვის საგანს. ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობა (ლექსები: „ელეგია", „ყვარლის მთებს", „ჩემო კარგო ქვეყანავ"..., პოემები: „ქართლის დედა", „განდეგილი", „აჩრდილი", მოთხრობები: „მგზავრის წერილები", „სარჩობელაზედ", „ოთარაანთ ქვრივი" და სხვ.) ჩვენი ეროვნული საუნჯე და სულიერების უშრეტი წყაროა.

ჭეშმარიტად სახალხო მგოსანი იყო დიდი პოეტი და მოაზროვნე აკაკი წერეთელი, რომელსაც „ქართული პოეზიის იალბუზს" უწოდებენ. მისი დარი პოპულარობა და ხალხის სიყვარული სიცოცხლეში იშვიათად თუ ღირსებია ვისმეს. სამშობლო და მისი სიყვარული იქცა აკაკი წერეთლის შემოქმედების ქვაკუთხედად. პოეტმა უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა პატრიოტული ლირიკა, რომელიც უსაზღვრო ოპტიმიზმითაა გამსჭვალული. ამასთან, აკაკი გრძნობით უმღერდა თავისუფლების, თანასწორუფლებიანობის, ძმობა-ერთობისა და მეგობრობის საკაცობრიო იდეალებს. მის პოეზიას ფართო დემოკრატიზმი, ღრმა მელოდიურობა და გენიალური სისადავე გამოარჩევს („ჩონგური", „ციცინათელა", „სულიკო", „აღმართ-აღმართ" და სხვ.)

ისტორიულ პოემებსა თუ პროზაულ ნაწარმოებებში („ბაგრატ დიდი", „თორნიკე ერისთავი", „ნათელა", „პატარა კახი", „ბაშიაჩუკი") აკ. წერეთელმა მხატვრულად გააშუქა საქართველოს გმირული წარსული, დახატა სამშობლოსათვის თავდადებულ მამულიშვილთა ხატოვანი პორტრეტები და სახელოვანი წინაპრები მაგალითად დაუსახა თავის თანამედროვეთ. ილია ჭავჭავაძის მსგავსად, აკაკი წერეთელიც ეროვნული კულტურის მშვენება და სიამაყეა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იაკობ გოგებაშვილი

სხვა რომ არაფერი დაეწერა, „დედა ენის“ შემდგენლისა და გამომცემლის სახელი ამ წიგნითაც სამუდამოდ შევიდოდა ქართველი ერის ისტორიაში, მაგრამ ცნობილი პედაგოგი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, თერგდალეულთა კოჰორტის თვალ-საჩინო წევრი იაკობ გოგებაშვილი ჩინებული საბავშვო მწერალიც იყო. მისი დაუვიწყარი მოთხრობები („იავნანამ რა ჰქმნა“, „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი,“...) მოზარდ თაობებს ეროვნ-ი თვითშეგნების, სამშობლოს სიყ-ა,რულისა და ერთგულების გრძნო-ებს უღვივებდა.

მშობლიურ ლიტერატურას დიდი ამაგი დასდო სახელოვანმა პროზაიკოსმა და პუპლიცისტმა გიორგი წერეთელმა. თავის ბელეტრისტულ ნაწარმოებებში („პირველი ნაბიჯი“, „გულქანი“, „ჩვენი ცხოვრების ყვავილი“, „მამიდა ასმათი“) მწერალმა შემოქმედებითად გადმოსცა ფეოდალიზმის წიაღში ბურჟუაზიის შეჭრისა და დამკვიდრების პროცესი, ასახა ამ მნიშვნელოვანი მოვლენით ქართულ სინამდვილეში განპირობებული სოციალური ცვლილებები, გამოკვეთა ახალი ყოფის უპირატესობანი და სხვ.

ქართულ პოეზიაში მთის სუნთქვა, სილაღე და მგზნებარება შემოიტანმა სრულიად ორიგინალური ხმის პოეტმა ვაჟა-ფშაველამ. ბუნების დიდმა მესაიდუმლემ უსულო სამყაროსაც სული შთაბერა და ადამიანურ ენაზე აამეტყველა. მის ლექსებსა თუ მოთხრობებში შვლის ნუკრიც გვესაუბრება და მთის წყაროც, ნაზი იაც და ადიდებული მდინარეც.

ვაჟას ფიქრი და ოცნება გამუდმებით სამშობლოს დასტრიალებდა. მისთვის სამშობლო ხან ყვავ-ყორნებთან შეჭიდებული დაჭრილი არწივია „(არწივი“), ხან მწარედ დაფიქრებული „თავჩაჩქნიანი მთები“ („მთანი მაღალნი“), ხან კიდევ ხმელი წიფელი, რომელსაც ნუგეშად ფესვის ბოლოზე ამოსული პატარა ყლორტილა შერჩენია და მის გაზრდას ნატრობს („ხმელი წიფელი“). ვაჟა-

ვაჟა-ფშაველა

ფშაველას შემოქმედებაში ნაკვეთ პლანზეა წამოწეული კაი ყმობის, ვაჟკაცობის, პატრიოტიზმის მოტივები, საქართველოს თავისუფლების, თემისა და პიროვნების ურთიერთობის, ადამიანის საზოგადოებრივი დანიშნულებისა და სხვა პრობლემები („კაი ყმა", „ფშაველი ჯარისკაცის წერილი", „ბახტრიონი", „ალუდა ქეთელაური", „სტუმარ - მასპინძელი"..).

რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად დარაზმული მთის ცხოვრება წარმოაჩინა თავის შემოქმედებაში „ქართველმა ჰომეროსმა" ალექსანდრე ყაზბეგმა. თავისუფლებისა და ადამიანური ღირსების დასაცავად ხმალშემართულ მის გმირებს, რომ-ლებიც მთელი ქართველი ერის სუ-ლისკვეთებას გამოხატავენ, კეთილშობილების, რაინდობის, გულწრფელობის, სამშობლოსათვის თავგანწირვის მაღალი იდეალები გამოარჩევთ. ამიტომაც შეიყვარა ხალხმა ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯა", „ხევისბერი გოჩა", „ელისო", „მოძღვარი" და სხვა თხზულებები.

არსებული წყობილების კრიტიკის ფონზე გლეხკაცთა ბეჩავი ყოფაა დახატული და მათდამი თანაგრძნობას შეიცავს ხალხოსან მწერალთა არაერთი მხატვრული ქმნილება. თავიანთ პროზაულ ნაწარმოებებში ხალხოსნურ იდეებს ასახავდნენ ანტონ ფურცელაძე („მაცი ხვიტია", „ვაი მართალთა"), ნიკო ლომოური („ალი", „ქაჯანა"), ეკატერინე გაბაშვილი („მაგდანას ლურჯა", „ღვინია გადაიჩეხა"), სოფრომ მგალობლიშვილი („დედა მაია", „ღამის მეხრე ცეცო") და სხვ.

ქართველი დემოკრატი მწერალი ეგნატე ნინოშვილი ბატონყმობის შემდგომი ხანის გურიის მშრომელთა ცხოვრებას გვისურათხატებს. იგი მძაფრ ფერებში გვიჩვენებს ექსპლუატაციის სიმძიმით გამოწვეულ სოციალურ წინააღმდეგობებს და გაბედულად ექომაგება უნუგეშოდ დარჩენილ ჩაგრულ მოსახლეობას.

მოთხრობებში „სიმონა“, „გოგია უიშვილი“, „ქრისტინე“, „პალიასტომის ტბა“ მწერალი ფარდას ხდის ცარიზმის მოხელეთა ძალმომრეობას, ამხელს მედროვე ადამიანთა სიმდაბლესა და სხვ. ე. ნინოშვილი ავტორია ისტორიული რომანისა „ჯანყი გურიაში“, რომელშიც 1841 წლის გურიის ამბოხება მხატვრულადაა აღწერილი.

90-იან წლებში სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა სიტყვის ოსტატთა ახალი, ნიჭიერი თაობა: დავით კლდიაშვილი, ვასილ ბარნოვი, ეროდიონ ევდოშვილი, შიო არაგვისპირელი, დუტუ მეგრელი, შიო მღვიმელი და სხვ. რომელთა შემოქმედება უფრო ფართოდ მომდევნო ეპოქაში გაიშალა.

ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციას, ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნებთან ერთად, ემსახურებოდა XIX საუკუნის პირველი ნახევრის თბილისის საოჯახო სალონები (ალექსანდრე ჭავჭავაძის, მანანა და ვახტანგ ორბელიანების, რომან ბაგრატიონის), ილია ჭავჭავაძის ცნობილი „ხუთშაბათობები“ („ივერიის“ რედაქციაში ახალი მხატვრული თხზულებების საჯარო კითხვა) და ლიტერატურულ პერსონაჟთა გასამართლებები, რომლებიც საზოგადოების ცხოველ ინტერესს იწვევდა.

თეატრი. XIX საუკუნის პირველი მესამედის ძნელბედობამ საქართველოში სასცენო ცხოვრებაც ჩაკლა. ქართული თეატრალური ხელოვნების აღორძინება 40-იანი წლების ბოლოდან იწყება. მისი ინიციატორი და ხელმძღვანელი მწერალი გიორგი ერისთავი იყო. მეფისნაცვალ მ. ვორონცოვის თანადგომით მან ჩამოაყალიბა მსახიობთა მუდმივი დასი და სათავე დაუდო ეროვნული თეატრის განახლებას.

ახალი ქართული თეატრის რამპის ჩირაღდანი 1850 წლის 2 (14) იანვარს აინთო. ამ დღეს თბილისის გიმნაზიის შენობაში წარმოდგენილ იქნა გ. ერისთავის კომედია „გაყრა“. თეატრმა მალე მოიპოვა პოპულარობა. ხელოვნების ამ ტრადიციული დარგის აღორძინება ღირსშესანიშნავი კულტურული მოვლენა იყო, რომელმაც საზოგადოების ცხოველი ინტერესი გამოიწვია. კავკასიის რუსულმა ხელისუფლებამ თეატრში ხალხის პატრიოტული სულისკვეთების გამაღვივებელი ძალა დაინახა და მას სუბსიდირება შეუწყვიტა. უსახსროდ დარჩენილმა თეატრმა არსებობა ვეღარ შეძლო, 1856 წელს დასი დიშალა.

ქართული პროფესიული თეატრის ხელახალი განახლება დაკავშირებულია ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის სახელებთან. მათი თაოსნობით 1879 წელს თბილისში აღსდგა მუდმივი თეატრი, ხოლო მისი საქმიანობის წარმართვის მიზნით შეიქმნა დრამატული საზოგადოება. მიუხედავად იმისა, რომ თეატრს პირველ ხანებში თავისი სცენა არ ჰქონია, დასმა მარტო ერთ სეზონში მაყურებლის წინაშე 40-მდე სპექტაკლი წარმოადგინა. წარმატებით იდგმებოდა ორიგინალური, ნათარგმნი თუ გადმოკეთებული პიესები. თერგდალეულები ქომაგად ედგნენ ახლად ფეხადგმულ თეატრს, ზრუნავდნენ მისი რეპერტუარის გაფართოებისთვის, წერდნენ კრიტიკულ რეცენზიებსა და სხვ. სათავადაზნაურო ბანკის შემწეობით ქართულმა თეატრმა საკუთარი შენობაც შეიძინა. სცენური კულტურისა თუ მსახიობთა პროფესიული დონის ამაღლებას დიდად შეუწყო ხელი შექსპირის ტრაგედიების ივანე მაჩაბლისეულმა თარგმანებმა, რომელთა საფუძველზე განხორციელებულმა დადგმებმა იმთავითვე დაიმკვიდრეს ადგილი თეატრის რეპერტუარში.

1880 წელს დრამატული თეტრი დაარსდა ქუთაისში, სცენის მოყვარულთა წრეები აღმოცენდნენ გორში, თელავსა და ოზურგეთში. მუშა-სცენისმოყვარეთა ძალებით 1894 წელს ჩამოყალიბდა ბაქოს ქართული თეატრი.

ქართულ სცენას თეატრალური ხელოვნების მრავალი გამოჩენილი მოღვაწე ამშვენებდა, მათ შორის: ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, ნატო გაბუნია, მაკო საფაროვა-აბაშიძისა, კოტე მესხი, კოტე ყიფიანი, ვალერიან გუნია და სხვ. სუსხიანი რეაქციის პირობებშიც კი თეატრი რჩებოდა კულტურის ჩაუქრობ კერად, თავისუფლებისათვის ბრძოლის დიდ ეროვნულ ტრიბუნად.

სახვითი ხელოვნება. ოქრომჭედლობის, ჩუქურთმის, ფრესკის მდიდარ ქართულ ტრადიციებს დაეფუძნა სახვითი ხელოვნების ისეთი დარგები, როგორიცაა ფერწერა, გრაფიკა და ქანდაკება. მათგან XIX საუკუნის საქართველოში უფრო ფართო გავრცელება პორტრეტულმა მხატვრობამ ჰპოვა. სწორედ ამ ჟანრის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო პირველი ქართველი პროფესიონალი ფუნჯის ოსტატი გრიგოლ მაისურაძე — ალექსანდრე ჭავჭავაძის ყოფილი ყმა, რომელმაც 1844 წელს პეტერბურგის სამხატვრო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკადემია დაამთავრა. მისი ფერწერული ტილოების მხოლოდ მცირე ნაწილია შემონახული.

შთამბეჭდავი მხატვრული პორტრეტები შექმნეს რომანოზ გველესიანმა („კახელი დოქით", „მოხუცი გლეხი"), ალექსანდრე ბერიძემ („მწყემსი", „სალამურზე დამკვრელი ბიჭი"), ალექსანდრე მრევლიშვილმა („დაბალი ღობე", „სოფლის კანცელარიის წინ") და დავით გურამიშვილმა („მოხუცის პორტრეტი", „ქალიშვილის პორტრეტი").

ქართული ფერწერის ყველაზე გამოჩენილი მოღვაწე გიგო გაბაშვილი იყო. სამხატვრო განათლებას იგი რუსეთსა და გერმანიაში დაეუფლა. 1891 წელს თბილისში მოეწყო მხატვრის პირველი პერსონალური გამოფენა. გ. გაბაშვილის მრავალრიცხოვანი მემკვიდრეობიდან (დახატა ორი ათასზე მეტი სურათი) შესრულების ოსტატობით განსაკუთრებით გამოირჩევა „სამი მოქალაქე", „მთვრალი ხევსური", „ალავერდობა" და სხვ.

90-იანი წლების ბოლოს დაიწყეს თავიანთი შემოქმედებითი გზა მაღალნიჭიერმა მხატვრებმა მოსე თოიძემ, ანტონ გოგიაშვილმა და ნიკო ფიროსმანაშვილმა. ფიროსმანის ქმნილებებმა მოგვიანებით მსოფლიო აღიარება მოიპოვეს.

წიგნის ბეჭდვისა და ჟურნალ-გაზეთების გამოცემის განვითარებამ ხელი შეუწყო ქართული გრაფიკის აღმოცენებას, რომლის პიონერად გრიგოლ ტატიშვილია მიჩნეული. მისი გრავიურები ამშვენებდა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენასა" და „ბუნების კარს", 1888 წლის ქართველიშვილისეულ „ვეფხისტყაოსნის" გამოცემას, არაერთი წიგნის გარეკანსა თუ სატიტულო ფურცელს.

XIX საუკუნის ბოლოს ქართული პროფესიული ქანდაკების მესაძირკვლედ მოგვევლინა იაკობ ნიკოლაძე. დიდი ხელოვანის პირველივე მნიშვნელოვანმა ქანდაკებამ „შოთა რუსთაველი" კავკასიის მხატვართა 1897 წლის გამოფენაზე საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. ი. ნიკოლაძის შემოქმედება უფრო სრულად მომდევნო წლებში წარმოჩინდა.

ტექნიკურმა პროგრესმა კულტურის კიდევ ერთი ახალი დარგის — ფოტოგრაფიის წარმოშობა განაპირობა. ამ სიახლემ საქართველოში XIX საუკუნის 40-იან წლებში შემოაღწია. სპეციალურ ქაღალდზე ფოტოგრაფიულად აღბეჭდილმა სურათმა მხოლოდ საოჯახო ალბომში როდი დაიდო ბინა. შემოქმედი

ადამიანის თვალით დანახული სხვადასხვა პეიზაჟი, პორტრეტები ან სცენა ხელოვნების ნიმუშსაც კი გაუტოლდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ-ერთი პირველი ქართველი ფოტოგრაფი, რომლის ნამუშევრებმა საზოგადოებრივი მნიშვნელობა შეიძინეს, ალექსანდრე როინაშვილი იყო. 1865 წელს მან თბილისში საკუთარი ფოტოსტუდია „რემბრანდტი" გახსნა. ფოტოაპარატით ხელში ალ. როინაშვილმა მოიარა საქართველოს კუთხეები და ფირზე აღბეჭდა არაერთი საინტერესო ექსპონანტი. მანვე გადაიღო ქართველ მწერალთა თუ ხელოვანთა (ილია, აკაკი, ნიკო ნიკოლაძე, ლადო მესხიშვილი და სხვ.) ფოტოსურათები და ამ დიდ მოღვაწეთა სახეები შთამომავლობას შემოუნახა.

1887-1888 წლებში ალექსანდრე როინაშვილის ფოტოგამოფენას რუსეთის ქალაქებმა ასტრახანმა, მოსკოვმა და პეტერბურგმაც უმასპინძლეს.

მუსიკა. ქართველმა ხალხმა საუკუნეთა განმავლობაში უაღრესად თვითმყოფადი, გულში ჩამწვდომი მუსიკა შექმნა მრავალხმიანი ხალხური სიმღერებისა თუ საეკლესიო საგალობლების სახით. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საფუძველი ჩაეყარა ახალ, საერო პროფესიულ მუსიკალურ ხელოვნებას, რომლის სათავეებთან მომღერალი ხარლამპი სავანელი და პიანისტი და კომპოზიტორი ალიოზ მიზანდარი იდგნენ.

ხ. სავანელმა პირველმა ჩამოაყალიბა მომღერალთა გუნდი და გამართა კონცერტი. მანვე ა. მიზანდართან ერთად თბილისში დააარსა ქართული სამუსიკო სკოლა. საქართველოს კონსერვატორიის წინამორბედ ამ სასწავლებელში მუსიკოსთა ახალ კადრებს ზრდიდნენ ქართული პიანისტური სკოლის მესაძირკვლე ალიოზ მიზანდარი, მ. იპოლიტოვ-ივანოვი და სხვ.

ქართული მუსიკალური კულტურის ისტორიაში საინტერესო ფურცლები ჩაწერეს მელიტონ ბალანჩივაძის, სანდრო კავსაძისა და ძუკუ ლოლუას მომღერალთა გუნდებმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლადო აღნიაშვილის ეთნოგრაფიული გუნდი — „ქართული საერო ხორო", რომელსაც ჩეხი მუსიკოსი იოსებ რატილი ლოტბარობდა. ლ. აღნიაშვილმა დიდი ამაგი დასდო ქართული სასიმღერო შემოქმედების აღორძინებასა და შემდგომ განვითარებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდად დაწინაურდა ქართული საშემსრულებლო ხელოვნებაც. ფართოდ გაითქვეს სახელი პროფესიულმა მუსიკოსებმა ალიოშ მიზანდარმა (ფორტეპიანო), ანდრია ყარაშვილმა (ვიოლინო) და ვანო სარაჯიშვილმა (ჩელო). კომპოზიტორსა და პედაგოგს ა. ყარაშვილს ეკუთვნის პოპულარული რომანსები „ისევ შენ", „დავრდომილი სნეული", და სხვ. „საქართველოს ბულბულად " წოდებული ვანო სარაჯიშვილი ქართული პროფესიული ვოკალური ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელია. ფილიმონ ქორიძე, როგორც საოპერო მომღერალი (ბანი), გამოდიოდა მილანის „ლა სკალას" სცენაზე, იყო პეტერბურგის მარიამის თეატრის სოლისტი. მისი გასტროლები წარმატებით აღინიშნა ასევე სამხრეთ ამერიკაში.

XIX საუკუნის 90-იან წლებში შეიქმნა პირველი ქართული ოპერა „თამარ ცბიერი", რომლის ავტორია კომპოზიტორი მელიტონ ბალანჩივაძე („თამარ ცბიერის" ფრაგმენტები პირველად დაიდგა პეტერბურგში 1897 წელს). მ. ბალანჩივაძემ სათავე დაუდო ქართულ რომანსსაც („შენ გეტრფი მარად", „ნანა", „ოდესაც გიცქერ").

ქართული კულტურის მოღვაწეებს შემოქმედებითი კონტაქტები აკავშირებდათ რუსეთისა და დასავლეთ ევროპის კულტურულ ძალებთან. საქართველოსა და ქართველი ხალხის ცხოვრებით დაინტერესდა არაერთი უცხოელი მწერალი თუ მცნიერი. თბილისსა და წინანდალში იქმნებოდა ალ. გრიბოედოვის კლასიკური ნაწარმოებები; საქართველო იქცა მ. ლერმონტოვის „პოეტურ სამშობლოდ", აქვე დაიწერა ლ. ტოლსტოის პირველი თხზულებაც. ქართული თემა აისახა ა. პუშკინისა და ა.ოდოევსკის შემოქმედებაში. თავიანთ მუსიკალურ კომპოზიციებში ქართულ მელოდიებს იყენებდნენ პ. ჩაიკოვსკი, ნ.რუბინშტეინი და სხვა რუსი კომპოზიტორები.

1858 წელს საქართველოში იმოგზაურა და თავისი შთაბეჭდილებანი სამშობლოში მოზრდილ წიგნად გამოაქვეყნა გამოჩენილმა ფრანგმა მწერალმა ალექსანდრე დიუმამ. 80-იან წლებიდან თბილისში დაიდო ბინა ქართველი ხალხის დიდმა მეგობარმა, გერმანელმა მწერალმა არტურ ლაისტმა, რომელმაც საქართველოს ისტორიისა თუ ქართული კულტურის ამსახველი საყურადღებიო ნაშრომები გამოსცა.

ქართული ლიტერატურის რამდენიმე შედევრი, მათ შორის „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისელ მკითხველს გააცნო ბარონმა უორდროპმა და სხვ.

კავკასიის რუსი მმართველები. რუსეთის ბატონობის შედეგები საქართველოში

კნორინგი (1801—1802 წ.წ.). რუსული მმართველობა აღმოსავლეთ საქართველოში ოფიციალურად 1802 წლის 8 მაისიდან დაწესდა, სინამდვილეში კი ამაზე ერთი წლით ადრე დაიწყო და მას დროებითი ხელისუფლების სახით გენერალი ლაზარევი განაგებდა. გუბერნიად ქცეული საქართველოს პირველ მთავარმართებლად გენერალი კარლ ფონ - კნორინგი დაინიშნა, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღოდა ქართლ-კახეთის ანექსიასა და აქ მეფობის გაუქმებაში. იგი მთავარი მონაწილე იყო ბაგრატიონთა სამეფოს ლიკვიდაციასთან დაკავშირებული ფარსისა, რუსეთის სახელმწიფო საბჭოში რომ გაითამაშა ალექსანდრე პირველმა. სწორედ კნორინგმა წარადგინა დასკვნა, თითქოს მაჰმადიანური სახელმწიფოებით გარშემორტყმულ და შინაფეოდალური ომებით ქანცგაწყვეტილ საქართველოს დამოუკიდებლად არსებობის ძალა აღარ შესწევდა. კავკასიის ხაზის სარდალს ღვაწლი დაუფასდა, ახლად შემოერთებული მხარის მართვა-გამგეობა მეფის მთავრობამ მას ჩააბარა.

კნორინგს აღმოსავლეთ საქრთველოს გარდა მინდობილი ჰქონდა რუსეთის მიერ შემდგომში დასაპყრობი მიწა-წყლის უმაღლესი გამგებლობა. მასვე ევალებოდა ადგილობრივ მფლობელთა (ხანები, შამხლები, მთავრები და სხვ.) რუსეთის მხარეზე გადაბირება, რისთვისაც მნიშვნელოვანი თანხები იყო გამოყოფილი. მთავარმართებელს ეკისრებოდა ზრუნვა სახაზინო შემოსავლების ზრდაზეც. მას ხელი უნდა შეუწყო მხარის ეკონომიკური ათვისებისა და ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლუატაციისათვის, რასაც უკვე ანხორციელებდა საქართველოში საგანგებოდ გამოგზავნილი მუსინ - პუშკინის ექსპედიცია.

კნორინგს სამოქალაქო მმართველობის არც უნარი და არც გამოცდილება არ ჰქონია, თუმცა, რომც ჰქონოდა, საქართველოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდად არ დასჭირდებოდა, ქართლ-კახეთში ფაქტობრივად სამხედრო რეჟიმი დამყარდა. მთავარსარდლის მოადგილე საქართველოს სამოქალაქო მმართველიც სამხედრო პირი იყო. ეს პოსტი კნორინგის დროს გენერალ კოვალენსკის ეკავა.

მმართველობის სტრუქტურის შესამუშავებლად კნორინგს თავი არ უმტვრევია, მზა ინსტრუქციები პეტერბურგიდან მოდიოდა. საჭირო იყო მხოლოდ მათი შესაფერისი რგოლების ჩამოყალიბება და კადრებით დაკომპლექტება.

საიმპერიო ხელისუფლება კნორინგისაგან მოითხოვდა, რომ მის ადმინისტრაციას მოსახლეობაზე დადებითი შთაბეჭდილება მოეხდინა, ხალხში ნდობა და ავტორიტეტი მოეპოვებინა, რათა ქართველ ერს ეგრძნო, რომ რუსული მმართველობა და სამართალი ადგილობრივს სჯობდა.

კავკასიის რუსული მმართველობა ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე. დასახული ამოცანის რეალიზება მისთვის შეუძლებელი გამოდგა, რადგან თანამდებობაზე დანიშნულ ჩინოვნიკთა აბსოლუტური უმრავლესობა საამისოდ მომზადებული არ ყოფილა. განათლებული, საქმის მცოდნე და პატიოსანი მოხელეები რუსეთის შიდა გუბერნიებშიც ძნელად მოიძებნებოდა, საქართველოში კი ამ მხრივ უსაშველო დეფიციტი იყო. აქ ძირითადად უსწავლელი და სამსახურისათვის ნაკლებ გამოსადეგი ადამიანები იგზავნებოდნენ, რომელთაც თავიანთ ქვეყანაში კოლეგიის ასესორის რანგამდეც ვერ მიეღწიათ.

კნორინგი თბილისში დიდხანს არ დარჩენილა. მხარის სამოქალაქო საქმეების გაძღოლა მან მთლიანად კოვალენსკის მიანდო, საქართველოში განლაგებული რუსეთის ჯარის უფროსობა ლაზარევს დააკისრა, თვითონ კი გეორგიევსკში გაემგზავრა.

დაპყრობილი ქვეყნის ახალ ხელისუფლებას იმთავითვე გაუტყდა სახელი. უცხო და ძალადობრივი რეჟიმი, რა თქმა უნდა, ქართველი ხალხისათვის მიუღებელი იყო, მაგრამ მოსახლეობის უკმაყოფილებას კიდევ უფრო ამძაფრებდა რუს მოხელეთა თვითნებობა, უსამართლობა და სრული განუკითხაობა. უზნეობის მაგალითს თავად კოვალენსკი იძლეოდა. ეს ხარბი და მექრთამე მმართველი მხოლოდ პირადი გამდიდრებისათვის ზრუნავდა, ქვეყნის გამგებლობა კი უპატრონოდ იყო მიგდებული.

კნორინგმა და კოვალენსკიმ თავი ვერ გაართვეს დაკისრებულ მოვალეობას, ვერ უზრუნველყვეს მთავრობის სასურველი წესრიგი ახლად შემოერთებულ გუბერნიაში. რუსული მმართველობით უკმაყოფილო თავადაზნაურობამ საჩივრებით აავსო საიმპერატორო კარი. გენერლებს პეტერბურგში თავიანთი თანამშრომლებიც აბეზღებდნენ. ალექსანდრე I იძულებული გახდა, კნორინგი თანაბდებობიდან გადაეყენებინა და კავკასიიდან გაეწვია.

ციციანოვი (1802-1806წ.წ.). 1802 წლის სექტემბერში კნორინგის ნაცვლად საქართველოს მთავარმართებლად პავლე ციციანოვი გამოიგზავნა. იგი წარმოშობით ქართველი იყო და ნათესავად ერგებოდა გიორგი XII-ის ქვრივს, დედოფალ მარიამს. ციციანოვის პაპა რუსეთში ჯერ კიდევ ვახტანგ VI-სთან ერთად გადასახლდა და სიცოცხლე იმპერიის სამხედრო ძლიერებას შეალია. პავლეს მამა — დიმიტრი სამოქალაქო პირი იყო და ერუდირებულ მოხელედ ითვლებოდა.

პ. ციციანოვი სამხედრო განათლებას დაეუფლა. ნიჭიერი და მიზანსწრაფული თავადი ფრანგული ენის ცოდნითაც გამოირჩეოდა. მან სახელი გაითქვა რუსეთ-თურქეთის ომში მონაწილეობით, რისთვისაც გენერალ-მაიორის წოდება მიანიჭეს. ვარშავისა და ვილნოს აჯანყებულთა წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლით ახალგაზრდა გენერალმა თვით სუვოროვიც აღაფრთოვანა, ხოლო ეკატერინე II-ისაგან ჯოლდოდ 1500 სული ყმა მიიღო სამემკვიდრეო მფლობელობაში.

1796-1797 წლებში ციციანოვი ბაქოს კომენდანტი იყო, შემდგ იგი სამსახურს ჩამოშორდა და მინსკის გუბერნიაში თავის მამულში დამკვიდრდა.

ტახტის უსაზღვროდ ერთგული გარუსებული ქართველი შემთხვევით არ შეურჩევიათ საქართველოში გამოსაგზავნად. მის „ქართველობას" რამდენადმე უნდა დაეცხრო საკუთარ მეფობას მოკლებული ქართლ-კახეთის მოსახლეობის უნდობლობა „ერთმორწმუნე მფარველისადმი". გათვალისწინებული იყო ისიც, რომ აზერბაიჯანში ნამსახური ციციანოვი სხვაზე უკეთ გაერკვეოდა კავკასიის რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში.

ფართო უფლებებით აღჭურვილ ახალ მთავარმართებელს მნიშვნელოვანი ამოცანები დაუსახეს. მას უნდა მიემხრო თავადაზნაურობა და ბოლო მოეღო აღმოსავლეთ საქართველოში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაწყებული არეულობისათვის. ციციანოვს ევალებოდა, ემოქმედა რუსთა მფარველობის გასავრცელებლად იმერეთისა და კასპიის ზღვის მიმართულებით. მთავარმართებელს კიდევ ერთი საგანგებო მისიაც გააჩნდა. ბაგრატ ბატონიშვილის სიტყვით, იმპერატორმა უბრძანა ციციანოვს, „რათა დანაშთომნი მეფის ძენი საქართველოსანი წარგზავნოს რუსეთად დედა-წულითა მათითა."

თავისი თანამედროვენი ციციანოვს ჭკვიან, განათლებულ, გამჭრიახი გონების, ხასიათის სიმტკიცითა და მჭევრმეტყველების უნარით გამორჩეულ, გაბედულ და ენერგიულ მმართველად მიიჩნევდნენ, კავკასიის ხალხებმა კი მას ულმობლობისათვის „მრისხანე თავადი შეარქვეს."

მთავარმართებელს თავისი ცოდნა და გამოცდილება ქართველი ერის საკეთილდღეოდ არ გამოუყენებია, ხოლო იმპერიის სამფლობელოები ამ მართლაც გონიერმა მოღვაწემ დიდად განავრცო სამხრეთ კავკასიაში. მან რუსეთის ქვეშევრდომად აქცია იმერეთი და სამეგრელო, იარაღით დაიმორჩილა არაერთი მაჰმადინური სახანო და უფრო მეტ წარმატებასაც მიაღწევდა, 1806 წლის თებერვალში ვერაგულად რომ არ მოეკლათ ბაქოს მისადგომებთან.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე ციციანოვმა სცადა აელაგმა რუს მოხელეთა თავაშვებულობა. იგი ულირს თანამდებობის პირებს დაუყოვნებლივ ითხოვდა სამსახურიდან, მაგრამ სახელგატეხილ ჩინოვნიკთა რიგიანი კადრებით შეცვლა ძნელად თუ ხერხდებოდა.

სახარბიელო შედეგები არ გამოუღია ციციანოვის არც იმ ღონისძიებებს, რომლებიც მან რუსული მმართველობის ქართულ წეს-ჩვეულებებთან დაახლოებისა და შეხამების მიზნით გაატარა. მოსახლეობამ მტკივნეულად აღიქვა აგრეთვე ნატურალური გადასახადის ფულადი გამოსაღებით შეცვლა და სხვ.

ციციანოვის დროს დაიწყო სამხედრო გზის გაყვანა დარიალის ხეობაში. დასრულდა ქუთაისი-სურამის 100 კილომეტრიანი გზის მშენებლობა, აღდგენილ იქნა 1795 წელს ირანელთა მიერ განადგურებული ზარაფხანა, განახლდა ერეკლესდროინდელი სტამბა, ჩატარდა თბილისის მცხოვრებთა ოფიციალური აღწერა, დაფუძნდა კეთილშობილთა სასწავლებელი, გაიხსნა პირველი აფთიაქი და კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა თბილისში თეატრის დაარსებისათვის. მაგრამ იგივე ციციანოვის სახელს ავადმოსაგო-

ნარი საქმეებიც უკავშირდება. მან სამეფო სახლის ნევრთა უმრავლესობა სამშობლოდან გადაასხალა, ჩაახშო 1804 წლის მთიანეთის აჯანყება, დაიწყო უცხოტომელთა საქართველოში ჩამოსახლება და სხვ.

აზერბაიჯანში დაღუპული ციციანოვის ნეშტი მოგვიანებით თბილისში ჩამოასვენეს და სიონის ტაძარში დაკრძალეს.

გუდოვიჩი (1806—1809 წ.წ.). ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის საგრძნობი ნაწილი ციციანოვის შემცვლელად რუსეთში მცხოვრებ ცნობილ ქართველ მხედართმთავარს, პეტრე ბაგრატიონს მოიაზრებდა, მაგრამ იმპერატორის გადაწყვეტილებით, 1086 წლის ივნისში საქართველოს მთავარმართებლად გრაფი ივანე გუდოვიჩი დაინიშნა. 70 წელს მიტანებულ გრაფს ხანგრძლივი კარიერა ჰქონდა გავლილი. მონაწილეობა მიეღო რუსეთ-თურქეთის ომებში, სხვადასხვა დროს ეკავა სამხედრო გუბერნატორის, კავკასის ხაზის უფროსის თანამდებობები და გენერალ—ანშეფის ჩინამდე მიეღწია, მაგრამ 1800 წელს სამსახურიდან გადაყენებული საკუთარ მამულში განმარტოებულიყო.

ალექსანდრე I-მა გაიხსენა ხანდაზმული გენერალი, თავისთან იხმო და საქართველოში გამოგზავნა. ამაყი, ფიცხი და პატივმოყვარე გუდოვიჩი მეტად თავდაჯერებული კაცი იყო. მიაჩნდა, რომ კავკასიის საქმეები მასზე უკეთ არავის გაეგებოდა, არადა, მხოლოდ კავკასიის ხაზზე ემსახურა და ისიც XVIII საუკუნის 90-იან წლებში. ქართველებს გენერლის სახელი მწარედ დამახსოვრებოდათ. "ეგ ის ღუდოვიჩია, რომ მეფე ერეკლეს ამთენი ტყუილი წიგნი სწერა და იმედი აძლია, რომ ბოლოს იმის მიზეზით მაჰმადხანს ვეღარც სწორედ შეება და ვეღარც შეურიგდაო" — წერდა ალექსანდრე ბატონიშვილი.

თბილისში ჩამოსული ახალი ხელისუფალი ხმამაღლა აცხადებდა, რომ იგი ციციანოვის ნაღვაწს კი არ აგრძელებს, არამედ ასწორებს მის შეცდომებს.

საქართველოს მთავარმართებლად გუდოვიჩის დანიშვნისას ცარიზმი უკვე აწარმოებდა ომს ირანთან, ხოლო 1806 წლის დამლევს რუსეთი ოსმალეთსაც დაუპირისპირდა. ორ ფრონტზე მეომარ მთავარსარდალს სამოქალაქო საქმეებისათვის დრო აღარ რჩებოდა და მას აქ არსებულ წესრიგში ბევრი არაფერი შეუცვლია. რაც შეეხება საბრძოლო მიღწევებს,— გუდოვიჩმა ხელახლა

დალაშქრა ციციანოვის მიერ დაპყრობილი მაჰმადიანური სამფლობელოები, რომელთა მმართველებად რუსული ორიენტაციის ხანები დანიშნა. მან დაიპყრო და იმპერიას შეუერთა ბაქოს სახანო, მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა ოსმალთა წინააღმდეგ არაფჩაის ბრძოლაში, რისთვისაც ფელდმარშლობა უბოძეს. მთავარმართებელმა ვერ შეძლო იმერეთის მეფის, სოლომონ მეორის ტახტიდან ჩამოგდება და რუსეთს გადასახლება. გუდოვიჩმა ფიასკო განიცადა ასევე დიპლომატიურ ასპარეზზეც. მას ირანის შაჰის ზავზე დაყოლიება ევალებოდა, რაც ვერაფრით მოახერხა. წარუმატებლობა განიცადა გუდოვიჩმა ერევნის სამხედრო ექსპედიციაშიც, რასაც რუსთა მხრიდან დიდძალი მსხვერპლი მოჰყვა. ამ მარცხის გამო ქედმაღალი ფელდმარშალი იძულებული გახდა, თანამდებობას გამომშვიდობებოდა. 1809 წლის 5 მარტის ბრძანებულებით მისი ადგილი ალექსანდრე ტორმასოვმა დაიკავა.

ტორმასოვი (1809—1811 წ.წ.). საქართველოს ახალ მთავარმართებელს იმპერიის განაპირა მხარეთა მართვის საკმაო გამოცდილება დაეგროვებინა, მას წლების განმავლობაში ჯერ კიევის, შემდეგ რიგის სამხედრო გუბერნატორად ემუშავა. ოსმალეთთან ომის აქტიურ მონაწილე ტორმასოვს თავი უფრო პოლონეთის აჯანყების ჩახშობაში გამოეჩინა და კავალერიის გენერლის სამხრეებიც გაეკრა. „კაცი ესე იყო მძვინვარე, ამპარტავან და უწყალო'' — წერდა მის შესახებ თეიმურაზ ბატონიშვილი.

ტორმასოვი დიდად ვერც თავისი ზნეობით დაიკვეხნიდა. ამ თავადაც ვერცხლისმოყვარე მთავარმართებლის ხანაში, რუსული ოფიციალური წყაროების მოწმობით, ცარიზმის მოხელეთა მექრთამეობამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. ტორმასოვს ოდნავადაც არ უყვარდა, მეტიც, — სძულდა ის ხალხი, ვის სამართავადაც გამოეგზავნათ.

მთავარმართებლის პოსტზე სამსახურის სამი წლიდან ტორმასოვმა ორი იმერეთის სამეფოს წინააღმდეგ ბრძოლას შეალია. მიზნის მისაღწევად მას ისეთი მოქმედებაც კი არ უთაკილია, როგორიც იყო იმერთა მეფის ერთგული თავადების მოსყიდვა-გადაბირებისა და სოლომონ მეორისათვის მკვლელის მიჩენის ცდები. გენერლის მორალურ სახეს მკაფიოდ წარმოაჩენს მის მიერ იმერეთის დედოფლ მარიამის მოტყუებით თბილისში ჩაყვანა და შემდეგ რუსეთში გადასახლება, ასევე ლევან იულონის-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძის ხელში ჩასაგდებად გამოყენებული დასაგმობი საშუალებები და სხვ.

ტორმასოვმა იმპერიის სამფლობელოების გაფართოება ახალციხის საფაშოს დაპყრობის ხარჯზე მოინდომა. 1810 წელს მან რუს-ქართველთა გაერთიანებული რაზმებით ალყა შემოარტყა ქალაქ ახალციხეს, მაგრამ მისი აღება ვერ მოახერხა. უშედეგო ლაშქრობით გაბოროტებულმა მთავარსარდალმა საფაშოს სოფლები ჯარისკაცებს დაარბევინა, მერე იქიდან 1500 კომლი ქრისტიანი აყარა და თან წამოიყვანა. ქრისტიანული მოსახლეობის გადმოსახლებას ტორმასოვი მათზე ზრუნვით ხსნიდა, სინამდვილეში, ამ უმგვანო ნაბიჯით იგი „ქართული მესხეთის მომავალს საფუძველს აცლიდაო" — შენიშნავდა ნიკო ბერძენიშვილი.

ტორმასოვმა დაასრულა იმერეთის სამეფოს ლიკვიდაცია, მანვე აფხაზეთი რუსეთის ქვეშევრდომობაში შეიყვანა. მთავარმართებლის უშუალო ჩარევით ბოლო მოეღო საქართველოს ეკლესიის თვითმწყემსობას და ქართული სულიერი კულტურის ეს ძვირფასი კერა სინოდის ტყვეობაში აღმოჩნდა.

1811 წელს ტორმასოვი კავკასიას გამოეთხოვა. საქართველოს მთავარმართებლობა იტალიური წარმოშობის მარკიზს, პაულუჩის მიენდო.

პაულუჩი (1811-1812წ.წ.). იტალიში ნაპოლეონის თვითნებობით უკმაყოფილო ფილიპე პაულუჩიმ 1807 წელს სამშობლო დატოვა და რუსეთს შეეხიზნა. სამხედრო სამსახურში იგი პოლკოვნიკის ჩინით მიიღეს, მაგრამ მალე გენერალ- ლეიტენანტად დააწინაურეს. 1810 წლიდან მარკიზი საქართველოში იმყოფებოდა და აქ დაბანაკებულ რუსეთის არმიაში მსახურობდა. თეიმურაზ ბატონიშვილის სიტყვით, პაულუჩი იყო „კაცი ელამი რაგვარადაც თვალითა, ეგრეთვე სულითა და მოქმედებითა", მაგრამ საქართველოს ყველა წინა მთავარმართებლისაგან განსხვავებით, მას ჰქონდა ერთი უპირატესობა, — იგი ნაზიარები არ ყოფილა რუსული ბიუროკრატიული მმართველობის სტილს და ვერც მოხელეთა მექრთამეობასა და სამხედროთა შორის ფართოდ გავრცელებულ ლოთობას ეგუებოდა. პაულუჩის მიუღებლად მიაჩნდა აგრეთვე უმაღლესი ხელისუფლების მიერ ხანების მოსყიდვით გაერთგულება და გმობდა ამ უზნეო ჩვეულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაულუჩიმ საქმეების განხილვის გაჭიანურებული და ფორმალობებით აღსავსე მოქმედი წესის ნაცვლად უპირატესობა მიანიჭა ქართული მართლმსაჯულებისათვის დამახასიათებელ სწრაფ გადაწყვეტილებათა პრაქტიკას და შეეცადა მის შემოღებას, როგორც ადმინისტრაციული მმართველობის, ისე სამოქალაქო სამართლის სფეროში.

მარკიზ პაულუჩის მთავარმართებლობის დასაწყისში საქართველოში შავი ჭირი მძვინვარებდა, რომელმაც დიდძალი ხალხი იმსხვერპლა. კარგი დღე არც გადარჩენილთ ადგა, რადგან ეპიდემიას მოუსავლიანობაც დართვოდა და მოსახლეობა დიდ განსაცდელში ჩავარდნილიყო. მთავარმართებელმა ალღო ვერ აუღო შექმნილ სიტუაციას და იგი კიდევ უფრო გაამძაფრა, როცა პურის გადასახდის აკრეფა ეგზეკუციებით დააპირა.

პაულუჩი გაუმკლავდა გამოსვლებს ყოფილ ყუბის სახანოში, მაგრამ მისთვის საბედისწერო გამოდგა კახეთის აჯანყება. მთავარსარდალმა დაუნდობლად გადაწვა არაერთი სოფელი, ჩამოხრჩობით დასაჯა ამბოხების მრავალი მონაწილე, თუმცა იძულებული გახდა, ხმალშემართულ კახელთათვის ისეთი დათმობებიც აღეთქვა, რომელთა განხორციელება მის კომპეტენციას აღემატებოდა. მეფის მთავრობამ თავისი ერთგული მხახური იმით იხსნა, რომ კავკასიის მმართველობას ჩამოაშორა და ადგილი სხვაგან გამოუძებნა.

„კახეთში მშფოთვარე სული მოისპო. მთელი საქართველო დამშვიდებულია", უპატაკებდა ალექსანდრე I-ს თბილისიდან მიმავალი გენერალი პაულუჩი, რომელიც აცხადებდა, რომ მთავარმართებლობის მოკლე დროის განმავლობაში იმპერატორის კეთილგანწყობის გარდა სხვა არაფერი შემიძენიაო.

რტიშჩევი (1812—1816 წ.წ.). 1812 წელს საქართველოში ახალი მთავარმართებელი, გენერალ-ლეიტენანტი ნიკოლოზ რტიშჩევი ჩამოვიდა. იგი არცთუ დიდი ხნის წინ კავკასიისა და ასტრახანის გუბერნატორად დაენიშნათ და ახლა ძველი თანამდებობის შენარჩუნებით საქართველო-სამხრეთ კავკასიის მთავარმართებლობაც შეეთავსებინათ. რტიშჩევი ერთი უნიათო, რიგითი გენერალი იყო, რომელსაც ეს წოდება ეკატერინე II-ის დროს მიეღო, მაგრამ თავი ვერც სამხედრო, და ვერც ადმინისტრაციულ სარბიელზე გამოეჩინა. ასეთი მმართველის ხელში ან საქართვე-

ლოს რა ხეირი უნდა დაყროდა და, მართლაც, მისი ხუთწლიანი მთავარმართებლობა უფერული და უღიმღამო გამოდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საისტორიო წყაროები რტიშჩევს განსაკუთრებით ღვთისმოყვარე პიროვნებად წარმოაჩენენ, მაგრამ იგი უღვთოდ და უმოწყალოდ გაუსწორდა აჯანყებულ კახეთს. მისი ბრძანებით რუსის ჯარმა ერთიანად აკაფა კახეთის ბაღ-ვენახები, ცეცხლს მისცა ახმეტა თუ შილდა, დაანგრია ხევსურთა 20-მდე სოფელი და სხვ. განრისხებული მთავარმართებელი აჯანყების მონაწილეებს ჩამოხრჩობით, სამუდამო კატორღითა და გაციმბირებით გაუმასპინძლდა, ხოლო ვინც ამ სასჯელს გადაურჩა, მათ დიდძალი კონტრიბუცია დააკისრა და სული ამოხადა.

რტიშჩევი გამორჩეულ ყურადღებას იჩენდა საქართველოში მცხოვრები სომხებისადმი და განსხვავებით ქართველი ხალხისაგან, დიდად აფასებდა მათ, როგორც საიმპერიო ტახტის ერთგულ და საიმედო ქვეშევრდომებს. მთავარმართებელი რტიშჩევი შეეცადა, ცრუ დაპირებებით ხელში ჩაეგდო ალექსანდრე ბატონიშვილი, მის მოსაკლავად სოლიდური თანხაც გამოყო, მაგრამ ვერას გახდა. ერთადერთი, რასაც კავკასიის ამ უმაღლესმა ხელისუფალმა მიაღწია, ირანთან გაფორმებული წარმატებული ზავი იყო. ამ დამსახურებისათვის მთავრობამ რტიშჩევი ინფანტერიის გენერლად აამაღლა.

რტიშჩევის მმართველობის პერიოდში მცირეოდენი ცვლილება განხორციელდა ქართული ეკლესიის ცხოვრებაში: თბილისში დაარსებულ იქნა საქართველო—იმერეთის სინოდალური კანტორა, გარკვეული სიახლე აღინიშნა აგრეთვე ფინანსურ სფეროში, სახელდობრ, კავკასიაში მიმოქცევაში შემოვიდა რუსული ქაღალდის ფული (ასიგნაცია).

გენერალ რტიშჩევზე დიდი გავლენა ჰქონდა მის ანგარებიან და უზნეო მეუღლეს, რამაც კიდევ უფრო გაუტეხა სახელი უგერგილო ხელისუფალს.

ერმოლოვი (1816-1827 წ.წ.). რტიშჩევის მომდევნო მთავარმართებელი გენერალი ალექსი ერმოლოვი იყო. ცნობილი გვარის, მაგრამ ხელმოკლე ოჯახიდან გამოსული ერმოლოვი ყმაწვილობიდან სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა. იბრძოდა სუვოროვისა და კუტუზოვის მხარდამხარ, გამოიწვრთნა და აღიზარდა მათ ტრადიციებზე. 1812 წლის სამამულო ომში გამოჩენილი გმირობისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მამაცობისათვის სახელოვან გენერალს მთელი რუსეთი ადიდებდა და ეთაყვანებოდა. ახალგაზრდა მხედართმთავრის პოპულარობას ხელს უწყობდა მისი ერთგვარი თავისუფლებისმოყვარეობაც, რის გამოც ერმოლოვის სახელი მოგვიანებით დეკაბრისტულ მოძრაობასთანაც კი დააკავშირეს.

ასეთი აღიარებული სარდლის გამოგზავნას კავკასიაში, რომელსაც თვით ალექსანდრე I „თბილ ციმბირს" უწოდებდა, არავინ მოელოდა. კავკასიის მმართველებად აქამდე უფრო მეორეხარისხოვანი გენერლები ინიშნებოდნენ. მომავალი სამსახურისათვის ერმოლოვს თვითონ აერჩია რუსთთათვის ჯერ კიდევ ბოლომდე შეუცნობი და დაუმორჩილებელი ეს მხარე, იმპერატორი კი მის სურვილს დაჰყოლოდა.

ერმოლოვის მთავარმართებლად დანიშვნამ კავკასია ფართო საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში მოაქცია. „ქედი მოიხარე, კავკასიავ, ერმოლოვი მოდის!" ა. პუშკინის ამ ფრაზითაც გამჟღავნდა ელიტარული რუსეთის იმპერიული ამბიცია.

„ეს ხალხი ღირსი არ არის ალექსანდრე I-ის სათნო მმართველობისა, მას რკინის კვერთხი ესაჭიროება," — განაცხადა საქართველოში ჩამოსულმა ერმოლოვმა და მთავრობას აღუთქვა, რომ სულ მალე კავკასიას უცილო მორჩილებაში მოიყვანდა.

ერმოლოვის მმართველობის წლები განსაკუთრებული სისასტიკითაა აღბეჭდილი. ახალმა მთავარსარდალმა საბოლოოდ გააუქმა შაქის, შირვანის, ყარაბაღისა და თალიშის სახანოები, რომელთა ფორმალური არსებობაც კი რუსეთისათვის სამარცხვინოდ მიაჩნდა და ეს პროვინციები უშუალოდ შეუერთა იმპერიას.

მომდევნო იერიში ჩეჩნეთზე, დაღესტანსა და ყაბარდოზე იქნა მიტანილი. კავკასიის მთიელი ხალხების დამორჩილების მიზნით ერმოლოვი ანადგურებდა დასახლებულ აულებს, დაუნდობლად *ულეტდა მშვიდობიან მცხოვრებთ, კაფავდა გაუვალ* ტყეებს, აგებდა ციხე-სიმაგრეებს და ამოწყვეტილი ან განდევნილი *მოსახლეობის ნაცვლად დაპყრობილ ადგილებში ასახლებდა* რუს კოლონისტებს.

არანაკლები მძვინვარებითა და სიძულვილით მოეკიდა იგი 1819-1820 წლებში აჯანყებულ დასავლეთ საქართველოს მკვიდრთ. ერმოლოვის ბრძანების შესაბამისად, ველიამინოვმა და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გორჩაკოვმა ააოხრეს, გადაწვეს და გადაბუგეს იმერეთის, გურიისა თუ რაჭის არაერთი სოფელი.

ერმოლოვის დროს საქართველოში ჩამოასახლეს გერმანელი კოლონისტები, დაიწყო სამხედრო სამსახურიდან გასულ რუს ჯარისკაცთა თუ ოფიცერთა პირველი კომპაქტური დასახლებების შექმნა და სხვ.

სამოქალაქო სფეროში, მიუხედავად იმისა, რომ გრძნობდა მმართველობის სრულ უვარგისობას, ერმოლოვს არაფერი გაუუმჯობესებია. მართალია, დააპირა საბატონო გადასახადების გამარტივება, თუმცა ეს პროექტი ცხოვრებაში არ გატარებულა. ერთი სიკეთე, რაც ერმოლოვის მმართველობამ საქართველოს მოუტანა, იყო შეღავათიანი ტარიფის დაწესება ევროპული საქონლით ვაჭრობაზე 1822 წლიდან. ამ ღონისძიებამ ბიძგი მისცა აღებ-მიცემობის განვითარებას და ჩვენი ქვეყანა მსოფლიო ფართო საქონელბრუნვაში ჩააბა.

ერმოლოვის უცერემონიო და გამომწვევი დამოკიდებულება ირანის შაჰის მემკვიდრის — აბას-მირზას მიმართ, რუსეთ-ირანის ახალი ომის გაჩაღების საბაბად იქცა. კავკასიის მთავარსარდალმა ვერაფერი მოუხერხა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შეჭრილ მტრის ჯარებს და მხოლოდ თავდაცვითი მოქმედებებით კმაყოფილდებოდა. ახალმა იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა, რომელიც ისედაც არ წყალობდა ერმოლოვს, აღნიშნულ გარემოებათა გამო მისი შეცვლა გადაწყვიტა და საქართველოს მთავარმართებლად თავისი ფავორიტი გენერალი ივანე პასკევიჩი მოავლინა.

პასკევიჩი (1827—1831 წ.წ.). ნაპოლეონის წინააღმდეგ წარმოებული ყველა ბრძოლის აქტიური მონაწილე გრაფი პასკევიჩი საქართველოში ჩამოსვლამდე გენერალ-ადიუტანტის ჩინით ქვეითთა კორპუსის მეთაური იყო. ნიკოლოზ I-მა მას ჯერ დეკაბრისტთა სამსჯავრო პროცესზე უმაღლესი სასამართლოს წევრობა მიანდო, ხოლო შემდეგ კავკასიის მართვა-გამგეობა ჩააბარა.

ბუნებით ეჭვიანმა და პატივმოყვარე მთავარმართებელმა ახალი სამსახური ერმოლოვის საპირისპირო მოქმედებით დაიწყო. მან ძველ ადგილებზე დააბრუნა წინა ხელისუფლის მიერ დათხოვნილი ბევრი საეჭვო მოხელე თუ სამხედრო მეთაური და არაერთი მედროვე პიროვნება მეტისმეტად აღაზევა. პასკევიჩი ხელქვეითებისაგან უსიტყვო მორჩილებას მოითხოვდა, ვერ იტანდა საკუთარი

აზრის მქონე, ინიციატივიან და გაბედულ ადმიანებს. მან სამხედ-
რო სამსახურს ჩამოაშორა გიორგი ერისთავი და ალექსანდრე
ჭავჭავაძე, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქართველი გენერლების
საზრიანმა და მამაცურმა მოქმედებამ დიდწილად გადაწყვიტა
ირან-თურქეთთან მიმდინარე ომების ბედი. როგორც ერთ, ისე
მეორე ომში წარმატება თვითონ პასკევიჩს დიდად დაუფასდა.
ერევნის ციხის აღებისათვის მას „ერევნელის'' ტიტული, ხოლო
ოსმალეთზე გამარჯვებისათვის ფელდმარშლის წოდება მიანიჭეს.

პასკევიჩი ვერ გაერკვა ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა
დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ხასიათში და მოინდომა მთელი
ამ მხარის ერთი დარტყმით, ერთბაშად დამორჩილება, რაც
შეუძლებელი აღმოჩნდა. მთავარსარდალი იძულებული გახდა,
ცალკეული ექსპედიციებით დაკმაყოფილებულიყო და ასე
გასწორებოდა აჯანყებულ ჭარ-ბელაქნელებს, ოსეთის, დაღეს-
ტნის და ჩეჩნეთის თავისუფლებისათვის მებრძოლ მოსახლეობას.
მთავარმართებელი სამოქალაქო საქმეებით ხანგამოშვებით
ინტერესდებოდა. მის დროს გაუქმდა გურიის სამთავროს ავტონო-
მია, მოსახლეობა განთავისუფლდა ისეთი გადასახადებისაგან,
როგორიც იყო სურსათისა და ფურაჟის რუსის ჯარისათვის
აუცილებელი მიყიდვა, რაც მოხელეთა მხრიდან გაუთავებელ
ბოროტმოქმედებას უკავშირდებოდა და სხვ.

პასკევიჩმა დაიწუნა ერმოლოვის სამოქალაქო მმართველობის
სისტემა და პეტერბურგიდან საგანგებოდ მოწვეულ რევიზორებ-
თან ერთად მისი ძირფესვიანად გარდაქმნის პროექტი შეიმუშავა.
ესწრაფოდა, მთლიანად აღმოეფხვრა მმართველობისა თუ
მართლმსაჯულების ის ადგილობრივი თავისებურებანი, რაც
მხარეში რუსთა ბატონობის ადრინდელ ეტაპზე იყო შენარჩუნე-
ბული. ხსენებული პროექტი მთელ რიგ საკითხებში მთავრმართე-
ბლისათვის მეფისნაცვლის უფლებების მინიჭებასაც ითვალისწი-
ნებდა. იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა ეს გეგმა მოიწონა, მაგრამ მისი
რეალიზება პასკევიჩს აღარ მოუწია. 1831 წელს იგი კავკასიიდან
გაიწვიეს და დიდძალი ჯარით ვარშავაში დაწყებული აჯანყების
ჩასახშობად გაგზავნეს.

მართალია, კავკასიაში მეფისნაცვლობას ვერ ელირსა, მაგრამ
ამბოხებულ პოლონელ პატრიოტთა „დაწყნარების" შემდეგ

პასკევიჩი „ბრწყინვალე ვარშაველი თავადის“ ტიტულით ჯილდოვა-
თის მეფისნაცვლის თანამდებობაზე დაინიშნა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როზენი (1831—1837წ.წ.). გრაფი პასკევიჩის მსგავსად ბარონი როზენიც 1831 წელს აჯანყებული პოლონეთის წინააღმდეგ იბრძოდა, მაგრამ გრაფისაგან განსხვავებით, ბარონმა თავი ვერაფრით გამოიჩინა. მისი სარდლობით მოქმედი ლიტვის კორპუსი თითქმის დაიშალა, რადგან ჯარისკაცთა ნაწილი დაიღუპა, ნაწილი კი ამბოხებულთა მხარეზე გადავიდა. მიუხედავად ამისა, ინფანტერიის გენერალი გრიგოლ როზენი არ დაუსჯიათ, — მეტიც, მას უფრო დიდი ნდობა გამოუცხადეს და კავკასიის უმაღლესი ხელისუფლება ჩააბარეს. მთავარმართებელი ურიგო გენერალი როდი იყო. იგი უნარიანად მეთაურობდა საფრანგეთთან დაპირისპირებული რუსეთის ამა თუ იმ საჯარისო შენაერთს აუსტერლიცის ბრძოლიდან დაწყებული 1812 წლის სამამულო ომის ჩათვლით. ერთ-ერთი შეტაკებისას თავში კონტუზიაც კი მიიღო, მაგრამ ბრძოლის ველი არ მიუტოვებია და სამხედრო მამაცობისათვის მრავალ ჯილდოსაც ფლობდა.

როზენი სრულიად არ იცნობდა იმ მხარეს, რომლის მმართველობაც დაეკისრა. მას ეგონა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის სახით საქმე ჰქონდა უაღრესად ჩამორჩენილ, კულტურას მოკლებულ ხალხთან, რომლისთვისაც თითქოს მიუწვდომელი იყო თავისუფალი აზროვნება და თვით ამ ცნების არსიც. მთავარმართებელი სრულიად საპირისპირო სურათის მოწმე გახდა: 1832 წლის შეთქმულებამ საქვეყნოდ აჩვენა, რომ ქართველებს თავისუფალი აზროვნების მნიშვნელობაც ჩინებულად ესმოდათ და მისთვის თავის გამეტებაც უშურველად შეეძლოთ.

1832 წლის პოლიტიკური აქტი როზენის მმართველობაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო საქართველოში. შეთქმულთა ჭეშმარიტი მიზანდასახულობის წარმოჩენა საიმპერიო ხელისუფლების თვალში მთავარმართებლის რეპუტაციასაც შელახავდა, რის გამოც როზენმა დაფარა გამოსვლის რეალური ბუნება: შეთქმულნი მკაცრ სასჯელს გადაურჩნენ, მთავარმართებელი — მოხსნას.

იმავე წელს როზენმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია დაღესტანში, მან შეძლო გასწორებოდა აჯანყებულ მთიელებს. მიურიდიზმის ბელადი ყაზი-მოლა ბრძოლაში დაიღუპა, ხოლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომავალი იმამი შამილი მხარში დაიჭრა. როზენმა გარკვეული პრინციპულობა გამოიჩინა, როცა ნინ აღუდგა კავკასიაში საიდუმლო სამხედრო პოლიციის შექმნას. მანვე უკუაგდო იმპერატორის მიერ გამოგზავნილი სენატორების პროექტიც, რომელიც მხარის სამოქალაქო გამგებლობის რუსულ საგუბერნიო მმართველობასთან სრულ ნიველირებას ითვალისწინებდა. როზენი არწმუნებდა მთავრობას, რომ სამხრეთ კავკასიაში მმართველობის ამგვარი მკვეთრი ცვლილება კი არა, მხოლოდ გამარტივება და გაუმჯობესება იყო საჭირო.

ხელისუფლების ზედა ეშელონებთან დაპირისპირება როზენს ძვირად დაუჯდა. მოწინააღმდეგე ძალებმა საიმპერიო კარი მისადმი უნდობლად განაწყვეს. 1837 წლის შემოდგომაზე საქართველოში ჩამოსული ნიკოლოზ I აქაური მმართველობით უკმაყოფილო დარჩა. მალე როზენი მთავარმართებლობიდან გაანთავისუფლეს და მის ნაცვლად გენერალ-ადიუტანტი ევგენი გოლოვინი დანიშნეს.

ბარონი პირველი უმაღლესი რუსი ხელისუფალი იყო კავკასიაში, რომელიც არა მხოლოდ დაუახლოვდა ქართულ არისტოკრატიას, არამედ დაუმოყვრდა კიდეც. როზენის ქალიშვილი ცოლად ჰყავდა სამეგრელოს სამთავრო სახლის წარმომადგენელს, ფლიგელ-ადიუტანტ გ. დადიანს.

გოლოვინი (1837—1842წ.წ.) ახალი მთავარმართებელი ერთი რიგითი, უინიციატივო გენერალი იყო, რომელსაც მრავალი ომი გამოევლო, მაგრამ განსაკუთრებული სახელი ვერსად მოეხვეჭა. მისტიკის მიმდევარი გოლოვინი დიდად ვერც თავისი ადმინისტრაციული მოღვაწეობით დაიკვეხნიდა, თუმცა მაღალ თანამდებობაზე — ვარშავის გენერალ-გუბერნატორად ემუშავნა. მისი თანამედროვე რუსი მოხელე იგონებდა: როცა გოლოვინს კავკასიაში გზავნიდნენ, შინაგან საქმეთა მინისტრს მეფისთვის მოუხსენებია: „ამ კაცმა მთელი გენერალ-გუბერნატორობა ძილში გაატარაო". ნიკოლოზ I-ს უპასუხნია: „მით უკეთესი, კარგი გამოძინებული იქნება და აღარ ჩასთვლემსო". რუსთხელმწიფის კეთილგანწყობა გოლოვინმა ნიკოლოზის ტახტზე ასვლისას მისადმი გამოჩენილი ერთგულებით დაიმსახურა. ამასთან, გენერალი იმ სტილის განუხრელი მიმდევარიც იყო, რომელიც ახალმა იმპერატორმა რუსეთში დანერგა და ყაზარმულ მორჩილებას, როზგის დისციპლი-

ნას, ყოველგვარ ფორმალობათა სიზუსტით დაცვასა თუ ბრძანებათა უსიტყვოდ შესრულებას ითვალისწინებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოლოვინი სენატორ განთან ერთად ითვლება იმ კანონ-პროექტის შემოქმედად, რომლის კავკასიაში განხორციელებას დიდხანს ეწინააღმდეგებოდა ბარონი როზენი და, რომელიც 1840 წლის აპრილში უმაღლესად იქნა დამტკიცებული. მმართველობის ამ რეფორმის თანახმად, შეიცვალა მხარის ადმინისტრაციული დანაწილება. სამხრეთ კავკასია საქართველო-იმერეთის გუბერ-ნიად და კასპიის ოლქად დაიყო. საკუთრივ საქართველოს ტერიტორიაზე შვიდი მაზრა ჩამოყალიბდა. კერძოდ თბილისის, გორის, თელავის, გურჯაანის, ქუთაისის, გურიისა და ახალციხის. სამოქალაქო სამართლიდან მთლიანად განიდევნა ადგილობრივი კანონები თუ ადათ-წესები, მკვიდრ ეროვნებათა წარმომადგენ-ლებს გზა დაეხშოთ მართვა-გამგებლობის ორგანოებში. გამეფდა არნახული ბიუროკრატიზმი და მეტი გასაქანი მიეცა მოხელეთა ბოროტმოქმედებას.

რეფორმა კოლონიურ ხასიათს ატარებდა. იგი გამიზნული იყო მხარის ეკონომიკური და პოლიტიკური დამორჩილების, მისი სწრაფი გარუსებისა და იმპერიასთან საბოლოო შერწყმისათვის. რეფორმის დებულებები გოლოვინმა გასაოცარი სისწრაფით გაატარა პრაქტიკაში და იმპერატორს უპატაკა: მოსახლეობა მორჩილებით ასრულებს ყველა მოთხოვნას. ქვეყანაში სრული მშვიდობა და სიწყნარე სუფევს, ახალი წყობილება ხალხის მისწრაფებასაც შეესატყვისება და სარგებლიანობაც უზრუნველ-ყოფილიაო. ეს წარმტაცად დახატული სურათი მოჩვენებითი და ყალბი იყო. სინამდვილეში რეფორმირებული სისტემა აქაურ მცხოვრებთათვის კიდევ უფრო მძიმე და მიუღებელი აღმოჩნდა. მისი ცხოვრებაში დანერგვა გურიის აჯანყების უშუალო საბაბად იქცა 1841 წელს. უკმაყოფილებამ მოიცვა სომხეთი, მღელვარება შეიმჩნეოდა აზერბაიჯანშიც. გოლოვინი ვერ გაერკვა სამხრეთ კავკასიის მაჰმადიანური მოსახლეობის ზედა ფენის ტრადიციულ უფლებებში და მემკვიდრეობითი მფლობელი პრივილეგირებული წოდების უკიდურესად შეზღუდვით მრავალრიცხოვანი ბეგები, აღალარები თუ სხვა რუსეთის ხელისუფლებას აუმხედრა.

ეპიზოდური იყო გოლოვინის წარმატება ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთშიც, სადაც განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელადის, შამილის წინამძღოლობით რუსეთის ძალმომრეობის წინააღმდეგ არამარტო ჩეჩნეთი, დაღესტანი და ყაბარდოც ირაზმებოდნენ. თავიანთი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში კავკასიის მთიელ ხალხებს რელიგიური მოძღვრება — მიურიდიზმი აერთიანებდა, რომელიც რუსეთისათვის გამოცხადებულ საღვთო ომთან — ღაზავათთან ერთად რეაქციას წარმოადგენდა თვითმპყრობელობის სასტიკ და ულმობელ პოლიტიკაზე ამ რეგიონში.

მეფის მთავრობას დიდად გაუძნელდა მიურიდებთან ბრძოლა. გოლოვინმა ვერ შეძლო ჩეჩნეთის აჯანყების ჩახშობა. 1842 წლის ზაფხულში რუსეთის მრავალათასიანმა საექსპედიციო კორპუსმა შამილთან შეტაკებაში სრული მარცხი განიცადა. იმპერიის გეგმებს კავკასიაში რეალური საფრთხე დაემუქრა. გოლოვინი თანამდებობას ჩამოაშორეს და რუსეთში გაიწვიეს. ამ უხეირო მთავარმართებლის გვარი საქართველოს ისტორიას არც შემორჩებოდა, მისი სახელი თბილისის მთავარი ქუჩის — დღევანდელი რუსთაველის პროსპექტისათვის რომ არ ეწოდებინათ.

ნეიდჰარტი (1842—1844 წ.წ.). საქართველოს მთავარმართებლის პოსტზე კიდევ უფრო უფერული აღმოჩნდა გოლოვინის მემკვიდრე, ინფანტერიის გენერალი ალექსანდრე ნეიდჰარტი. ამ თანამდებობისათვის ისიც ისეთივე შემთხვევითი პირი იყო, როგორც არაერთი მისი წინამორბედი. ნეიდჰარტს არც საბრძოლო გამოცდილება აკლდა და არც საშტაბო სამსახურის სტაჟი; მისთვის ჯილდოც მრავალჯერ ებოძებინათ, მაგრამ წარჩინებულ გენერალს ადმინისტრაციული საქმეებისა ბევრი არაფერი გაეგებოდა.

ნეიდჰარტმა კავკასიის უმაღლეს ხელისუფლად ორი წელი დაჰყო, თუმცა ამ ხნის განმავლობაში ვერც სამხედრო და ვერც სამოქალაქო სფეროში მდგომარეობის გამოსწორება ვერ შეძლო. რეგიონში გატარებული ადმინისტრაციული რეფორმის მანკიერებანი კიდევ უფრო თვალნათლივ გამოიკვეთა. მოსახლეობის ყველა ფენა დრტვინავდა და უკმაყოფილებას გამოთქვამდა. ცხადი გახდა, რომ რუსული საგუბერნიო მმართველობის მექანიკური გადმოღება უცხო მხარეში სასურველ შედეგს ვერ მოიტანდა. მთავრობას სხვა გზა აღარ დარჩა, იგი გარკვეულ დათმობებზე წავიდა და რეფორმაში ზოგიერთი ცვლილება შეიტანა. მთავარმართებელიც თავაშვებულ მოხელეებს უფრო მკაცრად მიუდგა. მას ჩვევად ჰქონდა, სახელმწიფო დაწესებულებებს წინასწარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუფრთხილებლად, მუოლოდნელად სწვეოდა და საქმის ფიცარ-ბას ადგილზე გასცნობოდა. ნეიდჰარტი შემჩნეულ დარღვევებზეც სათანადოდ რეაგირებდა, მაგრამ უკეთური სისტემის გაჯანსაღე-ბა მას არ შეეძლო.

კიდევ უფრო ცუდად იყო საქმე ჩრდილოეთ კავკასიაში. პატერბურგში შედგენილი და დამტკიცებული სამხედრო ექსპედი-ციების გეგმები არაადეკვატური იყო. თავდაცვითი ბრძოლის ტაქტიკა, რომელსაც რუსები მიმართავდნენ, წყალს უფრო შამილის წისქვილზე ასხამდა. იმპერიის საჯარისო შენაერთები მარცხს მარცხზე განიცდიდნენ. მიურიდები ხელთ იგდებდნენ რუსთა არტილერიას, საბრძოლო იარაღისა და ტყვია-წამლის მარაგს. 1843 წლის სექტემბერში ჩეჩნეთსა და დაღესტანში კიდევ ერთმა ამბოხებამ იფეთქა. აჯანყებულები ადრე რუსთაგან დაპყრობილ რამდენიმე დასახლებულ პუნქტს დაეუფლნენ. წარმატებამ თავისუფლებისათვის შემართულ მთიელთა დარაზმულობა განამტკიცა.

ნეიდჰარტმა სცადა რუსთა მხარეზე გადმოებირებინა შამილის ერთგული ნაიბები, მათ შორის სახელგანთქმული ჰაჯი მურატიც, მაგრამ ვერას გახდა. ამ მიმართებით დიდად გაისარჯა ავარიის ხანად დანიშნული პოეტი გრიგოლ ორბელიანიც, თუმცა უშედე-გოდ.

მთავარმართებელს რუსეთიდან დამატებით ნაწილები მოაშვე-ლეს და გადამწყვეტ მოქმედებაზე გადასვლა მოსთხოვეს. საგ-რძნობლად გაძლიერებული კავკასიის კორპუსი ბევრად აღემა-ტებოდა მთიელთა მებრძოლ ძალას. წუნი არც რუსთა შეიარაღებას დაედებოდა, მაგრამ ამ უპირატესობის ეფექტური გამოყენება ვერ მოხერხდა. შამილის მეომრების სიმამაცე და შეუპოვრობა რუსეთის სამხედრო პრესტიჟს საფუძველს ურყევდა. ნეიდჰარტმა გადადგომა ითხოვა და კავკასიას დამარცხებული გაეცალა.

ვორონცოვი (1844—1854 წ.წ.). საიმპერიო ხელისუფლებისათვის ნთელი გახდა, რომ კავკასიის მართვა-გამგებლობა არსებით კორექციას საჭიროებდა. ამასთან, მმართველის თანამდებობაზეც უფრო შესაფერისი პიროვნება უნდა შერჩეულიყო. ნიკოლოზ 1-ის ბრძანებულებით, 1844 წლის ბოლოს კავკასიას სტატუსი შეეცვალა და იგი სამეფისნაცვლოდ გარდაიქმნა. ასეთი ადმინისტრაციული

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკური ერთეულები იმპერიაში სხვაც არსებობდა, კერძოდ ფინეთსა და პოლონეთში.

კავკასიის მეფისნაცვლად მთელს რუსეთში ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, ძირძველი გვარის წარმომადგენელი მიხეილ ვორონცოვი დაინიშნა. მამის წყალობით, რომელიც დიდხანს მოღვაწეობდა დპლომატიურ სარბიელზე და ცხოვრება ძირითადად უცხოეთში გაატარა, მიხეილმა საფუძვლიანი ევროპული განათლება შეიძინა, თუმცა კარიერა სამხედრო სფეროში დაიწყო. 1823 წლიდან ვორონცოვი ნოვოროსიისა და ბესარაბიის გუბერნიებს ხელმძღვანელობდა. მისი მმართველობა ამ მხარეს სასიკეთოდ დაეტყო. ვორონცოვის სახელთანაა დაკავშირებული ოდესისა და ყირიმის აღორძინება.

1845 წლის გაზაფხულზე ახლად დანიშნული მეფისნაცვალი თბილისში ჩამოვიდა. ვორონცოვისათვის საქართველო უცხო არ ყოფილა, მისი საბრძოლო ნათლობა სწორედ აქ შედგა ჯერ კიდევ ციციანოვის დროს. მაგრამ თუ სამხრეთ კავკასიაში პირველად სამსახურისას ვორონცოვი ჩვეულებრივი, რიგითი ოფიცერი იყო და სიკვდილსაც ძლივს გადაურჩა ზაქათალის ოლქში ლეკებთან შეტაკებისას, ახლა, ოთხი ათეული წლის შემდეგ, სამხედრო და სამოქალაქო ასპარეზზე სახელმოხვეჭილი გენერალ-ფელდმარშალი ამ მხარეს უმაღლესი ხელისუფლის რანგში მოევლინა.

მეფისნაცვალი უფლებრივად მინისტრთან იყო გათანაბრებული. ამიერიდან მხარის როგორც კანონმდებლობითი ისე ადმინისტრაციული საქმეები სახელმწიფო საბჭოში კი აღარ განიხილებოდა, არამედ პეტერბურგში არსებულ კავკასიის კომიტეტს ანდა უშუალოდ იმპერატორს წარედგინებოდა.

საქართველოში ჩამოსულმა ვორონცოვმა უპირველს მიზნად ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის შელახული პრესტიჟის აღდგენა დაისახა და უკვე 1845 წლის აპრილში პირადად წარუძღვა ჯარს შამილის წინააღმდეგ. მეფისნაცვალმა დიდი მსხვერპლის ფასად, მაგრამ მაინც შეძლო მთიელთა ბელადის ადგილსამყოფელში, სოფელ დარგოში შეჭრა. არანაკლებ ძნელი გამოდგა მიუვალი მთებიდან და გადაბუგული აულებიდან გამოღწევა, რაც ვორონცოვმა მაღალი ოსტატობით განახორციელა. მიუხედავად იმისა, რომ მთიელთა წინააღმდეგობა ბოლომდე გატეხილი არ ყოფილა და შამილმა მხოლოდ უკან დაიხია, დარგოს ექსპედიციამ ვორონ-

მ.ვორონცოვის
ძეგლი თბილისში

ცოვს დიდების შარავანდედი შესძინა. მისი სახელი ფართოდ მოეფინა რუსული და ევროპული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებს. განსაკუთრებული დამსახურებისათვის იმპერატორმა ვორონცოვს თავადის წოდება უბოძა.

ვორონცოვმა შეცვალა ჩრდილოეთ კავკასიელ მთიელებთან ბრძოლის ტაქტიკა. მან უპირატესობა ტყეების გაჩეხვისა და დაკავებული პუნქტების საბოლოო შენარჩუნების ერმოლოვისეულ მეთოდს მიანიჭა. რუსებმა საგრძნობლად შეავიწროვეს შამილი, რომელიც მხოლოდ მთიან დაღესტანსა და ავარიასღა ფლობდა და რომ არა ყირიმის ომის დაწყება, მისი დამორჩილება გარდაუვალი იყო.

ადგილობრივ მკვიდრთა გარუსებისა და იმპერიასთან სამუდამოდ შერწყმის მიზნით, კავკასიის ხელისუფალნი, როგორც წესი, სამხედრო ძალასა და უხეშ ადმინისტრირებას მიმართავდნენ. მათგან განსხვავებით, ვორონცოვმა მართვის სადავეები ოდნავ მოუშვა, ტლანქ ძალმომრეობას ცივილიზებული მეთოდები, ალერსისა და დაყვავების კურსი შეუნაცვლა და მოქნილი პოლიტიკით ქვეყნის კოლონიზაციის პროცესი შესამჩნევად დააჩქარა.

ვორონცოვმა პირადად მოინახულა მთელი მხარე და გაეცნო მის ყველა კუთხეს, რაც არ გაუკეთებია არც ერთ წინამორბედ მმართველს. რუსი ოფიციალური ისტორიკოსი პოტტო მიუთითებდა: ვორონცოვი ისე მართავდა კავკასიას, თითქოს ეს მისი მშობლიური ქვეყანა ყოფილიყოს, ცდილობდა რომ ადგილობრივ მოსახლეობას რუსეთი დედინაცვლის მაგიერ დედად ეცნოო.

ვორონცოვის ინიციატივით გამოსწორდა გოლოვინის მიერ დაშვებული შეცდომა და მაჰმადიანურ არისტოკრატიას ჩამორთმეული მიწები საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებით დაუბრუნდა. მეფისნაცვალმა მოაწესრიგა ქართველი თავადაზნაურობის წოდებაში დამტკიცების უსაშველოდ გაჭიანურებული

საქმე, რის შედეგად 30 ათასამდე თავადაზნაურს თავისი სოციალური სტატუსი დაუკანონდა. დასავლეთ საქართველოს პრივილეგირებული ფენისათვის ქუთაისში დაარსდა ისეთივე სათავადაზნაურო საკრებულო, როგორიც თბილისში ჯერ კიდევ 1803 წლიდან მოქმედებდა. მემამულეთა ინტერესების შესაბამისად გადაწყდა ბატონისა და ყმის ურთიერდამოკიდებულების არაერთი საკითხი და სხვ.

დიდი ძალისხმევა მოახმარა ვორონცოვმა საქართველოში აღებ-მიცემობის განვითარებას. რამდენადმე შეიზღუდა კონტრაბანდული საქონლის შემოტანა, გაფართოვდა ტრანზიტი, შემცირდა საბაჟო გადასახადი და გაუმჯობესდა სავაჭრო-სამიმოსვლო გზები. ფერი იცვალა თბილისმაც. წამოიმართა ორ და სამსართულიანი საცხოვრებელი სახლები, სხვა ნაგებობანი. მტკვარზე აგებულ იქნა კაპიტალური ხიდი, ხოლო მდინარის მარცხენა სანაპიროზე გაშენდა ახალი უბნები. განსაკუთრებით მომრავლდა კულტურული და საგანმანათლებლო დაწესებულებანი, რომელთა მიმართ მეფისნაცვალი გამორჩეულ ყურადღებას იჩენდა.

თავისებური ურთიერთობა დაამყარა ვორონცოვმა საქართველოს მოსახლეობის უმაღლეს ფენასთან. მეფისნაცვალი ყველაფერს აკეთებდა, რომ დაეახლოვებინა ადგილობრივი წარჩინებული წოდების წარმომადგენლები, ფართოდ ჩაება ისინი სამოქალაქო და სამხედრო სამსახურში, გზა მიეცა მათთვის საზოგადოებრივ სარბიელზე, ათეულობით ახალგაზრდას სახელმწიფო ხარჯზე გზავნიდა იმპერიის საუნივერსიტეტო ქალაქებში უმაღლესი განათლების მისაღებად და სხვ.

ვორონცოვი ხშირად სტუმრობდა მარიამ ერისთავისა და მანანა ორბელიანის საოჯახო სალონებს, არისტოკრატიულ საზოგადოებას სისტემატურად იწვევდა თავისი მეუღლის მიერ მოწყობილ ბალებსა და მასკარადებზე. ელიტურ წრეებთან სიახლოვე მეფისნაცვალს საშუალებას აძლევდა, მუდმივად სცოდნოდა ქართველი თავადაზნაურობის განწყობილება, მათი ეროვნული და პოლიტიკური მისწრაფებანი.

თავად ქართველი საზოგადოების დამოკიდებულება ვორონცოვისადმი არაერთგვაროვანი იყო. თავადაზნაურობის ნაწილი, რომელიც მეფისნაცვალმა გაიერთგულა, ვორონცოვში საქართველოს კეთილისმყოფელ და მწყალობელ ხელისუფალს ხედავდა.

სხვა, ვინც ადრევე აუღო ალღო მეფისნაცვლის ცბიერებას, მის მმართველობას „ვორონცოვისაგან ქართველების მოსატყუებულ დროდ“ აღიქვამდა (ალექსანდრე ორბელიანი).

როგორც არ უნდა იყოს, ვორონცოვის თაოსნობითა და უშუალო მონაწილეობით განხორციელებული კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებანი — ეროვნული თეატრის განახლება, საჯარო ბიბლიოთეკის, გიმნაზიების, სკოლების დაარსება, ყოველთვიური ქართული ჟურნალის გამოცემა და სხვ. მეფისნაცვლის სუბიექტური მიზანდასახულობის მიუხედავად, ობიექტურად ქართველ საზოგადოებაში პატრიოტული სულისკვეთების გაღრმავებისა და ეროვნული თვითშეგნების განმტკიცების წინაპირობებს ქმნიდა. იმავდროულად, ვორონცოვის კოლონიური პოლიტიკა ადუნებდა ქართველი ხალხის პოლიტიკურ სიფხიზლეს, ხელს უწყობდა მისი ეროვნული ცნობიერების გახლეჩას და მკვიდრი მოსახლეობის გადაგვარების რეალურ საფრთხეს შეიცავდა.

საზოგადოებრივი ცხოვრების წარმმართველი ძალის წინდახედულობაზე, მის სოციალურ ალღოსა და უნარზე იყო დამოკიდებული, ისარგებლებდა იგი შექმნილი შესაძლებლობით თუ მზაკვრულ მახეში გაბმული, თავადვე გადაიქცეოდა დამპყრობლის ინტერესების მსახურად.

შორსმჭვრეტელობას მოკლებული ქართული საზოგადოების ელიტა — თავადაზნაურობა ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე. იგი უფრო დაჰყვა ვორონცოვის ნებას, ვიდრე გამოიყენა ერთგვარი ხელსაყრელი შანსი. ამიტომაც უწოდებდა ილია ჭავჭავაძე XIX საუკუნის 40-50-იანი წლების ქართულ სინამდვილეს „მიძინების, ჩვენი გონებრივი და ეროვნული მიმძინარების, მოქანცულობის დროს,“ როცა „სულით ობოლ და სასომიხდილ ერს მხოლოდ ხორციელის ცხოვრების ნატვრა ჰქონდა, მხოლოდ იმაზე ფიქრობდა''.

ვორონცოვმა კავკასიის უმაღლეს ხელისუფლად ათი წელი დაჰყო. ამ ხნის განმავლობაში გრძელდებოდა ქვეყნის დემოგრაფიული ექსპანსია, საქართველოში ჩამოასახლეს 10 ათას სულზე მეტი რუსი სექტანტი, მათ შორის მალაკნები, დუხაბორები, სკოპცები და სხვ.

1854 წლის მიწურულს ხანდაზმული ვორონცოვი თანამდებობიდან გადაგდა და კავკასიიდან გაემგზავრა. გარდაცვალების

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემდეგ პირველ მეფისნაცვალს თბილისში მონუმენტური ძეგლი დაუდგეს.

მურავიოვი (1854—1856წ.წ.). ვორონცოვის შემდგომი კავკასიის მეფისნაცვალი ინფანტერიის გენერალი ნიკოლოზ მურავიოვი იყო. დეკაბრისტ ალექსანდრე მურავიოვის ძმა ახალგაზრდობაში თვითონაც ლიბერალური იდეებით ყოფილა გატაცებული. ღრმად განათლებული და ჭკვიანი გენერალი სამეცნიერო მუშაობისადმი მიდრეკილებასაც ამჟღავნებდა. ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლებიდან მოყოლებული, მურავიოვს XIX საუკუნის პირველი ნახევრის რუსეთის ყველა ომში ჰქონდა მონაწილეობა მიღებული. მისი სამხედრო ბიოგრაფიის გამორჩეული ფურცელი ოსმალურ ციხესიმაგრე ყარსს უკავშირდება. მურავიოვმა ორჯერ აიღო ეს მიუვალი და გამაგრებული პუნქტი: პირველად 1828—1829 წლების შეტაკების ჟამს თურქებთან და მეორედ ყირიმის ომის მსვლელობისას 1855 წელს. ამ უკანასკნელი წარმატებისათვის უკვე კავკასიის მეფისნაცვალს „ყარსელის'' ტიტული მიანიჭეს. მანამდე კი გენერლის კარიერაში იყო მტკივნეული პერიოდიც. რუსეთის არმიაში არსებული მდგომარეობის კრიტიკული შეფასებისა და მისი გამოსწორების თამამი იდეის გამო, რომელიც მურავიოვმა იმპერატორს წერილობით წარუდგინა, იგი აითვალწუნეს და მთელი 12 წლით სამხედრო სამსახურსაც ჩამოაშორეს.

1848 წელს ნიკოლოზ I-მა მურავიოვი არმიაში დააბრუნა, 1854 წელს კი კავკასიის უმაღლესი ხელისუფლებაც ჩააბარა. ხელმწიფის ამ გადაწყვეტილებას ვორონცოვი ბედნიერ არჩევანს უწოდებდა, თვითონ მურავიოვი კი წინამორბედი მეფისნაცვლის მიმართ მტრულად იყო განწყობილი (თვლიდა, რომ თავის უსამართლო შერისხვაში ვორონცოვის ხელიც ერია) და მთელ მის ნაღვაწს კავკასიაში ალმაცერად უყურებდა.

პრინციპულ და შეუდრეკელი ნებისყოფის მურავიოვს პატარა ადამიანისათვის დამახასიათებელი ნიშანთვისებებიც ახასიათებდა, კერძოდ: ეჭვიანობა, უნდობლობა, შარიანობა და სხვ. მეფისნაცვლის ამგვარი ხასიათის გამო არაერთმა სამხედრო თუ სამოქალაქო მოხელემ დატოვა სამსახური და კავკასიას გაეცალა.

ასკეტური ცხოვრების მოყვარული მურავიოვი უბრალოებაში სუვოროვს ბაძავდა. იყო მკაცრი, უკმეხი და პირში მთქმელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითონაც მეტისმეტად პედანტი, ხელქვეითებსაც დაუფიქრებლად ზედმიწევნით შესრულებას სთხოვდა.

საქართველოს და კავკასიას მურავიოვი ჯერ კიდევ ერმოლოვის დროს გაეცნო, აქ დისლოცირებული რუსეთის არმიის რიგებშიც ხანგრძლივად იმსახურა, მაგრამ ქართველ ხალხზე მაინც ზერელე წარმოდგენისა დარჩა. არც საქართველოს შემორჩა კეთილმოსაგონრად მისი მეფისნაცვლობა. მურავიოვს სრულიად უსარგებლო საქმედ მიაჩნდა ზრუნვა სულიერ კულტურაზე და შემთხვევითი არ იყო, რომ მის დროს დაუფინანსებლობის გამო ალარ გამოდიოდა ჟურნალი "ცისკარი,'' გაუქმდა იტალიური ოპერა და დაიშალა ქართული თეატრალური დასიც.

მურავიოვს კავკასიის სამოქალაქო მმართველობაში შესამჩნევი კვალი არ დაუტოვებია. მის დროს არ მიულიათ არც ერთი მნიშვნელოვანი კანონი, არ განხორციელებულა რაიმე არსებითი ხასიათის გარდაქმნა. მეფისნაცვლობის ორი წლის განმავლობაში მურავიოვმა თბილისში მხოლოდ ექვსი თვე გაატარა, დანარჩენი დრო სამხედრო ლაშქრობებსა და მხარეში მიმოსვლებს მოანდომა. მურავიოვი შეეცადა, აღედგინა კავკასიის ადრინდელი, ნახევრად სამხედრო მმართველობა და საქართველოში იმპერიის ცენტრალური გუბერნიების მსგავსი მართვა-გამგეობის შემოღება განიზრახა, მაგრამ ამ პროექტის ხორცშესხმა მას არ დასცალდა. 1855 წელს რუსეთის ტახტზე ასულ ახალ იმპერატორს მეფისნაცვალიც ახალი სჭირდებოდა. მურავიოვი თვითონვე მიხვდა და ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა, — 1856 წლის ივნისში თანამდებობიდან გადადგომა ითხოვა.

ნიკოლოზ მურავიოვს დაწერილი აქვს რამდენიმე საისტორიო ნაშრომი, მათ შორის „ომი კავკასიისათვის 1855 წელს", ასევე საყურადღებო მოგონებები და სხვ.

ბარიატინსკი (1865-1862წ.წ.). კავკასიის რიგით მესამე მეფისნაცვალი, თავადი ალექსანდრე ბარიატინსკი თავის სამმართველო მხარეს ჯერ კიდევ XIX საუკუნის 30-იან წლებში გაეცნო. ახალგაზრდა ოფიცერი მაშინ ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობდა. 1835 წელს ერთ-ერთი ლაშქრობისას მძიმედ დაიჭრა და ძლივს ტყვეობას გადარჩენილი, სამკურნალოდ პეტერბურგს გაემგზავრა. გამოჯანმრთელების შემდგომ შედიოდა ტახტის მემკვიდრის ალექსანდრე ნიკოლოზის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძის ამალაში და მომავალ იმპერატორთან ერთად იმოგზაურა ევროპაში.

ბარიატინსკის სპეციალური განათლება არ მიუღია, ისე კი ბევრს კითხულობდა და სხვადასხვა უნივერსიტეტებში მისთვის საინტერესო ლექციათა კურსებსაც ისმენდა.

1845 წელს ბარიატინსკიმ თვითონვე ითხოვა, დაებრუნებინათ კავკასიის არმიაში. ვორონცოვთან ერთად მონაწილეობდა შამილის წინააღმდეგ განხორციელებულ სამხედრო ექსპედიციაში, თავიც გამოიჩინა, მაგრამ ისევ დაიჭრა და იძულებული გახდა, რამდენიმე წლით სამსახურს ჩამოშორებოდა. 1847 წელს იგი ყაბარდოს პოლკის წინამძღოლად დანიშნეს, მერე კი ჩეჩნეთში განლაგებული ჯარების ხელმძღვანელობა მიანდეს. უაღრესად მომთხოვნი, სამხედრო დისციპლინის მკაცრი დამცველი მეთაური ჯარისკაცთა და ოფიცერთა ყოფის წვრილმან საკითხებშიც ჩახედული იყო. ახერხებდა, გაცნობოდა რუსულ თუ უცხოურ ლიტერატურას კავკასიის ირგვლივ, ადგენდა და ამუშავებდა მხარის საბოლოო დამორჩილების სტრატეგიულ პროექტებს. ბარიატინსკის გეგმით, ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა მიწა-წყლის დროდადრო დალაშქვრის ნაცვლად იგი თანდათანობით უნდა დაეპყროთ და მტკიცედ დამკვიდრებულიყვნენ ამ ტერიტორიაზე.

ბარიატინსკიმ უარი თქვა, დაქორწინებულიყო ნიკოლოზ I-ის მიერ შერჩეულ გრაფ სტოლიპინის ქალიშვილზე და მოგვიანებით ცოლად მეფე ერეკლე II-ის შთამომავალი, ალექსანდრე ორბელიანის ძმისწული, ელისაბედ დიმიტრის ასული ორბელიანი შეირთო. 1853 წელს ბარიატინსკი ვორონცოვის ინიციატივით კავკასიის კორპუსის მთავარი შტაბის უფროსად დაინიშნა და სერიოზული წვლილიც შეიტანა აღმოსავლეთ ფრონტზე რუსეთის არმიის წარმატებაში. თუმცა მომავალმა მეფისნაცვალმა მურავიოვის ხელქვეით სამსახური აღარ ისურვა და 1855 წელს თანამდებობა დატოვა.

მომდევნო წელს ასრულდა პატივმოყვარე გენერლის ოცნება — ბარიატინსკი კავკასიის უმაღლეს ხელისუფლად შეირჩა, რაც უმთავრესად რუსეთის ახალ იმპერატორ ალექსანდრე II-სათან მისმა სიახლოვემ განაპირობა. „მოდის თქვენთან კნიაზი ბარიატინსკი — წერდა გრიგოლ ორბელიანი ერთ კერძო წერილში იმხანად — კაცი ღვთისაგან დალოცვილი, სრული ყოვლისფრით: გულით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონებით, კეთილგანზრახველობით. მოდის დიდი სიყვარულით, დიდის სურვილით საქართველოს გაბედნიერებისათვის. ხელმწიფესა და თვით ღმერთსა ჰყვარებია საქართველო, რომ ეს კაცი გმოგზავნეს აქა მმთავარმართებლად". პოეტის აღტაცება გადაჭარბებულია, თუმცა მურავიოვთან შედარებით ახალი მმართველი უფრო გულისხმიერი იყო.

ბარიატინსკის სამოქალაქო მმართველობის ცოდნა-გამოცდილება არ გააჩნდა, მაგრამ ბუნებრივი ნიჭის წყალობით ამ საქმესაც მალე აუღო ალღო. ამასთან, იმპერატორისაგან მან იმაზე მეტი უფლებები მოიპოვა, ვიდრე თავის დროზე ვორონცოვს ჰქონდა მინიჭებული. ბარიატინსკი ესწრაფოდა, შეენარჩუნებინა კავკასიაში ვორონცოვის „მმართველობის სული", მაგრამ უკან არ დაუხევია, თავისებურად გადაეხალისებინა ყოფილი მეფისნაცვლის სამოხელეო აპარატის მთელი სრუქტურა. ახალი დებულებით ბარიატინსკიმ შექმნა სამინისტროთა მსგავსი დაწესებულებები საერთო საქმეთა, სასამართლო, საფინანსო, სახელმწიფო ქონების თუ კონტროლის დეპარტამენტის სახით. მანვე დააწესა მეფისნაცვლის თანაშემწის — თბილისის გენერალ-გუბერნატორის პოსტი და ამ თანამდებობაზე კავკასიის ბრძოლებში სახელგანთქმული პოეტი-გენერალი გრიგოლ ორბელიანი დანიშნა.

ბარიატინსკიმ დიდი ღვაწლი დასდო საქართველოში აგრარული ურთიერთობის ისეთი საკითხის მოწესრიგებას, როგორიც იყო თავადაზნაურთა მიწების გამიჯვნა, მისივე ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა საგლეხო რეფორმის მოსამზადებელი სამუშაოები კავკასიის მხარეში. მეფისნაცვლის ინიციატივით გაფართოვდა და საგრძნობლად გაუმჯობესდა საქართველოს სამხედრო გზის დარიალის მონაკვეთი. ბარიატინსკიმ პირველმა წამოჭრა საკითხი შავი და კასპიის ზღვების ერთმანეთთან რკინიგზით დაკავშირების შესახებ, რაც ცოტა მოგვიანებით რეალობად იქცა. მეფისნაცვლის გაბედული პროექტები ადმინისტრაციულ, სამართლისა თუ სხვა სფეროში, ასევე მის მიერ გატარებული მმართველობის რეფორმა დაჩრდილა ბარიატინსკის სამხედრო ტრიუმფმა: 1859 წლის 29 აგვისტოს მან მიურიდების უკანასკნელი სიმაღლე — აული ღუნიბი აიღო. შამილი იძულებული გახდა, წინააღმდეგობა შეეწყვიტა და გამარჯვებულ მეფისნაცვალს ტყვედ ჩაბარებოდა. ჩრდილოეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიის დაპყრობისათვის წარმოებული ხანგრძლივი ომი წარმატებით დასრულდა.

ბარიატინსკის დიდებამ ზენიტს მიაღწია. მან არაერთი ჯილდო და ფელდმარშლის წოდება დაიმსახურა. თბილისში დაბრუნებულ მეფისნაცვალს არნახული შეხვედრა მოუწყვეს. კახელმა თავადებმა შამილის შემპყრობ მთავარსარდალს სამადლობელი ადრესი მიართვეს და დამატებით მეფე ერეკლეს საყვარელი თოფიც უძღვნეს.

ბარიატინსკის დროს გაუქმდა სამეგრელოსა და სვანეთის სამთავროები. 1861 წლიდან მეფისნაცვალი ჯანმრთელობის გაუარესების გამო მმართველობას ფაქტობრივად ჩამოშორებული იყო. იგი ერთხანს ბორჯომში, თავის მამულში ცხოვრობდა, მერე კი მკურნალობის მიზნით საზღვარგარეთ გაემართა. 1862 წლის ბოლოს იმპერატორმა დააკმაყოფილმა ბარიატინსკის თხოვნა გადადგომის შესახებ და მის ადგილზე დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის-ძე რომანოვი დაინიშნა.

მიხეილ ნიკოლოზის-ძე (1862-1881წ.წ.). საქართველოში რუსეთის ბატონობის დამყარებიდან ექვსი ათეული წლის განმავლობაში მხარის მმართველობა პირველად დაეკისრა რომანოვთა სამეფო ოჯახის წევრს. მიხეილ ნიკოლოზის-ძე იმპერატორ ალექსანდრე II-ის ღვიძლი ძმა იყო. ვიდრე კავკასიაში გააწესებდნენ, იგი გენერალ-ადიუტანტისა და გენერალ-ფელდცეიხმეისტერის წოდებებს ფლობდა და იმპერიის სახელმწიფო საბჭოში მოღვაწეობადა.

ახლად დანიშნულ მეფისნაცვალსაც ფართო უფლებები განესაზღვრა, მაგრამ დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოების ნება არც მას ჰქონია. დიდ მთავარსაც იმპერიულ მიზანდასახულებათა იმ ფარგლებში უნდა ემოქმედა, რომელიც კავკასიის სრულ დამორჩილებას და რუსეთთან უცილობელ შერწყმას ითვალისწინებდა. მიხეილ ნიკოლოზის- ძემ ამ მხრივ სოლიდურ წარმატებას მიაღწია. მის სახელს უკავშირდება 1864 წელს აფხაზეთის სამთავროს გაუქმება და დასავლეთ კავკასიის საბოლოო დაპყრობა. ამ დამსახურებისათვის დიდ მთავარს ალმასებით შემკული ოქროს ხმალი გადაეცა წარწერით: „კავკასიის ომების დასრულებისათვის“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისში ჩამოსული მეფისნაცვალი აგრძელებდა ვორონცოვის კურსს და რამდენადმე ანგარიშს უწევდა მხარის ეროვნულ-კულტურულ თუ ეკონომიკური თავისებურებებს. დავით კლდიაშვილის სიტყვით, მიხეილ ნიკოლოზის-ძეს ბრალსაც კი სდებდნენ, რომ „მან აუშვა კავკასიის მკვიდრნი და ვერ გაჰყავდა მტკიცედ რუსეთის პოლიტიკა.'' საამისო საფუძველს მეფისნაცვლის ადგილობრივ არისტოკრატიასთან სიახლოვე იძლეოდა. დიდი მთავარი ქართველ წარჩინებულ ფენებში მართლაც პატივისცემით სარგებლობდა და თვითონაც საქართველოს მიმართ გულგრილი არ ყოფილა. თანამდებობიდან გადადგომის შემდგომაც იგი არაერთხელ სწვევია ბორჯომსა თუ აბასთუმანს და გარკვეული გულისხმიერებით მოჰკიდებია თავადაზნაურთა წარმომადგენლების სხვადასხვანა თხოვნას.

მიხეილ ნიკოლოზის-ძის მეფისნაცვლობის პერიოდში საქართველოში გატარდა საგლეხო რეფორმა, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა სასამართლო სფეროში, სასოფლო თუ საქალაქო მმართველობაში, ამოქმედდა კავკასიაში ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოება, თბილისსა და ქუთაისში დაარსებულ იქნა სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკები, 1866 წელს თბილისში დაფუძნდა კავკასიის მუზეუმი, 1880 წელს საფუძველი ჩაეყარა სახაზინო (დღევანდელი ოპერის) თეატრის მშენებლობასა და სხვ.

ყოველივე ამის პარალელურად ქართველ ხალხს ისევ მძიმედ აწვა თვითმპყრობელობის კოლონიური რეჟიმი. ამ ერთგვარად ლიბერალი მმართველის „ასატან დროშიც" ქვეყანაში კვლავ ეგზეკუციებით, ჩამოხრჩობით, გაციმბირებით უმასპინძლდებოდნენ მიწისა და თავისუფლებისათვის თოფშემართულ ქართველ გლეხკაცობას, დაუსჯელი არ დაუტოვებიათ არც თბილისის ამქართა აჯანყების მონაწილენი და არც სოციალურ უსამართლობას დაპირისპირებული ხალხოსნური ფარული ორგანიზაციის წევრები. 1875 წელს მიწასთან გაასწორეს სვანეთის ამბოხებული სოფელი ხალდე. 1880 წელს დახურეს რუსულენოვანი გაზეთი „ობზორ"-ი, ხოლო მისი რედაქტორი ნიკო ნიკოლაძე რუსეთში გადაასახლეს. რუსი მოხელენი აქეზებდნენ და ხელს უწყობდნენ მუჰაჯირობის პროცესს აჭარასა თუ აფხაზეთში და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ ნიკოლოზის-ძე კავკასიის მეფისნაცვლობას იმპერატორ ალექსანდრე II-ის მოკვლიდან ორიოდე თვის შემდეგ, 1881 წლის მაისში ჩამოაშორეს და პეტერბურგში გაიწვიეს.

დონდუკოვ-კორსაკოვი (1882—1890წ.წ.). ახალი იმპერატორის, ალექსანდრე III-ის გამეფებისთანავე სხვა გარდაქმნებთან ერთად კავკასიის პოლიტიკური სტატუსიც შეიცვალა. ამიერიდან მხარის უმაღლეს ხელისუფალს კვლავ მთავარმართებელი ეწოდებოდა. არსებითად შეიცვალა მისი გავლენა და უფლებრივი კომპეტენცია. ხელმეორედ აღდგენილ მთავარმართებლის პოსტზე 1882 წლის იანვარში გენერალ-ადიუტანტი ალექსანდრე დონდუკოვ- კორსაკოვი დაინიშნა. დედის ხაზით ყალმუხის ხანის შთამომავალ დონდუკოვ-კორსაკოვს უმაღლესი იურიდიული განათლება ჰქონდა მიღებული, მაგრამ პეტერბურგის უნივერსიტეტის დასრულების შემდგომ სამართლის სფეროში მოღვაწეობას მან სამხედრო ასპარეზი ამჯობინა და 1844 წლიდან სამსახურს კავკასიის არმიაში შეუდგა. ჩრდილოეთ კავკასიელ მთიელებთან ხანგრძლივ ბრძოლაში მონაწილეობამ დონდუკოვ-კორსაკოვს სამხედრო კარიერაში წინსვლა და მრავალი ჯილდო მოუტანა. მომავალი მთავარმართებელი ყირიმის ომშიც წარმატებით იბრძოდა, მაგრამ ერთ-ერთი შეტაკებისას დაიჭრა და გარკვეული დროით სამხედრო სამსახურს თავი დაანება. მომდევნო პერიოდში იგი უმთავრესად საერობო საქმიანობაში იყო ჩართული.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდგომ დონდუკოვ-კორსაკოვი ბულგარეთში რუსეთის საიმპერიო კონსულად და საოკუპაციო კორპუსის მეთაურად დაინიშნა. თანამედროვეთა მოგონებების თანახმად, დონდუკოვ-კორსაკოვს ადგილობრივი მოსახლეობის კეთილგანწყობა მოუპოვებია, მას თურმე ბულგარეთის ტახტზე აყვანასაც უპირებდნენ, მაგრამ მოვლენები სხვაგვარად წარიმართა.

1881 წელს დონდუკოვ-კორსაკოვს ჯერ ხარკოვის შემდეგ კი ოდესის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობა ეკავა, საიდანაც იგი კავკასიაში გადაიყვანეს.

დონდუკოვ-კორსაკოვის მთავარმართებლობის წლები რუსეთში პოლიტიკური რეაქციის ხანას დაემთხვა. რეაქცია განსაკუთრებული სისატიკით თავს იმპერის განაპირა მხარეებს დაატყდა და კოლონიური ჩაგვრის მკვეთრი გაძლიერებით აღინიშნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარმართებელს საიმპერიო ცენტრში კონკრეტული დავალება მიეცა. მას ადგილობრივ მკვიდრთა სრული რუსიფიკაციის საფუძველზე კავკასია იმპერიის მორჩილ და ერთგულ-ქვეშევრდომული გრძნობებით გამსჭვალულ მხარედ უნდა გადაექცია.

დონდუკოვ-კორსაკოვმა გვერდში ამოიყენა პოლიცია-ჟანდარმერიის სამსახურები, ასევე საეგზარქოსოსა და კავკასიის სანავლო ოლქის მესვეურები და მონდომებით შეუტია ეროვნულ ენებს, კულტურულ და საგანმანათლებლო კერებს, პერიოდული პრესის ორგანოებს. ერთიმეორის მიყოლებით აიკრძალა ქართული ჟურნალ-გაზეთები. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღიარებულ მეთაურზე ილია ჭავჭავაძეზე დაწესებულ იქნა ფარული პოლიციური მეთვალყურეობა. მთავარმართებლის უშუალო განკარგულებით 1886 წელს სტავროპოლში გადაასახლეს ადრე მეფისნაცვლის საბჭოს წევრი და თავადაზნაურთა საკრებულოს წინამძღოლი დიმიტრი ყიფიანი. ახალი ძალით გაჩაღდა საქართველოს კოლონიზაციის პროცესი, გამძაფრდა თვით ხელისუფლებისაგან წაქეზებული სარწმუნოებრივი და ეროვნული შუღლი კავკასიის ხალხებს შორის და სხვ.

ღვინისა და არყის მოყვარული დონდუკოვ-კორსაკოვი დროს ქეიფსა და საგანგებო მატარებლით აქეთ-იქით მოგზაურობაში ატარებდა. სიმთვრალეში უხვი დაპირებები სჩვეოდა, თუმცა სიფხიზლეში სიტყვის შესრულებაზე თავს აღარ იწუხებდა.

დონდუკოვ-კორსაკოვი კავკასიას 1890 წლამდე განაგებდა. მისი მმართველობის თითქმის ათი წლის განმავლობაში სასტიკად იდევნებოდა თავისუფალი სიტყვა თუ აზრი, ითრგუნებოდა ეროვნულობისაკენ ყოველი მისწრაფება და მიზანმიმართულად ხორციელდებოდა მხარის ასიმილირების იმპერიული გეგმა-პროექტი.

შერემეტიევი (1890-1896წ.წ.). კავკასიის მომდევნო რუს ხელისუფალს, გენერალ-ადიუტანტ სერგეი შერემეტიევს, შეიძლება ითქვას, დონდუკოვ-კორსაკოვის სკოლა ჰქონდა გავლილი, 1884 წლიდან იგი მთავრმართებლის თანაშემწედ მსახურობდა და იმ ანტიხალხური ღონისძიებების ერთ-ერთი შემოქმედიც იყო, რომლებიც მაშინ მთელს მხარეში ინტენსიურად ტარდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი, ბოიართა გვარის შთამომავალი შერემეტიევი საქართველოს ახალგაზრდობის წლებში გაეცნო. ყირიმის ომის დროს იგი კავკასიის კორპუსში ირიცხებოდა და მეფისნაცვალ მურავიოვთან ერთად მონაწილეობდა ყარსის ციხე-სიმაგრის აღებაში. შერემეტიევის გარეშე არ ჩაუვლია არც ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთის დასაპყრობად წარმოებულ ბრძოლებს, რომლებიც რამდენიმე ათეული წლის მანძილზე გრძელდებოდა და რუსეთის თავისებურ პოლიგონს წარმოადგენდა. შამილის დამარცხების შემდეგ მომავალი მთავარმართებელი ალექსანდრე II-ის ფლიგელ-ადიუტანტად და საიმპერატორო ამალის წევრად დაინიშნა. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის მსვლელობისას შერემეტიევი დივიზიას მეთაურობდა, მერე ყუბანის ოლქის უფროსი და კაზაკთა ჯარის ატამანი იყო, ვიდრე დონდუკოვ-კორსაკოვი თბილისში ჩამოიყვანდა და თავის მარჯვენა ხელად გაიხდიდა.

კავკასიის მთავარმართებლის თნამდებობაზე შერემეტიევმა 1890 წლიდან 1896 წლამდე იმსახურა. მას მხარის ცხოვრებაში რაიმე შესამჩნევი კვალი არ დაუტოვებია, თუ არ ჩავთვლით, რომ მის დროს, 1890 წელს სარკინიგზო მიმოსვლისათვის გაიხსნა სურამის გვირაბი და 1892 წელს აშენდა აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია. შერემეტიევის მთავარმართებლობის პერიოდში არ შენელებულა დონდუკოვ-კორსაკოვის დროიდან მომდინერე რეაქციის სუსხი, გრძელდებოდა უხეში ეროვნული ჩაგვრის, ქართული ენის, კულტურის, ისტორიული ტრადიციების დევნა-შევიწროების იმპერიული პოლიტიკა. 1894 წელს ჟანდარმერიამ გაანადგურა ქართული სტუდენტური ორგანიზაცია „საქართველოს განთავისუფლების ლიგა", 1896 წლის მაისში 8 თვით აიკრძალა ილია ჭავჭავაძის „ივერია'' და სხვ.

გოლიცინი (1896—1905წ.წ.). XIX საუკუნეში კავკასიის ბოლო რუსი ხელისუფალი თავადი გრიგოლ გოლიცინი იყო. იმპერიაში საკმაოდ ცნობილი გვარის წარმომადგენელ გოლიცინს დამთავრებული ჰქონდა გენერალური შტაბის აკადემია და მთავარმართებლად დანიშვნამდე უკვე ინფანტერიის გენერლის სამხრეებს ატარებდა. მიუხედავად იმისა, რომ გოლიცინი დასკვნით ეტაპზე ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ განხორციელებული შეტევითი ოპერაციების აქტიური მონაწილე იყო, მისი ბიოგრაფია არ გამოირჩევა დიდი საბრძოლო მიღწევებით. იგი 1861 წლიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიის არმიის შტაბში მსახურობდა, შემდეგ ფინეთის ჯარის ლეიბგვარდიას მეთაურობადა, შედიოდა იმპერატორ ალექსანდრე II-ის ამალაში და ერთხანს ურალის სამხედრო გუბერნატორის თანამდებობაც ეკავა. 1896 წელს კი მას კავკასიის მთავარმართებლობა მიანდეს. თანამედროვეთა დახასიათებით, გოლიცინი თავისი გარეგნობითაც თურმე შიშს გვრიდა გარშემო მყოფთ. იგი „სასტიკი, თვითნება და დაუზოგველი" კაცი იყო, რომელსაც „გადაწყვეტილი ჰქონდა, მაგარი ხელით დაემორჩილებინა აქაურობა და რუსეთის სრული მონა-მორჩილი გაეხადა ქვეყანა" (დავით კლდიაშვილი). მთავარმართებელი უმკაცრესად უსწორდებოდა არსებული რეჟიმის საწინააღმდეგო გამოსვლებს, ეროვნული და სოციალური პროტესტის ნებისმიერ გამოვლინებას, სახრჩობელების სიმრავლით ცდილობდა, აღეკვეთა საზოგადოებრივი მღელვარებები და აღედგინა კოლონიური წესრიგი.

გოლიცინი განუხრელად მისდევდა კავკასიის პირველ მთავარმართებელთა პრაქტიკას და მკვიდრი ეროვნების წარმომადგენლებს სახელმწიფო სამსახურს არ აკარებდა, მის დროსაც ქართული ენა ისევ იდევნებოდა სკოლიდან თუ ეკლესიიდან, ბეჭდვითი სიტყვა იხრჩობოდა ცენზურის მარწუხებში. მოქალაქეობრივი ცხოვრება საქართველოში კვლავაც უკიდურესად იყო შეზღუდული, ქართველ ერს უფლება არ მიეცა, იუბილე გაემართა თავისი სახელოვანი შვილის — ილია ჭავჭავაძისათვის და სხვ.

XIX საუკუნის განმავლობაში საქართველომ 18 რუსი ხელისუფალი გამოიცვალა. არც ერთი მათგანი ქართველი ხალხის ცხოვრების ავკარგით, მისი ისტორიითა და კულტურით სიღრმისეულად არ დაინტერესებულა. „აქაურ მოხელეებში ერთიც არ გვეგულება, რომელსაც არამც თუ შეესწავლა ჩვენი ქვეყანა, არამედ ამისი სურვილი ჰქონოდეს და ამის საჭიროება ეგრძნოს"— წერდა ილია ჭავჭავაძე. მართლაც, კავკასიის მთავარმართებელები თუ მეფისნაცვლები აქ რამდენიმე წლიანი სამსახურის შემდეგ იძულებულ ტოვებდნენ საქართველოს, რომ ქართულ ენაზე წინადადების არათუ წარმოთქმა, გაგებაც კი არ შეეძლოთ. ისინი მთელ მხარეს საკუთარი გამდიდრების ასპარეზად მიიჩნევდნენ და ერთმანეთს ეცილებოდნენ ადგილობრივ მკვიდრთა ნაღვაწ-ნაამაგარის ძარცვასა და მიტაცებაში. „ბევრი მინახავს დიდრონი სასახლეები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუსეთში აქაური ფულით აშენებულიო“— გვიმოწმებს გრიგოლ ორბელიანი.

საერო ხელისუფალთ არც მათი ავან-ჩავანი რუსი ეგზარქოსები ჩამორჩებოდნენ, რომლებმაც მიითვისეს და საქართველოდან გაიტანეს ქართული ეკლესიის დიდძალი ქონება, ძვირფასი ხატები, ჯვრები, სამკაულები და სხვ. საქართველოს რუს მმართველებსა და იერარქებს არ უყვარდათ, ზოგიერთს კიდევაც სძულდა ის ქვეყანა, რომელსაც განაგებდა. მექრთამე, მძარცველი, ლოთი და მრუში იყო სასამართლო და ადმინისტრაციულ მოხელეთა უმეტესობა. ისინი არა მხოლოდ რუსეთის სახელმწიფოებრიობას უტეხდნენ სახელს, არამედ საზოგადოდ რუსი ადამიანის სახელსაც ქართველთა თვალში უარყოფითად წარმოაჩენდნენ.

ქართველი ერი ვერ ურიგდებოდა უზნეო მოხელეთა თვითნებობას და ბოროტმოქმედებას, უპირისპირდებოდა კოლონიური რეჟიმის სისასტიკეს და ძალადობას, მაგრამ მისი ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის არასოდეს გადაზრდილა რუსოფობიაში — საკუთრივ რუსეთისა თუ რუსი ხალხის სიძულვილში.

საქართველომ ერთმორწმუნე რუსეთი მხსნელად, მფარველად და მოკავშირედ შეარჩია, მაგრამ ეს „მფარველი“ არანაკლები მოძალადე და დამპყრობელი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენი ისტორიული მტრები — სპარსეთი და ოსმალეთი. ცარიზმმა მოშალა ბაგრატიონთა ქართლ-კახეთის სახელმწიფო ტახტი, გააუქმა იმერეთის სამეფო და დაიპყრო დასავლეთ საქართველოც, რის შედეგადაც ბოლო მოეღო ქართულ სახელმწიფოებრიობას, გუბერნიებად და მაზრებად დაყოფილი საქართველო რუსეთის იმპერიის მფლობელობაში მოექცა. ქვეყანაში რუსული მართვა-გამგებლობა დაწესდა, რომელიც უცხო და გაუგებარი იყო ქართველი ხალხისათვის, ოდნავადაც არ შეესაბამებოდა მის ეროვნულ ტრადიციებსა თუ ჩვეულებების წესს. XIX საუკუნის დამდეგს დამკვიდრებული სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი თვითმპყრობელობის არსებობის მთელ მანძილზე ფაქტობრივად აღარ შეცვლილა.

იმპერიული მმართველობის შემოღებას თან ახლდა მკვიდრი მოსახლეობის შევიწროება, მისი უფლებების შელახვა და აბუჩად აგდება. მხარის ადმინისტრაციული და მართლმსაჯულების სფეროდან იმთავითვე განიდევნა ქართული ენა, რომელსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგვიანებით აღარც სკოლასა და ტაძარში დაუტოვეს ადგილი. მძიმე მდგომარეობა შეექმნა საქართველოს ეკლესიას, მას ავტოკეფალია წარსტაცეს და რუსეთის სინოდს დაუქვემდებარეს. მეფის მთავრობა მიზანმიმართულად ატარებდა ღონისძიებათა სისტემას, რომელიც ძირს უთხრიდა ქართველი ერის თვითმყოფადობას, აჩქარებდა მისი გარუსებისა და იმპერიასთან შერწყმის პროცესს.

საიმპერიო ცენტრის მითითებით კავკასიის რუსული ხელისუფლება მოქმედებდა „გათიშე და იბატონეს'' პრინციპით, შუღლს სთესდა ქათველი ერის შემადგენელ ტომებს — მეგრელებს, სვანებს, აჭარლებს და დანარჩენ ქართველებს შორის, ერთმანეთს უპირისპირებდა ადგილობრივ ქრისტიან და მუსულმან მცხოვრებთ, ადგენდა საქართველოსაგან მისი ძირძველი კუთხეების — აფხაზეთისა და აჭარის ჩამოშორების მზაკვრულ გეგმებს და ესწრაფოდა მათ რეალიზებას.

ქართველი ხალხის ეროვნული გადაგვარებისა და გაქრობის ამოცანას ემსახურებოდა საქართველოს ტერიტორიაზე უცხოტომელთა ჩამოსახლება, რომელსაც თვითმპყრობელობა პერიოდულად მიმართავდა. ეს პრაქტიკა ჯერ კიდევ ციციანოვმა წამოიწყო, როცა მეზობელი სახანოებიდან ქართლ-კახეთში რამდენიმე ათასი სომეხი გადმოიყვანა. 1817—1819 წლებში თბილისში, ბოლნისში, სართიჭალასა და სხვა ადგილებში რუსეთიდან გერმანელი კოლონისტები ჩამოასახლეს და საუკეთესო ნაკვეთები გამოუყვეს. 1829 წელს ოსმალეთიდან გადმოხვეწილი ქრისტიანი სომხებისა და ბერძნების 6000-ზე მეტი ოჯახი ახალციხე-ახალქალაქისა და წალკის მიდამოებში იქნა დამკვიდრებული. აფხაზეთსა და აჭარაში მუჰაჯირობის ხელშეწყობის პარალელურად წარმოებდა შავი ზღვის სანაპირო ზოლის ინტენსიური კოლონიზაცია.

საქართველოს მიწა-წყალზე ასევე გახშირდა რუსული სამხედრო კოლონიები და რუსეთის ეკლესიისაგან განდგომილ სექტანტთა დასახლებები.

დემოგრაფიულ ექსპანსიას მეფის მთავრობა უმთავრესად საქართველოს განაპირა პროვინციებში — ჯავახეთში, ბორჩალოში, ლორეში, საინგილოსა და აფხაზეთში ანხორციელებდა. ამ კუთხეებში ქართული სულის ჩაკვლისა და უცხო ელემენტის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავმოყრით ცარიზმი იპერიის დასაყრდენ ძალებს ამრავლებდა და აძლიერებდა.

თვითმპყრობელობის კოლონიურ პოლიტიკას სხვა უარყოფითი შედეგიც მოჰყვა, სახელდობრ: საკუთარი სახელმწიფოებრიობის მოშლამ და ეროვნული ჩაგვრის სიმძაფრემ ქართველი ერის სახელმწიფოსგან გაუცხოება გამოიწვია. ბზარი გაუჩნდა და გაითიშა ერთიანი ქართული ცნობიერება, ხოლო ეკლესიის დამცრობამ და მისმა რუსულ ყაიდაზე გარდაქმნამ ხალხში რწმენის სიმტკიცეს შეურყია საფუძველი. ეროვნულ თვითშეგნებას მოკლებული, ეკლესიას ზურგშექცეული, ურწმუნო და ანტისახელმწიფოებრივად განწყობილი ადამიანების მასა თავის მხრივ ნოყიერი გარემო აღმოჩნდა მის წიაღში კოსმოპოლიტური სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის გასავრცელებლად, რომელმაც საქართველო ბუნებრივი განვითარების გზას ააცდინა და მომავალში თავს არაერთი განსაცდელი დაატეხა.

საქართველოს პოლიტიკური დაპყრობის შემდგომ ცარიზმმა კურსი მის ეკონომიკურ დაკაბალებაზე აიღო. წარმოების ადგილზე დანერგვისა და განვითარების ნაცვლად, რუსეთი საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეებს თავის ინტერესებისათვის იყენებდა, აქედან მუქთად გაჰქონდა ნედლი მასალა, რომელსაც მეტროპოლიის ფაბრიკა-ქარხნებში გადაამუშავებდნენ და გასასაღებლად ისევ უკან აბრუნებდნენ. ეკონომიკის სფეროში კოლონიალიზმის ამ პრინციპის ხორცშესხმამ საქართველო არა მწარმოებელ, არამედ მომხმარებელ ქვეყნად ჩამოაყალიბა, იგი იმპერიის იაფი და ხელსაყრელი ნედლეულის ბაზად გადაიქცა, რომელსაც იმავდროულად რუსული სამრეწველო ნაწრმისათვის ბაზრის ფუნქციაც ჰქონდა დაკისრებული. დაპყრობილი მხარის ძარცვა-ყვლეფის პარალელურად მთავრობა საქართველოში სახელმწიფო საკუთრების გაზრდასა და გაფართოებასაც ესწრაფოდა. ბაგრატიონთა სამეფო თუ საუფლისწიულო მამულები იმთავითვე ხაზინის მფლობელობაში გადაეცა. ხაზინა დაეპატრონა ასევე ურჩ ქართველ თავადაზნაურთა და ეკლესიისაგან ჩამორთმეულ დიდძალ ქონებასაც. საკუთრივ კავკასიის რუსი მმართველები ხელთ იგდებდნენ და ისაკუთრებდნენ ათასობით ჰექტარ მიწაწყალს დასავლეთ თუ აღმოსავლეთ საქართველოში და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცარიზმის მოხელეები თავიდანვე ამკვიდრებდნენ აზრს, რომ საქართველოს შეერთებით რუსეთმა უფრო მსხვერპლი გაიღო, ვიდრე სარგებელი ნახა. ეს წინასწარ განზრახული და მცდარი შეხედულება შემდეგში რუსულ ისტორიოგრაფიაშიც აისახა. სინამდვილეში, საქართველო და კავკასია იმპერიას ტვირთად კი არ აწვა, არამედ მისთვის დამატებითი შემოსავლისა და ბიუჯეტის ზრდის სერიოზულ წყაროს წარმოადგენდა.

მეფის მთავრობის იმპერიული მიზანსწრაფვის საპირისპიროდ, რუსეთის მფლობელობაში მოქცევამ ობიექტურად საქართველოსათვის დადებითი შედეგებიც გამოიღო: აღიკვეთა მეზობელ მაჰმადიანურ სახელმწიფოთა აგრესიის საფრთხე და შეწყდა ლეკთა გაუთავებელი თავდასხმები, ბოლო მოეღო კარჩაკეტილობას, ტყვის სყიდვასა და ფეოდალურ შინაომებს; გაირღვა ჩვენი ქვეყნის ირგვლივ საუკუნეთა მანძილზე დახშული რკალი და საქართველოს გარე საგყაროსთან დაკავშირების ხელახალი შანსი გაუჩნდა. სათავადოების ლიკვიდაციამ, ბატონყმობის გაუქმებამ და პროგრესული განვითარების ხელშემწყობმა ბურჟუაზიულმა რეფორმებმა საქართველოსაც სოციალური და ეკონომიკური წინსვლის საშუალება შეუქმნეს. უმთავრესად იმპერიის საჭიროებისათვის, მაგრამ მაინც გაყვანილ იქნა გზები და აიგო სარკინიგზო მაგისტრალი. გაჩნდა ახალი დასახლებული პუნქტები, გაიზარდა მოსახლეობის რიცხვი და განმტკიცდა კავშირი ქვეყნის ცალკეულ ნაწილებს შორის. საქართველო გაეცნო და ეზიარა რუსეთის მოწინავე კულტურას, თვალი გაუსწორა დასავლური ცივილიზაციის მიღწევებს და სხვ.

ცარიზმის დაპყრობითი ომების შედეგად კავკასიაში მშობლიურ წიაღს დაუბრუნდა ადრე თურქთაგან მიტაცებული ქართული სამფლობელოები და შესაძლებელი გახდა საქართველოს ტერიტორიული გამთლიანება, მისი გაერთიანება. ქართული მიწა-წყლის შემოერთებით რუსეთი რეგიონში მეტოქე ირან-ოსმალეთს სჯაბნიდა და თავის იმპერიულ საზღვრებს აფართოებდა, საქართველოსათვის კი ამ ღირსახსოვარ მოვლენას ისტორიული სამართლიანობის აღდგენის გარდა პრაქტიკული მნიშვნელობაც გააჩნდა: იგი თავს აღწევდა ხანგრძლივ დაქასაქსულობა-გათიშულობას და პოლიტიკურად შეკავშირებული ეროვნული კონსოლიდაციის გზაზე გამოდიოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მართალია, თვითმპყრობელობის პოლიტიკურ ნებას არ თანხვდებოდა, მაგრამ რუსეთის საქართველოში დამკვიდრებიდან რამოდენიმე ათეული წლის განმავლობაში ქართველმა ერმა წართმეული თავისუფლების სანაცვლოდ ეროვნული და ტერიტორიული გამთლიანება, სოციალური და ეკონომიკური აღმავლობა მოახერხა. ამ ეტაპზე მეტროპოლიის პოზიტიური როლი დაპყრობილი ქვეყნის ცხოვრებაში არსებითად ამოიწურა. ცარიზმის შემდგომმა მპყრობელობამ საქართველოში ცალმხრივად უარყოფითი ხასიათი შეიძინა და იგი ერის პროგრესული განვითარების დამაბრკოლებელ ფაქტორად იქცა.

თუ ზემოთქმულს შევაჯამებთ, შეიძლება დავასკვნათ: საქართველოში რუსეთის ბატონობის დადებითი შედეგები ვერ აქარწყლებდა თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკის ნეგატიურ გამოვლინებებს. ამიტომაც იბრძოდა ქართველი ერი ასე თავგანწირვით საკუთარი სახელმწიფოებრიობის აღსადგენად და წართმეული თავისუფლების დასაბრუნებლად.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კ. აბაშიძე, ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1962.

ა. ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში. 1890—1917 წ.წ., თბ., 1980.

ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს ისტორია, თბ., 1999.

ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965.

მ. ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, წგნ. 1, 2, თბ., 1980, 1983.

მ. გაფრინდაშვილი, ნარკვევები ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, 1—3, თბ., 1959—1988.

გ. გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში ბატონყმობის გადავარდნიდან პირველ რევოლუციამდე (1864-1905), თბ., 1928.

დ. გოგოლაძე, საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში, თბ., 1971.

გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. 1, 2, 3, თბ., 1935, 1970, 1976.

მ. გოცაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, თბ., 1954.

მ. გონიკაშვილი, ბაგრატიონთა დასახლება და მოღვაწეობა რუსეთში, თბ., 1986.

ლ. გორგილაძე, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიიდან, თბ., 1961.

პ. გუგუშვილი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება, ტ. I—V, თბ., 1949—1962.

დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია. ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თ. ლომოურის გამოცემა, თბ., 1941.

მ. დუმბაძე, დასავლეთ სქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1957.

შ. ვანიშვილი, ამიერკავკასია რუსეთის მმართველობის სისტემაში 1864—1917წ.წ. თბ., 1989.

მ. ვაჩნაძე, ვ. გურული, საქართველოს ისტორია. XI კლასის სახელმძღვანელო, თბ., 2002.

გ. ვეშაპელი, საქართველო და რუსეთი, თბ., 1919.

თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ლ. მიქიაშვილმა, თბ., 1983.

პ. იოსელიანი, ცხოვრება მეფისა გიორგი XIII-ისა, თბ., 1978.

ს. კაკაბაძე, ქართველი ხალხის ისტორია (1783-1921), თბ., 1997.

ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, XIX საუკუნე, თბ., 1954.
დ. ლემონჯავა, გლეხთა აჯანყება სამეგრელოში 1856—1857 წ.წ. თბ., 1957.
დ. ლენგი, საქართველოს სამეფოს უკანასკნელი წლები, თბ., 2003.
ფ. ლომაშვილი, საქართველოს ისტორია, X კლასის სახელმძღვანელო, თბ., 2002.
შ. მეგრელაძე, საქართველო აღმოსავლეთის ომებში, თბ., 1974.
ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, I—II, თბ., 1944—1954.
გ. ნადირაძე, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიიდან, თბ., 2000.
ე. ორჯონიკიძე, რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში, თბ., 1992.
მ. სამსონაძე, საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარება XIX საუკუნის პირველ მესამედში, თბ., 1980.
საქართველოს ისტორია, ტ. I, თბ., 1956.
საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, V, თბ., 1973, 1970.
ა. სურგულაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა, თბ., 1968.
ა. სურგულაძე, ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1973.
ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია, თბ., 1991.
ვ. ტოგონიძე, ქართლის მთიანეთის აჯანყება 1804 წელს, თბ., 1951.
ა. ფრონელი, მთიულეთი 1804 წ. თბ., 1896.
ა. ფრონელი, ამბოხება კახეთისა, თბ., 1907.
ნ. ქორთუა, საქართველო 1806—1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, თბ., 1964.
შ. ჩხეტია, რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში, ენიმკის მოამბე, ტ. VIII, თბ., 1940.
დ. ყიფიანი, მემუარები, ს. ხუნდაძის რედაქციით, თბ., 1931.
ა. ჭავჭავაძე, საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801—1831 წლამდე, „ქართული მწერლობა", 1926, №4-7.
ა. ხახანაშვილი, ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ქუთაისი, 1910.
ი. ჯავახიშვილი, პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნეში, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", 1986, №2-3.
ა. ჯორჯაძე, თხზულებანი, ტ. I—IV, თბ., 1911 — 1914.
Авалов З. Присоединение Грузии к Росии, СПб., 1901.

Акты, собранные кавказской археографической комиссией, т.т. I-XII.

Дубровин Н. История войны и владычества русских на Кавказе, т.т. I-VI, СПб., 1871-1888.

Иваненко В. Гражданское управление Закавказьем от присоедения Грузии до наместничества великого князя Михайла Николаевича, Тиф., 1901.

Кавказский календарь, 1846-1900, Тиф., 1846-1900.

Обозрение Российских владений за Кавказом, ч. I-IV, СПб., 1838-1840.

Маркова О. Восстание в Кахетии 1812 г., М., 1951.

Мархулия Г. Административная политика росийской империи на южном Кавказе и вопросы армяно-грузинского антагонизма, Тб., 2004.

Потто В. Кавказская война в отдельных очерках, эпизодах, легендах и биографиях. т.т. I-IV, СПб., 1885-1888.

Статистическое описание Закавказского края, СПб., 1835.

Утверждение русского владычества на Кавказе, т.т. I-XII, Тиф., 1901-1908.

Фадеев А. Россия и Кавказ в первой трети XIX в., М., 1960.

Эсадзе Б. Историческая записка об управлении Кавказом, т. I-II, Тиф., 1907.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში 3
1802 წლის კახეთის თავადთა შეთქმულება 10
სამეფო ოჯახის დევნა. ბაგრატიონთა გადასახლება
რუსეთში 15
ქართლის მთიანეთის 1804 წლის აჯანყება 20
იმერეთის სამეფოს დაპყრობა. დასავლეთ საქართველოს
სამთავროები რუსეთის პროტექტორატის ქვეშ 27
საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება 34
1812 წლის აჯანყება კახეთში 37
1819-1820 წლების აჯანყება იმერეთსა და გურიაში 42
რუსეთ-ირანის ომები XIX საუკუნის პირველ მესამედში და
საქართველო 47
რუსეთ-ირანის 1804-1813 წლების ომი 47
რუსეთ-ირანის 1826-1828 წლების ომი 50
რუსეთ-ოსმალეთის ომები XIX საუკუნის პირველ
მესამედში და საქართველო, რუსეთ-ოსმალეთის
1806-1812 წლების ომი 53
რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომი 56
1832 წლის შეთქმულება 59
გურიის 1841 წლის აჯანყება 67
1856-1857 წლების სამეგრელოს გლეხთა აჯანყება 72
გურიის, სამეგრელოს, სვანეთისა და აფხაზეთის
სამთავროების გაუქმება 77
ბატონყმობის გაუქმება საქართველოში 81
ბურჟუაზიული რეფორმები 86
ეროვნული მოძრაობის ახალი ეტაპი. თერგდალეულები 90
რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომი.
სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შემოერთება 98
ქართული სოფელი, ქალაქი და საქალაქო ცხოვრება
XIX საუკუნეში 105
მესამედასი 124
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება XIX საუკუნის
80-90-იანი წლების საქართველოში 128
ქართული კულტურა XIX საუკუნეში 143

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კავკასიის რუსი მმართველები. რუსეთის ბატონობის შედეგები საქართველოში 172
გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა 208

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Otari Janelidze
Hstory of Georgia 19th Century
(in Georgian)

"Mematiane"
Tbilisi
2005

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაბეჭდა გამომცემლობა „ნაკადული" სტამბაში

ეროვნული
ბიბლიოთეკა